

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

ეკონომიკისა და სოფლის ინსტიტუტი

იოვან ასათიანი

თბილისის ქართული სააღზიდგაგულო
ბანკის დარისუბა
(1864-1875 წწ.)



გამომცემლობა „მეცნიერება“

თბილისი

1979

ნაშრომში პირველწყაროებისა და ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე განხილულია საქართველოში საგლეხო რეფორმის გატარების შემდგომ პერიოდში დიმიტრი ყიფიანის მეცადინეობა თბილისის გუბერნიის საადგილმამულო ბანკის დასაარსებლად. გადმოცემულია იმდროინდელ საზოგადო მოღვაწეთა შეხედულებანი ბანკის საზოგადოებრივი ხასიათის ორგანიზაციულ და საწესდებო საკითხებზე. ნაჩვენებია ილია ჭავჭავაძის როლი ბანკის დაარსების საქმეში.

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1979

„ვისაც ჩვენი ქვეყანა გულწრფელად უყვარს და ჩვენთვის კეთილი არა შურს, ის დიდის სიფრთხილით, დიდის მოსაზრებით უნდა ეკიდებოდეს ყოველს საგანს, ყოველს აზრს ბანკის შესახებ“.

ი ლ ი ა

შ ე ს ა ვ ა ლ ი

1975 წელს შესრულდა 100 წელი თბილისის ქართული საადგილმამულო ბანკის დაარსებიდან, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული განვითარების საქმეში. მისი დაარსების იდეა წარმოიშვა საგლეხო რეფორმის პერიოდში. როგორც ფ. ენგელსი წერს: „ამ „რეფორმის“ ყველაზე არსებითი შედეგი იყო გლეხების ახალი გადასახადებით დატვირთვა. სახელმწიფომ მთლიანად შეინარჩუნა თავისი შემოსავალი, მაგრამ ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი დააკისრა გუბერნიებს და მაზრებს, რომელთაც მათ დასათარავად ახალი გადასახადები შემოიღეს, რუსეთში კი წესია, რომ უმაღლესი წოდებები თითქმის თავისუფალნი არიან გადასახადებისაგან, ხოლო გლეხი თითქმის ყველაფერს იხდის“¹. მიუხედავად იმისა, რომ საგლეხო რეფორმა როგორც რუსეთში, ისე საქართველოში მემამულეთა ინტერესების დაცვით ჩატარდა, მას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის ეკონომიკური წარმატებისათვის, მან დააჩქარა დრომოკმული სამეურნეო ფორმების რღვევა და ფართო გასაქანი მისცა კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას.

საგლეხო რეფორმის პერიოდში თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი იყო დ. ყიფიანი. იგი ზრუნავდა ბატონყმობის გადაყარდნის შედეგად „დაზარალებული“ თავადაზნა-

¹ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, მიწერ-მოწერა რუს პოლიტიკურ მოღვაწეებთან, თბ., 1955, გვ. 251.

ურობის პრივილეგიური მდგომარეობის შენარჩუნებისათვის. მას მტკიცედ სწამდა, რომ შექმნილი ვითარების პირობებში თავადაზნაურობისათვის აუცილებლობას წარმოადგენდა სწავლა-განათლება. „კეთილგონიერება გვაწევს, — წერდა ყიფიანი, — რომ ახლა განსაკუთრებითი ყურადღება ჩვენი შვილების აღზრდაზედ მივაქციოთ, რადგან ჩვენს წარსაგებელს ისე ვერა აღადგენს რა და ვერა შეავსებს რა, როგორც სწავლა და განათლება ჩვენი შთამომავლობისა“².

პირველ ხანებში დ. ყიფიანი იმის ცდაში იყო, რომ შეეგროვებინა სახსრები სწავლა-განათლებისათვის. იგი მოუწოდებდა თავადაზნაურობას ამ საქმისათვის გაეღო იმ ფულის მეხუთედი ნაწილი, რასაც მთავრობისაგან მიიღებდა გლეხების გათავისუფლებისათვის. შემდეგ სწავლა-განათლებისათვის ფულის შეგროვება სათავადაზნაურო ბანკის შექმნას დაუკავშირა. „სხვაგან თხოვნასა და ფულის გამსესხებლების მიმართვასა ის არ ემჯობინება? უფრო სასარგებლო არ იქნება? რომ საჭირო ფული ჩვენის საკუთარი ბანკიდან გამოგვექონდეს? მეტადრე მაშინ როდესაც დაწესება სარგებლის ოდენობისადა და ვალის გარდახდის რიგისადა ჩვენზევე არის დამოკიდებული, რომ როგორც საერთო თანხმობით ვამჯობინებთ ისე დაეაწესოთ?“³ დ. ყიფიანს დასაარსებელი ბანკი ისეთ საკრედიტო დაწესებულებად ესახებოდა, რომლიდანაც თავადაზნაურობა სესხს გამოიტანდა დაბალი სარგებლით, ვალის გადუხდლობის შემთხვევაში კი დამგირავებელს მამულს არავითარ შემთხვევაში არ გაუყიდდა, იგი დროებით უნდა გადასულიყო ბანკის გამგებლობაში და ვალის დაფარვის შემდეგ მის პატრონს დაბრუნებოდა. დ. ყიფიანი ვერ ხედავდა თუ არ უნდოდა დაენახა, რომ ასეთი ამოცანის შესრულება ბანკს არ შეეძლო.

თავადაზნაურობას თავიდანვე წოდებრივი ხასიათის ბანკის დაარსების სურვილი ჰქონდა. დ. ყიფიანის ცდები, წესდების პროექტის შემუშავებისას ბანკისათვის საზოგადოებრივი ხასიათი მიეცა, შემდეგ მოსაზრებას ემყარებოდა: თავადაზნაურობა მთავრობას დახმარებას სთხოვს ბანკის დაარსების საქმეში იმ მიზნით, რომ გლეხობასაც გაუხსნას კრედიტი. ამიტომ განზრახული ბანკი უნდა იყოს საზოგადოებრივი. მაგრამ ეს მხოლოდ სურვილია, ნამდვილად კი ბანკი თავადაზნაურობისაა, რადგან იგი ფუძნდება თავადაზნაურობის ფუ-

² საქ. სსრ ცსია, ფონ. 214, საქ. 3366, ფურ. 4.

³ იქვე, ფურ. 14.

ლით. თავადაზნაურობას უნდა ეკუთვნოდეს როგორც მისი გამგებლობა, ისე სარგებლობა ბანკის მოგებით.

ბანკის წესდების შემუშავებას და მის დამტკიცებას მთავრობის ორგანოებში 7 წელი დაჰქირდა. წესდების შემუშავების პროცესში და შემდგომაც, კრედიტის და ბანკის საკითხები, კერძოდ, თუ როგორი ხასიათის ბანკი უნდა დაარსებულიყო, იმ დროის ეკონომიკური აზრის სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენელთა პაექრობის საგნად იქცა. კამათში მონაწილეთა შეხედულებები ხშირ შემთხვევაში გარკვეული ორიგინალობით გამოირჩეოდა, რასაც არ შეიძლებოდა გველენა არ მოეხდინა რეფორმის შემდგომი პერიოდის ეკონომიკური აზრის განვითარებაზე.

პირველი სარედაქციო კომიტეტის წევრმა ა. ზუბალაშვილმა წერილობით გამოთქვა თავისი აზრი დ. ყიფიანის მიერ შემუშავებული წესდების პირველი პროექტის თაობაზე. იგი სავესებით სწორად აღნიშნავდა, რომ გამდიდრების წესი, ანუ კომერციული წესი ყველა ბანკისათვის ერთი და იგივეა. განსხვავება კომერციულ ბანკსა და საზოგადოებრივ ბანკს შორის მდგომარეობს მხოლოდ ბანკის მოგების განაწილებაში, მხოლოდ მიზანში და არა საშუალებებში. ა. ზუბალაშვილი უფრო რეალურ საფუძველზე იდგა, ვინემ პროექტის ავტორი. ბანკში დაგირავებული მამულის გაუსყიდობის იდეა მას უმაღლესი ხარისხის ჰუმანიზმად მიაჩნდა, მაგრამ თვლიდა, რომ პრაქტიკაში მისი განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა. ბანკი, რომელიც პრინციპად მიიღებდა გირაოს გაუსყიდობას, უთუოდ გაკოტრდებოდა.

საზოგადოებრივი ბანკის დაარსებისათვის განსაკუთრებით აქტიურად მოქმედებდა მიხეილ მამაცაშვილი, რომლის კალამს ეკუთვნის სარედაქციო კომიტეტის სახელზე გაგზავნილი მოხსენებითი ბარათები, მრავალი საგაზეთო სტატია და ბროშურა. კონსტანტინე და მიხეილ მამაცაშვილები ბანკის წესდების პროექტის განხილვისას სამართლიანად უარყოფდნენ ყიფიანის მიერ შემოთავაზებულ საშუალებებს, რომელთა მეოხებითაც მას შესაძლებლად მიაჩნდა სათავადაზნაურო წოდებრივი ბანკის საზოგადოებრივ ბანკად გადაქცევა.

წესდების პროექტის პირველი ვარიანტი, რომელიც გადაგზავნილი იყო მეფის ნაცვლის მთავარ სამმართველოსთან არსებულ საბანკო კომისიაში, სარედაქციო კომიტეტის დადგენილებით დ. ყიფიანმა უკანვე გამოიწხოვა მასში შესწორებების შეტანის მიზნით. წესდების მეორე პროექტით, რომელიც შეადგინეს რუსეთიდან სპეციალურად ამ საქმისათვის მოწვეული საბანკო საქმის სპეციალისტის

ვოლოვის მონაწილეობით, სავსებით შეიცვალა პირველი პროექტით გათვალისწინებული ბანკის ხასიათი. იგი წარმოადგენდა აქციონერული ბანკის წესდებას. თავადაზნაურთა საგუბერნიო კრებაზე დ. ყიფიანი ასეთი სახის ბანკის დაარსებას არ ურჩევდა თავადაზნაურობას; უნდა ვიფიქროთ, რომ მან ვოლოვის ზეგავლენით გადაუხვია თავიდანვე არჩეული გზიდან. საბანკო კომისიამ აქციონერული ბანკის წესდების პროექტი არ დაამტკიცა და დაუბრუნა გადასამუშავებლად სარედაქციო კომიტეტს. ახალმა, ვოლოვის მონაწილეობით შედგენილი წესდების პროექტმა არ დააკმაყოფილა არა მარტო მთავრობის ორგანოები, არამედ მიხ. მამაცაშვილიც, რომელიც აღნიშნული პროექტის წინააღმდეგ მიმართულ კრიტიკულ წერილებში ივადმოსცემდა ამ საქმით დაინტერესებული საზოგადოების დიდი ნაწილის აზრს.

დ. ყიფიანის წინამძღოლობის პერიოდში ბანკის წესდების პროექტის ხუთი ვარიანტი შემუშავდა, მათგან წესდების მხოლოდ უკანასკნელი, მეხუთე პროექტი, საბანკო კომისიის სათანადო შესწორებების შემდეგ, გადაეგზავნა დასამტკიცებლად ფინანსთა სამინისტროს, მაგრამ იგი არ დაამტკიცა მთავრობამ იმ მოტივით, რომ შეუთავსებლად ჩათვალა ერთ საკრედიტო დაწესებულებაში გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხის გაერთიანება.

1871 წ. თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრებამ აირჩია ბანკის წესდების პროექტის შემუშავებელი ხუთთა კომისია თავადაზნაურობის ახალი წინამძღოლის რევაზ ანდრონიკაშვილის თავმჯდომარეობით. კომისიის წევრთა უმრავლესობა, მსხვილი ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლები, თავიდანვე საადგილმამულო ბანკის დაარსების წინააღმდეგნი იყვნენ. კომისიამ შეადგინა ზოგადი დებულება ე. წ. „ზაპისკა“, თბილისის გუბერნიის მიწათმფლობელთა საჭიროებისათვის საკრედიტო დაწესებულების მოწყობაზე და სამაზრო საადგილმამულო გამსესხებელ ამხანაგობათა წესდების პროექტი, რომლითაც უარყო საგუბერნიო საადგილმამულო ბანკის დაარსების იდეა.

მაზრებში მოკლევადიანი სესხის საკრედიტო ამხანაგობების დაარსება, რასაც ითვალისწინებდა კომისიის პროექტი, სავსებით გამორიცხავდა მათ გამოყენებას საზოგადოებრივი საჭიროებისათვის. წესდების პროექტმა საზოგადოების უმრავლესობის სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია. მის წინააღმდეგ ენერგიულად იბრძოდნენ როგორც სიტყვიერად, ისე ქართული და რუსული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული სტატიებით.

70-იანი წლების დასაწყისიდან ქართველი სამოციანელები ილია ჭავჭავაძის მეთაურობით აქტიურად უჭერდნენ მხარს საადგილმამულო ბანკის დაარსებას. მათ მიზანს შეადგენდა ამ საკრედიტო დაწესებულების გამოყენება ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესებისათვის.

1872 წლის 25 ნოემბერს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებაზე, სადაც იხილავდნენ კომისიის მიერ შედგენილ სასესხო ამხანაგობათა წესდების პროექტს, ილია ჭავჭავაძე წინ აღუდგა ფეოდალური არისტოკრატის ცდებს — დაესამარებინათ საადგილმამულო ბანკის დაარსების იდეა. კრებაზე მის ბრწყინვალე სიტყვას საადგილმამულო ბანკის დასაცავად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მოწინავე ინტელიგენციის მიერ აღებული კურსის გამარჯვებისათვის. კრებამ უარყო სასესხო ამხანაგობათა წესდების პროექტი და აირჩია ახალი სარედაქციო კომიტეტი საადგილმამულო ბანკის წესდების შესამუშავებლად. ი. ჭავჭავაძე სარედაქციო კომიტეტის ერთ-ერთ წევრად იქნა არჩეული; წესდების პროექტის შემუშავება მას დაავალეს. ილიამ 1872 წ. იმავე კრების 5 დეკემბრის სხდომას წარუდგინა ბანკის წესდების ახალი პროექტი, რომელიც ერთხმად მოიწონეს.

ილია ჭავჭავაძემ დიდი შრომა გასწია არა მარტო წესდების შემუშავებაზე, მან ბევრი იზრუნა აგრეთვე მთავრობის ორგანოებში მისი დამტკიცებისათვის, რისთვისაც ის პეტერბურგში გაემგზავრა და ერთი წელი — 1873 წლის გაზაფხულიდან 1874 წლის გაზაფხულამდე იქ დაჰყო.

1874 წლის 1 სექტემბერს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საერთო კრებამ ილია ჭავჭავაძე აირჩია ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ. ბანკის მოქმედების დაწყებამდე — 1874 წლის დამლევს — ილიას კიდევ მოუხდა რუსეთში გამგზავრება, რომ დაეჩქარებინა გირავნობის ფურცლების დამზადება და ხელშეკრულება დაედო ბანკირებთან გირავნობის ფურცლების გასაღების თაობაზე.

1875 წლის იანვარ-თებერვალში შესდგა ბანკის დამფუძნებელ თავადაზნაურთა კრება, რომელმაც აირჩია შემფასებელი კომისიის წევრები, რომელთა გარეშე შეუძლებელი იყო ბანკის მოქმედების დაწყება. კრების 3 თებერვლის სხდომაზე, ბანკის მმართველმა ილია ჭავჭავაძემ წარმოსთქვა საპროგრამო სიტყვა: მან ჩამოაყალიბა ის პრინციპები, რომლებითაც უნდა ეხელმძღვანელა ბანკს და რომლებსაც იგი მტკიცედ იცავდა ბანკში მოღვაწეობის მთელ პერიოდში.

„ბანკი თავადანაურობამ დააწესა იმ განზრახვით, — ამბობდა ილია, — რომ მისგან შეწირული ფული სესხად მოეფინოს ჩვენს ქვეყანასა, მაგრამ ისე მოეფინოს, რომ მაგ ფულს ერთი გროშიც არ დაეკარგოს, სესხმა ფული ასარგებლოს, ფულმა ფული მოიგოს და მხოლოდ ამ მოგებიდან უფრო ბევრი წილი ჩვენის ქვეყნის საერთო საქიროებას მოხმარდეს და ზოგი კიდევ ღარიბთაც გაუნაწილდეს, იმ ღარიბთა, რომელნიც რომელიმე უბედურების გამო სიღარიბეში ჩაცვივნულან და არა იმათ, ვინც გულალმა წვანან, გულზედ ფაფუკი ხელები დაუკრეფნიათ, პირი დაუღიათ და ჰყვირიან მასვით და მაქამეთო“.¹

ილია სწორად მიუთითებს კრედიტის დადებით მოქმედებაზე, მის როლზე, უქმი კაპიტალის შეგროვებისა და საწარმოო მიზნით გამოყენებაზე. იგი კრედიტის გამართლებას მის საწარმოო დანიშნულებაში ზედაც და მასვე სთელის მისი გადახდის საშუალებად. სხვა მიზნით კაცი სესხს არ უნდა იღებდეს, თორემ იგი არა მარტო თავს ავნებს, არამედ საზოგადოებასაც. ილია დიდ ამოცანებს უსახავდა ბანკს არა მარტო როგორც მნიშვნელოვან საკრედიტო დაწესებულებას, არამედ, როგორც ერის თვითმოქმედების სარბიელს. მას იგი სჭირდებოდა ქართული საქმისათვის და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის საბრძოლო არსენალში მნიშვნელოვან როლს აკუთვნებდა. „აქაც ბანკის საქმეში, როგორც ყველაფერ სხვაში, ჩვენის ყელის საბელის ჩვენს ხელშივე ჩაგდება ჩვენთვის სანატრელიც უნდა იყოს და სასიხარულოც. ეს საქმე ამ მხრით ჩვენთვის დიდი რამ არის, დღეს „შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა“ ჩვენთვის მარტო ბანკია მხოლობითი მოედანი, რომელზედაც უნდა აღიზარდოს, ფეხი აიდგას, გაიწურთნოს, გაინაეარდოს ჩვენმა თვითმოქმედებამ, ჩვენმა ზნეობითმა ძალონემ“⁵.

* * *

წინამდებარე მონოგრაფიის დამუშავების ძირითად წყაროებად გამოყენებულია: საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში 394 ნომრით დაცული ფონდის მასალები, რომლებიც ეხებიან ბანკის ორგანიზაციის საკითხებს; იმავე არქივში 214 ნომრით დაცული ფონ-

¹ გაზ. „ღროება“, 1875, № 16.

⁵ ილია ქავექავაძე, თხზ., ტ. 5, თბ., 1955, გვ. 49.

დის საქმე № 1, რომელიც მოიცავს 1864—1870 წლების პერიოდს და რომელშიც მოთავსებულია თბილისის გუბერნიის საადგილმამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტის საქმეები „სათავადაზნაურო აღმზრდელობითი კაპიტალის შედგენა და ბანკის ჩამოყალიბება“ და ბანკის საქმე № 2 „მიმოწერა თბილისის სათავადაზნაურო ბანკის დაარსებაზე 1870—1875 წწ.“; ლენინგრადის სახელმწიფო ისტორიულ არქივში 592 და 583 ნომრით დაცული ფონდის საქმეები; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული დ. ყიფიანის, ნ. ნიკოლაძის, ი. ჭავჭავაძის და სხვა მოღვაწეთა პირადი არქივები; მემუარული ლიტერატურა; იმდროინდელი ქართული და რუსული პრესა და სხვა ლიტერატურული წყაროები.

ბანკის დაარსების, მისი ორგანიზაციული წყობის თაობაზე არსებული ლიტერატურიდან აღსანიშნავია: არჩილ ჯორჯაძის ნაშრომი: „დიმიტრი ყიფიანი (ცხოვრების, აზროვნების და მოღვაწეობის მათიანე)“, რომელიც 1913 წელს გამოქვეყნდა „სახალხო გაზეთში“. ავტორი განიხილავს დ. ყიფიანის საბანკო პოლიტიკას და მოკლედ ჩერდება ბანკის ორგანიზაციის, მისი წესდების საკითხებზე.

სიმონ ხუნდაძე მონოგრაფიაში „დიმიტრი ყიფიანი“, რომელიც 1936 წელს გამოქვეყნდა, წიგნის მე-6 თავში იხილავს დ. ყიფიანის საბანკო პოლიტიკას. იგი მოკლედ ჩერდება აგრეთვე ბანკის დაარსების, მისი წესდების და ორგანიზაციის საკითხებზე.

1961 წელს საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის შრომებში გამოქვეყნდა ა. თელიას სტატია „ბრძოლა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საადგილმამულო ბანკის დაარსებისათვის“, რომელშიც ავტორი მოკლედ გადმოსცემს ბანკის დაარსების ისტორიას.

✓ 1967 წელს გამოვიდა ნ. შველიძის წიგნი „საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ისტორიიდან“. ნაშრომის პირველ თავში „საადგილმამულო ბანკის დაარსება, წესდება, ორგანიზაციული წყობა“ ავტორი განიხილავს ჩვენთვის საინტერესო საკითხებს.

ამრიგად, პირველწყაროების — საარქივო მასალის — შესწავლისა და საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურის კრიტიკული განხილვის საფუძველზე ჩვენ შევეცადეთ გავვეშუქებინა საქართველოს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა — თბილისი ქართული საადგილმამულო ბანკის დაარსება და ქართველ სამოციანელთა ბელადის ილია ჭავჭავაძის როლი ამ საქმეში.

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

დიმიტრი უიფიანი და საბლახო რეზორმა

მეფის ხელისუფლება საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ბატონყმური ურთიერთობის შენარჩუნება შეუძლებელი იყო. 1861 წელს 19 თებერვალს იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ ხელი მოაწერა მანიფესტს ბატონყმობის გაუქმების შესახებ.

როგორც ვ. ი. ლენინი წერდა: „დიდი რეფორმა“ ბატონყმური რეფორმა იყო და არც შეიძლებოდა სხვანაირი ყოფილიყო, ვინაიდან მას ახორციელებდნენ მებატონეები. რა ძალამ აიძულა ისინი ხელი მოეკიდნათ რეფორმისათვის? ეკონომიური განვითარების ძალამ, რომელიც კაპიტალიზმის ჭზაზე აყენებდა რუსეთს. მემამულე-მებატონეთ არ შეეძლოთ ხელი შეეშალათ სასაქონლო გაცვლა-გამოცვლის ზრდისათვის რუსეთსა და ევროპას შორის, არ შეეძლოთ შეენარჩუნებინათ მეურნეობის ძველი, დაშლის პროცესში მყოფი ფორმები. ყირიმის ომმა ცხადყო ბატონყმური რუსეთის სიღამპლე და უძლურება. გლეხთა „ამბოხებებმა“, რომლებიც განთავისუფლებამდე ფართოდებოდა ყოველ ათწლეულში, აიძულა პირველი მემამულე, ალექსანდრე II, ელიარებინა, სჯობს გავათავისუფლოთ ზ ე ვ ი დ ა ნ , ვ ი დ რ ე ქ ე ვ ე ვ ი დ ა ნ დაგვაშობდნენო“¹,

რეფორმის შედეგად გლეხებმა პირადი თავისუფლება მიიღეს. რაც შეეხება მიწას, ის მემამულის საკუთრებად იქნა აღიარებული და უშუალო მწარმოებელს მხოლოდ მუდმივ სარგებლობაში მიეცა. თუ მემამულე თანახმა იქნებოდა, გლეხს შეეძლო „ნადელის“ შესყიდვა. „ნადელის“ საკუთრებად შექცნამდე გლეხი „დროებით ვალდებულ მდგომარეობაში“ რჩებოდა და იხდიდა რეფორმამდელი ხანის თითქმის ყველა, მიწასთან დაკავშირებულ, გადასახადს. „ნადელი“ განთავისუფლებულ ყმას კანონით დაწესებული ნორმით ეძლეოდა, ნორმაზე ზევით ფართობი კი მას ერთმეოდა. ამის გამო

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 17, გვ. 127.

გლებთა მიწათმფლობელობა რეფორმამდელ ხანასთან შედარებით ზოგან ერთი მეოთხედით შემცირდა, ზოგან კი სულაც განახევრდა.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ბატონყმობის გაუქმებამ დიდ როლი შეასრულა რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. „რამდენადაც გლები თავს აღწევდა მებატონის ძალაუფლებას, იმდენად იგი ემორჩილებოდა ფულის ბატონობას, ვარდებოდა სასაქონლო წარმოების პირობებში, დამოკიდებული ხდებოდა ახლად აღმოცენებული კაპიტალისაგან. და 61 წლის შემდეგ კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში ისეთი სისწრაფით წარიმართა, რომ რამდენიმე ათწლეულის იანმავლობაში ხდებოდა ცვლილებანი. რომლებსაც ევროპის ზოგიერთ ძველ ქვეყანაში მთელი საუკუნეები მოჰყენდა“.²

საგლებო რეფორმა საქართველოში განპირობებული იყო არა მარტო მეფის მთავრობის საერთო პოლიტიკით ბატონყმობის საკითხში, არამედ იმ გარემოებითაც, რომ კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარება და კლასობრივი ბრძოლის გამწვავება აიძულებდა მთავრობას ცოტა უფრო მოგვიანებით, მაგრამ იმავე საფუძველზე გაეტარებინა საგლებო რეფორმა განაპირა მხარეებში.

პირველი ოფიციალური მოწერილობა საგლებო რეფორმის გატარების შესახებ მეფის ნაცვალმა ბარიატინსკიმ მიიღო 1861 წლის მარტში და ამ დროიდან დაიწყო უშუალო მზადება რეფორმისათვის.

1861 წლის 29 მარტს ბარიატინსკი მთავარმმართველობის უფროსს კრუზენშტერნს სწერდა: „ხელმწიფე იმპერატორმა, მინიჭა რა 1861 წლის 19 თებერვლის მანიფესტით რუსეთის გლებებს თავისუფლება, ინება მოენდო ჩემთვის დამედგინა ის წესები, რომელთა მიხედვით შესაძლებელი იქნებოდა ამ საქმის დაწყება ა/კავკასიაშიც. იმპერატორის ასეთი ნების საფუძველზე მე საჭიროდ მიმაჩნია ა/კავკასიის ყველა მაზრაში, სადაც კი ბატონყმობა არსებობს, შეიქმნას სამაზრო კომიტეტები, ხოლო თბილისში — ცენტრალური კომიტეტი, სამაზრო კომიტეტების თავმჯდომარეებად იქნებიან ადგილობრივი (ე. ი. სათანადო მაზრის) თავადაზნაურთა წინამძღოლები, წევრებად კი იმავე თავადაზნაურთა მიერ არჩეული დეპუტატები; ხოლო ცენტრალური კომიტეტი უნდა შესდგეს თქვენი თავმჯდომარეობითა და შემდეგი პირების მონაწილეობით: ტაინი სოვეტნიკი ფადეევი, გენ.-ლეიტენანტი ბაგრატიონ-მუხრანსკი, თბი-

² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 17, გვ. 127—128.

ლისის სამოქალაქო გუბერნატორი ორლოვსკი, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი ორბელიანი, დეისტვიტელსი სტატსკი სოვეტნიკი სტარიცკი და ა/კავკასიის საზოგადოებრივი მზრუნველობის პრიკანის მმართველი ბოგდანოვ-კალინსკი; საქმეთა მმართველის თანამდებობის შესრულებას ცენტრალურ კომიტეტში ვავალებ სტატსკი სოვეტნიკ თუმანოვს³.

ცენტრალური კომიტეტის ზემოთ აღნიშნული შემადგენლობა შემდგომ შეიცვალა. უკანასკნელად იგი შედგებოდა შემდეგი პირებისაგან: ბარონი ა. ნიკოლაი (თავმჯდომარე), ივანე მუხრან-ბატონი, დიმიტრი ყიფიანი, რევაზ ანდრონიკაშვილი, გიორგი მუხრან-ბატონი, ანდრია ფადეევი. იაგორ სტარიცკი. იული ვიტე. დავით ჭავჭავაძე, კონსტანტინე ბოგდანოვ-კალინსკი, კონსტანტინე ორლოვსკი. ნიკოლოზ ბარანოვსკი და ვიხეილ თუმანიშვილი. ცენტრალური კომიტეტის ასეთი შემადგენლობა განაპირობებდა საგლეხო რეფორმის მომზადებაში მეფის მოხელეებისა და საქართველოს თავადაზნაურობის წარმომადგენლობის გადამწყვეტ როლს.

ცენტრალურმა კომიტეტმა აუწყა სამაზრო კომიტეტებს, რომ თავადაზნაურობას სრული უფლება ეძლეოდა, თავისი სურვილისამებრ შეემუშავებინა და გადაეწყვიტა საკითხი, მაგრამ მაზრობში თავადაზნაურობას კომიტეტები არ აურჩევია. მათ უმჯობესად ჩააჯიშეს სამაზრო კრებებზე განეხილათ ეს საკითხი, რათა მის გადაწყვეტაში ყველას მიეღო მონაწილეობა. მეფისნაცვლის მოვალეობის აღმასრულებელმა გ. დ. ორბელიანმა ნება დართო თბილისის გუბერნატორს თავადაზნაურთა საგუბერნიო კრება მოეწვია 1862 წლის აპრილისათვის.

თავადაზნაურთა ამ კრებამ დაავალა დიმიტრი ყიფიანს საკითხის შესწავლა და მოხსენების დაწერა, რომელშიც მას უნდა გამოეხატა თავისი წოდების ინტერესები და სურვილები. 1862 წლის 30 აპრილს მებატონეთა საზოგადო კრებამ, ბატონყმობის გაუქმების საფუძვლებად მიიღო შემდეგი:

„1) ჩვენს ყმებს თავისუფლება მიეცეთ; ჩვენ სამაგიეროდ ფული მოგვეცეს.

2) რაც ახლა ჩვენს მამულზედ (გლეხებს — ი. ა.) სახლკარობა აქვთ და რაც ჩვენი ადგილმამულები უჭირავთ, ან რასაც ჩვენს ტყე-სა, თუ საბალახეს, თუ წყალს ჰხმარობენ, ყოველსავე ამას მათედ

³ შ. ჩხეტია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში თბ., 1950, გვ. 3.

მივაჩემებთ მხოლოდ პირობითა ამით, რომ მიწის შემოსავალი გვეძლეოდეს და ბეგარას ასრულებდნენ ქვეყნის ჩვეულებისამებრ.

3) ეს ჩვეულება შეუშლელად დარჩეს ჩვენსა და მათ შორის დრომდე; რა რომ ეს დრო გავა, მაშინ შემდგომისათვის ჩვენ ერთმანეთს მოურიგდეთ. ჩვენ როგორც პატრონი მიწისა და ისინი როგორც თავისუფალნი კაცნი, თუ დათანხმება არ მოხდა, სრული ნება აქვთ მაშინ გადასახდელებისა და ჩვენც მათის დათხოვნისა⁴.

ამ დოკუმენტს ხელს აწერს გუბერნიის საერთო კრების მონაწილე 135 თავადაზნაური. საგუბერნიო კრების მიერ მიღებული საფუძვლებიდან გამომდინარე, დიმიტრი ყიფიანმა შეიმუშავა 14 კითხვა, რომლითაც მიმართა თბილისის, გორის, სიღნაღისა და თელავის მაზრების თავადაზნაურთა წინამძღოლებს და ცნობილ თავადებსა და აზნაურებს. მათ უნდა ეპასუხათ კითხვებზე, რომ მისთვის ნათელი ყოფილიყო მთელი თავადაზნაურობის სულისკვეთება და ინტერესები.

ცენტრალური საგლეხო კომიტეტის საქმეთა მმართველის თუმანიშვილისადმი 1862 წლის 30 დეკემბერს გაგზავნილ წერილში დიმიტრი ყიფიანი წერდა: „სანამ არ მივიღებთ პასუხებს იმათგან მაინც ვისაც რაიმე საყურადღებო აზრის გამოთქმა შეუძლია ამ საგანზე, მე არ შემიძლია საქმის შემუშავება, რადგანაც მე კი არ უნდა შევთხოვო, არამედ უნდა შევადგინო“⁵. დ. ყიფიანი მხოლოდ მას შემდეგ შეუდგა მოხსენების წერას, როდესაც 240 თავადაზნაურისაგან 21 სხვადასხვა მოსაზრება მოუვიდა, რომლებშიც სავსებით გამოისახა თავადაზნაურთა სულისკვეთება. დ. ყიფიანის მიერ შედგენილი მოხსენებიდან და სხვა დოკუმენტებიდან ნათლად ჩანს მისი შეხედულება ბატონყმობის გაუქმების შესახებ. მის მოხსენებაში აისახა თავადაზნაურობის დიდი უმრავლესობის სურვილი. იგი ამ წოდების სულისკვეთების გამომხატველი, მისი იდეოლოგი იყო.

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია დ. ყიფიანის ხელნაწერი „ბატონყმობა“, რომელიც ნაწურია იმ ვრცელი მოხსენებისა, რომელიც მან შეადგინა თავადაზნაურთა დავალებით. „ძველი დროიდან, — წერდა ყი-

⁴ საქართველოს მემატიონეთა საზოგადო კრების დადგენილება ბატონყმობისაგან გლეხთა განთავისუფლების საფუძვლების შესახებ, 30 აპრილი, 1862 წელი. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ყიფიანის არქივი, № 203.

⁵ შ. ჩხეტიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 133.

ფიანი, — ჩვენსა და ჩვენ ყმათა შორის ისეთი დამოკიდებულება არის დამკვიდრებული, რომელიც დიდათ ემზავსება დამოკიდებულებასა ერთის ოჯახის, ერთი სახლის შვილებისასა. ჩვენს ყმებს ისე კი არ ვიგულებდით. როგორც ჩვენს მონებსა ან ტყვეებსა, ყოველთვის ისე მიგვაჩნდნენ, როგორც თანამშრომელნი და ჩვენთან ერთად შემმუშავებელნი ჩვენის საერთო საჭირნახულოსი. იმათაც ისე არ ვეგულებოდით როგორც მაწუხებელნი და მტარვალები; ისე მივაჩნდით, როგორც მფარველნი მათნი და საერთო ყოფა-ცხოვრების გამგებელნი. მარადის გაერთებული იყო ჩვენ შორის ჭირიცა და ლხინიცა. ერთმანეთის დასაცველად და დასაფარავად ერთად ვათხევდით სისხლსა და ერთი ერთმანეთს ხელს უმართავდით ყოველს საქმეში და ყოველს გაჭირვებაში. მართალია ამგვარს ცხოვრებაში შემოგვეპარებოდა ოდესმე, აქა-იქ უსიამოვნებაცა, რომელიც აუცილებელი არის ყოველს გვარს ცხოვრებაში, მაგრამ საზოგადო თვისება ჩვენის დამოკიდებულებისა მაინც არას დროს არ შეცვლილა ბოროტად ყმათათვის, იმისათვის რომ არც იმათგან დარღვეულა საზოგადო ვალი თავდადებითის ერთგულებისა ჩვენდა მომართ და ყოველთვის გამწირველნი ყოფილან თავისა ჩვენდა სანაცვლოდ.

ეს ძველებური დამოკიდებულება იყო უმთავრესი მიზეზი, ეს იყო ის ქვაკუთხედი, რომელზედაც ემყარებოდა სიმტკიცე ჩვენის სარწმუნოებისა, და შეუშუსვრელობა ჩვენი მტერთაგან, რომელნი გარს გვეხვივნენ და მძინვარებდნენ საუკუნოებით მომდინარეობასა შინა.

რადგან აღსასრულებლად უმაღლესის ნებისა ხელვყოფთ ახლა ამ ჩვენს მკვიდრს მოწყობილებასა შესაძლებლად, არ შეგვიძლია გულის-სიწრფელით არ ვისურვოთ, რომ ამიერთგან მათ შორის, რომელნი ვართ აქამომდე მფლობელნი მათნი, დამკვიდრდეს ახალი განწყობილება, ისეთი, რომ შეესაბამებოდეს ჩვენს მადლობითს გრძნობასა და იმ სიკეთეთ დაუეწიყებლობას, რომელნიც არსებობენ ჩვენ შორის და გვახსოვს ორივე მხარესა.

ამის გამო ჩვენ გვსურს ისეთი მდგომარეობა მივანიჭოთ ჩვენს ყმებსა, ჩვენს გამოზრდილებსა, — ისეთს ყოფა-ცხოვრებაზე დავაყენოთ, რომ თვით შეიძლებდნენ კეთილად წარმართვას თავის ოჯახობისასა, თავისუფლად განაგებდნენ თავის შრომასა და ჩვენც შეიძლებდეთ ჩვენთვის მოვლას ჩვენის საოჯახო საქმეებისას. მაგრამ შეუძლებელი არის უმსხვერპლოდ აღსრულება ამ სურვილებისა. რა რომ მსხვერპლს ვახსენებთ, უსათუოდ თვალი უნდა გადავაკლოთ, რაში მდგომარეობს ახლანდელი შეძლება ჩვენი. შეძლება

ჩვენი მდგომარეობს ორგვარს ჩვენს სამართალში; ერთი სამართალი მიგვიძღვის კაცებზედ, და მეორე მიწაზედ. ჰსჯულდებულეებითი სამართალი ჩვენი კაცებზედ დიდად არის გამოხატული ჩვენს ძველებურს კანონებში: „ყმა როგორც თავით თვისით აგრეთვე ყოველითურთ, რაც აქვს მასა, ეკუთვნის ბატონსა მისსაო“, ასე გვიწერს კანონი. ამ კანონის ძალით ძველთაგანვე არის დაწესებული მრავალგვარი პირადი სამსახური და გარდასახადი ყმისა, რომელიც ფრიად დამცირებულის დაფასებით შეადგენს ბატონის შემოსავალს წელიწადში 5 თუმნიდან თითქმის 45 თუმნამდე თვითო გლეხის ოჯახისაგან ან თვითო კომლისაგან.

სამართალი მიწაზე, კანონთამებრ და უფროსლა ჩვეულებათამებრ ზემონსენებულზე უვრცელესი და უსაცილოდ დასაკუთრებული მფლობელებისადმი, სრულს უფლებას აძლევს მფლობელსა იხმარებდეს და განაგებდეს მიწას თავისის საკუთარის ნებისამებრ. ეს მეორე სამართალი გვაძლევდა და იგვაძლევსცა სხვა შემოსავალს, სხვა სარგებლობასა, სარგებლობას მიწისას: ვინც უნდა იყვეს შემემუშავებელი მიწისა, მიწის პატრონს ეძლევა მისგან დაწესებული წილი ნაყოფისა და მოხმარდება მუშა მისს საოჯახო საქმეებში. ზომა ამ წილისა და ზომა ამ მოხმარებისა სხვადასხვა არიან და დაწესებულ არიან ყოველგან მიწის თვისებისა და სასოფლოს ჩვეულების მიხედვით.

აქედამ თავით თვისით წარმოსდგება განსაზღურება მსხვერპლისა, რომელიც შესაწირავ უნდა იქნეს ჩვენის ყმების სამჯობინარს მდგომარეობაზედ დაყენებისათვის. რა რომ მამაპაპურის ჩვეულებით დაულოცავთ ჩვენ მათ ახალს ყოფა-ცხოვრებასა, უნდა დავსთმოთ პირველი ჩვენი სამართალთაგანი, ესე იგი, უნდა ავლხნათ ყმათაგან ჩვენთა ყოველი ყმური ჩვენდამი ვალდებულება; უნდა ვაპატიოთ ყოველი პირველის გვარის გადასახადი, თავისუფალ ვჰყოთ ყოველის ყმობის ვალდებულეებისაგან. ამაზედაც ვერ შევსდგებით: სხვა მსხვერპლიცა დაგვჭირდება, რადგან უნდა სრულიქმნეს კეთილსაყოფელი მათთვის და დასამადლებელი სურვილი ჩვენი, რათა სამჯობინარყოთ ცხოვრება მათი. ამ სურვილისამებრ ჩვენისა არა თუ ახლანდელს სახლკარობას არ მოუშლით, იმ ჩვენს ადგილმამულსაც მივანებებთ, რაც რომ ამჟამად ხელში უჭირავთ, იხმარონ და ისარგებლონ, როგორც თვით არჩეედნენ, ერთითა მხოლოდ პირობითა მით, რომლითაც ყოველი თავისუფალი კაცი, გინა ხიზანი, ხმარობს და სარგებლობს სხვის ადგილმამულს, ესე იგი, ჩვენს ქვეყანაში საზოგადოთ დაწესებულთა პირობითა, რომ სა-

დაც რა ზომა არსებობს ახლა ნაყოფის წილის ძლევისა პატრონისადმი და მუშის მოხმარებისა. იგივე ზომა დარჩეს ყოველგან შეუცვლელად წლის განმავლობამდე, ხოლო რა ვადა ეს გათავდება, მაშინ მოჰხდეს ცვლილება მიწის შემმუშავებელთა და მიწის პატრონის ურთიერთ არს შორის — ნებაყოფილებითა და დათანხმებითა. ორთავე მხარეთათვის უმჯობესად ვრაცხთ, რომ მუშით მოხმარება დაფასდეს ახლავე, რათამცა ფული ჭარდიხადოს ვინც მუშაში გამოსელას არ არჩევს. ამ პირობით არ დაეშლებათ სარგებლობაცა ჩვენის საძოვრებისა, წყლისა და ტყისა, სადაც ახლა სარგებლობენ, მათის საშინაო საჭიროებისათვის და არა ვაჭრობისა და აღებმციემობისათვის.

ესრეთ ყმათა ჩვენთათვის შესაძენათ ჩვენ უნდა დავსთმოთ: 1) წლის შემოსავალი კომლზედ 5 თუმნიდან 45 თუმნამდე და 2) ყოველი მომატება გარდასახადისა მიწის სარგებლობისათვის, თვინიერ მათთან დათანხმებისა...

რა რომ ამას ყოველსავე წარმოვსთქვამთ. ახლა იმას უნდა მიუბრუნდეთ, რომ მსხვერპლი ეს ჩვენი, — თუმცა ყმათა ჩვენთათვის უსათუოდ საჭირო არის და სამართალსაცა ღვთიურსა შეესაბამება. — მაგრამ ჩვენთვის ისე ძნელი არის, რომ თუ უსაზიაროდ შეგუხვდა შეწირვა მისი, ჩვენ შევიქნებით მაშინ ვერ შემძლებელ ცხოვრებისა და საზრუნველ მმართველობისათვის. მმართველობამ რომ ამ მძიმე საქმის დასაბოლოებლად ჩვენს მდგომარეობაშიაც არ მიიღოს მონაწილეობა, ამას ვერ ვიფიქრებთ, რადგან იმავე მღვთიური სამართლის ვალისამებრ და სადღესასწაულოთა თვისთა აღთქმათამებრ — უნდა ჭეროვნად პატივდებულ ჰყოს ჩვენი წინაპართაგან მემკვიდრეობით მიღებული და აწ შესაშლადი დაწყობილობა ჩვენის ქვეყნისა. და არ შეგვაშუსვრინოს ჩვენის ხელით ყოფა-ცხოვრება ჩვენი უნუგემოდ და უსაფუძვლოდ მომავალში წარმატებისათვის.

ამის გამო სასოებით უნდა მივმართოთ მმართველობას ჩვენის თხოვნითა, რომ ერთდროებით მაინც აღგვიდგინოს და შემოგვიბრუნოს ნაწილი რომელიმე ამ ჩვენის უზომოს მსხვერპლისა.

ამ შემთხვევაშიაც ცხადვყოთ უკიდურესი ზომიერება ჩვენის სურვილისა და უმცირესი ზომა დავნიშნოთ იმ სასყიდელისა, რომელსაც ვითხოვთ მმართველობისაგან და რომელითაც შევიძლებდეთ განვარიდოთ თავი ჩვენი უმძიმეს გაჭივრებასა და ვსთქვათ ასე: ზემოთ რომ ორგვარი ჩვენი სამართალი მოვისმინეთ, პირველისა მათგანის მძლუანველობით ნება გვაქვს კომლზედ ერთი სული მოსამსახურე გამოვიყვანოთ, ვიდრემდის ეს უფლება ჩვენი



თბილისის ქართული სააღვლმამულო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე
ილია ჰევეჯიანი

არსებობს, რასაკვირველია, თითქმის არავისა გვეკირდება დაქირავება მსახურისა, მაშასადამე, არ შეიძლება საქირავებელი ფასი დიდათ მდებალი არ იყოს; მაგრამ მაინც შეუძლებელია მოჯამაგირის შოვნა უიეფეს 5 თუმანისა წელიწადში.

ჩვენ ვითხოვთ ერთმთავრის სიუხვთაგან კომლზედ იმდენ ფულსა, რომ იმისი სარგებელი ნახევარს მაინც უღრიდეს ერთის კაცის ჯამაგირისა.

(ხუთი თუმანი რომ 16 გზის გამრავლებით თავნათ ვაქციოთ, გამოვა 800 მანეთი და ჩვენ ვითხოვთ ამისა ნახევარსა, 400 მანეთს კომლზედ).

მაგრამ აქაც განუღრეკელად ვაგდებთ ჩვენს უმთავრესს სურვილსა, რომ ჩვენს ყმებს სამჯობინარი ყოფა-ცხოვრება დაუმკვიდროთ და ამის გამო ვითხოვთ, რომ ეს ერთდროებითი მათდა სასარგებლოდ წარსაგებელი მმართველობამ მათ არ დაადვას ვალად, რადგან მაშინ შეუძლებელი იქნება დაფუძნება მათის კეთილდღეობისა, არამედ მოგვცეს, როგორც ვსთქვით, ხელმწიფის სიუხვითგან ხარჯად არა შესაბრუნებლად“.⁶

დიმიტრი ყიფიანის ამ დოკუმენტის მიხედვით, ძველ დროში თურმე მამაშვილური დამოკიდებულება იყო ყმათა და ბატონთა შორის, ყმები ისე მიაჩნდნენ ბატონებს, როგორც „თანამშრომელნი“ და მათთან ერთად „შემმუშავებელნი საერთო საჭირნახულოსი.“ მაგრამ ამასთანავე ამ მამაშვილურ ოჯახში მებატონეთ ჰქონდათ „სამართალი“, უფლება კაცებზე და მიწაზედ. პირველი სამართლის ძალით დაწესებული ყოფილა „მრავალგვარი ჰირადი სამსახური და გადასახადი ყმისა“. მეორე სამართლის ძალით განსაზღვრული იყო მიწის საკუთრებიდან გამომდინარე სარგებლობა. რაკი ერთის ხელში ადამიანის პიროვნებაც იყო და ქონებაც, ამიტომ ფრიად საეჭვო ხდება დ. ყიფიანის ნახსენები მამაშვილური დამოკიდებულება. თუ ასეთი მამაშვილური დამოკიდებულება იყო ყმასა და ბატონს შორის, როგორც დ. ყიფიანი გვაუწყებს, იქნება არც კი იყოს საჭირო ბატონყმობის გადაგდება. ხოლო თუ მაინც არ დაიშლიან, უნდა იცოდნენ, რომ ამ დაწყობილობის შეცვლით თავადაზნაურობა ფრიად დაზარალდება და გახდება არ შემძლე და საზრუნავი მთავრობისათვის. მაგრამ რადგან ამისი თავიდან აცილება შეუძლებელი ხდება, ამიტომ თავადაზნაურობა იჩენს თავის კეთილშობილებას და მზად არის მსხვერპლი გაილოს. მაგრამ ეს „მსხვერპლი“ სრულიადაც არ

⁶ საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერო ინსტიტუტი, დ. ყიფიანის არქივი, № 204.

გავს მსხვერპლს. თავადაზნაურობის „მსხვერპლი“ იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი ათავისუფლებდნენ გლეხს ყმურის ვალდებულები-საგან, ხოლო სანაცვლოდ მთავრობას სთხოვდნენ კომლზე 400 მანეთს. სახლ-კარსა და მიწასაც „უთმობდნენ“ გლეხებს. მხოლოდ ისე. როგორც უთმობენ მოიჯარადრეს ანუ ხიზნებს, განსაზღვრული გადასახადის სანაცვლოდ. ამგვარი მსხვერპლი, რომლის შესახებაც ლაპარაკობს დ. ყიფიანი, მაინც და მაინც მძიმე არ უნდა ყოფილიყო თავადაზნაურობისათვის. როგორც შენიშნავდა ა. ჯორჯაძე „ღამიბრი ყიფიანის აზროვნება ამ მხრივ სავსებით იყო შეთანხმებული თავადაზნაურობის აზროვნებასთან. იგი ნამდვილი შვილი იყო თავის წოდებისა და მეცხრაშემდეგ საუკუნის მოღვაწეთა შორის მე არ მეგულება სხვა ვინმე მოღვაწე, რომელიც ისეთის მხურვალეობით, გულწრფელობით იცავდა და ელოლიაგებოდა თავად-აზნაურულ ინტერესებს“.⁷

ღამიბრი ყიფიანი თავის ვრცელ მოხსენებაში, რომელიც შეიმუშავა თავადაზნაურობის დავალებით და წარუდგინა მას სახელმძღვანელოდ და მთავრობასთან წარსადგენად და რომელშიც გამოხატული იყო თავადაზნაურობის დიდი უმრავლესობის განწყობილება, შემდეგს წერს: „ერთს დიდიხნის სასახლეში ძველთაგანვე პატიოსანი გვარის ოჯახი ჰსცხოვრობდა თუმცა ღარიბად, მაგრამ სხვადასხვა ბედისტრიალისაგან ძლივს დამშვიდებული, — უკეთესს დროებს რომ ელოდნენ, ესმათ მეყვსეულად ხუროთმოძღვართაგან, რომ ახლავე უნდა გამოხვიდეთ მაგ სასახლიდამ, თუ არა ზედ დაგენგრევათო. გამოვიდა კიდევ ცოტა რამ ხანი და აქ იკექა კედელმა, იქ იკექა; ოღვევის მომასწავებელი ნიშანი გახშირდა და მაშინ კი ჰოქვეს, უნდა მართლად გავლაგდეთ, თორემ სწორედ ცუდად ყოფილა ჩვენი საქმეო. თავი სად შეეფარებინათ არ იცოდნენ, მაგრამ იწყეს გამოლაგება იმედნეულებმა, რომ ღმერთი და ხელმწიფე არ გასწირავენ მსასოებელთა.“

როგორც ისინი იყვნენ შეწუხებულნი, მანამდის მამაპაპეულის სახლიდამ გამოსვლას დაადგებოდნენ, იმ გვარად, — მაგრამ ბევრით უფრო უძლიერესად, — საქართველოს მებატონენი ვიყავით შეშფოთებულნი, ხმა რომ გვესმა — ბატონყმობა ირღვევაო. მომასწავლებელი ნიშნები თუმცა აქაც წინასწარვე იხილვებოდნენ, მაინც დასაჯერებლად არ მიგვაჩნდა პირველში ეს ხმა: „დასაბმიდგან არსებობს ჩვენი ბატონყმობა და ასე ადვილად რა დაარღვევსო“, ვამბობდით; მერე, რა რომ ლაპარაკი გახშირდა და შემამშფოთებე-

⁷ გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1913, № 804, გვ. 3.

ლი მიზეზები გაგვიმართლდა: რა რომ მრავალი წინასწარი მაგალითებიც, მმართველობის მოხელეების ლაპარაკითაც და რუსეთიდან მომავალის ბეჭითის ამბებითაც გული დავაჭერეთ, რომ უსათუოდ ჩვენც მოგვატანა. ეს არის, ამ საქმემ; მაშინ. ჩვენის ღირსების შესაბამად თვალი გაუსწორეთ საზარელსა ამ საქმეს და ვიწყეთ მოლაპარაკება ერთიერთმანეთთან, როგორც 'მინაობაში და კერძობითად, ისე უზღებში საზოგადოების თავის მოყრით. ამ კრებათა და რჩევათაგან კვალი არ დარჩენილა რა, მართალია, რადგან ჩვენი აზრების ქალაქით გამოთქმას დიდათ ვერიდებოდით, და ამ საზოგადოს განსაცდელში ერთმანეთსაც ველარ ვენდობოდით; მაგრამ სამს და ოთხს წელიწადს რომ ამ მდგომარეობაში ვიმყოფებოდით, ახალს მოულოდნელს და დიდად სამწუხარო საქმეს რომ ფიქრი შევაჩვიეთ და ამ საქმის შესაძლებლად კეთილ-წარმართვისათვის რომ ვიწყეთ თვითუღლად ზრუნვა, მაშინ, ჩვენის წინამძღოლების რჩევითა და მმართველებისაგან მოწოდებით, მებატონებმა მთელის გუბერნიიდან ტფილისს მოვიყარეთ თავი და კანონიერი საზოგადო შეკრებილება შევადგინეთ 25 აპრილს 1862 წელსა⁸.

აქ, ამ მოხსენებაში ნათლად ჩანს თავადაზნაურობის განწყობილება. ამ განწყობილებას სავსებით იზიარებდა დ. ყიფიანიც. მას ცალკე არ გამოუყვია თავისი თავი. ყველანი დაშინებულნი იყვნენ მოულოდნელი ცვლილების წინაშე. უბედურება ახლოვდებოდა, ხსნა კი არსად ჩანდა. თუ იტყოდნენ რამეს, წერილობით კი თავის აზრს არ ასახავდნენ, ერთმანეთს არ ენდობოდნენ და შიში ჰქონდათ, რომ ვინმეს ბოროტად არ გამოეყენებინა წერილობითი საბუთი. მაგრამ ადამიანი ყოველგვარ უბედურებას შეეჩვევა თუ იცის, რომ მას თავს ველარ აარიდებს, თავადაზნაურობასაც მეტი გზა აღარ ჰქონდა. უნდა შესულიყო ამ საქმის ვარაუდში მით უფრო, რომ ეს მთავრობის სურვილიც იყო და მთავრობის სურვილისათვის ხომ უნდა გაეწიათ ანგარიში.

„ დ. ყიფიანი არ იყო წინააღმდეგი ბატონყმური ინსტიტუტის, მაგრამ როდესაც მონარქმა თავის მოწყალეება გამოიღო და მოინდომა გლეხთა განთავისუფლება ბატონყმურ წყობილებისაგან, დ. ყიფიანისათვის ეს გარდაუვალ კანონად გადაიქცა: მეფისა და ტახტის სურვილის წინააღმდეგ მას არც სურდა და არც შეეძლო

⁸ П. В. Г у г у ш в и л и, Сельское хозяйство и аграрные отношения, т. II, Тб., 1950, დ. ყიფიანის მოხსენება თბილისის გუბერნიის კეთილშობილთ შეკრებილებისადმი, გვ. 28—29.

წასვლა; მას ეს მონარქიული ბრძანება ურყევად უნდა გაეტარებინა ცხოვრებაში. ამრიგად, დ. ყიფიანი 60-იან წლების დასაწყისში ბატონყმობის მოსპობის აუცილებლობამდე მივიღა არა თავისი შინაგანი შეხედულების განვითარებით, არა ახალი ლიბერალურ-პროგრესიული აზროვნების შეთვისებით, არა თავისი რწმენით, არამედ — ზევიდან მოხვეული ბრძანებით. მაგრამ დ. ყიფიანი თუ, ერთი მხრივ, სახელმწიფო მოხელე იყო, რომელიც უყოყმანოდ ემორჩილებოდა უმაღლესი ხელისუფლების ბრძანებას ბატონყმობის მოსპობის საქმეში, მეორე მხრივ იგი იმებატონე იყო, რომელსაც უაღრესად აინტერესებდა თავისი მამულის, თავისი ყმებისა და თავისი ეკონომიური მომავალი, უკეთ რომ ვთქვათ, თავისი კლასის მომავალი. ერთი მხრივ მოვალეობა ხელისუფლების წინაშე, მეორე მხრივ მოვალეობა თავისი კლასის წინაშე, ორად აპობდა დ. ყიფიანის ფოლადივით მტკიცე ნებისყოფას. აუცილებლობის წინაშე მდგარი, იგი შიშით ცახცახებდა იმ დიდი შენობის დარღვევის მოლოდინში, რომელსაც ბატონყმობა ეწოდებოდა და რომელიც დ. ყიფიანის გამოანგარიშებით, მე-10 საუკუნიდან არსებობდა საქართველოში. დ. ყიფიანის — მასთან მთელი ბრწყინვალე წოდების გაორება ნათლად სჩანს მის მოხსენებაში. დ. ყიფიანმა თითქოს ასახა არა მარტო მისწრაფებები გაბატონებული კლასისა, არამედ ამავე კლასის სულისკვეთება და ფსიქოლოგიური განცდები, წარმოშობილი ძველი წოდებრივი ურთიერთობის რღვევის პროცესში“.⁹

დ. ყიფიანი თავის მოხსენებაში სუამს კითხვას რა იყო? და თვითონვე უპასუხებს: „რა იყო? და რჩევა იყო მაშინ ისეთს საქმეზედ, რომლის უმძიმესი არა თუ ჩვენს ხსოვნაში არა მომხდარა რა ამ მხარეზედ, მამა-პაპათაგან მონათხრობშიაც არა გვსმენია რა; რა ექენითო და როგორც საქართველოს პირმშო შვილებს გმირულთა საისტორიო სათნოებით მქონებლებს და მხედრულის განწმენდილის იგრძნობის პატრონებს შეესაბამება, ისე ღმერთის ქვეშე უშიშრად, ისე აუჩქარებლად და ისე მედგარად გაუსწორეთ თვალი იგრძნობა ღვთისნებით, უშიშრად, აუჩქარებლივ შეეხვედეთ იმ საქმეს, რომელ საქმესა, რომელიც უბედურებას გარდა, სხვას თითქო არა რას გვექადოდა საშვილიშვილითოდ; რა გამოვიდაო და ეს გამოვიდა, რომ ვერც ერთი იმ შეკრებილობაში მყოფთა საქართველოს მებატონეთამდე ვერ წარიტაცა ვერცა გულისწყრომამ გინა

⁹ ს ი მ ო ნ ხ უ ნ დ ა ძ ე, დიმიტრი ყიფიანი, თბ., 1936, გვ. 131.

დროებითა სიძულვილმა; ვერცა პირად-პირადმა თავის მოყვარეობამ, გინა საკუთარმა სარგებლობამ; ვერცა შიშმა მომავლის განუცდებლობისამა და, ამასაც ვიტყვი, ვერც ჩვენმა უსწავლელობამ და გაუნათლებლობამ; და რომ საქმე გავშინჯეთ, ყოველთავე ერთად, როგორც ორთა ან სამთა ერთმანეთის მოყვარულთა და მოხატრეთა ძმათა, ისე ერთხმად ვპსთქვით: მიგვინიჭებია თავისუფლება ყმათა ჩვენთათვისო. აბა გვამხილოს ვინმე მეცნიერმა და განათლებულმა, რომელს განათლებულს ქვეყანაში გარდუწყვეტიათ ეს საქმე უმეტესის ღირსებითა და უმეტესის სათნოებითა, მერე რა საქმე? დაახლოებით შევხედოთ ერთი ამ საქმეს!¹⁰.

ღ. ყიფიანის მოხსენებაში, სადაც დაწვრილებით არის ნაამბობი ყოველივე, როგორც იყო, რა ითხოვეს და რა უნდოდათ სამაგიეროდ, მალალი და მკერმეტყველური სიტყვებით ზნეობასა და მსხვერპლზეა ლაპარაკი, ხოლო აქვე, გვერდით, დაწვრილებითი ანგარიშებიცაა წარმოდგენილი. გლახთა და მებატონეთა შორის დამოკიდებულება თურმე მამაშვილური იყო, ხოლო როდესაც საჭირო იყო მთავრობის საყურადღებოდ გამორკვევა იმ საკითხისა, თუ რაგვარ შემოსავალს აძლევდნენ გლახები მებატონეთ, აქ ვახტანგ მეფის კანონების შემწეობით ისახებოდა სურათი სრული დამონებისა ერთი წოდებისა მეორის მიერ. და როდესაც საჭირო იყო ფულით გამოანგარიშება იმ ჯამისა, რომელიც შემოსდიოდა მებატონეს ყმისაგან როგორც ყმის პირადი ვალდებულებისაგან, ისე მიწის სარგებლობიდან, ბეჯითად იყო აღნიშნული, რომ პირველი კატეგორიის შემოსავალი საშუალოდ 148 მ. 38 კ. უდრიდა კომლზე. ხოლო ღალის, კულუხისა და ბეგარის შესახებ ნაჩვენები იყო ვახტანგის კანონი, სადაც წერია: „ღალის აღებისათვის მიწა ოთხგვარი არის: ერთი ნაფუძარი, მეორე ნანეხვი, მესამე სარწყავი, მეოთხე ველური; ამათ ხენაშივე შერიგება უნდა მისის პატრონის პირობით... ამ შემოსავლით სცხოვრობდა თავადაზნაურობა და ეს რომ წაერთვას, რა გზას დაადგეს? ვაქრობა-მრეწველობა განუვითარებელია და ამ დარგში თავის ხასიათითაც ვერ იჩენს უნარს თავადაზნაურობა. ლიტერატურა, ხელოვნება, სამსახური, მეურნეობა—ყველა ამით როგორ ირჩინოს თავი, სამსახურით კიდევ რამდენიმედ შეიძლება, მაგრამ მარტო სამსახური რას უშველის? ერთი სიტყვით, სადაც უნდა გაიხედოთ, არც ჩვენ, არც ჩვენ შვილებს არავი-

¹⁰ П. В. Гугушвили, Сельское хозяйство и аграрные отношения. დ. ყიფიანის მოხსენება, გვ. 43—44.

თარი საშუალება მოგვეპოვება თავის რჩენისა, გარდა ორგვარ შემოსავლისა. რომელიც უქველეს დროიდან გვექონდა გლეხებიდან და ჩვენი მიწიდან“.¹¹

დ. ყიფიანი თავის მოხსენებაში წერდა „დღეს როდესაც ჯერ კიდევ საეხებით გვიჭირავს ხელში ჩვენი ჩვეულებრივი წყარო ცხოვრებისა, როდესაც ჩვენი კაპიტალი, ე. ი. გლეხებიდან შემოსული ხელუხლებელია. ჩვენი კაპიტალი უდრის 42 556 307 მან. რადგან ზემოთ მოყვანილი ცნობებით თვითეული კომლი გვაძლევს ორთა შუა რიცხვით 148 მან. და 38 კაპ. შემოსავალს პირველ კატეგორიისას და თავნად რომ ეაქციოთ ეს შემოსავალი 16 გზის გამარავლებით კომლზე 2 473 მან. გამოვა, ხოლო 17 208 კომლზე თავნი გამოისახება 42.2 მილ. მანეთში. ახლა რა მდგომარეობა იქნება ჩვენი მდგომარეობა. როდესაც ეს თანხა თავის სარგებლით მოგვაკლდება, რადგან გლეხებს ვანთავისუფლებთ ამ შემოსავლის გადახდის ვალდებულებიდან“.¹²

ამის სანაცვლოდ თავადაზნაურობა სთხოვდა მთავრობას შემწეობას კომლზე 400 მანეთს. ეს შემწეობა მომხსენებლის აზრით უდრის სამი წლის შემოსავალს, რომელსაც გლეხებიდან იღებდნენ, ე. ი. 2,2%-ს იმ კაპიტალისას, რომელსაც სწირავდა თავადაზნაურობა გლეხთა კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.

ეხლა ნათელია რას უწოდებდა თავადაზნაურობა და მისი დამცველი დ. ყიფიანი „მსხვერპლს“.

როგორც ა. ჯორჯაძე აღნიშნავდა¹³, ამ წოდებრივის თვალსაზრისით, გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესება, რასაკვირველია, მსხვერპლი იყო თავადაზნაურობისათვის, რომლის შემეცნება ამართლებდა ამ უკუღმართ წესს, როდესაც ერთი წოდება სრული ბატონი და მფლობელია მეორე წოდებისა. ამ ბატონობის მცირედი შეზღუდვაც კი მსხვერპლად უნდა სჩვენებოდათ. მაგრამ საბოლოოდ არც ისე დაზარალდნენ მემამულეები. იმ ხანებში აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობამ, მთავრობის მიერ გლეხთა გათავისუფლების საჭიროებისათვის გამოყოფილი 2 მილიონი მანეთიდან 1 840 000 მან. მიიღო ყმებში, 160 000 მან. კი — ბანკის დასაარსებლად, მას შემდეგ თავადაზნაურობა რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში „ნადელებში“ ხვედრ ღალას იღებდა დროებით ვალ-

¹¹ იქვე, გვ. 59.

¹² იქვე, გვ. 114.

¹³ გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1913, № 804.

დებულ გლახებისაგან და ფაქტიურად 1921 წლამდე აგრძელებდა გლახობის ყვლეფას.

დ. ყიფიანმა მოხსენებასთან ერთად შეიმუშავა თავადაზნაურობისათვის ხელსაყრელი საგლეხო რეფორმის პროექტი. იგი მთლიანად მემამულეთა ინტერესებს გამოხატავდა; მაგრამ მისი სამაზრო ყრილობებზე ვანხილვის დროს თავადაზნაურებს შორის თავი იჩინა აზრთა სხეადასხეაობამ. პროექტის განხილვაში მონაწილეობა მიიღო აღმოსავლეთ საქართველოს ექესასამდე მემამულემ, ამათგან, დიდი უმრავლესობა (536 მემამულე) შეთანხმდა ერთ პროექტზე, რომელსაც ეწოდება „უმრავლესობის“ პროექტი. 14 მემამულემ თავის სახელით ცალკე შეადგინა რეფორმის პროექტი, ეგრეთწოდებული „უმცირესობის“ პროექტი. რამდენიმე პირი არცერთ პროექტს არ დაეთანხმა, ერთმა მათგანმა კი, სახელდობრ, ივანე მუხრან-ბატონმა წარადგინა თავის მიერ შედგენილი პროექტი. იმათ, ვისაც ეს რეთორმა ეხებოდა, ე. ი. გლახობას, რეფორმის პროექტის შემუშავებაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია.

დ. ყიფიანი. რომელმაც შეიმუშავა გლახთა გათავისუფლების უმრავლესობის პროექტი, მთლიანად ემყარებოდა მის მიერვე შემუშავებული მოხსენების ძირითად მოტივეებს. პროექტის პირველი პარაგრაფი იწყება შემდეგით: „ხელმწიფე იმპერატორის უმაღლესი ნებითა და საქართველოს თავადთა და აზნაურთ სურვილითა, მკვიდრი იმათი ყმები განთავისუფლდებიან ყოველის ბატონყმობის დამოკიდებულებისაგან“.¹⁴ მაგრამ რადგან ამ ნაბიჯის გადადგმა, დებულების ავტორის აზრით, დაკავშირებულია მემამულეთა მხრივ დიდი მსხვერპლის გაღებასთან, იმედია მზრუნველი იმპერატორი არ დაიშურებს წყალობას და „განუწესებს მათ ერთდროებითა შესაწირავსა“.

დებულების მიხედვით ბატონყმობიდან გათავისუფლებული გლახი მიწის მფლობელთან ისეთსავე „ნებაყოფლობით“ დამოკიდებულებას ამყარებდა, როგორც ძველი საქართველოს ჩუულებით ხიზანსა და მამულის პატრონს აქვთ. დებულება ნებას აძლევდა ყოფილ ყმას ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეეძინა ყველა სახის ქონება. ბატონყმობიდან გამოსულ გლახს რჩებოდა არა მარტო საკუთარი მიწები, არამედ ის საბატონო ადგილ-მამუ-

¹⁴ შ. ჩხეტიანი. საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში. თბ., 1950, დ. ყიფიანის მიერ შედგენილი საგლეხო რეფორმის დებულების პროექტი, გვ. 270.

ლიც, რაზედაც ახლა „ბინადრობა და სარგებლობა აქვს“, მაგრამ ამისათვის მათ მიწის პატრონისათვის უნდა მიეცათ გარკვეული გამოსაღები. სახნავ-სათესი, სავენახე, საბალახე მიწების, ტყისა და წყლის ხმარებისათვის გლეხმა პატრონს უნდა აძლიოს ღალა, კულუხი და გასწიოს ბეგარა, როგორათაც ერთმანეთში ნებაყოფლობით მორიგდებიან. მანამდის მორიგდებოდნენ, პატრონს უნდა ეძლეოდეს ისევე და იმავე ზომით, რასაც და რა ზომითაც ხიზნები ჩვეულებით აძლევენ და ეწევიან და სადაც ხიზანი არ არის, იქ ისევე და იმავე ზომით, რაც და რა ზომითაც განთავისუფლებულს კაცებს ყმობაში უძლევიათ და უწევიათ. ამრიგად „უმრავლესობის“ პროექტი მოითხოვდა ყმების უმიწოდ გათავისუფლებას. გლეხი ხიზნის მდგომარეობაში უნდა გადასულიყო, სხვისი მიწით უნდა ესარგებლა და ამისათვის ძველებურად ფულადი, შრომითი, პროდუქტით გადასახადები გაეღო. ეს პროექტი ითვალისწინებდა არა ბატონყმობის მოსპობას, არამდ მისი შეცვლილი სახით შენარჩუნებას.

უმცირესობის დებულების პროექტი, რომელიც შემუშავდა 14 მემამულის (გრ. ორბელიანის, ჯამბაკურ ორბელიანის, ივანე ორბელიანის, გრ. ვეზიროვის და სხვ.) მიერ, არსებითად არაფრით განსხვავდება უმრავლესობის პროექტისაგან. ამ პროექტის ავტორები აცხადებდნენ: ჩვენ ვეთანხმებით თავადაზნაურობის უმრავლესობის პროექტს იმაში, რომ აუცილებელია მემამულეებს მიეცეთ კომპენსაცია გლეხებისათვის პირადი თავისუფლების მინიჭებისათვის, და აგრეთვე იმაშიც, რომ მებატონეებს უნდა დარჩეთ სრული და უდავო უფლება საკუთრებისა ადგილ-მამულზე. მაგრამ, — განაგრძობენ ისინი, — ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ამავე დროს მიღებულ იქნეს უფრო გადამჭრელი ზომები გლეხობის მომავლის უზრუნველსაყოფად.

რაში მდგომარეობდა, პროექტის ავტორების აზრით, ეს „ზომები“ და ეს „უზრუნველყოფა“?

პროექტით გლეხს უფლება ეძლეოდა უარი ეთქვა სახლისა და ბაღის მიღებაზე მებატონისაგან იმ პირობებში, როგორც ეს პროექტში იყო გათვალისწინებული, და წასულიყო სადაც უნდოდა. პროექტში გათვალისწინებული პირობების მიხედვით კი გლეხი ვალდებული იყო მებატონისათვის ეძლია კარმიდამოსათვის წელიწადში 4% იმ თანხიდან, რა თანხადაც შეფასდებოდა ეს კარმიდამო, ხოლო ბალისათვის 1/4 ნაწილი ამ ბალის შემოსავლიდან. თუ

გლები არ ისურვებდა ამ პირობებში მებატონესთან დარჩენას და სხვაგან წასვლას გადაწყვეტდა, მას უფლება ეძლეოდა თან წაეღო მხოლოდ თავისი მოძრავი ქონება. რაც შეეხება მიწას, რომლითაც გლები სარგებლობდა და რომელზედაც მას ბალი ან სხვა რამ ჰქონდა გაშენებული, ეს მებატონის საკუთრებად რჩებოდა. მაგრამ გლებს შეეძლო თავისი უფლებები ამ ბაღსა და ნაშენზე მიეყიდა სხვისთვის, ოღონდ იმ პირობით რომ მყიდველს ეკისრა ყველა ის გადასახადი, რაც გამყიდველ გლებს ჰქონდა დაკისრებული მებატონის წინაშე. გლები, რომელიც ამგვარად ვერ (ან არ) უზრუნველყოფდა მებატონის ინტერესებს, კარგავდა უფლებებს თავის უძრავ ქონებაზე და ეს ქონება გადადიოდა მემამულის საკუთრებად.

რაც შეეხება სახნავ-სათეს მიწებს, რომლებიც დასჭირდებოდათ გლებებს, ეს მიწები პროექტით „ადვილად შეეძლოთ შეეძინათ“ მათ „თავისუფალი დაქირაავების“ საფუძველზე, „ყოველ შემთხვევაში ჩვენ თავად არა გვაქვს, — წერენ ისინი, — იმდენი მიწა, რომ გლებებსაც მივცეთ და ჩვენც გვეყოს. მცირე მამულიანობა მთელი მხარისა ცნობილია მთავრობისათვისაც... ყველა მიწა ამჟამად გლებების ხელშია და ისინი, ამუშავებენ რა ამ მიწებს, მემამულეს აძლევენ ჩვეულებით განსაზღვრულ ცნობილ ღალას. უკეთეს ყველა ეს მიწა გლებებს გადაეცა სამუდამო და სამემკვიდრეო მფლობელობაში ან განკარგულებაში, მაშინ მემამულეს არაფერი დარჩება“¹⁵.

უმცირესობის პროექტით, გლებებს უფლება ჰქონდათ ესარგებლად მემამულის ტყით პირადი (საოჯახო) საჭიროებისათვის სახაზინო ფასებში, ხოლო წყლით — იმავე პირობებში, როგორც ბატონყმობის გადავარდნამდე არსებობდა ადათ-ჩვეულებების საფუძველზე.

უმცირესობის პროექტი ისეთივე რეაქციული იყო, როგორც უმრავლესობისა და მისგან მხოლოდ დეტალებში განსხვავდებოდა, ივანე მუხრან-ბატონი არ დაეთანხმა არც უმრავლესობის, არც უმცირესობის პროექტს. მან თავისი „განსაკუთრებული“ აზრი საგლებხო რეფორმის შესახებ 1863 წლის 26 ოქტომბერს ცალკე წარუდგინა მთავრობას. მაგრამ აქ განსაკუთრებული არაფერი იყო. მისი „აზრი“ სავსებით ემთხვეოდა უმრავლესობისა და უმცირესობის აზრებს. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ

¹⁵ П. В. Гугушвили, Сельское хозяйство и аграрные отношения, с. 197.

ივანე მუხრან-ბატონის პროექტი ცალკეულ დეტალებში უფრო რეაქციული იყო, ვიდრე უმრავლესობისა და უმცირესობის პროექტები.

მაგალითად, თუ უმრავლესობის პროექტით გლეხი უნდა გადაეყვანათ „ხიზნის“ მდგომარეობაში, ხოლო უმცირესობის პროექტით — მიწის „დამჭირავებლად“ უნდა გადაექციათ, ივანე მუხრან-ბატონის პროექტით გლეხი მემამულის „მემკვიდრეობით მოიჯარადრედ“ უნდა გამხდარიყო, რაც არსებითად იმასვე ნიშნავდა. სამივე შემთხვევაში მიწა მემამულის საკუთრებად იყო აღიარებული, გლეხი კი, სანამ ის არ გამოისყიდდა მიწას მემამულისაგან, ვალდებული იყო ეხადა მისთვის ყველა ის ბეგარა-გადასახადი, რასაც იხდიდა ბატონყმობის გაუქმებამდე მიწით სარგებლობისათვის.

ივანე მუხრან-ბატონის პროექტითაც მიწა მემამულის უდავო საკუთრებას შეადგენდა. გლეხს კი მხოლოდ მისი შრომით შექმნილი მოძრავი ქონების უფლება ჰქონდა. გლეხს თავისი ნებით არ შეეძლო მიეტოვებინა ის ადგილი, სადაც ის სახლობდა და მუშაობდა, ხოლო ის გლეხი, რომელიც მოისურვებდა დარჩენილიყო ძველ ადგილზე, ვალდებული იყო სახლ-კარისა და ბალისათვის ეხადა ბეგარა-გადასახადი ნატურით, შრომით ან ფულით მემამულის სასარგებლოდ. იმ შემთხვევაში, თუ გლეხი ვერ, ან არ გადაიხდიდა დაწესებულ ბეგარა-გადასახადს, მემამულეს უფლება ჰქონდა ჩამოერთმია მისთვის სახლ-კარიც და მიწაც. სახლ-კარის და მიწის ჩამორთმევის უფლება ჰქონდა მემამულეს იმ შემთხვევაშიაც, როდესაც ამას საჭიროდ დაინახავდა თავისი მამულის „დასამრგვალებლად“, ანდა თავისი მეურნეობის უკეთ მოსაწყობად. ასეთ შემთხვევაში მემამულე ვალდებული იყო მიეცა გლეხისათვის სამაგიერო მიწის ნაქერი, მაგრამ თუ მას ასეთი არ ჰქონდა ან გლეხი ამაზე არ დათანხმდებოდა, მაშინ მომრიგებელი უშუამავალი გლეხს გადაასახლებდა.

არსებითად ასეთივე ხასიათისა იყო სხვა მემამულეების მიერ წარდგენილი აზრები თუ პროექტები საგლეხო რეფორმის შესახებ (დ. აბაშიძის, რ. ანდრონიკაშვილის, გ. მაყაშვილის, მ. ერისთავისა და სხვების). ყველა ისინი გამოხატავდნენ კონსერვატულ და რეაქციულ თვალსაზრისს ისევე, როგორც „უმრავლესობის“ და „უმცირესობის“ პროექტები.¹⁶

¹⁶ იქვე გვ. 215—220.

აქვე უნდა ვთქვათ ერთი პიროვნების შესახებ იმავე წოდებიდან, რომელმაც საგლებო რეფორმის შესახებ წარმოადგინა შედარებით უფრო პროგრესული აზრის შემცველი პროექტი. ეს იყო კონსტანტინე მამაცაშვილი. კ. მამაცაშვილმა თავისი თვალსაზრისი საგლებო რეფორმაზე გამოთქვა იმ პასუხში. რომელიც მან, სხვა შემამულეებთან ერთად, გაუგზავნა დ. ყიფიანს ამ უკანასკნელის მიერ შედგენილ 14 მუხლიან შეკითხვაზე. ყურადღებას იქცევს კ. მამაცაშვილის კატეგორიული განცხადება იმის შესახებ, რომ გლეხის გათავისუფლება უნდა მოხდეს მიწით. „გლეხების ყოფაცხოვრების კეთილწარსამართავად შემდეგ განთავისუფლებისა მიუტილებლად საჭირო არის, რომ გლეხს მიწა ჰქონდეს; თუ არა, თავისუფლება უმიწო გლეხისა, იქნება მხოლოდ ქაღალდით და არა საქმით“. უმიწოდ გლეხების გათავისუფლება „იმათთვის ტყვეობაზედ უარესი იქნება“. „ჩემს აზრს ვამთავრებ იმით, — ამბობს კ. მამაცაშვილი, — რომ კაცი უმიწოდ არ შეიძლება დაინტერესებული იყოს თავისი ქვეყნის არც ბედნიერებაში და არც უბედურებაში, მისთვის არ არსებობს საშუალო სამშობლო. ის კოსმოპოლიტია. ჩემის აზრით, უაღრესად სახიფათო იქნება, თუ შემამულეები არ დაეთანხმებიან მისცენ მიწა იმ გლეხებს. რომელნიც ამჟამად ჰფლობენ უძრავ ქონებას, და უეჭველად მოისურვებენ წაართვან მათ მიწა; ასეთი ღონისძიების გატარება ვერ დამთავრდება ძალადობისა და არასასიამოვნო შედეგების გარეშე შემამულეთა და გლეხთათვის“¹⁷.

კ. მამაცაშვილი თავადაზნაურობას მოუწოდებდა გამოეჩინა გონიერება, სულგრძელობა და არ წასულეყო ყმების უმიწოდ განთავისუფლების გზით. უფრო სწორედ, ის გლეხების იმ ნაწილის უზრუნველყოფას მოითხოვდა, რომელიც რეფორმის გატარების პერიოდში ფაქტიურად ფლობდა მამულებს. საქმის წარმატებისათვის პროექტის ავტორს საჭიროდ მიაჩნდა სანადელო ნორმის დაწესება და საბატონო ყმების სამ ჯგუფად დაყოფა. პირველში იმ გლეხებს აქცევდა. რომელთაც მიწები ნორმის ფარგლებში ან მის ზევით ჰქონდათ. მათ შესასყიდად მიეცემოდათ მხოლოდ ნორმით დაწესებული ნაკვეთი, ხოლო დანარჩენი შემამულის სასარგებლოდ ჩამოეპყრებოდათ. მეორეში ნორმაზე ნაკლები ფართობის მქონენი თავსდებოდნენ. ესენი განთავისუფლებისას დამატებით არაფერს იღებდნენ, ეინაიდან, მამაცაშვილის აზრით, თუ კი მათ ამ ნაკვე-

¹⁷ კ. გუგუშვილი, ქართული ეურნალისტიკა, თბ., 1941, გვ. 429.

თით ბატონყმობის დროს შეეძლოთ არსებობა, ეს მით უფრო შეეძლებათ ამ ურთიერთობის მოსპობის შემდეგ, როდესაც უშუალო მწარმოებელს საგრძნობლად „გაუადვილებდა ხელის გაქნევა“ და საკუთარი შრომით სარგებლობა. მესამე ჯგუფში სრულიად უმიწაწყალო გლეხები იჯულისხმებოდნენ. „ამათ, — წერდა მამაცაშვილი, — თავისუფლება მიეცეთ უადგილმამულოდ, რადგან ჩვენებურს მებატონეებს მიწის მიცემა არ შეუძლიან, და თუ შეუძლია ვისმე ფასით შეასყიდინოს ამ გვარს გლეხს ადგილი, ეს მის ნებაზედ იყოს“.

ამ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარება მისი (მამაცაშვილის) აზრით, გლეხსაც დააკმაყოფილებდა და მემამულესაც. პირველი, მთავრობის დახმარებით მიწის იმ ფართობს შეისყიდოდა, რომელიც რეფორმის გატარების დროს მის ფაქტიურ მფლობელობაში ირიცხებოდა, ხოლო მეორე — ჩამონაკრების სახით საგრძნობლად გაზრდიდა თავის მიწის ფონდს და ყმებოძან მიღებული ფულით შეძლებდა გაცილებით უფრო სარფიანი დაქირავებული შრომის სისტემაზე გადასვლას.

მიუხედავად იმისა, რომ კ. მამაცაშვილის პროექტი მთელ რიგ მახინჯ მხარეებს შეიცავს (ფეოდალური საკუთრების შენარჩუნება, გლეხების მხოლოდ იმ ნაწილისათვის მიწის მიცემა, რომელიც რეფორმის გატარების პერიოდში მას ფაქტიურად ფლობდა, ჩამონაკრების დაშვება და სხვა) მისი პროექტი უმრავლესობის, უმცირესობის და მუხრან-ბატონის პროექტებთან შედარებით მაინც პროგრესულია და მისი ავტორის ლიბერალურ განწყობილებას გამოხატავს.

მაგრამ, როგორც ლენინი წერდა: „მებატონეთა და ლიბერალთა ყბადაღებული ბრძოლა, რომელსაც ესოდენ აზვიადებენ და ალამაზებენ ჩვენი ლიბერალური და ლიბერალურ-ნაროდნიკული ისტორიკოსები, წარმოადგენდა ბრძოლას გაბატონებული კლასების შიგნით, მეტწილად მემამულეების შიგნით, ბრძოლას მხოლოდ და მხოლოდ დათმობათა ოდენობისა და ფორმის გულისათვის. ლიბერალები, ისევე როგორც მებატონეები, იდგნენ მემამულეთა საკუთრებისა და ბატონობის აღიარების ნიადაგზე, ისინი აღშფოთებით ჰგმობდნენ ყოველგვარ რევოლუციურ აზრს ამ საკუთრების მოსპობის შესახებ, ამ ბატონების სრული დამხობის შესახებ“.¹⁸

¹⁸ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 17, გვ. 128.

მთავრობის ინტერესები და თავადაზნაურობის ინტერესები არსებითად ერთი და იგივე იყო, რადგან მთავრობა იმავე თავადაზნაურთა კლასს ეკუთვნოდა. ამიტომაც თავადაზნაურობის ინტერესების საუკეთესო დამცველი ცხადია. თვით ეს მთავრობა იყო. მაგრამ მთავრობას არ შეეძლო დაეცვა სოციალური წყობილებისა და მეურნეობის ის ძველი, დახავსებული ფორმები, რომლებიც აქამდე არსებობდა; მთავრობას არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია იმ მიზეზებისათვის, რომლებმაც ის აიძულეს ხელი მოეკიდა რეფორმისათვის. ამის გამო, მიუხედავად თავისი სოლიდარობისა თავადაზნაურობისადმი, მთავრობას მაინც არ შეეძლო მთლიანად და სავსებით დამდგარიყო იმ ვიწრო წოდებრივ თვალსაზრისზე, რომელზედაც მემამულენი იდგნენ. ამიტომ ის იძულებული იყო უარეყო თავადაზნაურთა პროექტები საერთოდ, და ყიფიანის პროექტი, კერძოდ იმ ნაწილში, რომელიც გლახთა სრულიად უმიწოდ გათავისუფლებას მოითხოვდა.

საგლახო კომიტეტის პროექტით და ამის საფუძველზე გამოცემული კანონით მთავრობა „უტოვებდა“ გლახებს კარმიდამოს. ბალვენახსა და სახნავ-სათესი მიწის მცირე ნაწილს იმ პირობით, რომ მათ შემდეგში გამოეყიდათ ეს მიწა მემამულეთაგან, ხოლო გამოსყიდვამდე ეხადათ მემამულეთა სასარგებლოდ გარკვეული გადასახადი. მემამულეებს კი გლახთათვის პირადი „თავისუფლების“ მინიჭების საკომპენსაციოდ მთავრობა ხაზინიდან აძლევდა ერთდროულ საზღაურს თითოეულ სულ მამრობითი სქესის ყმა გლახზე 25 მანეთს (ეს გასამრჯელო შეიძლებოდა ორჯერ გადიდებულიყო იმ მემამულეთათვის, რომლებსაც 21 ყმაზე ნაკლები ჰყავდათ). მაგრამ ამავე დროს კანონი სავსებით ათავისუფლებდა მცირემამულიან მებატონეებს ვალდებულებისაგან გამოეყიდათ მიწა გლახებისათვის; კანონი უმიწოდ „ათავისუფლებდა“ იმ გლახებსაც (მათ შორის ხიზნებს, შინაყმებს), რომელთაც რეფორმამდე არ ჰქონდათ მიწა.¹⁹

საგლახო რეფორმა იყო „გლახების ყოველად უსინდისო გაძარცვა, იგი წარმოადგენდა მათ შიმართ მთელ რიგ ძალმომრეობას და პირდაპირ დაცინვას“²⁰. გლახებს თავისი ოფლითა და სისხლით მორწყული საგლახო მიწები უნდა გამოეყიდათ.

¹⁹ შ. ჩხეტიია, დასახ., ნაშრ., გვ. 44.

²⁰ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 17, გვ. 126.

აგრარული საკითხის სამართლანი გადაჭრისათვის ხმა აღი-
მალეს გლეხობის და მათი ინტერესების დამცველმა ქართველმა
რევოლუციონერ-დემოკრატებმა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით.
ისინი მოითხოვდნენ გლეხობის მიწიანად განთავისუფლებას.

ილიას თანამედროვე ქრისტეფორე მამაცაშვილი თავის მოგონე-
ბაში წერს: „კომიტეტის მუშაობის შემდეგ, რომელმაც დაადგინა,
რომ გლეხები უნდა განთავისუფლდნენ უმიწოთ, მოწვეულ იქნა
თავად-აზნაურთა საგანგებო კრება. კომიტეტის შრომის განსახილ-
ველად, ოქმების წაკითხვის შემდეგ დაიწყო კამათი. წამოდგა ახალ-
გაზრდა პოეტი და პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძე და ხმამაღლა განა-
ცხადა, რომ გლეხს მიწა უნდა მიეცესო. კრების უმეტესობა ამ კად-
ნიერმა აზრმა ააშფოთა. ერთმა თავადმა ხანჯალი იშიშვლა და ლანძლ-
ვა-გინებით ილიასკენ გაიწია და ყვიროდა: „გამიშვით, გამიშვით!
ეხლავე უნდა მოვკლაო“. გაგვიყვებული თავადი შეაკავეს და ძლივს-
ძლივობით გაიყვანეს კრებიდან... ილია გრიგოლის ძე თავის მოღ-
ვაწეობის დასაწყისშივე ძლივს გადარჩა სიკვდილს გლეხთა ინტე-
რესების დაცვის გამო და შემდეგშიაც არას დროს არ უღალატნია
თავის რწმენისათვის.“²¹

1864 წლის 6 მაისს, მას შემდეგ, როდესაც საგლეხო კომიტეტს
უკვე მოსმენილი ჰქონდა თავადაზნაურობის პროექტები და შემუშა-
ვებული ჰქონდა თავისი პროექტიც, ილიამ, ნიკოლოზ ჭავჭავაძის
ხელმოწერით საგლეხო კომიტეტში წარადგინა „კრიტიკული შენიშ-
ვნები თბილისის გუბერნიაში მემამულეთა მიწებზე დამკვიდრებუ-
ლი გლეხების მიწათმოწყობის ადგილობრივი დებულების წინას-
წარი პროექტის მუხლებზე“. მან მკაცრად გააკრიტიკა მთავრო-
ბის მიერ შემუშავებული საგლეხო რეფორმის პროექტი, რომე-
ლაც წინააღმდეგ თავადაზნაურობის უმრავლესობის პროექტისა.
გლეხობის მიწით გათავისუფლებას უჭერდა მხარს, მაგრამ არსე-
ბითად სახეშეცვლილი ფორმით ტოვებდა ბატონყმობას.

„კრიტიკული შენიშვნების“ ყოველი წინადადება გამსჭვალულია
მშრომელი მოსახლეობის ინტერესების თანმიმდევრული და პრინცი-
პული დაცვის იდეით. ილიამ კატეგორიულად გაილაშქრა დროებით
ვალდებულ გლეხთა ინსტიტუტის წინააღმდეგ, მოითხოვა სათა-
ნადო მუხლების ამოღება დებულების პროექტიდან და უშუალო
მწარმოებლისათვის მიწის ნაკვეთის სრულ საკუთრებად დამტკი-
ცება. ამის გარეშე მისი აზრით, შეუძლებელია გლეხის ეკონომი-

²¹ კრ., „ი. ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“, გვ. 67—68.

კური ცხოვრების რამდენადმე მაინც საიმედო ნიადაგზე დაყენება და მისი მეურნეობის წარმატება-განვითარების უზრუნველყოფა.²²

მიუხედავად იმისა, რომ რეფორმა მემამულეთა ინტერესების მაქსიმალური დაცვით გატარდა, მას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ბატონყმობის გაუქმებამ დააჩქარა მწარმოებლური ძალეობის განვითარება, ქვეყნის ეკონომიკური დაწინაურება და ახალი, კაპიტალისტური ურთიერთობის გამარჯვება.

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

დ ი მ ი ტ რ ი ყ ი ფ ი ა ნ ი — ს ა ა დ გ ი ლ მ ა მ უ ლ ო ბ ა ნ კ ი ს დ ა ა რ ს ე ბ ი ს ი ნ ი ც ი ა ტ ო რ ი

როგორც წინა თავში აღინიშნა, დიმიტრი ყიფიანი თავადაზნაურობის წოდებრივი ინტერესების ერთგული დამცველი იყო; იგი თავისი შეგნებით არ მისულა ბატონყმობის მოსპობის აუცილებლობამდე. მას მეფის ტახტისადმი მორჩილება და ერთგულება აიძულებდა შეესრულებინა მთავრობის ბრძანება გლეხთა გათავისუფლების თაობაზე.¹

რეფორმის შემდგომ პერიოდში ქართველ თავადაზნაურობას ვალატაქება მოელოდა. დიმიტრი ყიფიანი ეძებს საშუალებებს გადაარჩინოს მისი წოდება ეკონომიკურ განადგურებას, შეუნარჩუნოს მას პრივილეგიური მდგომარეობა. მან „უკიდურეს განწირულებაში“ მყოფი წოდების გადარჩენის ერთ-ერთ საშუალებად საად-

²² „კრიტიკული შენიშვნების“ შესახებ ვრცლად იხ., პ. რატიანი, „ილია ქავჭავაძე და გლეხთა განთავისუფლების პრობლემა“, თბ., 1963.

¹ „დ. ყიფიანში უცნაურად იყო შეთავსებული: ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ მებრძოლი და ტახტის ერთგული მოხელე, გლეხების მოსარჩლე და ბატონყმობის მომხრე, სამშობლოს ინტერესებისათვის მებრძოლი და რუსული მონარქიზმის მოიმიდე, ქართველი პატრიოტი და რუსული თვითმყრობელი მეფის თავყანისმცემელი. დ. ყიფიანს თავის ცხოვრებაში ბევრ სასახელო საქმესთან და ამ საქმისათვის თავდადებასთან ერთად (რისთვისაც თანამედროვენი, — მათ შორის ილია და აკაკი მას თავყანსა სცემდნენ, ხოლო შთამომავალი დიმიტრი თავდადებულს უწოდებდნენ) ზოგიერთი ისეთი შეცდომაც დაუშვია, რისთვისაც მას არც თანამედროვენი უმადლოდნენ და არც შთამომავალინი“. (პროფ. შ. ჩხეტია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, გვ. 47.)

გილმამულო ბანკის დაარსება მიიჩნია. „საქართველოს თავადაზნაურობა, — წერდა დ. ყიფიანი, — რომ უკიდურეს განწირულებაში ვიყავით და რა ქვისათვის გვეხეთქებია თავი, რომ აღარ ვიცოდით, ერთ ფიქრს წავაწყდით, შოდი და ჩვენი ბანკი გავხსნათ როგორმე; რომ გაჭირვებაში ხელი მოვითბოთ ხოლმეო! ეს თუ გვიშველის რასმე. თორემ სხვა სახსარი აღარა არის რა ჩვენთვისაო, ვსთქვით, და როგორც იყო ათასნაირი ნაილაჯობითა და ვაი ვაგლახით გავხსენით ჩვენი ბანკი, ისევ ჩვენთვისა და იმ ჩვენი მეზობლებისათვის, რომელნიც გარს გვახვევიან“².

დ. ყიფიანის ზემოთ მოტანილი სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ მას ბანკის დაარსება სურდა გაღატაკების გზაზე დამდგარი თავადაზნაურობა ინტერესების დასაცავად.

როგორც ნ. ნიკოლაძე აღნიშნავდა. ეკონომიკურად თავადაზნაურობა სავალალო მდგომარეობაში იყო: ასეული წლობით გაჭირანურებული გარე და შინა ომები, მუდმივ მლელვარე ცხოვრება. რასაც პირველ რიგში ქართველი თავადაზნაურობა განიცდიდა, ხელს უშლიდა ნორმალურ სამეურნეო საქმიანობას. ახლა თუმცა საუკუნეობრივი ომები დამთავრდა და მხარე დამშვიდდა, მაგრამ საგლეხო რეფორმამ თავადაზნაურობის მეურნეობაში მკვეთრი გარდატეხა შეიტანა. კაპიტალისა და სამეურნეო განათლების არ მქონე ყმების მუქთი შრომის ნაყოფს მოკლებული თავადაზნაურობა უაღრესად გაჭირვებულ მდგომარეობაში მოექცა.

თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობას არ ჰქონდა არავითარი საზოგადოებრივი საღარო, არავითარი ფონდი. ამასთან, სოფლის მეურნეებს დიდი დავალიანება ჰქონდათ. ამ ვითარებაში თავადაზნაურობის საკრედიტო დაწესებულების შექმნა გადაუდებელი გახდა, მით უმეტეს, რომ მხარეში არსებულმა ერთადერთმა საიპოთეკო საკრედიტო დაწესებულებამ „პრიკაზმა“ შეწყვიტა სესხის გაცემა სოფლის მამულების გირავნობით. „დ. ი. ყიფიანის ინიციატივას ეკუთვნის, როგორც სათავადაზნაურო ბანკის შექმნის იდეა, ისე მისი დაარსების წყაროც“³.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბანკის დაარსების საჭიროების გამოკვევამდე ცდილობდნენ სწავლა-განათლებისათვის საზოგადო თანხის მოგროვებას.

² გაზ. „დროება“, 1883, №124.

³ ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 4, თბ., 1964, გვ. 309—310.



ბანკის წესდების შემუშავებელი პირველი სარედაქციო კომიტეტის თავმჯდომარე
დიმიტრი ყიფიანი



ბანკის წესდების შემმუშავებელი სარედაქციო კომიტეტის საპატიო პრეზიდენტი
გრიგოლ ორბელიანი

დიმიტრი ყიფიანი, როგორც თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშალი, 1864 წლის 31 აგვისტოს მოწოდებით მიმართავდა მაზრების წინამძღოლებს, რომელშიც წერდა: „კაცობრიობისათვის და ხელმწიფის ერთგულებისათვის დიდი მსხვერპლი გვეთხოვება; ჩვენი ბატონყმობის საქმე, ანგარიშით ამ მომავალ ნომებერში უნდა დაბოლოვდეს. კეთილგონიერება გვაწევს, რომ ახლა განსაკუთრებითი ყურადღება ჩვენის შვილების აღზრდაზედ მივაქციოთ. რადგან ჩვენს წარსაგებელს ისე ვერა აღადგენს რა და ვერა შეავსებს რა, როგორც სწავლა და განათლება ჩვენი შთამომავლობისა. აქ გვეკირდება სხვა მსხვერპლი საკუთრად ჩვენის საზოგადოების სარგებლობისა და არსებობისათვის. თბილისის პანსიონში შესაყვანად ირიცხება ასამდის კანდიდატი. ინსტიტუტშიაც ირიცხება ოთხმოცდაათზედ უმეტესი, და ამთგან იქნება შევიდნენ წელიწადში ათ-ათი ან თორმეტ-თორმეტი. დანაშთენთ გარდა სხვანი რამდენი რჩებიან კიდევ შინ უსწავლელნი, რომ პატრონებს არა აქვთ ღონე თავისი ხარჯით იმათის აღზრდისა; და ახლა ბატონყმობის საქმის შემდეგ რამდენი უფრო გაუჭირდებათ, ეს თქვენის უეზდის მიხედვით თქვენ კარგად მოგეხსენებათ.

სხვა მრავალს მსხვერპლთან გავხედოთ ერთი ისეთი მსხვერპლიცა, რომ ჩვენს ძველის დროითგან განთქმულს ქველის მოქმედებასა და კეთილშობილების ღირსებას შეეფერებოდეს და ერთი ერთმანეთს ხელი გაუმართოთ ჩვენის შვილებისა და შთამომავლობისა სწავლასა და განათლებაზედ: დროებითი სარგებლობა ქვეშეურდოთ სამუდამო სარგებლობას.

საჭირო არის ფული და საჭირო არის ზრუნვა. ფულის მოკრეფის განზრახვა რამდენგზისმე უწინაც წარმოთქმულა ჩვენს საზოგადოებაში... ახლანდელს დროში ფულის მოკრეფა სრულიად აღარ არის საფიქრებელი.

ფული ჩვენ გვეძლევა ყმების სამსახურის სამაგიეროდ. ბევრი მოგვეცემა თუ ცოტა, ხელმწიფე იმპერატორის წყალობის ზომაზედ არის დამოკიდებული; რაც მოგვეცემა აქედან გადავსდვით წილი, რომელიმე, რომ ამ წილმა იტრიალოს ჩვენის საზოგადოებაშივე და იმის სარგებლით შევიყვანოთ გიმნაზიაშიც და ინსტიტუტშიაც ჩვენი ქალები და ვაყები, ზოგი გაჭირებულისა და ზოგი შემძლე დედამამის შვილები, და ვალებიც გავისტუმროთ.

მანათილამ რომ ერთი აბაზი დავსთმოთ, მაშინ შევძლებთ ვალების გასტუმრებასაც, რომელიც არის ათას სამას თუმანადისინ, და ასორმოცდაათამდის ქალებისა და ვაყების აღზრდასაც, ჩვენი საქ-

მე ამით ერთს კარგს ნაბიჯს გადასდგამს დაწინაურების გზაზედ, და საქმე ხომ მოგეხსენებათ პირველი ნაბიჯია...

ამაზედ დაწვრილებითი პროექტის შედგენა. მმართველობის წინაშე შუამდგომლობა და სხვა საქმის დასაწყობი განკარგულება, სხვათაშორის ესეც რომ თავნი მარად ხელუხლებლად იყოს და მისი სარგებელი მხოლოდ ამ საქმესა ხმარდებოდეს, ეს ყოველივე საკუთრად ჩემი ვალი არის, დაწესებას შევადგენ და თავის დროზედ გაგაშინჯებთ.

მხოლოდ მანეთზედ აბაზი გადავსდვით იმ ფულიდამ, რაც ყმების სამსახურის სამაგიეროდ გვებოძება.

ამას მე ვითხოვდი საზოგადოებისაგან დიდის ვედრებით; მაგრამ ვიცი რომ ჩვენს საზოგადოებას თხოვნა კი აღარ უნდა ამისი, მხოლოდ მოგონება უნდა. წინააღმდეგობას თუ ინებებს ვინმე, მე ამას ვერას დროს ვერ ვიფიქრებ და ქართველთ კეთილშობილებას მე ამას ვერ ვაკადრებ.

მხოლოდ თქვენს ბრწყინვალებას მოვმართავ, რომ ეს ჩვენი აზრი განავრცელოთ ჩვენს საზოგადოებაში და თუ უეზდის საზოგადოების შეკრება მოხდება სხვა საჭიროებისათვის რისთვისმე, მაშინ ჩემათ გარდასცეთ ეს აზრი შეკრებილებას და რასაც ინებებენ, პროტოკოლი შეადგინოთ კანონისამებრ და მე მიბოძოთ თავის აღვლს წარსადგენად.

ერთს დაუმატებ კიდევ. რა რომ საქმეს შეუდგებით, საფუძვლიანად უნდა შეუდგეთ, რომ კეთილს განზრახვასა შედგომილებაც კეთილი დაჰყვეს.

საფუძველი ამ საქმისა ეს არის, რომ თუ მოსალოდნელის ფულიდამ ნაწილს გავიმეტებთ ამ საქმისათვის, გავიმეტოთ არა ნაკლებ 20%, ე. ი. მანეთზედ ერთი აბაზი. თუ შეკრებილებამ უმეტესის ხმით მეტი დააწესა, ეს უკეთესი; ოღონდ თანასწორივი იყოს ყოველთათვის, რომ სხვადასხვა ნაწილის დაწესებით ანგარიში არ დაბრკოლდეს. თვითონ ჩვენი მარშალი რას იმეტებსო თუ იკითხა ვინმემ, მე დიდის სიამოვნებით გადავდებ ნახევარს იმ ფულიდამ, რაც ჩემსა და ჩემის ძმების ოჯახს შეხვდება, ესე იგი 50%; ერთის სიტყვით რასაც უეზდის შეკრებილება დააწესებს, მეც სიხარულით თანაწარვხდები, ოღონდ ნაკლები არ იყოს მანეთზედ აბაზისა“.⁴

საქმის წარმატებით დაგვირგვინების მიზნით დ. ყიფიანს სურს დაიყოლიოს გუბერნიის თავადაზნაურობის გავლენიანი პირები. იგი მიმართავს ცირკულარული წერილით შემდეგ პირებს: ივანე

⁴ საქ. სსრ ცხია, ფონ. 214, აღწ. 1, საქ. 3366, ფურ. 4,5.

მალხაზის ძე ანდრონიკაშვილს, დიმიტრი თამაზის ძე ორბელიანს, გიორგი რომანის ძე ერისთავს, რევაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილს, დავით ალექსანდრეს ძე ჰავკავაძეს, რამაზ დიმიტრის ძე თარხან-მოურავს, დიმიტრი ივანეს ძე აფხაზს, ზაქრო სტეფანეს ძე ავთანდილოვს, კონსტანტინე ქაიხოსროს ძე მამაცაშვილს, გაბრიელ ივანეს ძე ყორღანოვს და გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანს.

დიმიტრი ყიფიანი და გრიგოლ ორბელიანი ამ დროს ერთმანეთს ემდუროდნენ. მათ შორის კონფლიქტი დაკავშირებული იყო თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშლად დ. ყიფიანის არჩევასთან.⁵ თვითონ დ. ყიფიანი თავის მემუარებში შემდეგს წერს:

⁵ ამ საკითხზე ა. ფურცელაძე, რომელიც პირადად ესწრებოდა თავადაზნაურთა წინამძღოლის ასარჩევად მოწვეულ საგუბერნიო კრებას, შემდეგს მოგვითხრობს: «Кипиани был из простых дворян... При наместнике Кавказском, Великом князе Михаиле Николаевиче была выдвинута кандидатура Кипиани в Тифлисские губернские предводители дворян. Почти вся знать, во главе с кн. Гр. Орбелиани и Иваном Мухранским, была против этой кандидатуры. Это был первый случай, когда в предводители не только в губернские, но и уездные выдвигалась кандидатура дворянина.

На губернское собрание наехало масса дворян, чего до того никогда не бывало. В выборах Кипиани дворянство было заинтересовано тем, что он обещивал за освобождение крестьян выхлопотать большое вознаграждение. Такое обещание мирило большинство князей с мыслью иметь предводителем не-князя.

Наступили выборы.

Передние ряды заняли генералы, статские и действительные статские советники и т. п. крупные персоны. Стали называть кандидатов. Громадное большинство голосов стало указывать на Кипиани. Передний ряд, во главе с кн. Гр. Орбелиани и Иваном Мухранским, с большим гневом, тоном начальства, тоном повелительным стали кричать на публику, протестуя против кандидатуры Кипиани. Голоса за Кипиани стали сильнее раздаваться. Тогда автор „მეზა ბოქულაჲ“ და „სადლეგრატელა“ Гр. Орбелиани стал держать речь против Кипиани, говоря, что позор для дворянства выбирать в свои предводители простого дворянина. Когда после того, посыпались бурные протесты, кн. Орбелиани прибег к более внушительному протесту.

Он, как представитель высшей в крае власти заявляет, что Кипиани за неблагонадежность уволен со службы, что правительство не доверяет ему и что выбор не будет утвержден. Это еще больше вызвало бурю в публике.

Такого упорного сопротивления передние ряды не ждали со стороны дворянства и не могли этого потерпеть. Кн. Иван Константинович Багра-

„როდესაც თავად-აზნაურობა ახალ არჩევნებს უნდა შესდგომოდ, გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა, რომლის მაზრას უფრო ვეკუთვნოდი ჩემის ცენზით, თავად-აზნაურთა გადაუღებელ საკიროების გულისათვის, ზუგდიდიდან, სადაც სამეგრელოს აპეკის საქმეებზე ვიყავი, ტფილისში გამომიწვია.

ტფილისში თავად-აზნაურობა გაცხარებულ აგიტაციაში გართული დამხვდა.

წინამძღოლმა გამომიცხადა, რომ დიდი უმრავლესობა ჩამოსული თავდაზნაურობისა ჩემს კანდიდატურას აყენებს გუბერნიის წინამძღოლად, მაგრამ ამისი დიდი წინააღმდეგნი არიან წარმომადგენელი ორი არისტოკრატიული სახლისა, იმ სახლისა, რომელნიც

тион-Мухранский вскочил с места, повернулся к протестующим, и топом корпусного командира к солдатам стал кричать на публику за ее дерзость, не слушать генералов. И когда на это ответили еще более бурным протестом, Мухранский вышел из себя и стал рычать.

— Как! Бунтовать?! Это бунт! Прокурора сюда! Хотят бунтовщика выбрать в наши предводители! Прокурора!

До того довольно храброе дворянство, не хотевшее подчиниться воле высших представителей, как сословья, так и власти, при слове «прокурор!» оробело. Все струсили, смолкли при одной мысли встретиться с прокурором, который служил большим пугалом для всех. Нас всех из страха вывел молодой офицер, кажется артиллерист, штабс-капитан или капитан, как потом нам сказали, некто кн. Александр Аргутинский-Долгоруков.

— Что такое?! — раздался вдруг его голос с центра собрания. Звать прокурора в дворянское собрание?! Называть бунтовщиками собрание дворян?! Звать бунтовщиками громадное большинство за то только, что оно не хочет подчиняться требованиям горсти меньшинства! Бунтовщики не большинство а меньшинство, что не признают прав большинства. Не нравится вам желание большинства, можете оставить собрание и уйти, или выразить свой протест своим шаром. Каждый из нас имеет один шар и мы все тут равны перед законом. Вот ваше право!.

Кн. Мухранский был озадачен. Он, видимо, не ждал такого отпора. Были озадачены и его единомышленники. Заметив это, дворянство набралось смелости и даже дошло до дерзости. Вдруг раздался крик «Долой Мухранского!! Вон кн. Мухранского!!!».

Пораженный такой дерзостью, тогда-то и произнес кн. Гр. Орбелиани свою историческую фразу: „საქართველო მამის დაიღუპა, როცა მე და წვიმიტომე ერთმანეთს შეგვასწორეს“! т. е. тогда-то и погибла Грузия, когда со мною сравняли Тивимитидзе (простого дворянина).

Кипиани был выбран почти единогласно. И, несмотря на все страхи, которые кн. Орбелиани предвещал, Кипиани был утвержден в должности губернского предводителя. (Газ. «Закавказская речь» за 1912 г. № 132).

დღემდე მხოლოდ ერთადერთი იძლეოდნენ ამ თანამდებობის კანდიდატებს, სახელდობრ — თავადნი ბაგრატიონ-მუხრანსკები და ორბელიანები.

— ყველა თავადის გვერდის ახვევა და უბრალო. უტიტულო აზნაურის კანდიდატურის წამოყენება შეუძლებელია, ეს არასდროს არ ყოფილაო, — ამბობდნენ თურმე ისინი, — ამას ხელი უნდა შეუშალოთ, რაც არ უნდა დაგვიჯდესო...

გუბერნიის ყრილობა გაიხსნა თებერვლის დამდეგს 1864 წ...

კანონი მოითხოვდა გუბერნიის წინამძღოლობაზე კენჭი ეყარათ: უპირველესად იმ პირისათვის, რომელსაც ეს ადგილი ეჭირა, მაგრამ ეს პირი პარიზში იმყოფებოდა და არაფერი განცხადება არ სჩანდა იმისაგან, შემდეგ კენჭის ყრა ეკუთვნოდა ყველა ყოფილ გუბერნიის წინამძღოლებს; მაგრამ იმათში ცოცხალი აღარავინ იყო. შემდეგ კენჭი უნდა ეყარათ გიმნაზიის საპატიო მზრუნველისათვის.

კრების თავჯდომარემ, თბილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა, გამოსთქვა კანონის ეს მოთხოვნა და განაცხადა, რომ კენჭის ყრა ეკუთვნის დ. ი. ყიფიანს, როგორც გიმნაზიის საპატიო მზრუნველსო.

აქ თ-დი ივ. კონს. ბაგრატიონ-მუხრანსკი აწოდებს ქალაქს და სიბოვის ყრილობას წაუკითხოს.

თ-დი ზაალ ბარათოვი კითხულობს მეფის მოადგილის ნებართვას „იმ შემთხვევაში, თუ გუბერნიის წინამძღოლის თანამდებობაზე კენჭის ყრას მის კარის კაცად მყოფი გენერალ-ლეიტენანტი თავადი რევაზ ანდრონიკოვი მოისურვებს“.

დიდი შთაბეჭდილება.

ღრმა სიჩუმეში წამოდგება სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი სოლომონ ივ. ანდრონიკოვი და, როგორც ღვიძლი ძმა იქ არ მყოფი დასახელებული კანდიდატისა, უცხადებს ყრილობას მისი სახელით, რომ იმას კენჭის ყრა არ სურს.

შთაბეჭდილება გამაშტერებელი.

მაშინ დადგება ყრილობის პირველი რიგის წინ თავადი გრიგოლ დიმიტრის ძე (ორბელიანი — ი. ა.) და თავისათვის სრულიად უჩვეულო აღელვებით და გაცხარებით ამბობს ასეთს სიტყვას: წინამძღოლად ამორჩევა არა საპატიო თავადის, არამედ უბრალო აზნაურისა, შეურაცხყოფა მთელი საზოგადოებისათვის; ამორჩევა ყიფიანისა კი უფრო მეტი შეურაცხყოფა იქნება, ვინაიდან ის გამოგდებულა სამსახურიდანო!

— ვიცი! ვიცი! — ყვირიან ყოველი მხრიდან.

მაგრამ სიტყვა გამოგდება მართლა რომ მოთმინებიდან გამომავლო და ამ საჯარო შეურაცხყოფაზე შემდეგი სიტყვებით ვუპასუხე: „დიდად შესაწუხებელია ჩემთვის, რომ წინააღმდეგი ლაპარაკი მიხდება თ-დ გრიგოლ დიმიტრის ძესთან, რომელსაც ყოველთვის ეკუთვნოდა ჩემი ღრმა პატივისცემა; მაგრამ ყრილობას ფაქტი უნდა განუმარტო; შარშან მაგან, მეფის მოადგილის თანამდებობას რომ განაგებდა და თავადი ბარიატინსკის ბრძანებას ასრულებდა, სამსახურიდან დათხოვნაზე წარმადგინა. გამოვიდა უმაღლესი ბრძანება ჩემი სამსახურიდან დათხოვნისა თ ა ნ ა ხ მ ა დ ს უ რ ვ ი ლ ი ს ა. მე არ მითხოვნია ეს დათხოვნა; მაგრამ არ მითხოვნია აგრეთვე არც პენსია, არც მუნდირი; მე კი მებოძა ერთიც და მეორეც; გამოგდებულებს არც ერთს და არც მეორეს არ აძლევენ!“

— ვიცი, ვიცი! გვსურს ყიფიანი, უკენჭოთ, უკენჭოთ... შემდეგ თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ გუბერნიის წინამძღოლის ადგილზე კენჭს იყრის ახლანდელი საპატიო მზრუნველი გიმნაზიისა დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი.

თავად გრ. დიმ. ორბელიანი აცხადებს, რომ მონაწილეობას არ მიიღებს ამ კენჭის ყრაში და გადგება განზე. მას მიჰყვებიან გენერლები: თ-დი ივ. კონსტ. ბაგრატიონ-მუხრანსკი, თ-დი გიორგი რომან. ერისთავი, თ-დი ივ. შალიკოვი, მიხ. გაბრ. ყაზბეგი, ალექს. დიმ. საგინოვი და მათთან კიდევ ოცდაცხრა კაცი, რომელნიც ყრილობიდან გამოყოფილ ცალკე ჯგუფს წარმოადგენენ.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ ვინც ამ კენჭის ყრაში მონაწილეობას არ მიიღებს, დამსწრეთ არ ჩაითვლება და არც ერთ მათგანს კენჭი არ ექნება ამ სხდომაზე.

შემდეგ დაიწყო კენჭის ყრა, მიმდინარეობდა სრულის წესდებით და შედეგად გამოიტანა: თეთრი კენჭი 273; შავი — 4... ასე დაშთავრდა 16 თებერვალს 1864 წ. არჩევნები სამის წლით: 1864 — 1866 წლამდე.

მაგრამ თავადი გრიგოლ დიმიტრის ძე ლოგინად ჩავარდა და თვე ნახევარი იწვა. მეფის მოადგილე ნახულობდა მას და ამშვიდებდა, რომ ყიფიანს არ დაამტკიცებენო, და მართლაც, უმაღლესი დამტკიცება მხოლოდ აპრილის დამლევს გამოვიდა“⁶.

მიუხედავად ყოველივე ამისა, იცოდა რა გრიგოლ ორბელიანის ძალა და გავლენა მაღალ სფეროში, ასევე აზნაურთა დაბალ წრეებ-

⁶ დ ი მ ი ტ რ ი ყ ი ფ ი ა ნ ი, მემუარები, თბ., 1930, გვ. 98—99.

ში, და რომ ხელი არ შეეშალა ამ საქმისათვის, დ. ყიფიანმა სთხოვა გ. ორბელიანს დაევიწყებინა ყოველივე მათ შორის გავლილი და დახმარებოდა მას სერიოზული ამოცანის განხორციელებაში. წერილი გ. ორბელიანისადმი, რომელიც 1869 წ. 31 აგვისტოს რიცხვით არის დათარიღებული, მით არის საინტერესო, რომ იგი სულ ახლახან გადატანილი ისტორიული ბრძოლის შემდეგ. პირველი მიმართავს გრიგოლ ორბელიანს და მოუწოდებს მას შეთანხმებულად იმუშაონ თავადაზნაურთა წოდების საკეთილდღეოდ.

„მოწყალეო ხელმწიფეო, კნიაზო გრიგოლ დიმიტრის ძე! კერძობითად მე იქნება დანაშაული მიმიძლოდეს რამე ისეთი თქვენს წინაშე, რომ ღირსი ვიყო წყრომისა, — თუმცა კი დიდის სიამოვნებით შევიწინებდი, რომ ვიცოდე; — მაგრამ რაც მოხდა მოხდა; მარშალი ვარ ახლა და საკუთრად ამ წოდების ვალდებულებით მოვმართავ თქვენს ბრწყინვალებას: დიდს შემწეობას გვედრებით, არა ჩემთვის. არამედ საზოგადო საქმისათვის, რომელსაც უეჭველია, ყურადღებასაც მიაპყრობთ და არც თქვენის კეთილის გულისაგან შეუწყნარებლად განაგდებთ.

პირი მომირთმევი ამათანავე უეზდის მარშლებთან ჩემის მიწერილობისა და საქმეს აქედამ მოიხსენებთ. თუ თქვენის სახიერის გრძობით სასარგებლოდ ჰპოვოთ ეს საქმე ჩვენის საზოგადოებისათვის, პირადს ჩემს დამდურებას ნულარ მოიხსენებთ და თვით საქმეს დაავალეთ თქვენის სიტყვითა და მონაწილეობით“⁷.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დ. ყიფიანი თავდაპირველად იმის ცდაში იყო, რომ სწავლა-განათლებისათვის ცალკე თანხა შეეგროვებინა, მაგრამ მალე იგი ბანკს დაუკავშირა და საფუძველი ჩაეყარა საადგილმამულო საკრედიტო დაწესებულების დაარსების საქმეს.

„დ. ყიფიანის პროექტით ბანკი უნდა გამხდარიყო თავადაზნაურთა წოდების ეკონომიური ბრძოლის იარაღი, მისი მატერიალური ბაზის შემანარჩუნებელი და წინ წამწევი, ხოლო სწავლა-განათლება და შკოლა იდეური ბრძოლის იარაღი, ასე ვსთქვათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში პირველობის შემანარჩუნებელი საშუალება“⁸.

დ. ყიფიანი 1864 წლის 9 ნოემბრით დათარიღებულ მიმართვაში „საზოგადოთ თავადაზნაურობის წევრთა მიმართ“ ითხოვდა ბანკის დასაარსებლად საჭირო თანხის გაღებას. ამ მიმართვაში განსაზღვ-

⁷ საქ. სსრ ცსია, ფონ. 214, აღწ. 1, საქ. 3366, ფურ.6.

⁸ ს. ხუნდაძე, დიმიტრი ყიფიანი, თბ., 1936, გვ. 154—155.

1864.

177.

სწავლის განხორციელება და დასრულება.

X

მწიგნობრობის განხორციელება

სწავლის განხორციელება

უცხოეთში მყოფი სწავლის განხორციელება -
 ცნობილია, რომ სწავლის განხორციელება და მისი უფრო ~~განხორციელება~~
 განხორციელება - თუმცა ეს მისი სწავლის განხორციელება
 განხორციელება, და ვინაშით, - ვინაშით, სწავლის განხორციელება,
 და მისი განხორციელება განხორციელება -
 - ეს განხორციელება განხორციელება განხორციელება განხორციელება
 განხორციელება განხორციელება განხორციელება განხორციელება,
 ეს განხორციელება განხორციელება განხორციელება განხორციელება,
 განხორციელება განხორციელება განხორციელება განხორციელება,
 განხორციელება განხორციელება განხორციელება განხორციელება.

სწავლის განხორციელება განხორციელება განხორციელება განხორციელება.
 განხორციელება განხორციელება განხორციელება განხორციელება.
 განხორციელება განხორციელება განხორციელება განხორციელება.
 განხორციელება განხორციელება განხორციელება განხორციელება.
 განხორციელება განხორციელება განხორციელება განხორციელება.

სწავლის განხორციელება განხორციელება განხორციელება განხორციელება.
 განხორციელება განხორციელება განხორციელება განხორციელება.

ჯრული იყო ბანკის მიზნები და ამოცანები, საჭირო სახსრები და მისი წყაროები, რომლითაც უნდა შემდგარიყო დასაარსებელი ბანკის ძირითადი კაპიტალი. იგი წერდა:

„ჩვენმა ყმებმა თავისუფლება მიიღეს: მათის სამსახურის მაგიერად ჩვენ გვეძლევა ხელმწიფის სიუხვიდგან ფული. სიმართლით და წინათმხედველობის ვალდებულებით რიგი იქნებოდა, რომ ეს ფული სულერთიანად ან უმეტესი ნაწილი მაინც, შესანახავად გადაგვედვა ჩვენის შვილებისა და მემკვიდრეებისათვის.

მაგრამ იტყვიან რომელნიმე. ამ უმად თვითონ ჩვენ გვიჭირს საქმეო... და ჩვენ შთამომავლობას რომ არა დაუგდოთ რა. ვის რა დავა აქვსო.

დიად მართალი და დიად საფუძვლიანი იქნება ეს სიტყვა. მაგრამ ჩვენში მე ისრეთი შვილების პატრონი მამა არავინ მეგულება, რომ ამ სიტყვას დაადგეს და შვილებისათვის სულ აღარ იზრუნოს: — არც არავინ უშვილო მეგულება, ისეთი, რომ იტყოდეს, მე კარგად ვიყო და ქვეყანა წყალსამც წაულიაო.

ამისგამო არა იმათ, არამედ ყოველთავე თავად-აზნაურთა მოგმართავთ რომელთაც შეგიძლიათ ნათელის გონიერებითაც ცხადად დაინახოთ და განწმენდილის გულითაც კარგათ ასწონოთ, ვის რა ვალდებულება გვაძევს წინაშე ღვთისა, ან რა პასუხის გამცემნი უნდა იყვნეთ თქვენის შვილებისა, თქვენის საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე, — თუ ღღევანდელი ნიჭი უნაყოფოთ მოიხმარეთ... მე მხოლოდ ამას გირჩევთ, გთხოვთ და გვედრებით რომ ერთი მე ხ უთე დ ი მაინც გადასდეთ თქვენთ ვის ვე სახვალიოდ, და თქვენის შვილებისა შვილის-შვილებისა და უშორესის შთამომავლობისათვის...

სხვაგან თხოვნასა და ფულის გამსესხებლების მიმართვასა არ ემჯობინება? უფრო სასარგებლო არ იქნება? რომ საჭირო ფული ჩვენის საკუთარი ბანკიდან გაგვექონდეს? მეტადრე მაშინ როდესაც დაწესება სარგებლის რაოდენობისა და ვალის გარდახდის რიგისა ჩვენზედვე არის დამოკიდებული, რომ როგორც საერთო თანხმობით ვამჯობინებთ ისე დაეაწყოთ? რა დაგვიშლის, რომ ჩვენს ბანკს ისეთი სარგებელი დაუწესოთ, რომ ჩვენთვის სასარგებლო იყოს? რა დაგვიშლის ისეთი კანონები დაუდგინოთ, რომ ჩვენს ბანკში შეტანილი მამული კი არ გვეყიდებოდეს, დროებითად შევიდოდეს ხოლმე ბანკის გამგებლობაში მანამდისინ ვალი გაიწმინდებოდეს — ასე რომ ვისაც ბანკის ვალი ემართება, ან თვითონ იმას, ან იმის

შვილსა თუ შვილის-შვილსა თავისი მამულის დახსნა და გატანა ყოველთვის შეეძლებოდათ?..

. და თუ ბანკის შემოსავლისა რომელიმე ნაწილი ჩვენის შვილებისა და შთამომავლობის აღსაზრდელად გადავსდეთ, — მაშინ, — გთხოვთ კარგად დაუფიქრდეთ ამასა, რაოდენად შეიმსუბუქებთ თქვენს მამობრივ ვალდებულებასა და რაოდენად ხელს მოუმართავთ მრთელის საზოგადოების განათლებასა!! ხომ კარგად იცით, დღეიდან განათლება არის ჩვენი ფეხზედ დამყენებელი იმედი!

—ნუ აჩქარდებით უარის სათქმელად; აჩქარება მხოლოდ კეთილის საქმისათვის არის კარგი, — და აქ თუ უარი წარმოვსთქვით, გამოტეხილი უნდა ვსთქვა, რომ ისეთი ცუდი საქმე დაგვემართება ყოველთავე, რომ გამოკეთება აღარას დროს არ შეიძლებოდეს“.⁹

არჩილ ჯორჯაძე აღნიშნავს: „ღიმიტრი ყიფიანის ოპტიმიზმი უსაზღვრო იყო. განათლების და სწავლის იმედი რომ ჰქონდა, ამაში მართალი იყო, ხოლო იმგვარი ბანკის დაარსება, როგორც ისახება ზემოთ მოყვანილ სიტყვებში არც ისეთი ადვილი იყო. ამაში თვით ღიმიტრიც რწმუნდებოდა ბანკის წესდების შედეგსა რომ შეუდგა“.¹⁰

ღიმიტრი ყიფიანის მოწოდებას და ცირკულარულ წერილს მთელი გუბერნიის თავადაზნაურობა თანაგრძნობით შეხვდა. 1864 წლის 26 ოქტომბერს სილნადის, ტფილისის, თელავისა და გორის მაზრების თავადაზნაურთა წინამძღოლები დ. ყიფიანს სწერდნენ: „თქვენი წინადადება სწავლა-განათლებისათვის სააზნაურო კაპიტალის შექმნის თაობაზე უნდა მოხსენდეს თავად-აზნაურთა კრებას. ჩვეულებრივი საუბერნიო კრების მოწვევამდე დაცდა, დააყოვნებდა ჩვენს საქმეს, ამიტომ გვინდოდა გვეშუამდგომლა გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრების მოწვევის თაობაზე, რაც ამჟამად, თქვენთვის ცნობილი მიზეზების გამო შეუძლებელია. ამიტომ გთხოვთ, თუ შესაძლებლად მიიჩნევთ გამოითხოვოთ მთავრობის ნებართვა მაზრების თავადაზნაურთა საგანგებო კრებების მოსაწვევად, რომლებზედაც განხილული იქნება ზემოთ მოხსენებულ საკითხი“.¹¹

ღიმიტრი ყიფიანი არ აყოვნებს დააკმაყოფილოს მაზრების თავადაზნაურთა წინამძღოლების თხოვნა. იგი მათგან წერილის მიღე-

⁹ საქ. სსრ ცსია, ფონ. 214, აღწ. 1, საქ. 3366, ფურ. 13—14.

¹⁰ გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1913, № 805.

¹¹ საქ. სსრ ცსია, ფონ. 214, აღწ. 1, საქ. 3366, ფურ. 8.

ბის მეორე დღესვე 1864 წ. 27 ოქტომბერს მიმართავს სამოქალაქო გუბერნატორს გამოითხოვოს ნებართვა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა სამაზრო საგანგებო კრებების მოწვევის თაობაზე.¹²

1864 წ. 20 ნოემბერს სამოქალაქო გუბერნატორი ატყობინებს დ. ყიფიანს, რომ მთავრობა ნებას რთავს, მოწვეულ იქნეს თავადაზნაურთა სამაზრო საგანგებო კრებები, რომლებზედაც განხილული იქნება თავადაზნაურთა ახალგაზრდების აღზრდისათვის საჭირო საზოგადოებრივი კაპიტალის შექმნის საკითხი. „სამაზრო საგანგებო კრებები დროის მიხედვით ისე უნდა იქნეს დანიშნული, რომ თქვენ შესაძლებლობა გექნეთ ყოველ კრებას დაესწროთ და საჭიროების შემთხვევაში მისცეთ სათანადო ახსნა-განმარტება“¹³.

თავადაზნაურთა სამაზრო საგანგებო კრებები ჩატარდა ქ. გორში 1864 წ. 17 დეკემბერს, ქ. თბილისში, სიღნაღში და თელავში 1865 წლის იანვარ-თებერვალში. მაზრის საგანგებო კრებებზე პირადად ესწრებოდა დ. ყიფიანი და სათანადო ახსნა-განმარტებას აღევდა კრებას.

გორის მაზრის თავადაზნაურთა საგანგებო კრებაზე, რომელიც შედგა 1864 წ. 17 დეკემბერს, გამოცხადდა 106 კაცი. 74 ხმით, წინააღმდეგ 32-ისა. კრებამ მოიწონა გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის წინადადება და დაადგინა სათავადაზნაურო კაპიტალის შესადგენად და ამ თანხით ბანკს დასაარსებლად გლეხების გათავისუფლებისათვის ნაბოძები ფულიდან, რაც თავადაზნაურობას უნდა მისცემოდა, გადადებული ყოფილიყო 20%, ე. ი. 5 მანეთი ერთ სულზე.

შემდეგში იმ აზნაურებიდან, რომლებიც კრებას არ ესწრებოდნენ, 78 კაცმა მხარი დაუჭირა უმრავლესობის დადგენილებას, 8 კაცმა კი წინააღმდეგ მისცა ხმა, ამრიგად წინადადების სასარგებლოდ წერილობით წარმოდგენილი თანხმობა 1865 წლის მარტისათვის აღმოჩნდა 152, წინააღმდეგი კი 40.

უმრავლესობიდან სამმა პირმა: კონსტანტინე. იოსებ და ილია მამაცაშვილებმა ბანკის სასარგებლოდ შესწირეს მთელი თანხა, რაც ერგებოდათ გლეხების გათავისუფლებისათვის. პრაპორშჩიკმა მიხეილ ქავთარაძემ, რომელსაც გლეხები არ ჰყავდა, შესწირა 300 მანეთი და კოლეესკი სეკრეტარმა ყანჩელმა, რომელსაც აგრეთვე გლეხები არ ჰყავდა, შესწირა 100 მანეთი.¹⁴

¹² იქვე, ფურ. 9—10.

¹³ იქვე, ფურ. 17.

¹⁴ იქვე, ფურ. 35.

თბილისის მაზრის თავადაზნაურთა საგანგებო კრებას, რომელიც 1864 წ. 15 იანვარს შედგა, დაესწრო 70 კაცი. კრებამ გორის მაზრის აზნაურთა კრების გადაწყვეტილების ანალოგიური დადგენილება მიიღო 68 ხმით 2-ის წინააღმდეგ. საბოლოოდ 1865 წლის მარტისათვის უმრავლესობას მიემხრო კრებაზე არდასწრებულთაგან 9 პირი, რომელთაგან ორმა: ლეონიდე და ივანე ბარათაშვილებმა, რომელთაც გლეხები არ ჰყავდათ და მაშასადამე ფულს ვერ მიიღებდნენ, შესწირეს ბანკს თავიანთი მეურნეობის შემოსავლის გარკვეული ნაწილი 15 წლის მანძილზე. ამგვარად, თბილისის მაზრაში წინადადების მომხრე აღმოჩნდა 77 კაცი, წინააღმდეგ 2.¹⁵

სიღნაღის თავადაზნაურთა საგანგებო კრებას დაესწრო 63 კაცი. კრებამ თავის დადგენილებით 28 იანვარს ერთხმად მოიწონა ბანკის დაარსების წინადადება და გადაწყვიტა 20% გადადება იმ ფულიდან, რომელიც მათ ეძლეოდათ გლეხების გათავისუფლებისათვის. სამაზრო კრების დადგენილებას შემდეგში წერილობითი განცხადებებით შეუერთდა 77 კაცი, რომელთაგანაც სალომე ჯორჯაძემ ფულის 1/5 ნაწილის გარდა, დამატებით შესწირა 200 მანეთი. ამრიგად, სიღნაღის მაზრაში მთელი ხმები (140) წინადადების სასარგებლოდ აღმოჩნდა.¹⁶

თელავის მაზრის აზნაურთა საგანგებო კრებას, რომელიც შესდგა 1865 წლის 2 თებერვალს, დაესწრო 58 კაცი. კრებამ ერთხმად დაადგინა შეერთებოდა ბანკის დაარსების წინადადებას. შეჰდგა განსაკუთრებული წერილობითი განცხადებებით შეუერთდა კრების დადგენილებას ბანკის დაარსების შესახებ 5 კაცი. ამათგან 2 აზნაური, მღვდელი ერემია ხირსელოვი და გამყრელიძე, რომელთაც გლეხები არ ჰყავდათ. თითოეულმა მათგანმა შესწირა ბანკს 100 მანეთი. ამრიგად, თელავის მაზრაში ბანკის დაარსების წინადადების მომხრე აღმოჩნდა 63. წინააღმდეგი არავინ. თბილისის გუბერნიის ყველა ოთხ მაზრაში წინადადებას ხმა მისცა 432, წინააღმდეგ — 42.¹⁷

ბანკის დაარსების მომხრე უმრავლესობიდან 172 იყო აზნაური და 260 — თავადი. დიმიტრი ყიფიანის წინადადების წინააღმდეგი უმცირესობა უმთავრესად გორის მაზრის თავადაზნაურობიდან იყვნენ; ისინი ფეოდალურ არისტოკრატიას ეკუთვნოდნენ და როგორც

¹⁵ საქ. სსრ ცნია, ფონ. 214, აღწ. 1, საქ. 3366,

¹⁶ იქვე, ფურ. 37.

¹⁷ იქვე, ფურ. 38.

ეკონომიურად ძლიერნი, ბანკის დაარსებას საჭიროდ არ მიიჩნევდნენ.¹⁸

1865 წლის 10 მარტს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი დ. ყიფიანი მოახსენებს თბილისის გუბერნატორს სამაზრო საგანგებო კრებების შედეგების შესახებ და თხოვს წარუდგინოს ისინი მთავრობას დასამტკიცებლად. ამასთან, თხოვნაში აღნიშნული იყო, რომ სააზნაურო კაპიტალის შესადგენად აზნაურთა დადგენილების დამტკიცებისათვის საჭირო იყო ხმების 2/3, აქ კი ხმების შეფარდება იყო 10 : 1.¹⁹

ბანკის დაარსების საჭიროება საეხებით ნათელი გახდა ჯერ კიდევ 1864 წელს. მეფის ნაცვლის მთავარმმართველობის დეპარტამენტის გამგე ბარანოვსკი ოფიციალურ მოხსენებაში წერს: „1864 წ. ბატონყმობის გაუქმების გამო ქართველ თავად-აზნაურობაში დაიბადა აზრი აზნაურული დამხმარე კაპიტალის დაარსების შესახებ, რათა ეს თანხა მოხმარდეს მეურნეობის გაუმჯობესების და თავადაზნაურთა ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. ხელმძღვანელი საქმისა, გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი დ. ყიფიანი, იმ აზრისა იყო, რომ აღნიშნული თანხა შედგენილიყო იმ ფულის წილიდან, რომელიც უმაღლესად უნდა მისცემოდა თავადაზნაურობას პირადი ვალდებულების მოსპობისათვის. ამ საქმის დასაწყისში შედგენილი ანგარიშით, ორი მილიონი ფულიდან, რომელიც ეძლეოდა თავადაზნაურობას, მხოლოდ 1/5, ე. ი. 350 ათასი მან. იქნებოდა საზოგადოებრივი თანხა. 1864 წლის დამლევს ეს წინადადება შეტანილი იყო განსახილველად უმაღლესად მოწვეულ საგანგებო სამაზრო კრებებზე. თავადაზნაურობა სრული თანაგრძნობით მიეგება ამ აზრს და, 432 ხმით წინააღმდეგ 42 ხმისა, გადასწყვიტა გადაიდოს ამ საქმისათვის გლახობიდან შემოსული ფულიდან 20% ამ ფულის ხაზინიდან მიღების დროს.“²⁰

რაკი ასეთი გადაწყვეტილება იქნა მიღებული (გუბერნიის სამაზრო საგანგებო კრებებზე), დიმიტრი ყიფიანი 1865 წლის 17 აპრილს სამოქალაქო გუბერნატორს უგზავნის წერილს, რომლითაც თხოვს გაიკეს განკარგულება გამოუქვითონ თავადაზნაურობას მისაღები ფულიდან 20% და ეს ფული სათავადაზნაურო კაპიტალის სახით შეინახონ ერთ-ერთ საკრედიტო დაწესებულებაში²¹.

¹⁸ იქვე, ფურ. 39.

¹⁹ იქვე, ფურ. 40.

²⁰ საქ. სსრ ცსია, ფონ. 214, აღწ. 1, ფურ. 13, 14.

²¹ გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1913, №805.

ამ პერიოდში თავადაზნაურობა მთლიანად ბატონყმობის საკითხის მოგვარებით იყო დაკავებული. აუცილებელი იყო დ. ყიფიანის ყოფნა სოფლებში, სადაც მიწების გამიჯვნას ახდენდნენ, ამიტომ ბანკის საქმე დროებით შეფერხდა, 1966 წლის აგვისტოში გაზეთი „დროება“ სარედაქციო წერილში აღნიშნავდა: „ტფილისის ლუბერნიის თავადაზნაურობა ამ ორი წლის წინათ ბანკის საქმეს შეუღდა, როგორც გვახსოვს, ფულიც შეკრიბა, მაგრამ არ ვიცით რა დაემართა ამ საქმეს.“²²

1867 წლის 6 მაისს მოიწვიეს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრება, რომელზედაც დიმიტრი ყიფიანი გამოვიდა გრცელი მოხსენებით მის მიერვე შემუშავებული ბანკის წესდების პროექტის საფუძვლების შესახებ. მან აღნიშნა, რომ კრებაზე განსახილველ საკითხებს შორის პირველ ადგილზეა ბანკის დაარსების საკითხი, რომელიც ყოველმხრივ უნდა იქნეს განხილული და ამას დადგენილებაც ისეთი უნდა მოჰყვეს, რომელიც შეეფერება კრების მაღალ დანიშნულებას.

რამდენადმე რომ შემსუბუქებულიყო მისი განხილვის შრომა, დ. ყიფიანი შეეცადა რაც შეიძლება მოკლედ გადმოეცა ამ საქმის ისტორია, ე. ი. მისი წარმოშობა და მომდინარეობა კრებამდე. შემდეგ მან კრებას მოუთხრო საკითხის მთელი არსის შესახებ. როგორც დ. ყიფიანი ამბობს, საქმე დაიწყო სრულიად უბრალოდ, ბატონყმობის გადავარდნას არ შეიძლებოდა საფუძვლიანად არ შეერყია თავადაზნაურთა მეურნეობა. ამასთან, არ შეიძლებოდა თავადაზნაურობას გაბედულად არ შეეხედა მომავლისათვის და იქ არ ეძებნა აღდგენა თავისი დანაკარგისა თუ მსხვერპლისა: „ამ მომავალში თავისთავად ისახებოდა ჩვენი მატერიალური დანაკარგების აღდგენის ერთადერთი საშუალება. ის ძალა, რასაც გვაძლევს ცოდნა. მაშასადამე, უნდა ვისწრაფოდეთ ცოდნის შეძენასა და განათლების გავრცელებას. მაგრამ რომ დავადგეთ ამ გზას და რამდენადმე შევამსუბუქოთ მთავრობის მიერ ამისათვის გაწეული უდიდესი ხარჯები, საჭირო იყო რაღაც არ უნდა დაგვედომოდა როგორმე შეგვექმნა საკუთარი დამხმარე კაპიტალი, რომელიც დასაყრდენი იქნებოდა ჩვენს ყოველდღიურ საჭიროებაში.“²³

„მაგრამ, როგორ უნდა შეგვექმნა იგი? — სვამს კითხვას დ. ყიფიანი და პასუხობს: — ფული ჩვენ გვეძლევა ყმების სამსახურის სა-

²² გაზ. „დროება“, 1866, №25.

²³ საქ. სსრ ცსია, ფონ. 394, აღწ. 1, საქ. 11772, ფურ. 2.

მაგიეროდ, რომ გაგვიადვილდეს ძნელი გადასვლა ძველიდან ახალ წესზე.

მხოლოდ ამ დახმარებაზე შეგვეძლო შეგვეჩერებინა ჩვენი ყურადღება. წარმოიშვა აზრი გამოგვეყო ამ ფულიდან ერთი ნაწილი განსაკუთრებული კაპიტალის შესაქმნელად. არავინ არ მიიწერს თავის თავზე ამ აზრს, არავინ არ თვლის თავის თავს ამ აზრის ავტორად, იგი არ შეიძლებოდა არ წარმოშობილიყო თავისთავად, შექმნილი მდგომარეობის გამო.

უმალესი მთავრობის ნებართვით, რომელიც მე გამოვითხოვე სამსახურებრივი წესით, მაზრების საგანგებო კრებებზე შევიტანე წინადადება ამის შესახებ, მაგრამ ამ კრებების დადგენილებებს არ შეიძლებოდა მიკუთვნებოდა ის მნიშვნელობა, რომელიც ეკუთვნის საგუბერნიო კრების დადგენილებას, და სწორედ ამიტომ საქმე თავისთავად გადაიდვა დღევანდელ კრებამდე. მე არ ვილაპარაკებ დაწვრილებით ამ საქმის ისტორიის სხვა მომენტებზე. საქმის განხილვის დასაწყისში მე არ შევჩერდები აგრეთვე მდგომარეობაზე, რომელიც აუცილებელია ყოველთვის სახეში გვექონდეს, სახელდობრ კანონით ბოძებულ ჩვენს უფლებაზე, შევადგინოთ ჩვენი კაპიტალი და ფავცეთ მისგან სესხი ბანკის უფლებით მამულის გირაოთი. ამ კაპიტალის შედგენა გათვალისწინებული იყო იმ ფულის 1/5 ოდენობით, რომელიც ჩვენ მოგვეცემოდა მთავრობისაგან ყმების სამსახურის სანაცვლოდ. ამრიგად, ნეარაუდევო იყო, რომ ჩვენი ბანკის ძირითადი კაპიტალი შეადგენდა 340 — 350 ათას მანეთს.

სანამ კაპიტალის ოდენობა გამოისახებოდა ჩვენი განათლების საჭიროებისათვის, ჩვენ ვფიქრობდით, მოგვეწყო კრედიტი კერძო საფუძველზე, მაგრამ მალე გამოირკვა კრედიტის საჭიროება საზოგადოებრივ საწყისებზე. მას შემდეგ, რაც საადგილმამულო კრედიტს, საერთოდ სახელმწიფოში ღრმა ცვლილებები უნდა განეცადა თავის საფუძველებში, არ შეიძლებოდა არ წარმოშობილიყო ბუნებრივი სურვილი, რომ თვითონ საზოგადოებას მოეწყო ისეთი დაწესებულება, რომელსაც შეეძლებოდა თავის თავზე მიეღო ამიერკავკასიის საზოგადოებრივი მზრუნველობის — „პრიკაზის“ ზოგიერთი ფუნქცია. ეს აზრი თბილისის გუბერნიიდან ეცნობა ქუთაისის გუბერნიას და იქ, როგორც ცნობილია, შეკრებილია გაცილებით მეტი, ვიდრე ჩვენთან, ასეთივე საკრედიტო დაწესებულების დასაარსებლად.

მე არ შევჩერდები საქმის დეტალებზე და წარმოვიდგინო განსახილველად მხოლოდ ძირითად საფუძვლებს და დაწესებულების საერთო გეგმას, რომ თქვენს მიერ ამ გეგმის დამტკიცებამდე, შევუდგეთ მის დაწვრილებით განსჯას, არა თუ ზედმეტი იქნება, არამედ შეუძლებელიც. რაც შეეხება ამ საფუძვლების შემდგომ განვითარებას, ეს გაკეთებული უნდა იქნეს ბანკის დაწვრილებით წესდებაში, რომლის შედგენას შეიძლება შევუდგეთ მხოლოდ მას შემდეგ, როცა განხილული იქნება წარმოდგენილი მთავარი საფუძვლები. ზოგიერთი კერძო საკითხები, როგორცაა მაგალითად შეფასების დაწვრილებითი წესის შედგენა გადადებული უნდა იქნეს მთავრობის მიერ ბანკის წესდების დამტკიცებამდე. ამისათვის ეხლა ჩვენ სახელდობრ გვჭირდება: 1) განვსაზღვროთ იმ ოპერაციათა წრე, რომელიც გათვალისწინებულ საკრედიტო დაწესებულებას დაევალება; 2) გამოვძებნოთ ბანკის ძირითადი კაპიტალის შექმნის საშუალებები; 3) დავადგინოთ იქედან სესხის ფაცემის და სარგებლის გადახდის მთავარი საფუძვლები და 4) შევიმუშაოთ ბანკის აღმინისტრაციის მუშაობის საერთო წესი.

ამ ოთხი საკითხის გადაწყვეტით სავსებით ისახება დაწესებულების საერთო გეგმა, და ირკვევა მთავარი საფუძველი, რომლის მიხედვითაც უკვე შეიძლება შევუდგეთ წესდების შედგენას.“²⁴

დ. ყიფიანი აღნიშნავს, რომ მან გადაწყვიტა სიტყვა-სიტყვით გადმოელო იმპერიის სხვა კერძო ბანკების წესდებათა საფუძვლები, იგი ცდილობდა მოენახა ისეთი გადაწყვეტა, რომელიც ყველაზე უფრო შეეხამებოდა მხარის ადგილობრივ თავისებურებებს.

„ჩვენ თავიდანვე ვფიქრობდით, გამოგვეყენებია ჩვენს განკარგულებაში არსებული თავისუფალი თანხები არა იმდენად პირადი კომერციული სარგებლობისათვის, რამდენათ ჩვენი საერთო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, როგორც ახლა, ისე მომავალში. ამის გამო აღნიშნული ამოცანების გადაწყვეტისას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექციოთ ორ გარემოებას: 1) ჩვენი ბანკის ოპერაციების წრე დასაწყისში უნდა მოიცავდეს ჩვენს არსებითს საჭიროებებს, შემდეგში კი გაფართოვდეს თვით ოპერაციების განვითარების კვალობაზე 2) ბანკი არ გადაიქცეს კომერციულ, კერძო პირების, რომელიმე ცალკე ჯგუფის ან კაპიტალისტების შემოსავლის წყაროდ, ჯრამედ შეინარჩუნოს სავსებით საზოგადოებრივი დაწესებულების ხასიათი. ორივე ეს გარემოება

²⁴ საქ. სსრ ცსია, ფონ. 394, აღწ. 1, საქ. 11772, ფურ. 4—5.

ისე მკიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ შეუძლებელია მათი განცალკევება; რადგან გასაგებია, რომ პირველი მათგანის უფრო ფართო ან ვიწრო აზრით გადაწყვეტაზე, ე. ი. ბანკის ოპერაციების განსაზღვრაზეა დამოკიდებული აუცილებელი კაპიტალის ოდენობაც და მისი მოპოვების საშუალებაც. ამაზე იქნება დამოკიდებული დაწესებულების ხასიათი და მისი ადმინისტრაციის მუშაობის წესი. ამიტომ ბანკის ოპერაციების საკითხი განხილული უნდა იქნეს პირველ რიგში²⁵.

ამ მხრივ დ. ყიფიანის აზრით, როგორც ადგილობრივი პირობების მიხედვით საერთოდ, ისე თავადაზნაურობის უმთავრესი მიზნის მიხედვით, საჭიროა ოპერაციების წრე გაფართოვდეს, მაგრამ არა ახლავე, არამედ თანდათანობით, ბანკის სახსრების ზრდის კვალობაზე.

დიმიტრი ყიფიანმა დიდი შრომა გასწია, რომ ბანკის ორგანიზაციის საკითხებზე შეეგროვებინა საჭირო მასალები და შეესწავლა როგორც რუსული, ისე უცხოური ლიტერატურა, გაცნობოდა და მიეღო კონსულტაციები ცნობილი ფინანსისტებისაგან, რის შესახებაც მან მოახსენა საგუბერნიო კრებას.

დ. ყიფიანი განაგრძობს: „ბანკები, რომლებსაც აარსებს საზოგადოება, ან მთავრობა, შეიძლება აწარმოებდნენ საკრედიტო ოპერაციებს მთელი მოცულობით ან ოპერაციების განსაზღვრულ ნაწილს. ბანკის ამ ორ სახეობას შორის არსებობს სხვადასხვა გრადაცია, რომლის ძალითაც შეიძლება არსებობდეს ბანკები ცოტად თუ ბევრად სპეციალიზებული და ცოტად თუ ბევრად შერეული.

სამი მთავარი სახის ოპერაცია შეიძლება შეადგენდეს ბანკის საქმიანობას, რომლებითაც განისაზღვრება მისი მოლვაწეობის ხასიათი: 1) სესხი ნივთიერი უზრუნველყოფით; 2) კერძო ვალდებულებათა განაღდება, სესხი ფასიანი ქაღალდების უზრუნველყოფით და 3) ანაბრების მიღება.“²⁶

ამ სამი სახეობის ოპერაციიდან ის, რომელიც ემყარება პირად კრედიტს და კავშირშია სავაჭრო ბრუნვასთან, დ. ყიფიანის აზრით, მომავალი ბანკის მოლვაწეობის სფეროდან გამორიცხულია.

მისი მოლვაწეობა განისაზღვრება სამრეწველო კრედიტით, რომელიც დამყარებულია ნივთობრივ უზრუნველყოფაზე. უნდა გადაწყვეტილიყო, თუ იმ ოპერაციათაგან რომლებიც ემყარება ნივ-

²⁵ იქვე, ფურ. 6.

²⁶ საქ. სსრ ცსია, ფონ. 394, აღწ. 1, საქ. 11772, ფურ. 6.

თობრივ უზრუნველყოფას, რომელი აერჩიათ ბანკსათვის? აქ აუცილებელია ყურადღების გამახვილება ორ არსებით გარემოებაზე: პირველი ის, რომ ამიერკავკასიის მხარეში კრედიტი მოწყობილი იყო განსაკუთრებულ საფუძველზე. 1849 წელს გარდაქმნილი „პრიკაზი“ მამულების გირაოთი გრძელვადიანი სესხის გარდა იძლეოდა სესხს ქალაქის უძრავი ქონების გირაოთი, 15, 26 და 37 წლით და აგრეთვე მოკლევადიან სესხს, ბაღების და ნივთების გირაოს ქვეშ, ანაბრებს პროცენტებზე და შესანახავად. ე. ი. ერთიდამივე დროს ასრულებდა ლომბარდისა და შემნახველი სალაროს ოპერაციებს. ერთი სიტყვით, „პრიკაზის“ მოქმედების სფეროში შედიოდა ნივთობრივად უზრუნველყოფილი ყველა საკრედიტო ოპერაცია და ეს ემყარებოდა უმთავრესად იმას, რომ მხარეში არ არსებობდა სხვადასხვა სპეციალური საკრედიტო დაწესებულება.

ამიტომ დ. ყიფიანს სასურველად მიაჩნდა, რომ ბანკის კრედიტები თავის მოქმედების განსაზღვრულ ტერიტორიაზე აკმაყოფილებდეს იმავე მოთხოვნებს, რასაც ასრულებდა „პრიკაზი“ თავისი საკრედიტო ოპერაციებით, თუ მაშინვე არა, შემდგომისათვის მაინც. ამკამად კი მისი საქმიანობა უნდა განსაზღვრულიყო განსაკუთრებით საადგილმამულო კრედიტით.

მეორე გარემოება შემდეგში მდგომარეობდა: გლეხები არ სარგებლობდნენ გირაოს არაერთარი საშუალებით, მაშინ, როდესაც მათი შემოსავლის ოდენობა ამის სრულ შესაძლებლობას ჰქმნიდა; აქედან წარმოიშვა უაღრესად ძნელი, რთული მდგომარეობა, რის გამოც საჭირო გახდა განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ გლეხობისათვის საადგილმამულო კრედიტის მიწოდებაზე.

გლეხობის შემოსავალი, განსაკუთრებით ღვინის მწარმოებელი გლეხებისა, უმრავლეს შემთხვევაში ღვინით მოვაჭრეთა ხელში იყო. აძლევდნენ რა გლეხებს სესხად უმნიშვნელო რაოდენობის ფულს, ღვინით მოვაჭრენი ყოველწლიურად ლებულობდნენ მათგან მოგების სახით მიწისა და ბაღების შემოსავლის გარკვეულ ნაწილს, რომელიც წარმოუდგენლად ქარბობდა დიდ სასესხო პროცენტს.

ამგვარად, გლეხი წლიდან წლამდე ვერ სარგებლობდა თავისი შემოსავლის ნახევრითაც კი, რომელიც შეიძლებოდა მას დარჩენოდა, თუკი მისთვის ხელსაყრელი კრედიტი იარსებებდა.

ეს გარემოება მნიშვნელოვანი იყო არა მარტო გლეხობისა, არამედ მთელი მხარის საერთო ინტერესებისათვის, იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული საკუთრივ თავადაზნაურობის სარგებლობასთან.

დ. ყიფიანი ვარაუდობდა, რომ შეძლებული, და არა გალატაკებული გლეხის სახით, მემამულეს ეყოლებოდა პირველ ყოვლისა, ახლო მდგომი და მისთვის ნაცნობი მეზობელი — მოიჯარე, რომელსაც ყოველთვის უფრო ენდობოდა, ვიდრე შემთხვევით, გარედან მოსულთ. მისი სახით ეყოლებოდა აგრეთვე მომხმარებელი მებატონის მამულის ნაწარმისა, და ყოველივე ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გლეხი შეძლებულად იცხოვრებდა. მისი აზრით გლეხების კეთილდღეობის დონეზე იქნება დამოკიდებული აგრეთვე მემამულეთათვის მეტად მნიშვნელოვანი, მიწის ფასის გაზრდა, რადგან მიწის რენტის გადიდება დამოკიდებულია მრეწველობის გადიდებაზე, მრეწველობის გადიდება კი მოთხოვნილების გადიდებაზე. ამ მხრივ მოთხოვნილების გადიდება და მიწის ფასის გაზრდა, რომელიც მოხდებოდა იმის გამო, რომ ამაღლდებოდა გლეხობის შეძლება, დიდად საგრძნობი იქნებოდა. დ. ყიფიანი სთვლიდა, რომ ამ შემთხვევაში ადგილობრივი მოსახლეობის გამდიდრება, რომელიც მიჩაჭკეულია თავის საცხოვრებელ ადგილზე, უცილობლად სასარგებლოა საერთოდ ქვეყნისათვის და განსაკუთრებით მემამულეებისათვის, ვიდრე გამდიდრება გარედან მოსულებისა და მოძრავი სპეკულანტებისა.

დ. ყიფიანი აღნიშნავს: „ყოველივე ეს გვაიძულებს იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ საკრედიტო დაწესებულებების ოპერაციები არ უნდა იფარგლებოდეს მხოლოდ ჩვენი წოდებით, არამედ საჭიროა რომ იგი მოიცავდეს მთელ სამიწათმოქმედო მრეწველობას, ე. ი. საჭიროა ვაკრედიტებდეთ საადგილმამულო საკუთრებას განურჩევლად წოდებისა. ამისათვის ბანკის ოპერაციის წრეში უნდა შევყვანოთ 1) სესხი შემოსავლიანი მიწების და საერთოდ ბაღების გირაოთი, 2) სესხი სოფლის სამრეწველო საწარმოთა გირაოთი და 3) ანაბრების მიღება შესანახად“.²⁷

ამგვარად, დ. ყიფიანის აზრით ბანკის ზემოთ ჩამოთვლილი სახეობის ოპერაციები მიგვანიშნებენ როგორც ძირითადი კაპიტალის ოდენობაზე, რაც საჭირო იქნება ბანკის ჩამოსაყალიბებლად, ისე მისი შედგენის წესზე.

დ. ყიფიანის განმარტებით, არსებული საკრედიტო დაწესებულებები შეადგენენ ან საზოგადოებრივ, ან კერძო საწარმოებს. ის პირები, რომლებიც აარსებენ ბანკს საერთო საჭიროებისათვის, შეადგენენ განსაკუთრებულ საზოგადოებას, რომელიც ურთიერთ-

²⁷ საქ. სსრ ცსია, ფონ. 394, აღწ. 1, 11772, ფურც. 10.

თავდებობით ობლიგაციების გამოშვებით ფულს სესხულობს კაპიტალისტებისაგან.

ასეთ შემთხვევაში ბანკი ხდება ამ საზოგადოების საკუთრება. მხოლოდ მას აქვს უფლება იქიდან სესხის მიღებისა და ის აგებს პასუხს კაპიტალისტების წინაშე ბანკის მდგომარეობისათვის მთელი თავისი ქონებით. ეს არის კაპიტალის შეგროვების პირველი წესი. მეორე წესი მდგომარეობს მასში, რომ ბანკს აარსებს არა მთელი საზოგადოება ან მისი ერთი ნაწილი, არამედ კაპიტალისტების ცალკე, კერძო კომპანია, რომელიც აგროვებს კაპიტალს ხელის მოწერით ან აქციებით. ასეთ შემთხვევაში ბანკი წარმოადგენს კერძო საწარმოს, რომელსაც ხსნიან კაპიტალისტები თავის რისკზე, მოგებისათვის, რომლითაც სარგებლობს კომპანია კერძო საკუთრების უფლებით.

პირველ შემთხვევაში, განაგრძობს დ. ყიფიანი, ბანკი თავიდანვე შეადგენს საზოგადოების საკუთრებას, ამისათვის შეიძლება დაწესებულ იქნეს დაბალი პროცენტი იქიდან გამოტანილი სესხისათვის, რადგანაც მთელი მოგება მიდის იმავე საზოგადოების სასარგებლოდ, მაგრამ იგი პასუხს აგებს ბანკისათვის ურთიერთთავდებობით.

მეორე შემთხვევაში საზოგადოება იხდის ცოტად თუ ბევრად მაღალ პროცენტს, იმდენად რამდენადაც, მთელი მოგება საკრედიტო ოპერაციებისაგან მიდის აქციონერთა სასარგებლოდ.

ზემოთ ნათქვამიდან, ძნელი არ არის დავინახოთ, რომ დ. ყიფიანს კაპიტალის შედგენის ორი წესიდან უფრო რაციონალურად პირველი მიაჩნია და მას აკუთვნებს უპირატესობას.

„სააქციო საზოგადოება პასუხს აგებს საწარმოსათვის არა აქციონერთა მთელი ქონებით, არამედ მხოლოდ საწარმოში ნამდვილად მოთავსებული კაპიტალით. აქედან თავისთავად გამომდინარეობს საწარმოს მოწყობის მესამე წესი, რომელიც არ მოითხოვს საზოგადოებისაგან ურთიერთთავდებობას.

ეს სწორედ ის წესია, რომელსაც ჩვენ თავიდანვე მივმართეთ და რომელიც ახლა ჩვენი მსჯელობის მთავარ საგანს შეადგენს“²⁸.

ასეთი წესის დროს, ამბობს დ. ყიფიანი, — ძირის კაპიტალი შეაქვს მთელ საზოგადოებას და იქმნება საზოგადოებრივი კაპიტალი, ე. ი. საკრედიტო ოპერაციას აწყობს თვითონ საზოგადოება, რომელიც იქცევა საწარმოს სრულ მფლობელად. ოდნავადაც არ არის

²⁸ საქ. სსრ ცსია, ფონ. 394, აღწ. 1, საქ. 11771, ფურ. 14.

დამოკიდებული კერძო კომპანიაზე და მასთან ერთად დამოკიდებული არ არის ურთიერთთავდებობისგან, რაც გარდუვალი იქნებოდა იმ შემთხვევაში, რომ საკრედიტო ოპერაცია დაწყებულიყო საზოგადოების სახელით კაპიტალის შეტანის გარეშე.

არსებობს აგრეთვე საკრედიტო საწარმოს მოწყობა წმინდა საზოგადოებრივი საწარმოს ფორმით, რომელსაც თან ახლავს ზოგიერთი სერიოზული დაბრკოლება და რომელსაც მივაქცევთ თქვენს ყურადღებას. თბილისის გუბერნიის მოსახლეობა არ წარმოადგენს ერთ მთელს არც იურიდიულად, არც კანონით, არც სინამდვილეში. მასზე არ ვრცელდება საერთო დაწესებულების წესდება, რომლის ძალითაც მას შეეძლო ემოქმედა სამეურნეო საკითხებში როგორც ერთ პირს და გამოსულიყო კრედიტის დამაარსებლად ერობის სახელით, მოეწყო ბანკი, როგორც ერობის საწარმო. სინამდვილეში იგი დაყოფილია კლასებად, პროფესიებად, რომელთა შორის არ არის ეკონომიკური სიახლოვე. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მათი ინტერესების დამთხვევასაც აქვს ადგილი.

ბანკის დაარსება კი, დ. ყიფიანის აზრით, როგორც მთელი მოსახლეობის საერთო საწარმოსი, მოითხოვდა მათ შორის ისეთ ხელშეკრულებას, რომლის მიღწევაც ძნელი იქნებოდა როგორც ფორმალურად, ისე სინამდვილეში. ასეთ პირობებში არ შეიძლება შევჩერდეთ სხვა სახის ბანკზე, თუ არა წოდებრივ, ე. ი. აზნაურთა ბანკზე. მაგრამ ასეთი სახის ბანკსაც დიდი უხერხულობა ახლავს. ბანკი, რომელიც სესხს აძლევს მხოლოდ აზნაურ მემამულეებს, ვერ შეძლებს მკვიდრ საფუძველზე დაამყაროს საადგილმამულო კრედიტი, რომლის მიღწევაც შეადგენს ჩვენს ბუნებრივ სურვილს. კრედიტის ოპერაცია, რომელიც უნდა დაევალოს ჩვენს ბანკს დასაწყისიდანვე, ადგილობრივი პირობების მიხედვით, არ შეიძლება არ იყოს უფრო ფართო, ვიდრე აზნაურული საადგილმამულო კრედიტი.

ქართველ თავადაზნაურობას, დ. ყიფიანის აზრით, უნდა აერჩია კაპიტალის შეგროვების ისეთი წესი, რომელიც არ აქცევს ბანკს კერძო, ამხანაგურ საწარმოდ და მასთან ამხანაგობის საკუთრებად. უმაღლესად ბოძებული ფულიდან, რომელიც გაცემულ იქნა თავადაზნაურობაზე გლეხების პირადი გათავისუფლებისათვის, დარჩა გარკვეული ნაწილი თანხისა. იგი არ ეკუთვნის მარტო თავადაზნაურობას, იგი შეადგენს ნაწილს იმ კაპიტალისას, რომელიც მთავრობის მიერ არის ნაჩუქარი გლეხობის ყოფის გასაუმჯობესებლად; ე. ი. შეადგენს ისეთ თანხას, რომელიც აჩუქა მთავრობამ რო-

გორც აზნაურებს, ისე გლეხებს, მათი ყოფის გასაუმჯობესებლად. აზნაურობა არ შეცდება თუ იშუამდგომლებს მთავრობის წინაშე. რომ ეს თანხა აქციოს საზოგადოებრივ კაპიტალად, და გათვალისწინებული ბანკის ძირითად კაპიტალად.

როგორც უკვე ვიცით, თავადაზნაურობის სამაზრო საგანგებო კრებებმა გამოთქვეს მზადყოფნა კაპიტალის შესადგენად გამოეყოთ 1/5 თანხიდან, რომელიც მათ ეძლეოდათ გლეხების გათავისუფლებისათვის. ამგვარად, უნდა შეგროვილიყო 340 ათასი მანეთი, მაგრამ კრების დღემდე შეგროვილი აღმოჩნდა მხოლოდ 80 ათასი მანეთი. დანარჩენი 260 ათასი მანეთი, დ. ყიფიანის აზრით, კიდევ შეიძლება შემოსულიყო ერთ-ერთი იმ წესით, რომელსაც კრება მიიჩნევდა საჭიროდ.

დ. ყიფიანს მოჰყავს მაგალითი პეტერბურგის საადგილმამულო კრედიტის საზოგადოებისა, რომლის მოქმედება უნდა გავრცელებულიყო მთელს იმპერიაში, ფიქრობდნენ საბანკო ოპერაციების დაწყებას, როდესაც შესაგროვებელი კაპიტალი ხელის მოწერით მიაღწევდა 100 ათას მანეთს. მთავრობამ წესდების დამტკიცებისას საჭიროდ ჩათვალა ეს თანხა გადიდებულიყო ერთ მილიონ მანეთამდე.

კაპიტალის ეს ოდენობა ნამდვილად საკმარისად იქნა მიჩნეული: გირავნობის ფურცლების გამოშვებისათვის, რომელიც 20-ჯერ აჭარბებდა ძირითად კაპიტალს. დ. ყიფიანის აზრით, თუ 1 მილიონი მან. საკმარისად იქნა ცნობილი 20 მილიონი მანეთის საკრედიტო ოპერაციის გასახსნელად მთელ იმპერიაში, არ შეიძლება ნახევარი მილიონი მანეთი არ გახდეს საკმარისად წმინდა საადგილმამულო კრედიტის ოპერაციის დაწყებისათვის ერთი გუბერნიის ოთხ მაზრაში. მაგრამ ეს თანხა 540 ათასი მანეთი, — ამბობდა დ. ყიფიანი, — ჯერ-ჯერობით მხოლოდ წარმოდგენაში არსებობდა. საჭიროა გადალახულიყო ის დაბრკოლებები, რომლებსაც შეეძლოთ ხელი შეეშალათ მის რეალიზაციაში.

დ. ყიფიანის აზრით, 540 ათასი მანეთის შეგროვებისათვის არსებობს სამი წესი:

1) დარჩეს დაუბრუნებლად 1/5 ნაწილი ბანკისათვის იმ თანხიდან, რომელიც ეძლეოდა თავადაზნაურობას მთავრობისაგან ყმების გათავისუფლებისათვის. ასეთი წესით შეგროვებული კაპიტალი, მომავალში, ბრუნვის შედეგად რა ოდენობამდეც არ უნდა გაიზარდოს, ყოველთვის უნდა იყოს საზოგადოების ხელუხლებელი საკუთ-

რება. ე. ი. მთელი წოდებისა. იგი ყოველთვის უფლებამოსილი იქნება გამოიყენოს ბანკის მოგება საერთო სარგებლობისათვის.

2) მეორე წესი, ზამოაღნიშნული მიზნის რეალიზაციისა, იმაში მდგომარეობდა. რომ სესხად მისცემოდა ბანკს იგივე თანხა. ერთი შეხედვით ეს უფრო ხელსაყრელი წესია და მოითხოვს მხოლოდ დროებით მსხვერპლს. სესხად მიცემული ეს თანხა ბრუნდება ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი დროის შემდეგ, ვთქვათ 15 ან 20 წლის შემდეგ. ამ დრომდე ბანკმა თავისი ფუნქცია უნდა გაყოს ორ განყოფილებად. მოქმედება კაპიტალით, რომელიც მას ეკუთვნის დაუბრუნებლად, ე. ი. ის თანხა, რომელსაც გაიღებს მთავრობა ბანკისათვის და მოქმედება ნასესხები კაპიტალით, რაც თავდაზნაურობას უნდა დაუბრუნდეს. ასეთი მდგომარეობის დროს ბანკის მუშაობაში სიძნელეები წარმოიშობა, სანამ ნასესხები კაპიტალი არ დაბრუნდება, მაგრამ სიძნელეები თუ გადალახული იქნება, 20 წლის შემდეგ ბანკი თავისუფალი გახდება ვალებისაგან. მაშინ თავდაზნაურობა კარგავს უფლებას მასზე, ე. ი. შეგნებულად, ნებაყოფლობით უარს ამბობს თავის მიერ შექმნილ ბანკზე, მილიონებზე, რადგან მაშინ უკვე იქნება ეს მილიონები.

ყმების გათავისუფლებისათვის მთავრობისაგან ბოძებული ფულიდან რომ 1/5 ნაწილი გადაიდოს უკვე შეუძლებელია. რჩება ორიდან ერთი: ან შეტანილ იქნეს ბანკში თანხა იმავე ანგარიშით იმ კაპიტალიდან, რომელიც გამოსყიდვისათვის იქნება მიღებული; ან თითოეულს რა თანხაც ეკუთვნის გადასახდელად, ჩაითვალოს ბანკიდან აღებულ ვალად და თითოეულმა შეიტანოს იმ ნაწილებად, როგორც იფარება საერთოდ, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხი.

როცა ყმების გათავისუფლებისათვის არიგებდნენ ხეიარ ფულს, საზოგადოებრივი მზრუნველობის „პრიკაზის“ მოვალეებმა ითხოვეს, რომ დაექვეთათ მათზე რიცხული ვალების სავადო გადასახდელები. ამ განცხადების შედეგად თავდაზნაურობას ჯერ დაუქვიტეს გადასახდელები „პრიკაზის“ სასარგებლოდ და შემდეგ 1/5 ბანკის სასარგებლოდ. ამის შედეგად ბანკის განკარგულებაში შევიდა გაცილებით ნაკლები, ვიდრე გათვალისწინებული იყო. იმისათვის რომ 340 ათასი მანეთის შეგროვების დროს შეცდომა არ დაეშვათ და ერთს არ გადაეხადა მეტი, ვიდრე მეორეს, უნდა დაწესებულიყო, რომ ვისაც უკვე დაკავებული ჰქონდა ფული, შევსებულიყო იგი ერთი ან მეორე წესით, სანამ არ შესრულდებოდა გადასახდე-

ლი თანხის ოდენობა, რასაკვირველია იმ პროცენტების დარიცხვით, რაც კაპიტალს დაემატა.

ამგვარად, ბანკის ძირითად კაპიტალში პირადი შენატანების სახით იმდენი შევიდოდა მთავრობის მოსალოდნელ დახმარებასთან ერთად, რაც საჭირო იყო 540 ათასი მანეთის რეალიზაციისათვის.

დ. ყიფიანს ეკვი არ ეპარებოდა, რომ ამ ორი წესიდან აირჩევდნენ პირველს და ამიტომ შეიძლება არავითარი საჭიროება არ იყო ძირითადი კაპიტალის რეალიზაციის ახალ, მესამე წესზე ყოფილიყო ლაპარაკი, მაგრამ დ. ყიფიანი მაინც ახასიათებს მესამესაც, რომ სამი სხვადასხვა წესის ერთმანეთთან შედარებით, თავადაზნაურობას შეჰქმნოდა რწმენა ამა თუ იმ წესის უპირატესობაზე.

3) მესამე წესი მდგომარეობდა შემდეგში: ბანკის ძირითად კაპიტალს საერთოდ, იმის გამოკლებით რასაც მთავრობა გაიღებდა, მიეცემოდა აქციონერული ფორმა. ე. ი. მთელი რეალიზებული თანხა დაიყოფოდა აქციებად და შეგროვდებოდა კაპიტალი აქციების საშუალებით.²⁹

დ. ყიფიანი თავის მოხსენებაში, ჩერდება რა იმ უარყოფით მხარეებზე, რაც აქვს აქციონერულ ბანკს, აღნიშნავს: „მომავლის პერსპექტივაში უნდა დავინახოთ ის ფაქტი, რომ გარკვეული დროის შემდეგ, ჩვენ ბანკის დამაარსებლებს, არავითარი უფლება არ გვექნება კაპიტალის იმ ნაწილზე, რომელიც იქმნება აქციების გამოშვებით და რომელთა მესაკუთრეები არიან აქციონერები, ე. ი. საზოგადოების პატარა ნაწილი ან ამხანაგების კერძო კომპანია. ეს წესი ჩვენთვის მიუღებელია. ამისათვის უნდა შევჩერდეთ იმ საჭიროებებზე, რომლებიც უკვე გამოირკვა წინა მსჯელობიდან:

1) საჭიროა თავიდან ავიშოროთ კერძო კომპანიის კრედიტი, როგორც არ უნდა იწოდებოდეს იგი, რადგანაც სახელწოდების მიუხედავად ყველა სარგებლობა იქნება მისი და არა საზოგადოების.

2) საჭიროა სრულიად უარყოფითი თეორიითავე დებობა, რადგან იგი დიდ უხერხულობას შეიცავს საზოგადოებისათვის.

3) საჭიროა საადგილმამულო კრედიტმა ხელი შეუწყოს ადგილობრივ განათლებას და

4) ბოლოს, საჭიროა კრედიტი ისეთ საწყისებზე შეიქმნას, რომელიც სამუდამოდ უზრუნველყოფს თავადაზნაურობის საკუთრების

²⁹ საქ. სსრ ცსია, ფონ. 394, აღწ. 1, საქ. 11772, ფურ. 18.

ხელშეუხებლობას მის მიერ დაარსებულ ამ საერთო სასარგებლო წამოწყებაზე“.³⁰

დ. ყიფიანი თავის მოხსენებაში ზოგადად იხილავს საკითხს, თუ როგორ უნდა განაწილდეს ბანკის მოგება. მისი აზრით, ბანკის მოგება უნდა მოხმარდეს ორ მიზანს — განათლების გავრცელებას და საკუთარი კრედიტის გაძლიერებას. ამისათვის ერთი ნაწილი გამოყოფილი უნდა იქნეს ახალგაზრდობის აღზრდის ხარჯების დასაფარავად. ამ ნაწილის ოდენობის განსაზღვრა და მისი განაწილება სასწავლებლებს შორის, სადაც ახალგაზრდები აღიზრდებიან. პირველ ხანებში უნდა მიენდოს ბანკის ადმინისტრაციას, შემდგომში კი გუბერნიის აზნაურთა კრებას. მეორე ნაწილი შეუერთდება რა ბანკის კაპიტალს, გამოყენებული იქნება მისი ოპერაციების გასაფართოვებლად, ნაწილობრივ სესხის პროცენტების შესამცირებლად, და გაუთვალისწინებელი საზოგადოებრივი საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ამ მეორე კატეგორიის ხარჯების განსაზღვრა უნდა ექვემდებარებოდეს აზნაურთა საგუბერნიო კრების გადაწყვეტილებას.

მოხსენებაში განხილულია ბანკიდან სესხის გაცემის საფუძვლები და მსესხებელთა მოვალეობანი. როგორც დ. ყიფიანი მიუთითებს, საერთოდ მიღებული წესი სესხის გაცემისა საადგილმამულო-საკრედიტო დაწესებულებაში იმაში მდგომარეობს, რომ თითოეულ შემთხვევაში ხდება დასაგირავებელი ქონების შემოსავლის შეფასება, ამ შემოსავლის კაპიტალიზაცია და მისი გარკვეული ნაწილის სესხად გაცემა. თუმცა თვლიან, რომ სესხი უზრუნველყოფილია მიწით, მაგრამ სესხის ოდენობა და მასზე სარგებლის გადახდის ოდენობა განისაზღვრება მიწის შემოსავლის საფუძველზე და სესხის გარანტიას წარმოადგენს არა თვით ქონება, არამედ მისი შემოსავალი.

მიუხედავად იმისა, რომ სესხის უზრუნველყოფის ორ შეხედულებას შორის არსებული განსხვავება ძნელად შესამჩნევია. რომელთაგან ერთი გულისხმობს მიწის ფასს, მეორე კი მიწის შემოსავალს, ეს განსხვავება მაინც არსებობს და ბანკი სესხის გაცემის დროს მრავალ შემთხვევაში უნდა ხელმძღვანელობდეს სხვადასხვა წესებით, იმის მიხედვით, თუ რაში ხედავს იგი სესხის უზრუნველყოფას. დაგირავებული მამულის გაყიდვაში თუ მის შემოსავალში. ასეთ შემთხვევაში, დ. ყიფიანის აზრით, სესხის ოდენობის გან-

³⁰ იქვე, ფურ. 21.

საზღვრისათვის საჭიროა მტკიცედ ვემყარებოდეთ დასაგირავებელი მამულის ნამდვილ შემოსავალს, რაც საშუალებას მოგვცემს სახელმძღვანელოდ მივიღოთ ორი მთავარი საფუძველი: 1) კაპიტალიზაცია ვუყოთ სესხის სახით გასაცემ შემოსავალის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც თავისუფლად შეუძლია გადაიხადოს მსესხებელმა, მამულის ნამდვილი შემოსავლის გათვალისწინებით. ამასთან, სესხი გაიხსნას შემოსავლის იმ მუხლების მიხედვითაც, რომლებიც შეიძლება არსებობდეს მიწის ფასის დამოუკიდებლად. 2) ასეთ შემთხვევაში დაგირავებული მამული არასოდეს არ უნდა გაიყიდოს დამგირავებლის სურვილის გარეშე, მიეცეს ბანკს უფლება მიიღოს მთელი შემოსავალი მამულიდან ვადაგადაცილებული სესხის სრულ დაფარვამდე.

„ამ საფუძველების მიღება მეტად მნიშვნელოვანია, რადგან მათი მეშვეობით: 1) შესაძლებელია თავიდან ავიცილოთ ასეთი დამლუპველი გაყიდვა მამულისა საჯარო ვაჭრობით; 2) ამასთან ბანკის სესხი სავსებით გარანტირებულია, და მიწათმფლობელნი თავს არ დაატვირთავენ ისეთი სესხით, რომელიც ქარბობს მათი გადახდისუნარიანობას.“³¹

დ. ყიფიანი ერთხელ კიდევ მოაგონებს აზნაურთა საგუბერნიო კრებას, რომ დაგირავებული მამულები არ უნდა გაიყიდოს. ამასთან, წინასწარ გრძნობს რა ამ პრინციპის განხორციელების შეუძლებლობას, იქვე შენიშნავს, რომ იმპერიის კანონმდებლობაში არის საერთო წესი ვალის გადახდევინების უზრუნველყოფისა გირაოთი, რომლის მიხედვითაც დაგირავებული მამულის გაყიდვა შეადგენს აუცილებელ პირობას კრედიტორის ან საკრედიტო დაწესებულების დასაკმაყოფილებლად. კრების დასახული წესი კი ვალის გადახდევინებისა, შეადგენს განსაკუთრებულ გამონაკლისს საერთო წესიდან. ამისათვის დ. ყიფიანი საჭიროდ ცნობს თავადაზნაურობამ იშუამდგომლოს მთაურობის წინაშე, რომ ნება დაერთოთ ასეთი წესის მიღებისა თავადაზნაურობის ეკონომიური ყოფის განსაკუთრებული პირობების გამო.

მომავალი ბანკის მმართველობის საკითხების გათვალისწინებისას დ. ყიფიანი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ საადგილმამულო ბანკი თავისი პრინციპით და შემდგომიც თავისი ფუნქციებით, სავსებით საზოგადოებრივი დაწესებულება იქნება, რადგან იგი არსდება იმ შემოწირულებიდან, რომელიც გაიღო თბილისის გუბერ-

³¹ საქ. სსრ ცსია, ფონ. 394, აღწ. 11772, ფურ. 24.

ნის ოთხი მაზრის აზნაურთა საზოგადოებამ. სწორედ ამ საზოგადოებას ეკუთვნის მართვა და გამგებლობა. და მისი მოგების განაწილება ზემოთ მოხსენებული მიზნების შესაბამისად.

დ. ყიფიანი თავის მოხსენებაში აყალიბებს პრინციპებს, რომელთა შესაბამისად უნდა მოეწყოს ბანკის მმართველობა:

1) ბანკის მიმდინარე საქმეების გამგებლობა გაყოფილ უნდა იქნეს ბანკის გამგეობასა და განსაკუთრებულ ზედამხედველ კომიტეტს შორის.

2) ბანკის მთავარი გამგებლობა. მისი ფუნქციებიდან გამომდინარე განსაკუთრებული ან მთავარი საკითხების გადაწყვეტა. აგრეთვე მოგების განაწილება უნდა მიენდოს თავადაზნაურობის ჩვეულებრივ ან საგანგებო კრებას, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მოწვეულ იქნეს მთავრობის ნებართვით ზედამხედველი კომიტეტის მიერ.

3) ზედამხედველი კომიტეტის მთელი შემადგენლობის, აგრეთვე ბანკის მმართველის დანიშვნა ზდება გუბერნიის აზნაურთა კრების მიერ. გამგეობის წევრებისა — ზედამხედველი კომიტეტის, სხვა მოსამსახურეებისა კი — ბანკის გამგეობის მიერ.

4) ზედამხედველი კომიტეტის თავმჯდომარე. ბანკის მმართველი, ბანკის დირექტორები და სხვა მოსამსახურენი უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ხელფასით.³²

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

თბილისის საადგილმამულო ბანკის წესდების პროექტის შემუშავება

თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებამ, მოისმინა რა გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლის დ. ყიფიანის მოხსენება ბანკის დაარსების თაობაზე და ის საერთო პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უნდა დადებოდა მომავალ ბანკს, 1867 წლის 6 მაისის ოქმით ერთხმად მოიწონა იგი. რაჟი გადაწყდა ბანკის დაარსება, საგუბერნიო კრებამ იმავე წლის 8 მაისის ოქმით გადაწყვიტა ბანკის წესდების პროექტის შესამუშავებლად ამოერჩია სარედაქციო კომიტეტი.

³² საქ. სსრ ცნობა, ფონ. 394, აღწ. 1, საქ. 11772, ფურ. 100.

სარედაქციო კომიტეტის წევრებად აირჩიეს შემდეგი პირები: გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანი, საპატიო პრეზიდენტის წოდებით, რომელსაც ხმა ჰქონდა, მაგრამ ვალდებული არ იყო ყოველთვის დასწრებოდა კომიტეტის სხდომას. კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი, კომიტეტის საპატიო წევრებად: ივანე მიხეილის ძე ანდრონიკაშვილი, ლევან ივანეს ძე მელიქიშვილი, მიხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქოვი; გიორგი კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი. დასახელებული პირები კომიტეტის სხდომებს დაესწრებოდნენ მხოლოდ თბილისში ყოფნის დროს.

მუდმივ წევრებად, რომლებიც კომიტეტის სხდომებს უნდა დასწრებოდნენ, თუ სამსახურის მოვალეობა არ შეუშლიდათ ხელს, ამოირჩიეს შემდეგი პირები: გიორგი რომანის ძე ერისთავი, ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი, რევაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილი, დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძე, ისაკ შიოს ძე თუმანიშვილი, ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანი, ერემია ეგორის ძე არწრუანი, კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილი, მიხეილ ეგორის ძე ჭილაშვილი, ზაქრო სტეფანეს ძე ავთანდილაშვილი, მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილი, ევსევი ადამის ძე ანდრონიკაშვილი, რამაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილი, დიმიტრი დავითის ძე ჯორჯაძე, იოსებ ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილი, ნიკოლოზ დიმიტრის ძე ჭავჭავაძე, ვახტანგ გურამის ძე გურამიშვილი. ცალკეული მაზრებიდან აირჩიეს: თბილისის მაზრიდან: გიორგი ესეს ძე სულხანიშვილი, ვახტანგ დიმიტრის ძე თულაშვილი. გორის მაზრიდან: იოსებ ივანეს ძე ციციშვილი, ალექსანდრე იაკობის ძე ზუბალაშვილი. თელავის მაზრიდან: ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე, დიმიტრი თომას ძე მგალობლიშვილი. სიღნაღის მაზრიდან: გიორგი ზურაბის ძე ანდრონიკაშვილი, ზაქრო ივანეს ძე ვაჩნაძე. ამათ გარდა, თბილისის გუბერნიის ოთხივე მაზრის თავადაზნაურთა მარშლები კომიტეტის წევრებად ირიცხებოდნენ და ვალდებულნი იყვნენ დასწრებოდნენ კომიტეტის სხდომებს, როდესაც თბილისში იქნებოდნენ ან საჭიროების გამო მათ გამოიძახებდნენ¹.

თავადაზნაურთა საგუბერნიო კრების მიერ არჩეული წესდების შემმუშავებელი სარედაქციო კომიტეტი გარკვეული უფლებებით აღიჭურვა. კომიტეტს მომავალი ბანკისათვის უთუოდ უნდა შეენარჩუნებინა საზოგადოებრივი ხასიათი. წესდების სხვა საკითხების

¹ საქ. სსრ ცსია, ფონ. 394, აღწ. 1, საქ. 11772, ფურც. 154.

შემუშავების დროს კომიტეტი არ იყო შეზღუდული და მას შეეძლო კრების მიერ მოწონებული ძირითადი დებულებები ისე განვიხილოთ, როგორც მიზანშეწონილი იქნებოდა ბანკისათვის და მიღებული იქნებოდა კომიტეტის მიერ ერთხმად ან დამსწრეთა ორი მესამედის უმრავლესობით. იგი უფლებამოსილი იყო თავის სხდომებზე მოეწვია ყველა თავადი და აზნაური, და საერთოდ ყველა სხვა მცოდნე პირი, რომლებსაც შეეძლოთ მიეცათ ცნობები მათთვის საჭირო საკითხების გასარკვევად და განსაკუთრებით გიაროს შეფასების წესების შესადგენად.

მთავრობის მიერ წესდების დამტკიცების შემდეგ, სარედაქციო კომიტეტი იმ შემადგენლობით, რაც დადგენილი იქნებოდა წესდებით, იმავე თავმჯდომარეობით იქცეოდა ზედამხედველ კომიტეტად, რომელიც დაიწყო მსახურს მოქმედებას წესდების შესაბამისად, აირჩევა ბანკის მმართველობის პირად შემადგენლობას და სთხოვდა მთავრობას მის დამტკიცებას.

ზედამხედველი კომიტეტი წესდებით განსაზღვრული პროცედურით შეარჩევა ბანკის მმართველობის პირად შემადგენლობას, ზედამხედველობას გაუწევა მის მოქმედებას და, საერთოდ, მის ანგარიშგებას საზოგადოებისა და თავადაზნაურთა საგუბერნიო კრების წინაშე.

ბანკის მმართველობის პირადი შემადგენლობის მიმართ კომიტეტი უფლებამოსილება ეძლეოდა დაეთხოვა მასზე დაქვემდებარებული პირები, მათ შორის ბანკის მმართველიც, მოქმედებისათვის, რასაც შეეძლო ზიანი მიეყენებინა ბანკის ინტერესებისათვის.

1867 წლის ივნისის თვეში გაზ. „დროება“ იუწყებოდა: „6 მაისის აზნაურობის შეყრილობაში გუბერნიის მარშალმა წინადადება შემოიტანა ბანკის დაფუძნებაზე. იმან წაიკითხა პროექტი, რომელშიც დაწვრილებით იყო გამოყვანილი ბანკის უმთავრესი საფუძვლები. ყველანი თანახმანი იყვნენ, რომ ბანკის დაფუძნება სასარგებლოა...“

დასასრულ აზნაურობამ გადაწყვიტა ბანკის დაარსება და იმის წესდების შესადგენად ამოირჩია კომიტეტი.

ამრიგად, გადაწყდა საქმე, რომელიც მომავალში დიდ ნაყოფს მოიტანს. ბანკი დიდს შემწეობას ამოუჩენს თავადაზნაურობას იმის საჭიროებაში და ამასთანავე ახალ თაობას მისცემს სწავლის მიღების საშუალებას².

² გაზ. „დროება“, 1867, № 25.

რაკი ბანკის საქმე ადგილიდან დაიძრა და წესდების შემუშავების ჯერი დადგა, მთავრობამ შექმნა სპეციალური კომისია, რომელსაც თვალყური უნდა ედევნებინა ამ საქმისათვის და თუ საჭირო იქნებოდა ხელმძღვანელობაც გაეწია მისთვის. კომისიის პირდაპირ მოვალეობას შეადგენდა თავადაზნაურობის მიერ შემუშავებული წესდების პროექტის განხილვა. სანამ იგი გაიგზავნებოდა ფინანსთა სამინისტროში დასამტკიცებლად.

განსაკუთრებული კომისია, რომელიც შეიქმნა მეფის ნაცვლის ბრძანებით, შედგებოდა შემდეგი პირებისაგან: კომისიის თავმჯდომარე — სახელმწიფო საბჭოს წევრი გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანი, წევრები: დიმიტრი ყიფიანი, სენატორი გ. ბაგრატიონ-მუხრანსკი, მთავარმართველობის დეპარტამენტის უფროსი ბარანოვსკი, მთავარმართველობის საბჭოს წევრი ლომიზე, ამიერკავკასიის საზოგადოებრივი მზრუნველობის „პრიკაზის“ მმართველი კალინსკი, ამიერკავკასიის სახაზინო პალატის მმართველი შმაკოვი³.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დ. ყიფიანი ბევრს მუშაობდა წესდების პროექტის შედგენაზე. იგი არა მარტო ფინანსურ ლიტერატურას ეცნობოდა და სწავლობდა, არამედ იხმარდა წესდების პროექტის შედგენაზე იმ დროისათვის ცნობილ ფინანსისტებს. ბანკის სარედაქციო კომიტეტის საქმეებში შემონახულია ეუკოვსკის ხელწერილი იმის თაობაზე, რომ მან თბილისის ბანკის წესდების პროექტის წერილის შედგენისათვის. გასამრჯელოს ანგარიშში დ. ყიფიანისაგან მიიღო 500 მანეთი, აგრეთვე ეუკოვსკის წერილი დ. ყიფიანსადმი. რომელიც დათარიღებულია 1867 წლის 27 ოქტომბრით, სადაც იგი წერს:

»К 1 октября я передал проект банка А. Д. Путяте, который должен был немедленно отправить его к Вам. Извиняюсь за то, что отослал в несовсем чистом виде с пометками, но я бы мог задерживать вас долее... Прошу вас не отказать мне прислать проект того устава, который состоит у вас окончательно»⁴.

ბანკის წესდების პროექტის შემუშავებელ სარედაქციო კომიტეტს წესდების პროექტის შესამუშავებლად სხდომები ჰქონდა 1867 წლის 14, 16, 20, 27, 29 ნოემბერს და 1, 4, 5 და 10 დეკემბერს. სულ ჩატარდა 9 სხდომა. კომიტეტმა დაწერილებით განიხილა თავმჯდომარის მიერ წარდგენილი ბანკის წესდების პროექტი. დიმიტრი ყი-

³ საქ. სსრ ცსია, ფონ. 394, აღწ. 1, საქ. 11772, ფურც. 94—95.

⁴ იქვე, ფურც. 100.

ფიანმა, წესდების პროექტის წარდგენისას განუცხადა კომიტეტის წევრებს, რომ იგი განუხრელად ასრულებდა რა აზნაურთა კრების დავალებას, ბანკისათვის რომ შეენარჩუნებინა საზოგადოებრივი ხასიათი, პირველდაწყებით გეგმასთან შედარებით მნიშვნელოვნად გააფართოვა ამ დაწესებულების ფარგლები.

კომიტეტის მიერ შემუშავებული წესდების პროექტი შედგებოდა შემდეგი მთავარი დებულებებისაგან:

1. ბანკის ძირითადი კაპიტალი დგება არანაკლებ 500 000 მანეთის ოდენობით. ა) ან აზნაურების აუცილებელი შესატანიდან გაანგარიშებული, ან გლახთა რიცხვიდან, რომლებიც გათავისუფლდნენ ყმური დამოკიდებულებიდან, ან საბატონო მიწების რაოდენობის, ან კიდევ მიწების არ მქონე აზნაურთა ნებაყოფლობითი განცხადების მიხედვით. ბ) 200 000 მანეთი თანხიდან, რომლის ჩუქების თაობაზე აზნაურობა შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, მემამულეთა და გათავისუფლებული გლეხობის ყოფის გასაუმჯობესებლად.

2. ბანკის საერთო მოგებიდან იქმნება განსაკუთრებული დამხმარე კაპიტალი, რომელიც იზრდება მუდმივად, ბანკის მოქმედების მთელ პერიოდში და განკუთვნილია ბანკის შემოსავლის შემთხვევითი დანაკლისისა და დანაკარგის დასაფარავად.

3. ბანკის უმთავრესი მიზნებია: ა) ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის მწარმოებლურობის ამაღლებას, ყველა მწარმოებლისათვის კრედიტის გახსნით, მიუხედავად წოდებისა; ბ) ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი განათლების დონის ამაღლებას ამ საქმისათვის მოგების გარკვეული ნაწილის გამოყენებით, გ) დაფაროს შემთხვევითი ხარჯები, რასაც მიზანშეწონილად ცნობს დამაარსებელთა საერთო კრება.

4. გათვალისწინებული მიზნების განსახორციელებლად ბანკი შეადგენს მნიშვნელოვან ძირითად და მისი თანაბარი ძალის დამხმარე კაპიტალს, რითაც სპობს ყოველგვარი სხვა გარანტიების საჭიროებას მომავალი ოპერაციებისათვის. ბანკი გასცემს სესხს ნაწილობრივ ნაღდი ფულით, ნაწილობრივ საკრედიტო ფურცლებით, რომელთა ჯამი ათჯერზე მეტად არ უნდა აღემატებოდეს ბანკის ფონდს.

5. ამგვარად, აძლევს რა თავის საკრედიტო ფურცლებს მყარ გარანტიას, ვიდრე სხვა დანარჩენი ასეთ საფუძვლებზე არსებული ბანკები, კომიტეტი შუამდგომლობს მთავრობის წინაშე ნებართვას, მიიღონ ეს ფურცლები მათი ნომინალური ფასით იმპერიამში ფულადი ოპერაციების უზრუნველსაყოფად.

6. გრძელვადიანი სესხი უზრუნველყოფილია არა მამულის ფასით, არამედ შემოსავლით, რომლის ნახევარმა სრულად უნდა დაფაროს ყველა სავალო წლიური გადასახადი.

7. მოკლევადიანი სესხი მეტწილად უზრუნველყოფილია სახელდახელო საწინდარით.

8. ანაბრების მიღება დაიშვება ყოველთვის ბანკის ოპერაციების მსვლელობის თანახმობიერად და უზრუნველყოფილია ბანკის მთელი კაპიტალით, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფილია გირაობით, რაც გამოორიცხავს რისკის ყოველგვარ შესაძლებლობას.

9. წესდება სწორი კანონიერი კრედიტი გლახობისათვის, რომლებსაც იგი დღემდე სრულებით არა აქვთ.

10. დგინდება აგრეთვე მყარი კრედიტი ვენახებისათვის, რომელიც ჰქონდა მხოლოდ საზოგადოებრივი მზუნველობის „პრიკაზს“; ისიც ძლიერ შეზღუდული ოდენობით.

11. დაიშვება ოპერაციები მიმდინარე ანგარიშებზე და თამასუქების დახურდავებისა იმ წესის მიხედვით, რომელიც განსაკუთრებულად უნდა შედგეს და დროულად გამოცხადდეს საყოველთაო ცნობად.

გამოიმუშავა რა ეს საწყისები, კომიტეტმა განსაზღვრა:

1. მოაწეროს ხელი წესდების პროექტს და მიანდოს კომიტეტის თავმჯდომარეს დადგენილი წესით წარუდგინოს ხელმძღვანელობას მისი მთავრობის მიერ დამტკიცების შუამდგომლობისათვის, ამასთან, დაურთოს როგორც ახლანდელი განსაზღვრება, ისე აზნაურთა საგუბერნიო კრების ამა წლის 6 და 8 მაისის დადგენილების ოქმები, 2) დანარჩენ სამუშაოებს, რომელთაც მხედველობაში აქვთ წესდების მოქმედებაში შეყვანა და მისი შემდგომი განივთარება, შეუდგეს წესდების უმაღლესად დამტკიცების შემდეგ.

წესდების პროექტს ხელს აწერენ სარედაქციო კომიტეტის შემდეგი წევრები: გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, გიორგი ერისთავი, ისაკ თუმანიშვილი, ვახტანგ ორბელიანი, მიხეილ ჭილაშვილი, ზაქრო ავთანდილაშვილი, იესე ანდრონიკაშვილი, იოსებ მამაცაშვილი, ვახტანგ გურამიშვილი, ვახტანგ თულაშვილი, ალექსანდრე ერისთავი, იოსებ ციციშვილი, ზაქრო ვაჩნაძე, გაბრიელ სულხანიშვილი, დავით სუმბათაშვილი, დიმიტრი მგალობლიშვილი, ალექსანდრე ზუბალაშვილი, გიორგი ანდრონიკაშვილი, ილია ჭავჭავაძე⁵.

⁵ საქ. სსრ ცსია, ფონ. 394, აღწ. 1, საქ. 11772, ფურ. 76—77.

სათავადაზნაურო ბანკის წესდების პროექტს, რომელიც სარედაქციო კომიტეტმა 1867 წლის ნოემბერ-დეკემბერში შეიმუშავა, დ. ყიფიანი იმავე წლის 23 დეკემბერს უგზავნის თბილისის სამოქალაქო გუბერნატორს და თხოვს დადგენილი წესით გამოითხოვოს მთავრობის მიერ ბანკის წესდების დამტკიცება⁶.

დასამტკიცებლად წარდგენილი წესდების პროექტის შესახებ გაზეთი „დროება“ 1868 წლის 1 იანვარს წერდა: „შედგენილია ბანკის პროექტი დიდის მეცადინეობით და სიფრთხილით, ამ პროექტის საფუძველი დიდის ალტაცებით და გულიანად მიღებული იქნა საქართველოს თავადაზნაურობისაგან. საქმე ცხადი იყო და ასეც უნდა მომხდარიყო: 1) ბანკი აძლევს ვალის ამღებს ზომიერის სარგებლით ფულსა, 2) ვალის გადაუხდელობაში ბანკი ცდილობს, რომ მამულის პატრონს მამული არ გაეყიდოს და 3) ბანკის შემოსავალი ყოველგვარი წარმატებისათვის მოახმაროს საზოგადოებას. ამ პროექტის საფუძველი ისეთი გამოდგა, რომ არამც თუ ჩვენი ქართველობა დარჩა კმაყოფილი, არამედ რუსულმა გაზეთებმაც ყურადღება მიექციეს და დიდის თანაგრძნობით აღიარეს ჩვენი თბილისის გუბერნიის ბანკის საფუძველი უკეთეს საფუძველათ. „პეტერბურდის ველომოსტმა“, რომელსაც უჭირავს სხვა გაზეთებში საჩენი ადგილი. სთქვა, რომ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობა თავისი ბანკით სამაგალითო საქმეს უჩვენებს თავადაზნაურობასო. სჩანს, რომ კარგი რამ საფუძველი უნდა იყოს, რომ ჩვენს აზნაურობასაც მოსწონს და რუსული ლიტერატურაც თანაგრძნობას აცხადებს. მაგრამ ესე საქმის დაყენება ადვილი არ იყო: ჩვენს ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობისაგან ამორჩეულ პირთ დიდი შრომა, დიდი ცდა და ზრუნვა ნახეს. ეს დიდათ ძნელი საქმე იყო; მაგრამ მაინც, როგორც კი შეიძლებოდა, მოიპოვეს კარგი ბანკის საფუძველი და პროექტი“⁷.

თბილისის ბანკის წესდების პროექტის თაობაზე არსებობდა სხვაგვარი შეხედულებებიც, როგორც წესდების დასამტკიცებლად გაგზავნამდე ისე მას შემდეგაც. ეს შეხედულებები გამოთქმულია ცალკეულ მოხსენებით ბარათებში და იმდროინდელ პრესაში როგორც წესდების პროექტის შემდგენელი კომიტეტის ცალკეული წევრების მიერ, ასევე სხვა დაინტერესებული პირების მიერ. სარედაქციო კომიტეტის წევრი ა. ზუბალაშვილი (ზუბალოვი) 1867 წლის

⁶ იქვე, ფურ. 152.

⁷ ვაზ. „დროება“, 1868, № 51.

14 ნომბერს დიმიტრი ყიფიანს ატყობინებს: ვინაიდან ავადმყოფობის გამო არ შემძლია დავესწრო წესდების პროექტის შემმუშავებელი კომიტეტის სხდომებს, გიგზავნით წერილს თქვენს მიერ გამოგზავნილი ბანკის პროექტის თქვენი ბროშურის თაობაზე⁸.

ა. ზუბალაშვილი თავის მოხსენებით ბარათში (Относительно проекта банка), რაც განხილული უნდა ყოფილიყო კომიტეტის სხდომებზე, რომელიც სწორედ იმ დროისთვის იწყებოდა, შემდეგ წერს: „აზნაურობის უკანასკნელ საგუბერნიო კრებაზე, რომელზედაც იხილებოდა ბანკის პროექტი, წარმოდგენილ წინადადებებს შორის ბანკის დაარსების მთავარ საფუძვლად მიღებული იყო, რომ ბანკს ჰქონდა საზოგადოებრივი ხასიათი. ე. ი. მოგება, რომელიც მიიღება კაპიტალის ბრუნვიდან, მოხმარდეს ჩვენს საერთო საჭიროებას. ამ საქმის სხვა დეტალების დამუშავება, ე. ი. თქვენს მიერ შემოთავაზებული მთავარი საწყისების მიღება ან მასში ცვლილებების შეტანა და მისი შემდგომი განვითარება დაევალა ჩვენს კომიტეტს, რომელმაც ამ საქმის საბოლოო განხილვისას უნდა შეადგინოს მომავალი ბანკის დაწვრილებითი წესდება. ამის შედეგად თქვენს მიერ დასახული დაწესებულების გეგმის მიხედვით ჩვენ ახლა გვევალება: 1) განვსაზღვროთ ოპერაციათა წრე, რომელიც უნდა შეასრულოს გათვალისწინებულმა საკრედიტო დაწესებულებამ, 2) გამოვძებნოთ ბანკის ძირითადი კაპიტალის შედგენის საშუალებები, 3) განვსაზღვროთ იქედან სესხის გამოტანისა და სარგებლის გადახდის მთავარი საფუძვლები, 4) დავადგინოთ ბანკის ადმინისტრაციის მოქმედების საერთო წესი“⁹.

თქვენი შეხედულება ჩვენ ბანკზე, — წერს ა. ზუბალაშვილი. — არის ის, რომ იგი უნდა იყოს სპეციალური დაწესებულება. და მისი მოქმედება უნდა შემოიფარგლოს ამ ოპერაციებით, რომელთაც მხედველობაში აქვთ მხოლოდ ადგილობრივი მრეწველობა. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, თქვენ, ჩვენ ბანკს მიზნად უსახავთ განსაზღვრულ ტერიტორიაზე, ე. ი. აბილისის გუბერნიის 4 მაზრაში შემდგომში დააკმაყოფილოს სხვადასხვა საკრედიტო ოპერაციები, რასაც ასრულებს ამიერკავკასიის საზოგადოებრივი მზრუნველობის პრივატი. ამასთან, თქვენ აუცილებლად მიგაჩნიათ ოპერაციების წრის გაფართოებაში დაცულ იქნეს თანდათანობა. პირველ ხანებში კი გვირჩევთ ბანკის მოქმედება განვსაზღვროთ მხოლოდ საადგილ-

⁸ საქ. სსრ ცნობა, ფონ. 394, აღწ. 1 საქ. 11772. ფურც. 44.

⁹ იქვე. ფურ. 46.

მამულო სესხით, საკრედიტო ოპერაციების სხვა სახეების ამორჩევას და მათი თანდათანობით მოქმედებაში შეყვანის საკითხს კი უტოვებთ გადასაწყვეტად თავად-აზნაურთა მომავალ კრებას.

ბანკის მოქმედების წრის თანდათანობით გაფართოება. ა. ზუბალაშვილის აზრით, დამოკიდებულია ბანკის ადმინისტრაციაზე და ზედამხედველ კომიტეტზე, რომელთაც ხელთ აქვთ ერთხელ უკვე დამტკიცებული ბანკის წესდება, იგი ბანკის სახსრების განვითარების მიხედვით, ე. ი. კრედიტის და არსებული კაპიტალს გაზრდის. შესაბამისად აფართოებს ნავარაუდები ოპერაციების წრეს.

დღეისათვის ჩვენთვის აუცილებელია მხოლოდ განვსაზღვროთ ეს ოპერაციები, რომ მომავალი ბანკის ადმინისტრაცია არ შევზღუდოთ მითითებებით, თუ რომელი მათგანი უნდა განხორციელდეს ადრე და რომელი შემდეგ, ამით ბანკის მმართველობას ვაძლევთ მოქმედების სრულ თავისუფლებას. უკიდურეს შემთხვევაში ზედამხედველი კომიტეტის როლი სავსებით პასიური იქნება და აზნაურთა საკუბერნიო კრების ხშირი ჩარევა ბანკის ოპერაციების საქმეში აღმოჩნდება სავსებით არა პრაქტიკული. თავისთავად იგულისხმება, რომ ასეთი წესის დროს გუბერნიის თავადაზნაურობის საერთო კრება ყოველთვის შეინარჩუნებს კრიტიკისა და უმაღლესი ხელმძღვანელის უფლებას და ბანკის ადმინისტრაცია და ზედამხედველი კომიტეტი თავის მოქმედებისათვის ყოველთვის პასუხისმგებელი იქნება საზოგადოების წინაშე. უეჭველია, მომავალში შეიძლება წარმოიშვეს ისეთი საქმეებიც, რომელთა სარგებლობა და შესაფერისობა ჩვენი დაწესებულებისათვის შეუძლებელია ახლა განვკვირიტოთ, ასეთ საქმეებზე უთუოდ აღიძვრება საკითხი თავის დროზე. ოპერაციები, რომლითაც ცხოვრობენ და მდიდრდებიან ბანკები, ახლაც არსებობს და ჩვენთვის უკეთესი იქნება ახლავე ამოვარჩიოთ იმათგან ჩვენი ბანკისათვის, ვიდრე შემოვიფარგლოთ მხოლოდ მითითებით ერთ ოპერაციაზე, მაგალითად საადგილმამულო სესხზე და მომავალში არჩევა სხვა ოპერაციებისა და მათი თანდათანობით შეყვანა მოქმედებაში, დავტოვოთ მომავალში საერთო კრებების საზრუნავად.

რაც შეეხება თქვენს შეხედულებას იმის შესახებ, — წერს ა. ზუბალაშვილი, — რომ პირად კრედიტზე დაფუძნებული და სავაჭრო ბრუნვასთან კავშირში მყოფი ოპერაციები არ უნდა შევიდეს და გამორიცხული უნდა იქნეს ჩვენი ბანკის მოღვაწეობის წრიდან, ამ შეხედულების გასამაგრებლად, თქვენს პროექტში მე ვერ ვნახულობ დამაჯერებელ მტკიცებას. გამდიდრების წესი ანუ კო-

მერციული წესი, ყველა ბანკისათვის ერთი და იგივეა. განსხვავება კომერციულ ბანკსა და საზოგადოებრივ-აზნაურულ ბანკს შორის მდგომარეობს მხოლოდ ბანკის მოგების გამოყენებაში. კომერციული ბანკები მოგებას იყენებენ თავისი სარგებლობისათვის, ე. ი. კერძო პირების სასარგებლოდ, საზოგადოებრივი ბანკები კი საზოგადოების სასარგებლოდ. ერთი სიტყვით მთელი განსხვავება მათ შორის მდგომარეობს მიზანში და არა საშუალებებში. ამისათვის შეუძლებელია დავეთანხმოთ იმ შეხედულებას, რომ ჩვენი ბანკის ოპერაციების წრიდან გამორიცხულ იქნეს ყველა ის ოპერაცია, რომელიც იმყოფება კავშირში საეაქრო ბრუნვასთან.

აზნაურთა უკანასკნელ კრებაზე მე დავაყენე საკითხი სარგებლის ოდენობის შესახებ, მე წინადადება შევიტანე, რომ სარგებელი უნდა იყოს რაც შეიძლება დაბალი, ამაზე ჩემმა ნაცნობებმა კერძო საუბარში შემნიშნეს, თუ არ ავიღებთ მნიშვნელოვან სარგებელს, ჩვენ არ შეგვეძლება დაცდა კაპიტალის გადიდებად და მამასადა-მე, გათყალისწინებული კარგი შედეგების მიღებამდე.

ასეთი შენიშვნა ახლა არ შეიძლება არ ვცნოთ სავსებით პრაქტიკულად მას შემდეგ, რაც ჩვენი შეხედულება დასაარსებელი ბანკის თაობაზე მოწონებულ იქნა საერთო კრების მიერ. თქვენს პროექტში კი, — წერს ა. ზუბალაშვილი, — მთავარი ყურადღება ექცევა კაპიტალის გადიდებას და ელოდებით მილიონებს. საკითხავია, რა საშუალებით უნდა შედგეს ეს მილიონები? თუ ეს მარტო სოფლის მამულების უზრუნველყოფით გაცემული სესხით უნდა შეიქმნეს, მაშინ სარგებელი უნდა იქნეს ძლიერ მაღალი. მისცე ფული მაღალი სარგებლით, ეს ცოტათ თუ ბევრად ექსპლოატაციაა, იმის მაგივრად, რომ ექსპლოატაცია უყოთ საადგილმამულო სესხით, უკეთესი იქნება გავაფართოვოთ ბანკის მოქმედება სხვა საგნებზე, ასე მაგალითად, კაპიტალის გადიდების მიზნით მივცეთ სესხი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გირაოს ქვეშ; ისე როგორც ეს კეთდება სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილების მიერ. არის ბანკები, — წერს ა. ზუბალაშვილი, — რომლებიც დიდი მოგებისათვის იძლევიან სესხებს საქონლის გირაოს ქვეშ, მაგრამ მე არ მოვიტხოვ ჩვენი ბანკისათვის ასეთ მჭიდრო კავშირს, სავაჭრო საქმეებთან, მაგრამ გირაოს ქვეშ მიღება ფასიანი ქაღალდების, არა მარტო ძლიერ სასარგებლო იქნება, არამედ აუცილებელიც.

ა. ზუბალაშვილის აზრით, ბანკს უნდა მიეცეს შერეული ხასიათი, ბანკის მოქმედების სფეროში უნდა შედიოდეს: სესხი შემოსავლიანი მიწების და ბაღების გირაოს ქვეშ (თბილისის გუბერნიის 4 მახ-

რის, სოფლის მოსახლეობისათვის). სესხები საკრედიტო ქალაქე-
ბით უზრუნველყოფის ქვეშ (თბილისის გუბერნიის ქალაქებში და
სოფლებისათვის), ანაბრების მიღება ბრუნვისათვის სარგებელზე
და შესანახავად (მთელი იმპერიის ყველა წოდებისათვის).

ბანკის საქმიანობის ასეთი წრე არ შეიძლება გადაიქცეს დაწესე-
ბულების დამამძიმებლად, ბანკის ადმინისტრაციის ჩვეულებრივი
შემადგენლობის დროსაც კი.

რაც შეეხება ბანკის ძირითადი კაპიტალის შესადგენად საშუალე-
ების გამოჩვენებას, შეიძლება ითქვას, რომ ეს საკითხი რამდენადმე
უკვე გადაწყვეტილია თავადაზნაურთა საგუბერნიო კრების დად-
გენილებით. გამოჰქონდა რა ეს დადგენილება, კრებას მხედველობა-
ში ჰქონდა ბანკის ძირითადი კაპიტალის შესადგენად გამოყენებინა
ყმების განთავისუფლებისათვის უმაღლესად ნაბოძები ფულადი
დანაშრებიდან ხაზინაში დარჩენილი 200 000 მანეთი და გუბერნიის
სამაზრო კრებების გადაწყვეტილების საფუძველზე 1/5 ნაწილის.
340 ათასი მანეთის შეგროვება იმ ფულიდან, რაც თავადაზნაურობას
ბიეცემოდა მთავრობისაგან ყმების გათავისუფლებისათვის, რაც შე-
ადგენს მთელ ძირითად კაპიტალს — 540 ათას მანეთს, მაგრამ ამ
შემთხვევაში საჭიროა გადაწყვიტოთ საკითხი, თუ როგორ განვა-
ხორციელოთ ამ ნაგულისხმევი ფულის შეგროვება, რადგანაც სი-
ნამდვილეში ზემოაღნიშნული 340 ათასიდან სახეზე გვაქვს მხო-
ლოდ 80 ათასი მანეთი“

ა. ზუბალაშვილი იხილავს აგრეთვე დ. ყიფიანის პროექტის იმ
მუხლს, რომელიც ეხება სესხის გაცემას და სარგებლის გადახდის
საკითხს. „მე ვფიქრობ, — წერს ა. ზუბალაშვილი, — რომ ბანკი სეს-
ხის გაცემის დროს უნდა ხელმძღვანელობდეს სხვადასხვა წესით,
200 მანეთზე მეტი რაოდენობით სესხის გაცემის დროს, უნდა ვი-
ხელმძღვანელოთ საერთოდ საადგილმამულო კრედიტის დაწესებუ-
ლებებში მიღებული წესის მიხედვით, რაც იმაში მდგომარეობს,
რომ სესხის გაცემის დროს უნდა მოხდეს დასაგირავებელი ქონების
შემოსავლის კაპიტალიზაცია და მისი განსაზღვრული ნაწილის გა-
ცემა სესხად. თქვენს პროექტში, — წერს ა. ზუბალაშვილი, — არის.
ადგილი, სადაც თქვენ ავითარებთ აზრს, რომ გლახობის კეთილ-
დღეობაზე დამოკიდებულია მემამულეთა კეთილდღეობა. ეს თე-
ორია კეთილგონიერია, შეიძლება ითქვას ეს პრაქტიკული სოცია-
ლიზმის თეორიაა, რაც მხოლოდ მაშინ შეიძლება განხორციელდეს.
თუ სესხის გაცემის დროს, განსაკუთრებით პატარა რაოდენობის სეს-
ხის დროს, თავიდან მოვიშორებთ ყოველგვარ ფორმალობას და

ხელშემშლელ პირობებს, ისე რომ გლახს შეეძლოს სპეციალისტების დახმარების და დროის დაკარგვის გარეშე მიიღოს მისთვის საჭირო სესხი, რომ ბანკის ოპერაციების სისტემა ან უკეთ რომ ვთქვათ მთელი საბანკო პროცედურა გლახისათვის ისე ნათელი და უბრალო იყოს, როგორც ანგარიში, რომელსაც ის თავის 5 თითზე აკეთებს. მე ვფიქრობ, — წერს ზუბალაშვილი, — ჩემს მიერ შემოთავაზებული წესი სესხის გაცემისა დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ თქვენ მოთხოვნებს. რაც შეეხება მამულების გაუსყიდაობას, მე უნდა ვთქვა, რომ თუმცა ამ იდეას მე ვთვლი უმაღლესი ხარისხის ჰუმანიზმად, მაგრამ მასთან ერთად ვფიქრობ, რომ პრაქტიკაში იგი გამოვა უტოპია. ბანკი, რომელიც პრინციპად ღებულობს გირაოს გაუსყიდაობას, უთუოდ გაკოტრდება“¹⁰.

სარედაქციო კომიტეტის წევრმა, კონსტანტინე მამაცაშვილმა (კონსტანტინე მამაცაშვილი, თავის ძმებთან იოსებთან და ილიასთან ერთად. გორის მაზრის აზნაურთა კრებაზე წერილობითი განცხადება გააკეთეს იმის თაობაზე, რომ ისინი მთელ თანხას, რაც მათ ეკუთვნით ყმების გათავისუფლებისათვის, მთლიანად სწირავენ საზნაურო ბანკს¹¹). 1867 წლის 1 დეკემბერს წერილობით აცნობა დ. ყიფიანს თავისი შეხედულებები ბანკის წესდების პროექტის ზოგიერთ საკითხზე¹².

ეს შეხედულებები შემდეგია: საზოგადოებრივი ბანკის უპირატესობა წოდებრივი ბანკის წინაშე ნათელია, პროექტით განზრახულია პირველად დაარსდეს წოდებრივი ბანკი, რომელიც შემდეგ განვითარდება და გადაიქცევა საზოგადოებრივად.

საშუალებები, რომლებითაც წოდებრივი ბანკი განვითარდება და მიიღებს საზოგადოებრივი ბანკის ხასიათს, პროექტით მომავალმა უნდა გვიჩვენოს.

წოდებრივი ბანკი თავისი სესხებით მხოლოდ თავადაზნაურობისათვის მნიშვნელოვნად ვერ განავითარებს თავის ოპერაციებს და ვერ გააუმჯობესებს ჩვენს სოფლის მეურნეობას, ეს უკანასკნელი კი, უნდა წარმოადგენდეს მიზანს დასაარსებელი ბანკისას. ამის დადასტურებას წარმოადგენს ამიერკავკასიის საზოგადოებრივი მზრუნველობის „პრიკაზი“, რომელიც აძლევდა გირაოს ქვეშ სესხს არა მარტო თავადაზნაურებს, არამედ ქალაქის მოსახლეობასაც.

¹⁰ საქ. სსრ ცსია, ფონ. 394, აღწ. 1, საქ. 11772, ფურ. 47

¹¹ საქ. სსრ ცსია, ფონ. 214, აღწ. 1, საქ. 3366, ფურ. 36.

¹² იქვე, ფურ. 50.

ჩვენმა თავადაზნაურობამ „პრიკაზიდან“ უზარმაზარი თანხა გაიტანა და ახლა ორი მილიონი ვალი აქვს, მაგრამ ამით ჩვენი სოფლის მეურნეობა ერთი ნაბიჯითაც წინ არ წაწეულა, იმიტომ, რომ გლეხები არ მონაწილეობდნენ „პრიკაზიდან“ სესხის აღებაში, და მათ გარეშე ჩვენი ეკონომიური ყოფის გაუმჯობესება წარმოუდგენელია.

წოდებრივი ბანკი რომ მალე გადაიქცეს საზოგადოებრივ ბანკად, ამისათვის არსებობს ერთადერთი საშუალება, მივიზიდოთ ჩვენს ახალ ბანკში კაპიტალი ანაბრების სახით, გადიდებული სარგებლით მაგალითად 7%-ით, და ეს ფული გაუშვათ ბრუნვაში, მივეცეთ გლეხობას სესხად პირველ წლებში სარგებლის მინიმუმით, რასაც ახლა უხდიან ისინი მევახშეებს მამულის გირაოს ქვეშ.

უკეთესი ეკონომისტები — ბენტამი, სტიუარტი, მილი და სხვები უარყოფენ სარგებლის მაღალ დონეს. მისი დონე დამოკიდებულია ქვეყანაში კაპიტალების მდგომარეობაზე, მათ მიწოდებაზე და მოთხოვნაზე.

დღეისათვის გლეხები, რომელთაც უდიდესი მოთხოვნა აქვთ ფულზე, იხდიან ოციდან ორმოცდაათ პროცენტამდე, ხშირად კი ას მანეთზე — ას მანეთს. მაშასადამე, თუ ბანკი მისცემს სესხს გლეხებს 15% კვლობაზე, ისინი სიამოვნებით მიმართავენ ბანკს. გლეხობიდან მიღებული 15%-დან, 7% წავა მეანაბრის სასარგებლოდ, 8% კი შეადგენს ბანკის მოგებას საგლეხო კაპიტალის შესადგენად.

როცა საგლეხო კაპიტალი ბანკში მიაღწევს 540 ათას მანეთს, ე. ი. რამდენსაც შეადგენს სათავადაზნაურო ფონდი, გლეხებზე გაცემული სესხის სარგებელი უნდა გაუთანასწორდეს იმ დონეს, რასაც ახლა ვითვალისწინებთ სესხის აღებისას თავადაზნაურობისათვის, მაშინ ბანკი იქცევა სავსებით საზოგადოებრივად. იმიტომ, რომ გლეხებს და თავადაზნაურებს შესაბამისი წილი ექნებათ ბანკის ფონდში და სესხზე გადაიხდიან ერთი და იგივე ოდენობის სარგებელს. ეკვი არ არის, რომ გლეხების მიერ ნასესხები ფული მწარმოებლურად დაიხარჯება. „ჩემი შეხედულებების განვითარება, — წერს კ. მამაცაშვილი, — გადმოცემულია განსაკუთრებულ პროექტში, რომელიც შეადგინა არტილერიის პოდპორუჩიკმა მიხეილ მამაცაშვილმა და რომელშიც ბანკისათვის საჭირო ბევრი საქმიანი პრაქტიკული წინადადებაა, რომ იგი გახდეს სავსებით საზოგადოებრივ ბანკად“.

მიხეილ გაბრიელის ძე მამაცაშვილი¹³ (Мамацв) არ იყო სა-რედაქციო კომიტეტის წევრი. იგი როგორც დაინტერესებული პი-რი, თავის ვრცელ წერილში, რომელიც წესდების შემმუშავებელ კო-მიტეტს გაუგზავნა, აკრიტიკებს ყიფიანისეულ პროექტს და გად-მოგვცემს თავის შეხედულებებს საზოგადოებრივი საადგილმამუ-ლო ბანკის თაობაზე. ცოტა გვიან მამაცაშვილი იმავე საკითხების შესახებ წერილების სერიას ბეჭდავს გაზეთ „Кавказ“-ის ფურც-ლებზე. მ. მამაცაშვილი თავის მოხსენებით ბარათს იწყებს ციტატიო მე-19 საუკუნის 30-იანი წლების ფრანგი ეკონომისტის შარლ კოკ-ლენის შრომიდან „О кредите и банках“: „შეიძლება მივიღოთ სა-ერთო წესად, რომ ხალხის კეთილდღეობა დამოკიდებულია საზოგა-დოებაში კრედიტის განვითარების დონეზე“¹⁴.

გ. მამაცაშვილი თვლის, რომ ბანკის საშუალებით განვითარდებ-და კრედიტი და დაეცემა პროცენტის დონე, რომელიც ახლა ძლიერ მაღალია, და რაც ასე დამანგრეველია ჩვენი საზოგადოებისათვის. ზანკი, რომელიც დაარსდება საზოგადოებაში არსებულ საჭიროე-ბათა საწყისებზე, უთუოდ დიდ გავლენას მოახდენს მის მატერიალ-ურ კეთილდღეობაზე. ის დააჩქარებს კაპიტალების ბრუნვას, გა-უხსნის მას მწარმოებლური გამოყენების ახალ სფეროებს, შეამცი-რებს მათი უქმადყოფნის დროს, და გაამრავლებს მწარმოებლურ ძა-ლებს. ის კარგ გავლენას მოახდენს სოფლის მეურნეობის განვითა-რებაზე და , მამასადამე, ამაღლებს მთელი საზოგადოების კეთილ-დღეობას. ასეთ საფუძველზე დაარსებული ბანკი შეაგროვებს მთელ დანაზოგს, რომელიც საზოგადოებაში არსებობს და აიძულებს მას მოიტანოს საზოგადოებრივი სარგებლობა.

სწორ საფუძველზე მოწყობილი ბანკის ყველა შესაძლებელი შე-დეგების მიღწევისათვის აუცილებელია ავიშოროთ ყოველგვარი ხე-

¹³ მ. გ. მამაცაშვილი თავის დროისათვის ფრიად განათლებული პიროვნება იყო მის კალამს ეკუთვნის ბროშურები, მოხსენებითი ბარათები და საგაზეთო წერილები, რომლებიც ეძღვნება ბანკის წესდების პროექტების განხილვას და, საერთოდ, ბანკის დაარსების საკითხებს. მისი ნაწერების სათაურების უბრალო ჩამოთვლა გვიჩვენებს, რომ მ. მამაცაშვილი აქტიურად ეხმარებოდა საბანკო საკითხებს: «Кутанский поземельный банк», 1868 г., «Общественный поземельный банк», 1868 г., «Нечто о Тифлисском и Кутанском банках», 1871 г., «Тифлисский дворянский банк, его застой и затруднения», 1872 г., «Земельный кредит в Тифлисской и Кутайской губерниях», 1876 г., «Назначение Тифлисского банка», 1871 г.

¹⁴ საქ. სსრ ცხი, ფონ. 394, აღწ. 1, საქ. 11772, ფურ. 54.

ლოვნურობა, რაც შეიძლება შეგვეხედეს მისი დაწესების დროს. აუცილებელია დავიცვათ მხოლოდ ის პირობები, რომლებიც ბუნებრივად გამომდინარეობენ საზოგადოების არსებული მდგომარეობიდან და მისი წევრების ურთიერთდამოკიდებულებიდან.

„ყველა ამ პირობის დაკმაყოფილებას ყველაზე უფრო შეეფერება საზოგადოებრივი ხასიათის ბანკი, რომელშიც თანაბრად მონაწილეობს საზოგადოების ყველა კლასი. რომ ბანკი იყოს ნამდვილად საზოგადოებრივი. — წერს მ. მამაცაშვილი, — მის მოგებაზე განმკარგულბელი იყოს არა რომელიმე კლასი, არამედ მთელი საზოგადოება; რომ საზოგადოების თვითეულ კლასს ჰქონდეს უცილობელი უფლება სარგებლობდეს მისი მოგებით, რომ მის ყოველგვარ წამოწყებაში თანაბრად მონაწილეობდეს ყველა კლასი, ამისთვის აუცილებელია, რომ მისი სახსრების შექმნაშიც თანაბრად მონაწილეობდეს ყველა კლასი. წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი იქნება არა საზოგადოებრივი, არამედ წოდებრივი, მისი მოქმედება გავრცელდება არა მთელ საზოგადოებაზე, არამედ უმთავრესად ერთ წოდებაზე. მოგების განმკარგულბელი იქნება არა მთელი საზოგადოება, არამედ ერთი წოდება.

როგორც პროექტშია თქმული, — წერს მამაცაშვილი, — ბანკის მოქმედების ფართოდ გაშლა შეიძლება დაიწყოს ცოტად თუ ბევრად შორეულ მომავალში. ბანკის მოქმედების უახლოეს პერიოდში არ იქნება გამოშვებული გირავნობის ფურცლები და არ იწარმოებს სხვა დამოუკიდებელი ოპერაციები. მაშასადამე, ამ დროის დადგომამდე არ არის არავითარი მონაცემები, რომლებიც გვიჩვენებდეს ბანკის ძირითადი კაპიტალის გადიდებას. ასე რომ, ეს მილიონები, რასაც ჩვენ გვპირდება პროექტი, ბანკს არ შეუძლია შეიძინოს, ვიდრე თავის ოპერაციებს სრულად არ განავითარებს. განვიხილოთ როგორ დააკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნას ის ძირითადი კაპიტალი, რომელიც თავდაპირველად ექნება ბანკს. უკეთეს შემთხვევაში, ბანკის ძირითადი კაპიტალი დასაწყისში არ გადააჭარბებს 540 ათას მანეთს. ბანკი, რომელიც ფლობს ასეთ კაპიტალს შეუძლება თავის ოპერაციებს, ე. ი. სესხის გაცემას. რა პირობებში გასცემს სესხს ბანკი, რა სარგებელს აიღებს გაცემულ სესხში, ეს საკითხი არ შეიძლება გადაწყვეტილ იქნეს თვითნებურად. იგი განისაზღვრება მოთხოვნისა და მიწოდების შეფარდებით, მან უნდა გამოხატოს სარგებლის ოდენობა, რომელსაც ბანკი იღებს გაცემულ სესხში“. მ. მამაცაშვილის აზრით მისი ოდენობა უნდა იყოს ისეთი, რომ მოთხოვნა ფულზე, შეეფარდებოდეს ბანკის საშუალებებს, იგი არ

უნდა აძლევდეს უპირატესობას მოთხოვნას ან მიწოდებას, უნდა გაათანაბროს მიწოდება და მოთხოვნა.

„თუ მიწოდება უფრო მეტია, ვიდრე მოთხოვნა, სარგებლის დონე დაეცემა. პირიქით, თუ მოთხოვნა მეტია მიწოდებაზე, მაშინ სარგებლის დონე აიწევს. ჩვენთვის ცნობილია, — წერს გ. მამაცაშვილი, — მიწოდების ოდენობა, ის უდრის 540 ათას მანეთს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ფონდი შედგება 80 ათასი მანეთისაგან. რაც უკვე შეიტანა აზნაურობამ. 260 ათასი მანეთისაგან, რაც უნდა შეიტანოს აზნაურობამ და 200 ათასი მანეთისაგან, რომელსაც პირდება მთავრობა გუბერნიის აზნაურობას და გლეხობას მათი ყოფის გასაუმჯობესებლად. ჩვენ ვხედავთ, რომ 540 ათასიდან თითქმის ნახევარი 260 ათასი იმყოფება აზნაურობის ხელში, რომელიც დარჩება მათ ხელში, ბანკის დაარსების მომენტისათვის, ამასთან ბანკი ჩათვლის ამ თანხას როგორც ბანკიდან ნასესხებებს აზნაურობისაგან საერთო საფუძველზე, ამრიგად, ბანკში დარჩება სულ 280 ათასი მანეთი, რომლითაც უნდა დაკმაყოფილდეს მთელი საზოგადოების მოთხოვნილება. რომ მახლოებით განესაზღვროთ მხოლოდ ერთი წოდების, გლეხობის მოთხოვნა, შევხედოთ რამდენიმე სოფლის ვალების ოდენობას, და იმ სარგებელს, რომელსაც ისინი უხდიან გამსესხებლებს.

მიახლოებითი ვალი სოფელ რუისისა შეადგენს 40 ათას მანეთს, ხიდისთავის 38 ათას მანეთს. მაშასადამე, ვალი მხოლოდ ორი სოფლისა, რომლებშიც 450 კომლუა, შეადგენს თითქმის 80 ათას მანეთს. როგორი იქნება ვალები მთელი ტფილისის გუბერნიის გლეხობისა? ამასთან ყველაზე მცირე ოდენობა სარგებლისა, რომელსაც გლეხობა იხდის სესხისათვის შეადგენს 24 პროცენტს 100-დან.

ამასთან ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ გლეხობის შემოსავლის დიდი ნაწილი მიდის სესხის სარგებლის დასაფარავად, რომელსაც ისინი უხდიან მევალებს. ამ მონაცემებიდან შეგვიძლია დავინახოთ, როგორი დიდი მოთხოვნაა ფულზე გლეხობის მხრივ. სესხზე ასეთი დიდი მოთხოვნის დროს, აზნაურობის მოთხოვნასთან ერთად, რომლის ვალები მხოლოდ ამიერკავკასიის საზოგადოებრივი მზრუნველობის პრიკაზიდან 2 მილიონ მანეთს შეადგენს, გასაგებია, რომ სარგებლობის დონე, რომელსაც ბანკი იღებს, მის ხელში არსებული მცირე საშუალებების დროს, მნიშვნელოვნად მაღალი უნდა იყოს, რათა გაათანაბრდეს სესხზე მოთხოვნა და მიწოდება.

აზნაურობის ინტერესი მოითხოვს, რომ სარგებლის დონე იყოს დაბალი: ამასთან, სესხზე მოთხოვნის მეტისმეტად გაზრდისას ბანკი

უძლური იქნება დააკმაყოფილოს ორივე კლასის მოთხოვნები, ამიტომ გლეხობის მოთხოვნის დიდი ნაწილი ბანკის მიერ დაუკმაყოფილებელი დარჩება. გლეხობის ინტერესი კი მოითხოვს, რომ სარგებლის დონე იყოს მნიშვნელოვანი ოდენობის, რასაკვირველია არა მეტი იმ მინიმუმზე, რასაც ისინი იხდიან მეექვსეებთან. ამით აზნაურების მოთხოვნა დაიკლებს. რადგან მათთვის ხელსაყრელი არ იქნება ისარგებლონ ბანკის კრედიტით.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, — წერს მ. მამაცაშვილი, რომ არავითარი საშუალება არ არსებობს დადგინდეს ისეთი დონე სარგებლისა, რომელიც დაუშვებდა ორივე კლასის ერთნაირ მონაწილეობას, რადგან აზნაურობას აქვს ყველა უპირატესობა ისარგებლოს ბანკის სესხით, იმიტომ რომ იგი შეადგენს მის კუთვნილებას. გასაგებია რომ გლეხები ვერ ისარგებლებენ ბანკის კრედიტით. ბანკის სრული, ვრცელი მოღვაწეობის დაწყებით ეს უხერხულობა თავის თავად მოშორებული იქნებოდა, რადგან ბანკი გამოუშვებდა რა გირავნობის ფურცლებს, აწარმოებდა სხვა ოპერაციებს, 540 ათასი მან. ძირითადი კაპიტალით შეეძლო გაეხსნა რამდენიმე მილიონის სასესხო ოპერაცია. ადვილად შეეძლო დაეკმაყოფილებინა ყველას მოთხოვნა სარგებლის დაბალი დონის დროსაც, მაგრამ სანამ ბანკი არ შეუდგება სრული ოპერაციების განხორციელებას. არავითარი პრაქტიკული საფუძველი არ არსებობს მივაწეროთ ბანკს სრული საზოგადოებრივი ხასიათი. მას ექნება ასეთი ხასიათი მხოლოდ ნომინალურად. იგი თავის სურვილის წინააღმდეგ, თვითონ მიიღებს წოდებრივ ხასიათს, საზოგადოებრივი ბანკის ფორმით.

ბანკის სახსრების, მისი ძირითადი კაპიტალის შეზღუდულობის გამო, და რომ ის ეკუთვნის მხოლოდ თავად-აზნაურთა წოდებას, ბანკი ღებულობს უპირატესად თვადაზნაურულ, წოდებრივ ხასიათს.

აქედან თავისთავად გამომდინარეობს აუცილებლობა, რომ ბანკს მიეცეს საზოგადოებრივი ხასიათი; საჭიროა ბანკის ფონდის გაფართოება, გამონახვა საშუალებებისა, რომ გლეხობამ შეიძინოს ბანკში იმავე რაოდენობის სახსრები, რასაც თავადაზნაურობა ფლობს.

ამ პირობების განხორციელებით, რომელიც სასარგებლოა საზოგადოებისათვის და არა საზიანო, ბანკი უცილობლად მიიღებს საზოგადოებრივ ხასიათს. „მ. მამაცაშვილი ზემოთ მოტანილი მთავარი აზრის დასაბუთებას უძღვნის მოხსენებითი ბარათის დიდ ნაწილს და ბოლოს დაასკვნის, რომ „საზოგადოებრივ ბანკად იწოდება მხოლოდ

ას ბანკი, რომელიც ერთნაირად ემსახურება მთელ საზოგადოებას და არა უპირატესად ერთ რომელიმე წოდებას.

პირობები, რომელშიც ახლა იმყოფებიან აზნაურები და გლეხები, ვერ უზრუნველყოფენ ბანკის საზოგადოებრივ ხასიათს. საშუალებები, რომლებიც ბანკს გააჩნია, ძლიერ შეზღუდულია, ისინი ეკუთვნიან უმთავრესად თავადაზნაურობას, რის შედეგადაც მოგების განმკარგულებელი იქნება მხოლოდ ერთი წოდება და არა მთელი საზოგადოება.

მაშასადამე, ბანკმა რომ შეძლოს სრული საზოგადოებრივი ხასიათის მიღება, აუცილებელია ბანკის საშუალებების გაფართოება, მეთოდის გამონახვა იმისათვის, რომ გლეხობას ჰქონდეს ბანკში იმდენივე საშუალება, რამდენსაც ფლობს თავადაზნაურობა. ამ მიზნის მიღწევით ბანკი აუცილებლად საზოგადოებრივი ხდება. ეს საეკონომიკურად შესაძლებელია.

მისი მიღწევა ემყარება შემდეგ მონაცემებს: ა) ყველაზე დაბალი დონე სარგებლისა, რომელსაც ახლა იხდიან გლეხები შეადგენს 24%-ს და, მაშასადამე, ბ) ყოველგვარი სესხი, 24%-ზე ნაკლები, გლეხობისათვის სასარგებლოა. აქედან ირკვევა სასარგებლო წესი, რომ გლეხობამ შეიძინოს საშუალებები ბანკში. იგი მდგომარეობს შემდეგში: თავისუფალი კაპიტალების მიზიდვა ბანკში მაღალი სარგებლით და მისი გაცემა გლეხობაზე უფრო მაღალი სარგებლით.

რომ სასურველ გზაზე დავაყენოთ სეიფებში უსარგებლოდ ჩაწოლილი კაპიტალები და ქვეყნის მთელი დანაზოგი სახსრები მოვათავსოთ ჩვენს საზოგადოებრივ საადგილმამულო ბანკში, ამისათვის აუცილებელია, რომ ბანკის სარგებელი მნიშვნელოვანი იყოს და ჰარბობდეს სარგებლის იმ დონეს, რასაც იხდიან უკვე არსებული საკრედიტო დაწესებულებები. სარგებლის ეს დონე შეიძლება იყოს 7%.

ბანკის მიერ კაპიტალების მიზიდვის მიზანია: მისცეს იგი გლეხებს სესხად, დაფაროს შენაბრების კუთვნილი სარგებელი, გახადოს გლეხები ბანკის ისეთ წევრებად, როგორებიც არიან თავადაზნაურები, ე. ი. მისცეს მათ საშუალება შეიძინონ ისეთივე უფლება ბანკის სახსრებზე, როგორიც აქვთ თავადაზნაურებს. ამისათვის სარგებლის ოდენობა, რომელსაც იხდიან გლეხები, უნდა იყოს 7% და კიდევ იმდენი, რომ შესაძლო იყოს შეიქმნას გლეხების საზოგადოებრივი კაპიტალი. ეს მეორე ნაწილი, გ. მამაცაშვილის აზრით, უნდა იყოს 8%, ე. ი. მთლიანად გლეხმა უნდა გადაიხადოს სარგებლის სახით

15%. სარგებლის ეს დონე მძიმე არ იქნება გლეხებისათვის, რადგან გლეხები ახლა იხდიან სარგებლის სახით 30—40%.

500 ათასი მანეთის ანაბარი, 10 წლით გაცემული სესხად, ზემოთ მოყვანილ პირობებში იძლევა მოგებას. რაც აღემატება აზნაურობის დაუბრუნებელ ანაბრებს. როდესაც ბანკი შეუდგება ყველა მისი ოპერაციის შესრულებას, როდესაც ბანკის სახსრები მნიშვნელოვნად გაფართოვდება და გლეხობის კაპიტალი იმ ზომამდე გაიზრდება, რომ იგი შეიძლება მტკიცე საფუძველი გახდეს მისი შემდგომი განვითარებისა, სესხისათვის დადგინდება სარგებლის საერთო დონე. ბანკის სახსრები იმდენად დიდი იქნება, რომ თავისუფლად დააკმაყოფილებს საზოგადოების ორივე კლასის საჭიროებებს, იმ სახსრების შესაბამისად, რომლებსაც ისინი ფლობენ ბანკში. მაშინ საჭირო არ იქნება სარგებლის მაღალი დონე.

პროექტით გათვალისწინებული, დაგირავებული მამულების გაუსყიდავობის იდეის განხორციელება არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, თუ დაგირავებული ქონების შემოსვალი ქარბად დაეყარავს სარგებელს, რომლის გადახდასაც კისრულობს სესხის ამღები“¹⁵.

რუსი ფინანსისტების მონაწილეობა ბანკის წესდების პროექტის შემუშავებაში. დიმიტრი ყიფიანი ბანკის საქმეების შესწავლის მიზნით, როგორც აღვნიშნეთ, დაუკავშირდა ცნობილ ფინანსისტ ი. ყუკოვსკის, რომელმაც მიაწოდა მას საჭირო მასალები. სწორედ მათი შესწავლის საფუძველზე წარსდგა დ. ყიფიანი თავისი წინადადებებით თავადაზნაურთა საგუბერნიო კრებაზე, სადაც გადაწყდა ბანკის დაარსების საკითხი. ყუკოვსკი დაეხმარა მას აგრეთვე ბანკის პირველი წესდების შემუშავებაში. დ. ყიფიანის უფროსი შვილი ნიკოლოზი, რომელიც იმ დროს პეტერბურგში ცხოვრობდა, დ. ყიფიანისა და რუსი ფინანსისტების ურთიერთობის თაობაზე შემდეგს წერს: „ბანკის წესდების შესადგენად გამეგზავრა დიმიტრი ყიფიანი პეტერბურგში და მიმართა გამოჩენილს რუსეთის ფინანსისტს და პუბლიცისტს იური ყუკოვსკის (რომელიც მანამდინე ყურნალ „სოვრემენიკის“ თანამშრომელი იყო და ახლა სახელმწიფო ბანკის გამგებელია), მოიტანა ყუკოვსკის დაწერილი პროექტი ბანკის წესდებისა. დაიბარა აგრეთვე პეტერბურგიდან ერთი ფინანსისტი და ბანკების საქმეებში გამოცდილი კაცი ვოდოვი“¹⁶.

¹⁵ საქ. სსრ ცსია, ფონ. 394, აღწ. 1, საქ. 11772. ფურ. 65.

¹⁶ 6. ყ ი ფ ი ა ნ ი, დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება, თბ., 1894 გვ. 22.

უკოვსკის მონაწილეობით დ. ყიფიანის მიერ შედგენილი ბანკის წესდების პროექტი, რომელიც სარედაქციო კომიტეტმა განიხილა და დასამტკიცებლად გაუგზავნა მეფის ნაცვლის სამმართველოსთან არსებულ განსაკუთრებულ კომისიას, რამდენიმე თვის შემდეგ ისევ უკან გამოითხოვა, მასში ზოგიერთი შესწორების შესატანად. სარედაქციო კომიტეტის 1868 წლის 20 აპრილის სხდომის ოქმიდან¹⁷ ვიგებთ, რომ კომიტეტმა მოისმინა თავმჯდომარის პირადი განცხადება შემდეგი შინაარსისა: ბანკის პროექტის ზემდგომ ორგანოებში დასამტკიცებლად გადაგზავნის შემდეგ, თავმჯდომარე ბანკის წესდების შემდგომი დამუშავების მიზნით, დაუკავშირდა ცნობილ სპეციალისტებს, რომლებიც წესდების შესახებ საერთოდ ძლიერ კარგი აზრისანი არიან, მაგრამ პროექტში ამჩნევენ ზოგიერთ უხერხულობას და უსრულობას, რამაც არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს მის დამტკიცებაზე ზემდგომ ინსტანციებში განხილვის დროს. ერთი ცნობილი ფინანსიკი ნ. ი. ვოლოვი, თავაზობს კომიტეტს თავისი სამსახურს. პირადად ჩამოვიდეს თბილისში, გააცნოს კომიტეტს თავისი შეხედულებანი წესდების პროექტის ზოგიერთი საკითხის შესახებ და წარუდგინოს კომიტეტს გადამუშავებული წესდების პროექტი.

ვოლოვს საჭიროდ მიაჩნია სამუშაო ადგილიდან აიღოს შვებულება სამი თვით. ითხოვს გზის ხარჯებისათვის 300 მანეთს და გასამრჩელოს თვეში 200 მანეთს, — იმ რაოდენობის თანხას, რასაც ის ლეზულობს სამუშაო ადგილზე. ფიქრობს აქ დარჩება თვენახევარი.

კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება რომ: 1) ნება დაერთოს კომიტეტის თავმჯდომარეს მოიწვიოს თბილისში ვოლოვი შემოთავაზებულ პირობებში და გაიღოს ამისათვის საჭირო ხარჯები.

ამასთან კომიტეტმა გადაწყვიტა:

«В видах разработки проекта устава на условиях, которые бы вполне устраняли неясности или неполноту в его положениях и ближе были бы согласены с требованиями закона и науки, предоставить губернскому предводителю испросить обратно представленный проект и подвергнуть его пересмотру комитета в присутствии Г. Водова по эго присутствию»¹⁸.

კომიტეტის დადგენილებას ხელს აწერენ: დ. ყიფიანი, ი. თუმანიშვილი, ზ. ავთანდილაშვილი, ვ. თულაშვილი, დ. სუმბათაშვილი, ზ. ვაჩნაძე, ი. სულხანიშვილი, ი. მამაცაშვილი, ვ. გურამიშვილი,

¹⁷ საქ. სსრ ცსიო, ფონ. 394, აღწ. 1, საქ. 11772, ფურ. 83.

¹⁸ იქვე, ფურ. 98.

გ. ანდრონიკაშვილი, მ. ჭილაშვილი, ი. ცაციშვილი, გ. ერისთავი, ვ. ორბელიანი, ლ. მგალობლიშვილი.

ბანკის წესდების პროექტის შემუშავებელი სარედაქციო კომიტეტის სხდომის მეორე დღესვე, 1868 წლის 21 აპრილს, დიმიტრი ყიფიანი მიმართავს თბილისის სამოქალაქო გუბერნატორს დაუბრუნოს წესდების პროექტი, რომელიც მას გადაეგზავნა გასული წლის 23 დეკემბერს მეფისნაცვალის მთავარსამმართველოსთან არსებულ საბანკო კომისიისათვის, რომ:

«Вновь пересмотреть проект означенного устава, дабы устранить некоторые, вкрапившиеся в него недомолвки и неполноту и ближайшим образом согласовать вводимые в него положения с требованиями закона и новейшими указаниями науки... постановлением означенного 20 числа с. м. определением комитет уполномочил меня испросить обратно этот проект для переработки его в комитете при содействии особого специалиста, вызванного с этой целью из с. Петербурга»¹⁹.

თბილისის გუბერნატორი 1868 წლის 4 მაისს ატყობინებს დ. ყიფიანს, რომ წესდების პროექტი გადაეცა მთავარსამმართველოსთან შექმნილ განსაკუთრებულ კომისიას, სენატორ ბაგრატიონ-მუხრანსკის თავმჯდომარეობით და მასზეა დამოკიდებული ზემოაღნიშნული პროექტი გადმოგეთ თქვენ, როგორც ამავე კომისიის წევრს. იმავე წლის 17 მაისს თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი დიმიტრი ყიფიანს უგზავნის წესდების პროექტს და თხოვს, რომ შესწორების შემდეგ დაუბრუნოს მასვე²⁰.

იმავე წლის 16 ივნისს კომიტეტის სხდომაზე ვოდოვმა წაიკითხა მის მიერ შედგენილი წესდების პროექტი და განმარტებითი ბარათი წესდებისათვის. როგორც კომიტეტის ოქმიდან ჩანს, კომიტეტმა მოიწონა ვოდოვის პროექტი და მასვე მიანდო შეეტანა პროექტში ზოგიერთი შესწორება იმ შენიშვნების მიხედვით, რომლებიც მისცეს კომიტეტის სხდომაზე. ამავე ოქმში აღნიშნულია: როცა წესდება მთავრობის მიერ დამტკიცდება, ვოდოვი დაბრუნდება თბილისში გარკვეული დროით, რათა დაეხმაროს ბანკის აპარატის მუშაკებს ანგარიშწარმოების და ბანკის ოპერაციების ზოგიერთი ისეთი დეტალის შესწავლაში, რაც არ შეიძლებოდა გათვალისწინებული და აღნიშნული ყოფილიყო ბანკის წესდებაში. კომიტეტმა განსაზღვრა თანხის რაოდენობა, რაც უნდა მისცემოდა ვოდოვს როგორც ზემო-

¹⁹ საქ. სსრ ცსია. ფონ. 394, აღწ. 1, 11772, ფურ. 103.

²⁰ იქვე, ფურ. 107, 109.

აღნიშნული სამსახურისათვის, ისე იმ შრომაში, რასაც იგი გასწევდა პეტერბურგში წესდების პროექტის დამტკიცებისათვის.

ნ. ვოდოვის მონაწილეობით შედგენილი წესდების პროექტი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა პირველი პროექტისაგან. ამ პროექტის ექსტრაქტში (ნაწურში), რომელიც შედგენილია დ. ყიფიანის მიერ, გადმოცემულია წესდების პროექტის ძირითადი არსი²¹. ბანკის კაპიტალი შედგება პაიებიდან: პაი — 100 მან. 3000 პაი, 3000 000 მანეთისა, განკუთვნილია თავადაზნაურობისათვის, 2000 პაი, 200 000 მანეთისა სხვა წოდებათა წარმომადგენლებისათვის, რომლებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ ბანკის საქმესა და მოგებაში. ამით ბანკს საზოგადოებრივი ხასიათი ეძლევა.

ამ თანხის გარდა მთავრობას ეთხოვა 200 000 მანეთი.

ბანკის მოგებიდან გამოიყოფა 10% ძირითადი კაპიტალის ხარჯების შესავსებად. ხოლო მისი შევსების შემდეგ — სათადარიგო კაპიტალის შესადგენად. მოგების დანარჩენი 90% მიღის მეპაიეთა დივიდენდად. ე. ი. ნაწილდება მათ შორის, როგორც მოგება. მაგრამ ამ დივიდენდებიდან ბანკის დამაარსებლები, ე. ი. თავადაზნაურობა, გამოყოფენ ერთ მესამედს განათლების მიზნებისათვის. ამ ერთ მესამედს ემატება, მთელი დივიდენდი 200 000 მანეთიდან, რაც მთავრობამ გაიღო და აგრეთვე, ვადაგადაშორებული სესხების ჯარიმები.

პაის შესატანები ღვინდება შემდეგნაირად:

1) თანხა, რომელიც უკვე შეგროვილია, ნაწილდება 800 პაიდ. პაის ფურცლები გაიცემა ბანკის მოქმედების დაწყებისთანავე იმ თავადაზნაურებზე, რომელთაგანაც შემოვიდა 80 000 მანეთი, ისინი მაშინვე ხდებიან ბანკის შემოსავლის მონაწილენი.

2) დანარჩენი თანხა, 220 000 მან. რაოდენობით, 2 200 პაიზე დამფუძნებლებს შეაქვთ 10 წელიწადში, ყოველ წელიწადს 1/10 ნაწილი 6% სარგებლით. ბანკის სრულ მონაწილეებად ისინი ხდებიან მთელი თანხის შეტანის შემდეგ.

3) იმ 200 000 მანეთის შემოტანა 2000 პაისათვის, რაც განკუთვნილია სხვა წოდებებისათვის, მიმდინარეობს 4 წელიწადი, წელიწადში 25 მანეთის შეტანით. ის, ვინც ხელი მოაწერა პაიზე და დროზე არ შეიტანს მთელ თანხას, უფლებას კარგავს თანხის შეტანილ ნაწილზე, რაც დამხმარე კაპიტალად იქცევა.

ვისაც პაი არა აქვს, მას გრძელვადიანი სესხი არ მიეცემა. როდესაც ბანკის სახსრები გაიზრდება და მას საშუალება ექნება გასცეს

²¹ საქ. სსრ ცსია, ფონ. 394, აღწ. 1, საქ. 11772, ფურ. 257—258.

სესხი არა შეპაიეებზეც, მათ დაქვეითებათ სესხის 1/20 ნაწილი ძირითადი კაპიტალისათვის.

გრძელვადიანი სესხი გაიცემა ცამეტიდან ორმოცდაცხრა წლამდე ვადით სოფლისა და ქალაქის შემოსავლოანი ქონების გირაოთი. სესხის გაცემა იწარმოებს 100 მანეთიანი გირაუნობის ფურცლებით, რომელთაც მოაქვთ 5% სარგებელი. ეს ბილეთები იქნება 20 სერიისა, თითოეულში 5000 ფურცელი.

მოკლევადიანი სესხი გაიცემა ერთი თვიდან სამ წლამდე ვადით უმათერესად 200 000 მან. დამხმარე კაპიტალიდან, ე. ი. მთავრობის მიერ მოცემული კაპიტალიდან,

სესხები გაიცემა: 3-დან 50 მანეთამდე — მორალური უზრუნველყოფით, ვათვალისწინებული დანაკარგები არა უმეტეს 10%-ისა, შეივსება საერთო მოგებიდან; 50-დან 150 მანეთამდე — თავდებობით. ამ თანხის ზევით — გირაუნობით. პატარა სესხებისათვის ბანკი უშვებს 100 000 მანეთის უვადო 10 მანეთიან თამასუქებს წარმოდგენზე, რაც უზრუნველყოფილია იმავე თანხის ხელუხლებელი ფონდით. დროთა განმავლობაში ამ თამასუქების თანხა შეიძლება 5-ჯერ გადიდდეს.

ბანკი ღებულობს ანაბრებს, მაგრამ მისმა საერთო თანხამ არ უნდა გადააჭარბოს ბანკის ფონდებს 5-ჯერზე მეტად. ამავე ექსტრაქტში დ. ყიფიანი გადმოგვცემს, თუ რა საფუძველზე უნდა მოეწყოს ბანკის ადმინისტრაცია.

ამ პროექტში მამულების გაუსყიდველობის საკითხიც შესამჩნევად არის შესწორებული. წესდების 200 მუხლის ძალით დამგირაუვებელს შეღავათს აძლევენ 6 თვის განმავლობაში. თუ ამ ხნის განმავლობაში ვალი ვერ გადაიხადა, მამული ერთი წლის ვადით გადადის ბანკის გამგებლობაში, ხოლო თუ ვერც ერთი წლის განმავლობაში გამოისყიდეს, მამული იყიდება.

როგორც ვხედავთ, ფინანსისტ ნ. ვოდოვის ზეგავლენით, დ. ყიფიანმა გადაუხვია იმ გზიდან, რომელსაც ადრე ადგა. 1867 წელს თავადაზნაურთა კრებაზე იგი თავის წინადადებაში არ ურჩევდა კრებას აქციებზე დაფუძნებული ბანკის დაარსებას.

მთავარმმართველობის დეპარტამენტის დირექტორი ნ. ბარანოვსკი დ. ყიფიანის მიერ წარდგენილი ახალი პროექტის შესახებ შემდეგს წერს: „ახალი პროექტი, სათავადაზნაურო კომიტეტის მიერ კომისიაში წარდგენილი, შეიცავს იმ აზრის შესწორებას, რომელიც თავადაზნაურთა კრებაზე იყო მოწონებული. საზოგადოებრივ-აზნაურული ბანკის ნაცვლად, რომელიც წოდებას ეკუთვნის, ამ პროექტით,

ბანკი ისახება კერძო დაწესებულებად, რომელიც აქციონერთა საზოგადოებას ეკუთვნის. მაგრამ ეს წინადადება რომ მიეღოთ, ამ შემთხვევაში სრულიად შეიცვლებოდა წოდებრივი ხასიათი თბილისის ბანკისა. შეიცვლებოდა აგრეთვე ამ ბანკის აზრი — მიწის მფლობელთათვის კრედიტის შოვნა, რაც მიზნად ჰქონდა თავდაპირველად თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობას და რომლითაც უნდა ეხელმძღვანელა არჩეულ კომიტეტს. ამიტომ დეპარტამენტის აზრით ეს საკითხი, ე. ი. ორი სხვადასხვა ბანკის დაარსების მოსაზრება, თავდაპირველად უნდა იყოს წარდგენილი განსახილველად თავადაზნაურთა საზოგადო კრებაზე. ამგვარად ირკვევა რომ კომისიაში წარდგენილი ახალი პროექტი არსებითად განსხვავდება საზოგადო კრებაზე გამოცხადებული თავადაზნაურობის სურვილისაგან და ცვლის პირველი პროექტის შინაარსს, რომლის ძალით თბილისის ბანკი წოდებრივი საადგილმამულო ბანკი უნდა ყოფილიყო, ამიტომ საჭიროა ეს ახალი პროექტიც განხილულ იქნეს თავადაზნაურთა საზოგადო კრების მიერ²².

დ. ყიფიანის მიერ შედგენილი ახალი (მეორე) წესდების პროექტის საფუძვლები არ აკმაყოფილებდა არა მარტო საბანკო კომისიას, რომლის აზრსაც გადმოსცემდა ნ. ბარანოვსკი თავის წერილში, არამედ ლიბერალ მ. მამაცაშვილსაც, რომელიც ძალასა და ენერჯიას არ იშურებდა ისეთი საადგილმამულო ბანკის დასაარსებლად, რომელიც კარგი საფუძველი იქნებოდა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის.

ახალი პროექტის შესახებ თავისი მოსაზრებანი²³ გ. მამაცაშვილმა გაუგზავნა დ. ყიფიანს 1868 წლის 27 სექტემბერს, რომელშიც იგი ამ მეორე წესდებას ვოდოვის წესდებად მოიხსენიებს და გამოთქვამს მის საწინააღმდეგო შეხედულებებს.

„ჩვენი ბანკის ამოცანა მდგომარეობს მასში, — ამბობს მამაცაშვილი. — რომ უზრუნველყოთ მისი სრულიად საზოგადოებრივი ხასიათი. 1) მთელი საზოგადოების მოთხოვნილების დაკმაყოფილება ფულზე, 2) კრედიტის ფართო განვითარება და 3) მთელი საზოგადოებისათვის კაპიტალის შექმნა, გამიზნული საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, რომლის განმკარგულებელი იქნება არა რომელიმე ერთი წოდება, არამედ მთელი საზოგადოება“.

²² საქ. სსრ ცსია, ფონ. 394, აღწ. 1, საქ. 11772, ფურ. 240.

²³ იქვე.

წერილის ავტორს მიაჩნია, რომ ბანკის მიერ ამ სამი პირობის დაკმაყოფილების ხარისხი უნდა იყოს ბანკის ყველა ოპერაციის სიზუსტისა და სისწორის საზომი, ერთ-ერთი ამ პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში იგი არ შეიძლება ჩაითვალოს სწორად მოწყობილად, საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების თვალსაზრისით.

„ვიცოდით რა ეს, ჩვენს მოსაზრებებში, რომელიც წარვუდგინეთ ბანკის წესდების შემმუშავებელ კომიტეტს 1867 წლის დეკემბერში, ნაწილობრივ მივუთითეთ იმ ზომებზე, რომლითაც შეიძლებოდა მისხნის მიღწევა. კომიტეტმა განიხილა რა იგი, სასარგებლოდ ცნო ბანკისათვის.

მაგრამ მოულოდნელად საქმემ სავსებით სხვა ხასიათი მიიღო. სარედაქციო კომიტეტი ამა წლის 20 აპრილს პეტერბურგიდან იწვევს ვოდოვს, რომელსაც ანდობს წესდების ხელახლა შედგენას. ივლისის თვეში კომიტეტის 12 წევრმა, თავის ხელმოწერით, უკვე მოიწონა ვოდოვის მიერ შედგენილი წესდების პროექტი.

სანამ გადაჭრით ვიტყოდეთ რამეს ვოდოვის პროექტის თაობაზე, ჩვენ გავიხსუნებთ იმ მონაცემებს, რომლებსაც უშუალო დამოკიდებულება აქვთ საქმესთან. კომიტეტი ისე ზუსტად იცავდა თავადაზნაურობის საერთო კრების დადგენილებას, რომ წესდების შემმუშავების შემდეგ დარწმუნდა რა რომ იგი ატარებს საზოგადოებრივ ხასიათს მხოლოდ ნომინალურად, გასული 1867 წლის 22 დეკემბერს არ დააყვნა გადაეკეთებინა იგი და მიეცა მისთვის საზოგადოებრივი ხასიათი. წესდების ეს ცვლილება მოწონებულ იქნა იქ დამსწრე კომიტეტის 20 წევრის მიერ.

ვიხსენებთ თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა კომიტეტი ბანკის საზოგადოებრივ ხასიათს, გავეცნოთ თუ როგორ შეასრულა ვოდოვმა კომიტეტის წინაშე აღებული ვალდებულება.

მთავარი ცვლილება, რომელიც მან შეიტანა ბანკის წესდებაში შემდეგია:

ბანკის ძირითადი ფონდის შექმნა 20% დაკავებით გლეხების განთავისუფლებისათვის უმაღლესად ნაბოძები ფულიდან, შეცვალა, 500 ათასი მანეთის პაიების გამოშვებით. თითო პაი 100 მან. 3000 პაი 300 ათასი მანეთის დანიშნულია აზნაურობისათვის, 2000 პაი 200 ათასი მანეთის ყველასათვის, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ბანკის საქმეში და მოგებაში. ვოდოვის აზრით ამით ბანკს ეძლევა სრულიად საზოგადოებრივი ხასიათი.

ჩვენ არ შევალთ იმ შემოწირულების გარჩევაში, რომელიც აზნაურობამ გაიღო საზოგადოების სარგებლობისათვის; ჩვენ შევნიშნავთ მხოლოდ, რომ იგი მიიჩნია ძლიერ მნიშვნელოვან და დამამძიმებელ მსხვერპლად აზნაურობისათვის და ამ საფუძველზე ბანკის ძირითადი ფონდის შექმნის წინათ არსებული წესი შეცვალა ზემოთ მოყვანილი წესით, იხსნა ბანკის დამფუძნებლები ყოველგვარი მსხვერპლისაგან და მისცა მათ მნიშვნელოვანი სარგებლობა. მაგრამ ვნახოთ მეპაიების ეს სარგებლობა ხომ არ მიდის საზოგადოებრივი ინტერესების წინააღმდეგ, ხომ არ არღვევს ბანკის იმ ხასიათს, რომელიც წინასწარ იყო მოხაზული აზნაურობის საერთო კრების მიერ.

ბანკის მოგებიდან გამოიყოფა 10% ძირითადი კაპიტალის ხარჯების შესავსებად და მისი შევსების შემდეგ სათადარიგო კაპიტალის შესადგენად. მოგების დანარჩენი 90% მიდის მეპაიეთა დივიდენდად, ე. ი. როგორც მოგება, ნაწილდება მათ შორის, მაგრამ ამ დივიდენდიდან ბანკის დამფუძნებლები, ე. ი. აზნაურები გამოყოფენ 1/3 საგანმანათლებლო მიზნებისათვის. შემდეგ გ. მამაცაშვილი ეხება საკითხის ისტორიას და ასკვნის: „ბოლო პროექტით ბანკის მოგების უდიდესი ნაწილი მიდის მეპაიეებს შორის გასანაწილებლად. დანარჩენი, სავსებით მცირე ნაწილი, განკუთვნილია განათლების მიზნებისათვის და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ამ პროექტით ვისაც პაი არა აქვს, ის ვერ მიიღებს გრძელვადიან სესხს, როდესაც სახსრები საშუალებას მისცემს ბანკს გასცეს სესხები არა მეპაიეებს, მაშინ ყოველ შემთხვევაში მათაც დაეკავებათ 1/20 ნაწილი მათზე გაცემული სესხიდან, რომლის ნახევარი მიემატება სათადარიგო კაპიტალს, მეორე ნახევარი კი მსესხებელს ჩავთვლება უკანასკნელ გადასახდელში.

ამრიგად, საზოგადოების მოთხოვნებიდან უმთავრესი, მისი მოთხოვნა ფულზე, რომლის დაუკმაყოფილებლობით ის სისტემატურად ღარიბდება და ღატაკდება, შეზღუდულია მეპაიეების სასარგებლოდ“.

წერილის ავტორის აზრით, ვოდოვის მიერ შემოთავაზებული, როგორც სესხების წარმოების წესი, ისე მოგების განაწილება შეუსაბამოა ბანკის საზოგადოებრივ ხასიათთან, სადაც როგორც პირველს, ისე მეორეს მხედველობაში აქვს მთელი საზოგადოების ინტერესები და არა ზოგიერთი პირებისა, რომლებიც სხვის ხარჯზე მდიდრდებიან.

„ვოდოვის მიერ შემოთავაზებული მთავარი საწყისები შეუთავსებელია ჩვენი ბანკის ხასიათთან, ვერ აკმაყოფილებს საზოგადოების ვერცერთ გადაუდებელ მოთხოვნას.

1. იგი ზღუდავს ფულზე მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

2. შემოთავაზებული ფორმა საბანკო ობლიგაციებისა აფერხებს კრედიტის განვითარებას.

3. არ უზრუნველყოფს განსაზღვრული კაპიტალით საზოგადოების ფუნდების სპეციალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

ვოდოვს სურდა რა შეემსუბუქებინა მსხვერპლი ბანკის დამფუძნებლებისათვის, გაწირა მთელი საზოგადოება, აპკიდა მას მეტად მძიმე ტვირთი, სავსებით შეეცვალა ჩვენი ბანკის ხასიათი, გარდაქმნა იგი აქციონერულ და წოდებრივ ბანკად.

თუ ვოდოვი აუცილებლად თელიდა შეემსუბუქებინა თავადაზნაურთა მსხვერპლი, რომელიც მათ მოისურვეს გაეღოთ საზოგადო სარგებლობისათვის საზოგადოებრივი ბანკის დაწესებით, მაშინ მით უფრო, მას თავის თავზე აღებული ჰოვალეობის და სამართლიანობის ძალით, არ შეეძლო შეეცვალა ბანკს ხასიათი, რაც წინასწარ განსაზღვრული იყო აზნაურთა საერთო კრების მიერ.

მაშასადამე, ამოცანა იმაში იყო, რომ აზნაურობისათვის შეემსუბუქებინა გაღებული მსხვერპლი და ამავე დროს შეენარჩუნებინა ბანკისათვის სრული საზოგადოებრივი ხასიათი. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იმას ნიშნავდა, რომ არ მიგვეცა არავითარი მნიშვნელობა მთელი გუბერნიის თავადაზნაურთა დადგენილებისათვის და იმ მაღალი სამართლიანობისათვის, რომელიც მასშია მოცემული.

მსხვერპლის შესამსუბუქებლად პაიების შემოღება, რომელსაც ვოდოვი გვთავაზობს, ცვლის ჩვენი ბანკის ხასიათს, აფერხებს საზოგადოების კეთილდღეობის ზრდის ყოველგვარ შესაძლებლობას.

ამრიგად, საზოგადოებრივი სარგებლიანობა, სამართლიანობა და აზნაურთა საერთო კრების ოქმების შინაარსი ეწინააღმდეგება ვოდოვის მთავარ საწყისებს, რომელსაც ის ატარებს ბანკის წესდებაში, და რომელიც მან წარუდგინა საზოგადოებრივი ბანკის წესდების შემდგენელ კომიტეტს.

შევიდეთ წინადადებით აზნაურთა საერთო კრებაზე ვოდოვის აქციონერული ბანკის წესდების მიღების თაობაზე, ამისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს. აზნაურობამ ერთხელ უკვე დაადგინა დააარსოს სავსებით საზოგადოებრივი ბანკი და რადგან მას ამის საწინააღმდეგო არაფერი გამოუთქვამს, სავსებით უსაფუძვლოა მო-

უთხოვთ აზნაურობას საზოგადოებრივის ნაცვლად დაათუძნოს აქციონერული ბანკი“.

უფრო მოგვიანებით, 1870 წელს მ. მამაცაშვილმა დაწერა ბროშურა «Нечто о Тифлисском и Кутаисском банках», რომელშიც, იმავე ვოდოვის მონაწილეობით შედგენილ ბანკის წესდების პროექტზე შემდეგს წერს: „ბანკის ახალი წესდების მიხედვით, მის დამფუძნებლად ხდება ან არა მარტო თავად-აზნაურობა, არამედ ყოველი პიროვნება, რომელსაც აქვს სურვილი. ამიტომ წესდება განზრახული აქვს პაიების გამოშვება, რომელთა განსაზღვრული ნაწილი გადაეცემა იქნება თავდაზნაურობისათვის, ხოლო მეორე ნაწილი ყველა მსურველისათვის. ამასთანავე პაის მეპატრონენი სარგებლობენ ჩვეულებრივი უფლებით, როგორც აქციონერები და სწორედ ისინი ღებულობენ 90% ბანკის მოგებიდან; მაგრამ თავდაზნაურ პაის მეპატრონეებიდან დაკავებული იქნება ერთი მესამედი მათი კუთვნილი მოგებისა, იმისათვის რომ შედგეს ე. წ. ძირითადი თანხა. რომელსაც მიემატება სხვა წყაროებიდან შემოსავალიც. ამით თავდაზნაურობას თითქოს ენიჭება ბანკის საქმეებში მონაწილეობის უპირატესობა. ის ნიშნავს თავის წრიდან ზედამხედველი კომიტეტის წევრებს, რომელიც გამუდმებით თვალყურს ადევნებს თავის წარმომადგენლების საშუალებით ბანკის ყოველგვარ საქმიანობას, განაგებს კაპიტალს და სარგებლობს ბანკის დამფუძნებლის სახელწოდებით. ამგვარი სახის მონაწილეობა არ არის დამოკიდებული თავად-აზნაურთა რიცხვზე, რომლებსაც პაი შეუძენიათ. ამასთან ადვილად შესაძლებელია მოხდეს, რომ თავდაზნაურობის პაიმ თავი მოიყაროს რამდენიმე პირის ხელში ან სავსებით გადავიდეს სხვის ხელში და მაშინ აზნაურებისათვის მინიჭებულ უპირატესობას არ ექნება არავითარი საფუძველი და დასაყრდენი, აზნაურობა მხოლოდ შეზღუდვად თავის თავს და ბანკის იმ მიმართულებას, რომელიც ამ შემთხვევაში თვალნათლივ გამოჩნდებოდა, მიიღებდა რა სრულ აქციონერულ ხასიათს და დამოკიდებული იქნებოდა მთლიანად აქციონერ მეპაიებზე. ცხადია, რომ თავდაზნაურობისათვის ბანკის დამფუძნებელთა სახელწოდების შენარჩუნება, ხოლო თვით დაწესებულებისათვის საზოგადოებრივი ბანკის სახელწოდება, სრულებით ვერ გადაარჩენდა მას თავის ბუნებრივ განვითარებიდან. ამიტომ წესდება ადგენს, რომ ყოველწლიურად თავდაზნაურ პაის მეპატრონეთაგან მისი მოგებიდან და-

კავებული ერთი მესამედის ნაცვლად, შეეძინათ ამის თანაბარი პაი. ამით მტკიცდება თავადაზნაურთა მუდმივი მონაწილეობა ბანკში²⁴.

როგორც ვხედავთ დ. ყიფიანს სურდა ბანკი დაეტოვებინა თავადაზნაურობის ხელში, ხოლო სხვა კლასები გამოეყენებინა მათი ინტერესებისათვის, მათი კაპიტალის სახით.

დ. ყიფიანის საბანკო პოლიტიკის ამ ახალ კურსს მოწინააღმდეგენი გაუჩნდნენ თვით თავადაზნაურობაში, იგივე გ. მამაცაშვილი წესდების ახალი პროექტის შესახებ, ზემოთ მოხსენებულ ბროშურაში შემდეგს წერს: „ბანკის წესდება წარმოადგენს ერთდამივე დროს ორგვარი ხასიათის თავადაზნაურულ და აქციონერულ ბანკს. თავადაზნაურულს — მით, რომ თავადაზნაურობა იღებს რა მონაწილეობას ბანკში გარკვეული დაუბრუნებელი ანაბრით, ანიჭებს მთელ თავადაზნაურობას განსაკუთრებული გავლენის უფლებას ბანკზე, და აქციონერულს — მით, რომ ძირითადი თანხა სდგება აქციონერებისაგან, რომელნიც მასში სარგებლობენ სააქციონერო უფლებების საერთო საფუძვლებით. ამასთან, ეს ორი ინტერესი, თავისი პრინციპების მიმიხედვით, იმდენად შეჭრილია ერთმანეთში, რომ ერთიმეორეს ეწინააღმდეგება. ასეთი ხელოვნური დამოკიდებულება მიღწეულია როგორც ძირითადი ფონდის შექმნის საშუალებათა და პაის მეტატრონეთა უფლებების, ისე სხვა საკითხებში, ამიტომ ამ წესდებას არ შეუძლია დაიცვას, ერთი მხრივ, თავადაზნაურთა ინტერესები და, მეორე მხრივ — აქციონერთა. ის ვერ იცავს უკანასკნელის ინტერესებს იმიტომ, რომ მათი სარგებლიანობა და მონაწილეობა ნაწილობრივ შეზღუდულია თავადაზნაურობისათვის მინიჭებული უპირატესობით. ხოლო ვერ იცავს თავადაზნაურთა ინტერესებს იმიტომ, რომ როგორც დავინახეთ მისთვის მიუღებელი არის ყოველგვარი მოსაზრება, მასში რომელიმე კომერციული უფლების დაშვებისა²⁵... ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, — ლაპარაკობს მ. მამაცაშვილი, — რომ თავადაზნაურობის იდეა, რომელიც საფუძვლად ედო მის დაწესებულებას, იგნორირებულია და თვით დაწესებულება ნაკლებადაა დაინტერესებული თავადაზნაურობით“.

ბანკის წესდების პროექტი, რომელიც შემუშავდა ნ. ვოდოვის მონაწილეობით, განსახილველად გადაეცა მთავარმმართველობის საბანკო კომისიას. წესდება შეიცავდა სამი სახის საკრედიტო დაწე-

²⁴ «Нечто о Тифлисском и Кутанском банках», стр. 8.

²⁵ იქვე, გვ. 10.

სებულების ფუნქციებს: საადგილმამულოს, საქალაქოსა და კომერციულს. კომისიამ განიხილა რა ეს პროექტი, გარდა იმისა რომ იგი შერეულ ხასიათისად სცნო, შეამჩნია მასში კიდევ უფრო დიდი ნაკლოვანებანი: აქციონერული პრინციპის შემოღება და როგორც აქედან ლოგიკურად გამომდინარე — დივიდენდები. კომისიამ აღნიშნა, რომ ეს ცვლილებები შეადგენს ისეთ არსებით გადახვევას თავადაზნაურთა კრების 1867 წლის მაისის დადგენილებიდან და იმდენად აჭარბებს მოქმედების თავისუფლების რწმუნებას, რაც სარედაქციო კომიტეტს ჰქონდა მიცემული წესდების დაწერილებითი პროექტის შედგენისათვის, რომ კომისიას აუცილებლად მიაჩნია ეს პროექტი განხილულ იქნეს თავადაზნაურთა საერთო კრებაზე.

ბანკის წესდების მეამე პროექტი, შემუშავებული იმავე ვოდოვის მონაწილეობით, მეფის ნაცვლის მთავარ სამმართველოსთან არსებული საბანკო კომისიის შენიშვნებით დაუბრუნეს სარედაქციო კომიტეტს. აღნიშნული შენიშვნების საფუძველზე შედგენილ იქნა წესდების მეოთხე პროექტი, რომელმაც კვლავ ვერ დააკმაყოფილა საბანკო კომისია და ახალი შენიშვნებით ისევ დააბრუნეს გადასამუშავებლად.

სარედაქციო კომიტეტმა დიმიტრი ყიფიანის თავმჯდომარეობით გაითვალისწინა შენიშვნები, შეადგინა წესდების ახალი პროექტი, რიგით უკვე მეხუთე, და 1868 წლის დეკემბერში წარუდგინა მთავარ სამმართველოსთან არსებულ საბანკო კომისიას, მაგრამ ვერც ამ ახალმა წესდების პროექტმა დააკმაყოფილა საბანკო კომისია²⁶.

მთავარი სამმართველოს დეპარტამენტის უფროსი ნ. ბარანოვსკი დ. ყიფიანს სწერს, რომ საბანკო კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ბაგრატიონ-მუხრანსკიმ მეფისნაცვალს წარუდგინა თავისი შენიშვნები წესდების პროექტზე, აგრეთვე მის მიერ შედგენილი წესდების პროექტი და მოსაზრებანი ბანკის სხვადასხვა სახეობათა თაობაზე, რომელთაც, მისი აზრით, თბილისის თავად-აზნაურობამ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს, როგორც ყველაზე უფრო შესაფერისს მათი მიზანდასახულობის განხორციელებისათვის.

მთავარი სამმართველოს უფროსის ბარონ ა. ნიკოლაის დავალებით ბაგრატიონ-მუხრანსკის აღნიშნული წერილი გაეგზავნა დ. ყიფიანს თხოვნით, რათა მიეცა დასკვნა მის თაობაზე²⁷.

²⁶ საქ. სსრ ცსია, ფონ. 394, აღწ. 1, საქ. 11772, ფურ. 317.

²⁷ იქვე, ფურ. 273.

დ. ყიფიანი, ბაგრატიონ-მუხრანსკის შენიშენებისა და წინადადებების გაცნობის შემდეგ, ბარანოვსკისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავს, რომ წერილში მოტანილი მოსაზრებანი ბანკების მოწყობაზე საერთოდ, და განსაკუთრებით, თბილისის ბანკის თაობაზე, სასარგებლო იქნებოდა გადაგვეცა ამ ბანკის დამფუძნებელთა კრებისათვის, როდესაც იგი შეიკრიბება ამ წესდების საფუძველზე; კრების გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული გამოიყენებს იგი თუ არა მუხრანსკის აღნიშნულ მოსაზრებებს.

იგი განაგრძობს: „ჩვენთვის ამჟამად მნიშვნელოვანია საკითხი მხოლოდ იმის შესახებ, ხომ არ არის ჩვენს მიერ წარმოდგენილ წესდების პროექტში რაიმე ისეთი, რაც ეწინააღმდეგება საერთო კანონმდებლობას, ან ხელყოფს მესამე პირთა უფლებას და ვინაიდან მთავარ სამმართველოსთან არსებულმა საბანკო კომისიამ ბაგრატიონ-მუხრანსკის თავმჯდომარეობით ვერაფერი ასეთი ვერ ნახა და არაფერს გვეუბნება თვითონ ის აღნიშნულ განსაკუთრებულ წერილში, მე უკვე შესაძლებლად ვთვლი უმორჩილესად გთხოვთ თქვენ, მხედველობაში მიიღოთ უაღრესი საპირობება თავადაზნაურობის მიერ დასაარსებლად განზრახული საკრედიტო დაწესებულებისა და არ მოგვაკლოთ თქვენი შუამდგომლობა, რომ სწრაფად გადაწყდეს ამ დაწესებულების გახსნა.

თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრების 1867 წლის 8 მაისის ოქმის მე-2 მუხლის წაკითხვა თქვენ უთუოდ დაგარწმუნებთ, რომ ჩემი თავმჯდომარეობით შექმნილი თავად-აზნაურთა კომიტეტი მოქმედებდა და მოქმედებს იმ რწმუნებების ფარგლებში, რომლებიც მისცამას თავად-აზნაურობამ, და რომელიც გამონატულია იმდენად ნათლად, რომ არ იძლევა არავითარ საბაბს დავისათვის“²⁸.

დომიტრი ყიფიანი შეშფოთებულია წესდების პროექტის დამტკიცების გაჭინაურებით. იგი მიმართავს მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს დეპარტამენტის მოხელეს ნ. პრიბილს დაბეჯითებითი თხონით, შეატყობინოს ამჟამად სად არის და რაზე შეჩერდა ეს საქმე (პროექტის დამტკიცება): ნ. პრიბილი ატყობინებს მას, რომ ბანკის პროექტი, რომელიც უკანასკნელ ხანს განსახილველად იყო კომისიაზე ბაგრატიონ-მუხრანსკის თავმჯდომარეობით, ჯერ კიდევ არ არის წარმოდგენილი მთავარი სამმართველოს დეპარტამენტში. მეორე წერილით იგივე ნ. პრიბილი ატყობინებს დ. ყიფიანს:

²⁸ საქ. სსრ ცსია, ფონ. 394, აღწ. 1, საქ. 11772, ფურ. 282.

«Очень рад, что сегодня имею возможность доставить вашему превосходительству новые сведения о положении дела у банке: оно, оказывается, на руках у Богданова-Колинского, который принял на себя редакцию опраделения комиссии»²⁹.

რამდენიმე დღის შემდეგ ბოგდანოვ-კალინსკი (ამიერკასაკასიის „პრიკაზის“ მმართველი) ატყობინებს დ. ყიფიანს, რომ მიმდინარე წლის 3 თებერელიდან მხოლოდ ბანკის საქმით იქნება დაკავებული. წესდების პროექტს შეასწორებს კომისიის შენიშვნების საფუძველზე და გადაცემს ნ. ბარანოვსკის, ამით საქმე დაჩქარდება. 1870 წლის 24 თებერვალს, იგივე ბოგდანოვ-კალინსკი ატყობინებს დ. ყიფიანს, რომ შეასრულა დაეალემა თბილისის ბანკის წესდების განხილვის თაობაზე და ყველა საბუთი გადასცა ნ. ბარანოვსკის³⁰.

1870 წ. 6 მარტს ნ. ბარანოვსკი სწერს დ. ყიფიანს „თქვენს მიერ გუბერნატორის მეშვეობით წარმოდგენილ თბილისის ბანკის პროექტზე, კომისიის წევრების მიერ გაკეთებულ იქნა შენიშვნები. შემდეგ მე და ბოგდანოვ-კალინსკიმ შევადგინეთ განსაკუთრებული მაჩვენებელი სახელწოდებით „წესდების პროექტზე“, რომელშიც მინიშნებულია წესდების ყველა პარაგრაფი, რომლებიც ამოღებული უნდა იქნეს პროექტიდან ან საჭიროებენ ახალ რედაქციას, აგრეთვე შეტანილია რამდენიმე საკითხი, რომლებზედაც აუტოლებელია თქვენი განმარტება ან ახალი რედაქცია, რომ გაადვილდეს პროექტის დამტკიცება შესწორებული სახით. წესდების პროექტთან ერთად გიგზავნით აღნიშნულ საბუთებს და შეგახსენებთ, რომ თქვენგან მათ სწრაფად დაბრუნებაზე არის დამოკიდებული წესდების პროექტის ხელახლა გადაწერა³¹.

დომიტრი ყიფიანი დაუყოვნებლივ ასრულებს ნ. ბარანოვსკის დავალებას და იმავე დღეს უპასუხებს მას:

«Возвращая полученные мною сегодня при письме вашего превосходительства от вчерашнего числа бумаги, спешу сообщить, что я ничего не имею против выработанных вами с Богдановым-Колинским заметок к проекту Тифлисского дворянского банка. Требовавшиеся от меня ответы заключаются в исправлении моею рукою редакции подлежащих параграфов и вообще в согласии на ваши замечания»³².

²⁹ საქ. სსრ ცსია, ფონ. 394, აღწ. 1, საქ. 11772, ფურ. 430.

³⁰ იქვე, ფურ. 431.

³¹ იქვე, ფურ. 433.

³² იქვე, ფურ. 435.

ყოველივე ამის შემდეგ ნ. ბარანოვსკი 1870 წლის 22 მარტს ატყობინებს დ. ყიფიანს, რომ მთავარი სამმართველოს უფროსი ბარონი ა. ნიკოლაი დაეთანხმა საბანკო კომისიის დასკვნას და მხედველობაში მიიღო ის, რომ კომისიის მიერ წარმოდგენილ წესდების პროექტში შეტანილია ცვლილებები, რომლებსაც ითვალისწინებდა მთავარი სამმართველოს საბჭოს დადგენილება, პროექტი საბჭოზე ხელახალი განხილვის გარეშე წარედგინოს მეფის ნაცვალს ფინანსთა სამინისტროში წარსადგენად.

ამასთან ბარონმა ა. ნიკოლაიმ დაურთო: რომ „პეტერბურგში დასკვნისათვის გასაგზავნი ბანკის პროექტი, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მიერ შემოთავაზებული დაწესებულებისა, რომელმაც ასეთი პროექტის შედგენა დაავალა მისი წრიდან არჩეულ განსაკუთრებულ კომისიას, არ შეიძლება ხელმოწერილ იქნეს მთავრობის წარმომადგენლების მიერ, არამედ ხელმოწერილი უნდა იქნეს თავადაზნაურობის წინამძღოლის და მათ მიერ რწმუნებული პირების მიერ.

ამასთან ერთად მხედველობაშია მისაღები, რომ წესდების პროექტი ზოგიერთ თავის ნაწილში არსებითად განსხვავდება ბანკების ნორმალური პროექტებიდან და რომ ასეთი გადახვევა სათანადო ახსნა-განმარტების გარეშე, გამოიწვევს ფინანსთა სამინისტროს მხრივ წინააღმდეგობას, რაც კიდევ უფრო დააყოვნებდა ამ საქმის საბოლოოდ გადაწყვეტას. ამისათვის აუცილებელია, რომ წესდების პროექტისათვის შედგენილი იქნეს განმარტებითი ბარათი“³³.

დამიტრი ყიფიანმა მეფის ნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსის ეს დავალება დაუყოვნებლივ შეასრულა იმ იმედით, რომ ბოლოს და ბოლოს ბანკის წესდების პროექტი დამტკიცდებოდა მთავრობის მიერ და ბანკი გაიხსნებოდა.

როგორც იქნა, 1870 წლის 22 აპრილს მეფის ნაცვალმა ბანკის წესდების პროექტი დასკვნისათვის გაუგზავნა ფინანსთა მინისტრს. მეფის ნაცვალს მინისტრისადმი მიმართვაში დაწვრილებით აღწერს, თუ საგლახო რეფორმასთან დაკავშირებით თავადაზნაურობაში როგორ წარმოიშვა აზრი სათავადაზნაურო ბანკის დაარსების თაობაზე და რა მიზნებს ისახავს იგი, როგორ უნდა შედგეს ბანკის ძირითადი კაპიტალი, როგორ ოპერაციებს განახორციელებს აღნიშნული საკრედიტო დაწესებულება და რა მიზნის განხორციელებას მოხმარდება ბანკის მოგების დიდი ნაწილი. შემდეგ წერს:

³³ საქ. სსრ ცსია, ფონ. 394. აღწ. 1, საქ. 11772, ფურ. 436.

«Предворительные выснесения всего дела установленным порядком в Кавказский Комитет и пржде нежели повергнуть на все милостивейшее государя императора воззрение всеподданнейшее ходатайство Тифлисского дворянства об оказании ему пособия 200 000 р. к составлению основного капитала для открытия действия предполагаемого банка, считаю нужным препроводить к вашему высокопревосходительству проект устава с объяснительною запискою, представленные мне дворянским комитетом, вместе с постановлениями дворянского собрания, 6 и 8 мая 1867 года, и просить как заключения вашего, так и содействия с вашей стороны к возможному осуществлению предположения о пособии, о котором дворянство ходатайствует»³⁴.

ფინანსთა სამინისტროში დასკვნისათვის გაგზავნილი ბანკის წესდების პროექტის თაობაზე, მინისტრის ამხანაგმა გრეიგმა 1870 წლის 28 ივლისს მეფის ნაცვალს ოფიციალურად აცნობა, რომ თბილისის გუბერნიის მემამულეებისათვის 1864 წლის 13 ოქტომბრის უმაღლესი რესკრიპტის საფუძველზე გაღებულმა ჯილდომ მცირე მამულიანთა თითოეული გლეხისათვის 50 მანეთის და ყველა სხვა მემამულეთათვის 25 მანეთის რაოდენობით, შეადგინა მთლიანად 1 839 450 მანეთი. ამ თანხიდან, რომელიც დანიშნული იყო გასაცემად, არავითარი დანაზოგი არ დარჩენილა, რადგან ასეთად არ შეიძლება ჩაითვალოს თანხა 160 550 მანეთი, რომელიც შეადგენს სხვაობას. ჯილდოსათვის პირობითად გაანგარიშებულ 2 მილ. მანეთსა და ამ საქმისათვის ნამდვილად დახარჯულ 1 839 450 მან. შორის.

აქედან ჩანს, რომ თბილისის თავადაზნაურობის ბანკის დასაარსებლად დახმარებისათვის სავსებით არ არსებობს თავისუფალი კაპიტალი. ყოველივე ამის მიუხედავად, სახელმწიფო ხაზინიდან თანხის გაცემა თბილისის თავადაზნაურთა ბანკის გასაძლიერებლად მთავრობას ჩააყენებდა მეტად უხერხულ მდგომარეობაში, ვინაიდან მას არ ექნებოდა სამართლიანი საბაზი, უარი ეთქვა სხვა გუბერნიების აზნაურთა და ერობათა კრებების შუამდგომლობებზე, გაეცა ხაზინიდან ფული მათ მიერ განზრახული სააზნაურო და საერობო ბანკების დასაარსებლად. მთავრობას არ შეუძლია დააკმაყოფილოს ეს შუამდგომლობები თავისი სახსრების დეფიციტის მნიშვნელოვნად გადიდების გარეშე.

ფინანსთა სამინისტროში უკვე მიღებულია თბილისის კომერციული ბანკის წესდების პროექტი, რომელიც არსდება აქციებზე და ეს

³⁴ საქ. სსრ ცსია, ფონ. 394, აღწ. 1, საქ. 11772, ფურ. 484.

ყოველ შემთხვევაში მოწმობს, რომ თბილისში საკრედიტო დაწესებულებების არსებობისათვის საჭირო არ არის ხაზინის დახმარება. დაბოლოს თბილისის თავადაზნაურობის ბანკის წესდების პროექტი არ შეიძლება დამტკიცდეს იმ სახით, როგორც ისაა შედგენილი. თუ არ გავარჩევთ ამ პროექტის ცალკეულ მუხლებს, საკმარისია მივუთითოთ იმაზე, რომ ერთ საკრედიტო დაწესებულებაში გაერთიანებულია გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები. ასეთივე სახის ბანკების გახსნის ნებართვა გვთხოვს ეკატერინოსლავის და ხერსონის თავადაზნაურობამ, აგრეთვე მოსკოვის ერობამ, მაგრამ სახელმწიფო საბჭომ ვერ ცნო შესაძლებლად დაეშვა ასეთი გაერთიანება, მაშასადამე იგი არ შეიძლება დაშვებულ იქნეს თბილისის სათავადაზნაურო ბანკისათვისაც.

თბილისის თავადაზნაურობისათვის აუცილებელი იქნება დააარსოს ბანკი გრძელვადიანი სესხის გასაცემად გირავნობის ფურცლებით ხერსონის საერობო ბანკის მიხედვით ან შეჩერდეს პროექტზე, რომელიც შეადგინა ფინანსთა სამინისტრომ საერობო ბანკებისათვის, რომელთა მოქმედება შემოფარგლულია მოკლევადიანი სესხის ოპერაციებით.

ერთი ასეთი სახის ბანკის გახსნისათვის სავსებით საკმარისი იქნება ის 300 ათასი მანეთი, რომელიც ამ საქმისათვის გამოჰყო თბილისის თავადაზნაურობამ³⁵.

1870 წლის ოქტომბერში, მეფისნაცვლის მთავარი სამმართველო თბილისის გუბერნატორს უგზავნის თბილისის ბანკის თაობაზე ფინანსთა მინისტრის ამ დასკვნის პირს და თხოვს გააცნოს იგი თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლს. ამასთან, მიმართებაში ნათქვამი იყო, რომ მეფის ნაცვალმა საჭიროდ ცნო ბანკის ახალი წესდება შესაბამებოდეს იმ სახსრებს, რაც ნამდვილად შეუძლია გაიღოს თვითონ თბილისის თავადაზნაურობამ და არ უნდა ჰქონდეს ფულადი დახმარების იმედი სახელმწიფო ხაზინიდან³⁶.

აპრიგად, ბანკის წესდების დამტკიცების საქმე კიდევ გადაიღო გაურკვეველი დროით.

³⁵ საქ. სსრ ცსია, ფონ. 214, აღწ. 1, საქ. 3366, ფურ. 159—160.

³⁶ იქვე, ფურ. 151.

თბილისის საადგილგამაჟლო ბანკის დაარსების მომხრენი
და მოწინააღმდეგენი

დომიტრი ყიფიანი, ვახტანგ თულაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ ბანკის სარედაქციო კომიტეტის თავმჯდომარეც იყო, მდივანიც და მომხსენებელიც, დაუტყობლად იღვწოდა ბანკის დასაარსებლად, მაგრამ 1870 წლიდან იგი ჩამოშორდა თუ ჩამოაშორეს ბანკის საქმეს, რადგან ამავე წლის მაისიდან დ. ყიფიანი თავს ანებებს გუბერნიის თავადაზნაურობის მარშლობას.

„იმ ხანებში, ე. ი. 1870 წელს, — წერს ვ. თულაშვილი, — განსვენებულმა იმპერატორმა ალექსანდრე II დააპირა საქართველოში მობრძანება. თუმცა დომ. ყიფიანი ექვსი წელიწადი იყო გუბერნიის მარშლად და თავად-აზნაურობამ კარგათ ნახა რამდენი სიკეთე და წესი შემოიტანა ჩვენ საზოგადოებაში, მაგრამ მაინც კიდევ იმისი მოწინააღმდეგეები ვერ დაემორჩილნენ იმ აზრს, რომ ჩვენი თავად-აზნაურობის წინამძღვარი ყოფილიყო დომიტრი ყიფიანი, აბაშიძეების ნააზნაურიშვილო, თუმცა ადრეც და ბოლოს დროსაც ჩვენი წინამძღვარნი იყვნენ თითქმის საქართველოს პირველი გვარის შვილები, მაგრამ არაფერი უ არ გაგვირიგეს რა.

ხშირად ასმენდნენ დომიტრი ყიფიანს, რომ რადგანაც ხელმწიფე იმპერატორი უნდა მობრძანდეს საქართველოში, ამიტომ საჭირო არის თავად-აზნაურობის წინამძღოლი საქართველოს განთქმული გვარის შვილი იყოსო, რომ ხელმწიფემ მოწყალება რამ გამოიღოს ჩვენთვისო. ამიტომაც, როდესაც 1870 წ. მაისში დაიწყო თავად-აზნაურობის ყრილობა მარშლების ამოსარჩევად, თუმცა უმეტესი საზოგადოების ყრილობა სთხოვდა კიდევ დარჩენილიყო მარშლად, მაგრამ დომიტრი ყიფიანმა უარი სთქვა მარშლობაზედ. ვერაფრით ვერ შევარყიეთ იმისი გადაწყვეტილება და დაბოლოებით უარი სთქვა მარშლობაზე.

ამ მოქმედებაში თავს იმით იმართლებდა, რომ ყველანი დარწმუნებულნი არიანო, რომ ხელმწიფე მოწყალებას რასმე საქართველოს უბოძებსო. თუ ვინიცობაა ეს იმედი არ გამართლდეს, მაშინ საზოგადოება მე დამაბრალებს, ვითომც მე ვიყავ მიზეზი ამისიო. ან, ვინ იცის, რქნება მართლა ჩემი მარშლობა იყოს მიზეზი, რომ ხელმწი-

ფემ არაფერი მოწყალება არ გამოიღოსო და მე გამოვალ დამნაშავე საზოგადოების წინაშეო.

თუმცა დიმ. ყიფიანის შემდეგ თავად-აზნაურობამ გენერალ-ადიუტანტი რევაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილი ამირჩია და 1871 წ. იმპერატორი ალექსანდრე II მობრძანდა, მაგრამ ყველამ ვნახეთ, რაც უნარი გამოიჩინა ახალმა წინამძღვარმა და რა მოწყალებაც მიიღო საქართველოს თავად-აზნაურობამ¹.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფინანსთა მინისტრის ამხანაგის გრეიგის მიერ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობას უარი ეთქვა ბანკის დასაარსებლად 200 ათასი მანეთის ჩუქებაზე, მაგრამ მეფის მთავრობა დაინტერესებული იყო რა თავადაზნაურობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებია, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა „უკვე კარგა ხანია წყალობას არ აკლებდა კეთილშობილ თავადაზნაურ მემამულეებს, მთავრობამ მათთვის დააარსა სათავადაზნაურო ბანკი, ათასგვარი შეღავათები დააწესა მათთვის სესხის მოცემისა და ვალის ნარჩენების გადახდის ვადის გაგრძელებისათვის“². ყოველივე ეს გამიზნული იყო ამისათვის, რომ საგლეხო რეფორმის შემდგომ პერიოდში ხელი შეწყობოდა თავადაზნაურობას სამეურნეო განვითარების ახალ საწყისებზე გადასვლისათვის. ამიტომ. იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ 1870 წლის დეკემბერში კავკასიის მეფისნაცვლის მოხსენების საფუძველზე, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობას დასაარსებელი ბანკის ძირითადი კაპიტალის გასაძლიერებლად 160 ათასი მან. უწყალობა. ამასთან, მეფე მიუთითებდა, რომ ეს თანხა თავადაზნაურობას გადაეცემოდა ბანკის ნაღვილად გახსნის შემდეგ. მხოლოდ მთავრობის მიერ მოწონებულ საწყისებზე³.

თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი რევაზ ანდრონიკაშვილი (რომელიც დ. ყიფიანის მაგიერ აირჩიეს 1870 წლის მაისის თვეში) გუბერნატორს თხოვნ ნებართვას თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის საგანგებო კრების მოწვევის თაობაზე, ბანკის ახალი წესდების შესამუშავებლად და მეფის მიერ 160 ათასი მანეთის წყალობის საცნობებლად.

¹ საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. გოგებაშვილის არქივი № 66.

² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 5, გვ. 107.

³ საქ. სსრ ცსია, ფონ. 214, აღწ. 1, საქ. 3373, ფურ. 3.

გუბერნატორი ნებას რთავს მოიწვიოს საგუბერნიო კრება, მაგრამ არა თავადაზნაურობისა, არამედ მათი რწმუნებულებისა, რომელთა არჩევა უნდა მომხდარიყო თავადაზნაურთა სამაზრო საგანგებო კრებებზე⁴.

21—31 იანვარს ჩატარდა თბილისის გუბერნიის მაზრის აზნაურთა საგანგებო კრებები. თელავის მაზრის აზნაურთა კრებაზე აირჩიეს 8 რწმუნებული. სიღნაღის მაზრაში — 12, გორის მაზრაში — 12, მათ შორის დიმიტრი ყიფიანი, თბილისის მაზრაში — 27, მათ შორის გრიგოლ ორბელიანი⁵.

1871 წლის 2 თებერვალს შედგა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრება, რომელსაც ესწრებოდა გუბერნიის ოთხივე მაზრის თავადაზნაურთა რწმუნებულები.

თავადაზნაურობის წინამძღოლმა რ. ანდრონიკაშვილმა კრებას მოახსენა, რომ მეფემ თავადაზნაურობას აჩუქა 160 ათასი მანეთი და გააცნო ფინანსთა სამინისტროს დასკვნა ბანკის წესდების პროექტზე, ის მოტივები, რომელთა გამოც იგი არ შეიძლებოდა დაემტკიცებინა მთავრობას.

საგუბერნიო კრებამ ბანკის წესდების პროექტის შესამუშავებლად აირჩია კომისია 5 კაცის შემადგენლობით: რევაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილი (თავმჯდომარე), გიორგი კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი⁶, დიმიტრი დავითის ძე ჯორჯაძე, მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილი, იესე ადამის ძე ანდრონიკაშვილი⁷.

კომისიას დაევალა შეემუშავებინა ბანკის ახალი წესდების პრო-

⁴ საქ. სსრ ცსია, ფონ. 214, აღწ. 1, საქ. 3373, ფურ. 4.

⁵ იქვე, ფურ. 10, 11, 16, 20.

⁶ ეს სწორედ ის მუხრანსკია, რომელმაც 1872 წელს დაწერა ბროშურა «О существе национальной индивидуальности и об образовательном значении крупных народных единиц», რომელშიც ამტკიცებდა, რომ მცირე ერები უნდა გაითქვიფონ დიდ ერებში, რადგან მათ ღირებულება არა აქვთო. თერგდალეულებმა იგი ამისათვის სასტიკად გააკრიტიკეს. ილიამ მას ლექსიცი კი შეუთხზა — „რჩევა“:

„თუ გინდა, ძმაო ივემო
ამა ქვეყნისა შეებანი
დიდთა საფეროდ მოჰმართე
ქენი გულ-სიტყვის ებანი

მერე ბრძნობით შეიმოსე,
დიდთა უკმოე, სხვათარა,
და იქადაგე: — „წესია,
რომ დიდმა ჰყლაპოს პატარა“ და
სხვ.

ი. ქ ა ე ქ ა ე ა ძ ე, თხზ., ტ. 1, გვ. 100.

⁷ საქ. სსრ ცსია, ფონ. 214, აღწ. 1, საქ. 3373, ფურ. 23.

ექტი და წარედგინა იგი დასაშტკიცებლად აზნაურთა საგუბერნიო კრებაზე.

ამრიგად, ბანკის დაარსების, მისი წესდების შემუშავების საქმეს სათავეში ჩაუდგნენ მსხვილთა ფეოდალური არისტოკრატის წარმომადგენლები, რომელთა უმრავლესობა თავიდანვე საადგილმამულო ბანკის დაარსების წინააღმდეგი იყო.

საგუბერნიო კრების ასეთმა გადაწყვეტილებამ ძველი სარედაქციო კომიტეტის წევრების და, საერთოდ, საზოგადოების პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების უკმაყოფილება გამოიწვია.

დიმიტრი ყიფიანი, რომელიც კრებას ესწრებოდა, როგორც გორის თავადაზნაურობის რწმუნებულს, თავის განცხადებაში საგუბერნიო კრებისადმი აღნიშნავს, რომ იგი წინააღმდეგია საგუბერნიო კრების დადგენილებისა შემდეგი მიზეზების გამო: თავადაზნაურთა ბანკის მოწყობის თაობაზე კამათში ჭარბობდა იმ პირთა ხმები, რომლებიც თავიდანვე ამ საქმის წინააღმდეგ მოქმედებდნენ. ერთმა მათგანმა დაუფარავად განუცხადა კრებას, რომ ამ საქმისათვის მსჯელობაში იგი არ ღებულობდა არავითარ მონაწილეობას იმიტომ, რომ ყოველთვის წინააღმდეგი იყო და ახლაც წინააღმდეგია აზნაურთა 1867 წლის 6 მაისის საგუბერნიო კრების დადგენილებისა.

ახლანდელ კრებას, რომელსაც 60 კაცი ესწრებოდა, თავის დადგენილებით სურს გააუქმოს თავადაზნაურობის 1867 წლის 8 მაისის დადგენილება, რომელსაც 130 კაცზე მეტი ესწრებოდა.

იმ კომიტეტის ნაცვლად, რომელიც შექმნილი იყო თავადაზნაურთა 1867 წლის 8 მაისის საგუბერნიო კრების დადგენილებით, ეხლანდელი კრება ირჩევს კომისიას 5 პირის შემადგენლობით, რომელთაგან, თუნდაც ერთი თუ შეიტანს რაიმე წვლილს საერთო სასარგებლო საქმეში, თუნდაც ერთ მანეთს, ბანკის ძირითადი კაპიტალსათვის და, საერთოდ, არასოდეს არ გამოუთქვამს თანაგრძნობა ამ საქმისადმი.

რწმუნებულთა ეს საგუბერნიო კრება უკანონოა და ძალაში უნდა დარჩეს ძველი სარედაქციო კომიტეტი, რომელიც არჩეული იყო 1867 წლის 8 მაისს. ამ კომიტეტმა უნდა შეიტანოს ცვლილებები წესდების პროექტში იმ წესდებათა მთავარი საწყისების სრული გათვალისწინებით, რომლებზედაც მიუთითებდა ფინანსთა სამინისტრო.

დ. ყიფიანი თვლის, რომ აშკარად საჭიროა არა რომელიმე ახალი

წესდების პროექტის შედგენა თუ შემუშავება, არამედ შუამდგომლობა უკვე წარდგენილი პროექტის დამტკიცების თაობაზე⁸.

დ. ყიფიანის განსაკუთრებულ აზრი თავადაზნაურთა საგუბერნიო კრების და გამოტანილი გადაწყვეტილების არაკანონიერების თაობაზე, ზემდგომ ორგანოებს უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ. სამოქალაქო გუბერნატორი კრებოს დამთავრების მეორე დღესვე გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლს განმარტებას თხოვს დ. ყიფიანის განცხადებაში დაყენებული საკითხების შესახებ. რ. ანდრონიკაშვილის წერილობითი ახსნა-განმარტების შემდეგ, გუბერნატორი ვერავითარ დარღვევას ვერ „ამჩნევს“ კრების დადგენილებაში და თავადაზნაურობის წინამძღოლს წერს, რომ მას არაფერი აქვს საწინააღმდეგო კომისიის შემადგენლობაში იმ პირების არჩევაზე, რომლებმაც უნდა შეიმუშაონ ბანკის წესდების პროექტი ფინანსთა სამინისტროს მიერ მითითებული საწყისების საფუძველზე⁹.

ახლად არჩეულმა ბანკის წესდების პროექტის შემუშავებელმა კომისიამ, გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის, რევაზ ანდრონიკაშვილის თავმჯდომარეობით შეადგინა ზოგადი დებულება — ე. წ. „ზაპისკა“, თბილისის გუბერნიის მიწათმოქმედთა საჭიროებისათვის საკრედიტო დაწესებულებების მოწყობაზე და სამაზრო საადგილმამულო გამსესხებელ ამხანაგობათა წესდების პროექტი, რომლებშიც უარყო საგუბერნიო საადგილმამულო ბანკის დაარსების იდეა¹⁰.

საადგილმამულო გამსესხებელ ამხანაგობათა წესდება სავსებით გამორიცხავდა ბანკის მიერ რაიმე საზოგადოებრივ-ეროვნული საქმის სამსახურს. ასეთი სახის წესდების პროექტმა მთელი მოწინავე საზოგადოებოს სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია.

როგორც ა. ფურცელაძე წერს: «Члены комиссии или не поняли задачи, во имя чего учреждался банк, и предполагали, что банк учреждается, как банк исключительно для кредита, или думали, что правительство не хочет разрешить банк ipotечный. Комиссия не признала ни одного проекта долгосрочного кредита, предполагаемого Кипиани; по ее проекту, каждый уезд должен был иметь отдельно свой собственный банк, устроенный на те деньги, которые были внесены каждым уездом».

⁸ საქ. სსრ ცნობა, ფონ. 214. აღწ. 1, საქ. 3373, ფურ. 23—24.

⁹ იქვე, ფურ. 26—30.

¹⁰ იქვე, ფურ. 33.

дом на учреждение банка¹¹. При таком проекте рушилась задача, создать такой банк, прибылями которого можно бы было воспитывать детей»¹².

როგორც ანტონ ფურცელაძე მოგვითხრობს, კერძო სხდომებზე, რომლებიც იმართებოდა დ. ყიფიანთან, იოსებ მამაცაშვილთან, ზ. ავთანდილაშვილთან, მ. თუმანიშვილთან, გადაწყვიტეს დაეკავათ საადგილმამულო გრძელვადიანი კრედიტის იდეა და გამოსულიყვნენ თვით კომისიის წინააღმდეგ. დ. ყიფიანმა გადაწყვიტა წასულიყო კახეთში და თავადაზნაურთა სამაზრო კრებების მეშვეობით გამოეთქვა პროტესტი კომისიის პროექტის და თვით კომისიის მიმართ. თბილისში და თბილისის მაზრაში კომისიის პროექტის წინააღმდეგ მოქმედებდნენ ვ. თულაშვილი, ზ. ავთანდილაშვილი, ლ. მაღალაშვილი და სხვები.

ყველაზე ცუდად საქმე იყო გორის მაზრაში, სადაც სამაზრო კრების მეშვეობით არაფრის გაკეთება არ შეიძლებოდა, რადგან ყველა მდიდარი თავადაზნაური ახალ პროექტს იზიარებდა. ა. ფურცელაძე წერს: ამისათვის მე მომანდეს შემომველო გორის მაზრა და დამერწმუნებინა ლარიბი თავადაზნაურობა, რომელთაც შეიტანეს ფული ბანკის დასაარსებლად, რომ პროტესტი გამოეთქვათ წესდების ახალი პროექტის და მისი შემუშავებული კომისიის წინააღმდეგ, რომელმაც თავადაზნაურობის საგანგებო კრების მიერ მიცემული რწმუნება დაარღვია.

მე შევადგინე ასეთი ხასიათის განცხადება მაზრის ბევრი თავადაზნაურის ხელმოწერით და წარუვუდგინე განსახილველად გუბერნიის თავადაზნაურთა მორიგ კრებას.

«На сказанных выше частных собраниях решено было сообщить о нашем плане Илье Григорьевичу Чавчавадзе в Душет, где он состоял тогда мировым судьей, как сочувствующему делу талантливому оратору и влиятельному в обществе молодежи. Сообщено было ему через близкого его друга Луарсаба Магалова»¹³.

ბანკის წესდების ახალი პროექტით საზოგადოებაში შექმნილი განწყობილების შესახებ წერდა გაზეთი „დროება“: „მოაწია დრომ,

¹¹ აქ ან. ფურცელაძე შეცდომას უშვებს. კომისიის მიერ შემუშავებული წესდების პროექტი მოითხოვდა მთავრობისაგან უმალესად ნაბოძები 160 ათასი მანეთი თანაბრად გაყოფილიყო 4 მაზრაზე, რასაც უნდა შეედგინა საკრედიტო ამხანაგობების საბრუნავი თანხა.

¹² Газ. «Закавказская речь», 1912, № 132.

¹³ იქვე.

როდესაც ჩვენი თავადაზნაურობის ბანკის თაობაზე დაუღეველ ბაასსა და ლაპარაკს ბოლო უნდა მოელოს; მაგრამ როგორ გათავ-დება ეს საქმე? რომელ პროექტს მიიღებს საზოგადო კრება? ნუთუ დაამტკიცებს იმ პროექტს, რომელიც უკანასკნელმა კომისიამ წარუ-დგინა და რომლითაც, ერთი საზოგადო ბანკის მაგივრათ, რამდენიმე „ურთიერთის სესხის ამხანაგობა“ ანუ ბანკები უნდა გაიხსნას თი-თოეულს უეზღმი?

აი კითხვები, რომელიც ყოველ ქართველს ადგია ეხლა ენაზე და რომლის პასუხს მომავლის კრებისაგან ყველა მოუთმენლად მოე-ლის.

სხვაგან, ჩვენზე უფრო განათლებულ ქვეყანაში, ამისთანა კითხ-ვებს, რასაკვირველია, ადგილი არ ექნებოდა. სხვაგან უეჭველია, ყველა სასაცილოთ აიგდებდა ისეთ კაცს, რომელიც მემამულეებს სავაჭრო და მცირე ვაღიანი სესხის ბანკის გამართვას ურჩევდა. სა-საცილოთ აიგდებდა აგრეთვე იმას, რომელიც ვაჭრებსა და ჩინოვ-ნიკებს ისეთი ბანკის გამართვას ურჩევდა, რომელიც მხოლოთ მემამ-ულეებისათვის არის გამოსადეგი და სასარგებლო.

მაგრამ სასოწარკვეთილებას და უიმედობას ნუ მივეცემით, მით უფრო, რომ ამ უკანასკნელ დროს ჩვენი ბანკის საქმის ჰორიზონტ-ზე ზოგიერთი საიმედო და სანუგეშო კეთილი ნიშნები მოჩანან. ერთს ამისთანა ნიშანს თელავის უეზღის თავადაზნაურობის კრება წარმოადგენს, რომელმაც უარყო კომისიისაგან შედგენილი საუეზ-ღო ბანკების პროექტი და გადასწყვიტა, რომ ვეცადოთ ისეთი ბან-კის გამართვას, რომელიც ჩვენს მდგომარეობას უფრო შეეფერე-ბაო. ამგვარ ბანკათ იმათ, როგორც მემამულეებს, საადგილმამულო ბანკი დაუნახავთ და ამისთანა ბანკის გამართვაზე დათანხმებულან.

დ. ყოფიანის პროექტის საფუძველი ათას წილად სჯობდა ეხლან-დელისას, იმ პროექტის საფუძველში ის ჭეშმარიტება მაინც იყო, რომ ჩვენებურ თავად-აზნაურებს, როგორც ადგილმამულით მცხოვ-რებ პირებს, საადგილმამულო ბანკი და ხანგრძლივი სესხი უნდა და არა ურთი-ერთი სესხის ამხანაგობანი და ექვსი თვის სესხი, რო-გორც ახალი პროექტი გვორჩევს¹⁴.

ბანკის წესდების ახალი პროექტის წინააღმდეგ გამოთქმულ აზ-რებს ვხვდებით არა მარტო იმდროინდელი ქართული და რუსული გაზეთებრს ფურცლებზე. მ. შამაცაშვილმა, წესდების პროექტის გან-ხილვას ბროშურაც კი მიუძღვნა.

¹⁴ გაზ. „დროება“, 1872, № 39.

„ვინც თვალყურს ადევნებდა ამ საკითხს, — წერს მ. მამაცაშვილი, — მისი წარმოშობიდან, ე. ი. 1867 წლიდან, ამ დოკუმენტის გაცნობით განცვიფრებული დარჩა, რომ ეს საკითხი ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არ არის. მაშ რას აკეთებდა ხუთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ყველა ეს კომისია და კომიტეტი, როდესაც კრედიტის საჭიროება ყოველდღიურად იზრდებოდა, როდესაც მევახშეობა ანადგურებდა მთელ თბილისის გუბერნიას, არ ზოგავდა არც მოხუცს და არც ახალგაზრდას. პირდაპირ დაუჭერებელია. ახლა ისინი გვთავაზობენ კომისიის „ზაპისკას“ საკრედიტო დაწესებულების მოწყობის შესახებ თბილისის გუბერნიის ფინათმოქმედთა საჭიროებისათვის“¹⁵.

„1867 წელს, — წერს მ. მამაცაშვილი, — თავადაზნაურობამ თავისი დადგენილებით გადაწყვიტა დაეფუძნებინა საზოგადოებრივი ბანკი და მისი ძირითადი კაპიტალი განსაზღვრა 500 ათასი მანეთით, რაც შედგებოდა იმ თანხის 20 პროცენტისაგან, რაიცა მათ მიეცათ ჯილდოდ იკლუხების გათავისუფლებისათვის, მთავრობისაგან ნაჩუქარი 160 ათასი მანეთით და სხვა შემოსავლებით.

კომიტეტის მიერ შედგენილ უკანასკნელ პროექტში, რომელიც წინ უსწრებდა „ზაპისკებს“, ბანკის ოპერაციები ფორმულირდებოდა ორ ჯგუფად: მოკლევადიან და გრძელვადიან სესხად, მათი შესატყვისის სახეობის ბანკის ობლიგაციების გამოშვებით. მაგრამ კომიტეტის ეს პროექტი არ იქნა დამტკიცებული ფინანსთა სამინისტროს მიერ იმ მოტივით, რომ ერთ საკრედიტო დაწესებულებაში შეუთავსებელია ორივე ეს ოპერაცია.

ემყარებოდნენ რა ამ მონაცემებს, „ზაპისკის“ ავტორებმა გამოორიციხეს საკრედიტო დაწესებულებისათვის დამახასიათებელი ყველა ოპერაცია და მისცეს მას გაუბრალოებული, მსუბუქი ფორმა. მთელი მისი ფონდი, როგორც ძირითადი ისე საბრუნავი, განსაზღვრეს მთავრობის მიერ ნაჩუქარი 160 ათასი მანეთით. ამასთან, რომ შეენარჩუნებინა „წმინდა“ სამართლიანობა „ზაპისკა“ 160 ათას მანეთს ყოფს ოთხ მაზრაზე, თითოეულ მაზრაზე მოდის 32 ათასი მანეთი. აი ამ თანხაშია ჩაქსოვილი მთელი სასიცოცხლო ნექტარი, ისაა ვათვალისწინებული მაზრაში სესხის გასაცემად, რომელმაც უნდა აამაღლოს მისი კეთილდღეობა.

„ზაპისკა“ გვთავაზობს, ურთიერთ სესხის ამხანაგობანი დაარსე-

¹⁵ М. Г. М. «Тифлисский Дворянский банк, его застой и затруднения» по поводу записки комиссии, Тифлис, 1872.

ბულ იქნეს მაზრების მიხედვით, ამხანაგობის წევრები შეიძლება იყვნენ მხოლოდ აზნაურთა წოდების წარმომადგენელი. ამხანაგობაში შესვლის მსურველს მოეთხოვება გირაოდ წარადგინოს სოფლის მამული, რომლის წმინდა შემოსავალი ორჯერ უნდა ჰქარბობდეს სესხის იმ ოდენობას, რომელსაც ის თხოულობს.

საზოგადოების თითოეული წევრი ამხანაგობის წესდებით ვალდებულია ღებულობს შეიტანოს 10% იმ თანხიდან, რომელსაც ის თხოულობს სესხის სახით. მისი საშუალებები იქმნება ზემოაღნიშნული 10% საწევრო შენატანებისაგან და 160 ათასის იმ ნაწილიდან, რაც მოდის თითოეულ მაზრაზე. ეს საშუალებები განსაზღვრავენ ამხანაგობის მთელ საბრუნავ კაპიტალს. ამ ფარგლებს ზევით საშუალებების გაფართოებას „ზაპისკა“ კრძალავს. ამხანაგობა აწარმოებს მხოლოდ ერთ ოპერაციას — სესხის გაცემას. სესხი გაიცემა ვალით არა უმეტეს 6 თვისა. „ზაპისკა“ წინადადებას აყენებს თავდაზნაურთა მომავალი კრების წინაშე და იმედოვნებს, რომ კრების უმრავლესობა დაეთანხმება მის წინადადებას, რომ გაუქმებულ იქნეს 20%, ჯერ კიდევ 1867 წელს თავდაზნაურობის მიერ ძირის კაპიტალის შესადგენად შეტანილი, რაც შეადგენს 80 ათას მანეთს, და დაუბრუნდეს იგი თავდაზნაურობას კუთვნილებისამებრ“.

მ. მამაცაშვილი ვრცლად იხილავს წესდების ახალ პროექტს, დამაჯერებლად ასაბუთებს მის უვარგისობას და გამოუყენებლობას გუბერნიის მიწათმომქმედ მეურნეთათვის.

„საწყალი ჩვენი ბანკის საქმე, — წერს „დროების“ რედაქტორი ს. მესხი, — რამდენი წვალეა, რამდენი ვაივაგლახი და ტანჯვა გამოიარა იმან მას აქეთ, რაც 1867 წ. 6 მაისს თავდაზნაურობამ გადაწყვიტა, რომ საზოგადო ბანკი გავიმართოთ! რამდენ კაცს ჩაუვარდა ის ხელში საწვალეבלათ, საჯიჯგნათ და სათამაშოთ! რამდენჯერ მოელოდა ამ საწყალ ბანკს დაბადებამდი სიკვდილი და დედამიწასთან გასწორება!.

მაგრამ, როგორც იყო გადაურჩა ყველა ამ „დროთა ვითარებას“ და კაცთა უმეცრებასა და ახლა ჩვენ ვხედავთ იმას ისეთ მდგომარეობაში, როგორც 1867 წელს იყო, როდესაც თბილისის გუბერნიის აზნაურობამ თავისთვის საზოგადო ბანკის გამართვის სურვილი გამოაცხადა. მაშ რას ვაკეთებდით ჩვენ ამ ექვსი წლის განმავლობაში? რას აკეთებდნენ ის კომისიები და კომიტეტები, რომელნიც თავდაზნაურობამ ბანკის გასამართავად ამოირჩია? ამის პასუხი თვითონ იმ კომისიებსა და კომიტეტებს უნდა ეკითხოთ, მაგრამ არა მგონია, რომ რიგიანი პასუხი მოგვცენ.

ზევით ვთქვით, რომ ეხლა ჩვენი ბანკი „თითქმის“ იმგვარსავე მდგომარეობაშია მეთქი, როგორც ამ ექვსი წლის წინათ იყო, ჩვენ ვამბობთ „თითქმის“ და არა „სრულიათ“ იმიტომ, რომ ჩვენი ბანკის საქმე მართლა სრულიად უწინდელ მდგომარეობაში არ არის ახლა.

მართალია, ჩვენ ეხლაც არა თუ ბანკი, არც იმის წესდებულების პროექტი არა გვაქვს ჯერ, მაგრამ ჩვენთვის ისიც საკმაოა, რომ ვიცით როგორი ბანკის გამართვა ჰსურს ჩვენს თავადაზნაურობას და მაშასადამე, როგორ წესდებულებაზე იქნება ის დფუძნებული. სწორედ რომ ვსთქვათ, არც ეს გარემოება არის ახალი, რადგანაც 1867 წლის 6 მაისის პროტოკოლში პირდაპირ იყო გამოცხადებული რომ „გაემართოთ სააზნაურო-ს აზოგადო ბანკიო“, მაგრამ მას შემდგომ სხვადასხვა თვისებისა და ხასიათის ბანკის შემდგენელთა იმდენჯერ განიზრახეს ამ საფუძვლის დარღვევა და სრულიად გამოცვლა, რომ ეხლა ღმერთს მადლობას უნდა ვწირავდეთ, თუ ეს საფუძველი ისევ აღდგინებული და მკვიდრათ დამყარებული შეიქნა.

ამას გარდა, რომ თვითონ 1867 წლის აზნაურობის კრების პროტოკოლშია გამოცხადებული, რომ ჩვენ საზოგადო და საადგილმამულო და, მაშასადამე, ხანგრძლივი ბანკი გვესაქიროებაო, ეს აზრი ერთხელ კიდევ გამოსთქვა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობამ. თითქმის ყველა უეზდის აზნაურობის კრებამ ცხადათ გამოსთქვა წელს, რომ ჩვენ მემამულეები, მიწის პატრონები ვართო და, მაშასადამე, ისეთი ბანკი უნდა გაემართოთ, რომელიც ჩვენს მდგომარეობას და ჩვენს ცხოვრებას უფრო შეეფერებაო. ამის შემდეგ სხვადასხვა „მოკლე ხნის კრედიტებზე“, ცალკე უეზდებში „ურთიერთ ნდობის საზოგადოების“ გამართვაზე და სხვა ამგვარ ბანკებზე ლაპარაკი სამუდამოთ უნდა მოისპოს ჩვენში, ჩვენ უნდა დავდგეთ იმ გზაზე და ისეთი ბანკი უნდა გაემართოთ, როგორიც მთელმა აზნაურობამ ორჯერ ისურვა“¹⁵.

1872 წლის ივნისის თვეში, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი რ. არდრონიკაშვილი ცირკულარული წერილით მიმართავს მაზრების თავადაზნაურობის წინამძღოლებს და ცალკეულ პირებს, რომლითაც ატყობინებს, რომ თავადაზნაურობის კომისიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა საკრედიტო დწესებულების წესდების პროექტის შედგენა, შეასრულა მასზე და-

¹⁵ სერგეი მესხი, თხ., ტ. 1, გვ. 290—291.

კისრებული მოვალეობა და გადმომცა მოსაზრებანი, რომლებითაც ხელმძღვანელობდა კომისია მიცემული დავალების შესასრულებლად. ბარათი გვიხსნის მიზეზებს, თუ რატომ შეჩერდა კომისია მაზრებში საადგილმამულო გამსესხებელ ამხანაგობათა დაარსებაზე და გამსესხებელი ამხანაგობის წესდების პროექტი. გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი უგზავნის რა ზემოთ ჩამოთვლილ ღოკუმენტებს სამაზრო წინამძღოლებს კრებებზე ვანსახილგელად, იგი თხოვს მათ, რომ თავიანთი დასკვნები ამ საქმეზე გაუგზავნონ მას არაუგვიანეს პირველი სექტემბრისა, რათა შესაძლებლობა ექნეს დროულად გამოითხოვოს ნებართვა საგუბერნიო საგანგებო კრებაზე თავადაზნაურების მოსაწვევად ოქტომბრის თვეში და ამავე დროისათვის შეადგინოს კრებული აზრებისა, რომლებიც გამოთქმული იქნება ამ საქმის გამო.¹⁷

გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის ცირკულარული წერილის თანახმად თავადაზნაურთა სამაზრო კრებებზე განხილულ იქნა სასესხო ამხანაგობათა წესდების პროექტი. კრებათა მონაწილეების დიდმა უმრავლესობამ (გარდა თელავის მაზრისა) უარყო კომისიის პროექტი და მოითხოვა გუბერნიისათვის ერთი ცენტრალური საადგილმამულო ბანკის დაარსება, რომელიც ადგილმამულის გირაოთი გასცემდა გრძელვადიან და მოკლევადიან სესხებს.

სიღნაღის მაზრის თავადაზნაურთა კრების მონაწილეთა დიდმა ნაწილმა მხარი არ დაუჭირა სასესხო ამხანაგობათა წესდების პროექტს და მოითხოვა საგუბერნიო საადგილმამულო ბანკის დაარსება 500 ათასი მან. კაპიტალით, თანახმად გუბერნიის თავადაზნაურობის საერთო კრების 8 მაისის ოქმისა.¹⁸

თელავის თავადაზნაურობის კრებაზე, რომელსაც 21 კაცი ესწრებოდა, 11-მა მონაწილემ მოიწონა კომისიის მიერ შედგენილი წესდების პროექტი. კრების დანარჩენმა ათმა მონაწილემ უარყო იგი და მოითხოვა წესდება შედგენილიყო იმ საწყისებზე, რომელიც შესთავაზა თავადაზნაურობას თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლმა 1867 წლის 6 მაისს.¹⁹

დუშეთის მაზრის თავადაზნაურთა კრებამ ერთხმად უარყო კომისიის მიერ შედგენილი სასესხო ამხანაგობის წესდების პროექტი

¹⁷ საქ. სსრ ცსია, ფონ. 214, აღწ. 1, საქ. 3373, ფურ. 78.

¹⁸ იქვე, ფურ. 133.

¹⁹ იქვე, ფურ. 156.

ტი. ჩვენი თავადაზნაურობისათვის, — ნათქვამია კრების ოქმში. — მიწათმოქმედებისათვის აუცილებელია ისეთი საკრედიტო დაწესებულება, რომელსაც შეეძლება დააკმაყოფილოს თავადაზნაურობის მოთხოვნა სამიწათმოქმედო კრედიტზე. ასეთი საკრედიტო დაწესებულება კი შეიძლება იქნეს მხოლოდ საადგილმამულო ბანკი, რომლის მიზანია გრძელვადიანი სესხი მისცეს თავადაზნაურებს, რომლის დაფარვაც შესაძლებელია თანდათანობით, ყოველწლიური შენატანებით.²⁰

თბილისის მაზრის თავადაზნაურთა საგანგებო კრებამ ერთხმად დაადგინა დაარსებულ იქნეს გუბერნიისათვის თბილისის სათავადაზნაურო ბანკი მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხით სოფლის მამულების გირაოთი.²¹ გორის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლის წერილში გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლისადმი ნათქვამია: „ჩემს მიერ 25 სექტემბრისათვის ქ. გორში დანიშნული იყო უკანასკნელი სხდომა თავადაზნაურობის სამაზრო საგანგებო კრების გახსნისათვის, მათ წინასწარ დაურიგე განსახილველად სააზნაურო ბანკის წესდების ახალი პროექტები, მაგრამ სხდომა არ შემდგარა. აზნაურობამ გამოიციხადა, რომ ისინი თავის დასკვნას ამ საქმეზე წარადგენენ თბილისში თავადაზნაურთა საგუბერნიო საგანგებო კრების გახსნისას.“²²

და, მართლაც, გორის აზნაურობამ ამ საკითხზე თავისი დასკვნა კოლექტიური განცხადების სახით, რომელსაც ხელს აწერს 61 თავადაზნაური, წარუდგინა გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლს. განცხადებაში ნათქვამია: „თქვენს წინადადებაზე აზნაურთა დასკვნის შესახებ სასესიო ამხანაგობის წესდების პროექტის თაობაზე, რომელიც შეადგინა კომისიამ, შემდეგს მოგახსენებთ: თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საერთო კრებამ 1867 წლის 8 მაისის ოქმით თავი ცნო არაკომპეტენტურად შეედგინა წესდება ან პროექტი საბანკო ოპერაციებისა. ამისათვის ამოიჩინა თავის წრიდან სარედაქციო კომიტეტი, რომელსაც დაავალა წესდების პროექტის შედგენა. ამ დადგენილებით თავადაზნაურობამ თავი გაითავისუფლა ყოველგვარი ზრუნვისა და არასაპირო ხარჯებისაგან. თუ ამჟამად ვინმემ შეადგინა რაიმე პროექტი ან აზრი გამოთქვა თავადაზნაურობის საბანკო დაწესებულების თაობაზე, იგი უნდა წარედ-

²⁰ იქვე, ფურ. 119.

²¹ იქვე, ფურ. 137.

²² იქვე, ფურ. 138.

გინოს აღნიშნულ კომიტეტს, რომელიც უფლებამოსილია მოიწონოს ან არ მოიწონოს, მიიღოს ან არ მიიღოს იგი. რაც შეეხება იმას, რომ კომისია, რომელმაც შეადგინა ახალი პროექტი, თავს უწოდებს თავადაზნაურულს, ჩვენთვის არაა ცნობილი, რომელმა თავადაზნაურობამ აირჩია იგი.

უპირველესად ყოვლისა, კომისია პროექტის შესადგენად უნდა შეექმნა კომიტეტს, რომელიც ამოირჩია თავადაზნაურობამ, მაშასადამე, უნდა იყოს კომისია კომიტეტის და არა თავადაზნაურობისა.

თუ ეს კომისია აირჩია თავადაზნაურობამ კომიტეტის გარეშე, მაშინ ჩვენ ასეთი არჩევა არ შეგვიძლია კანონიერად ვცნოთ, რადგან თავადაზნაურობის საგუბერნიო კრების მოწვევის თაობაზე არცერთი ჩვენთაგანისათვის არავის შეუტყობინებია. მაშასადამე, კრება არ შეიძლებოდა ყოფილიყო კანონიერი, რადგანაც ამ საქმეზე ჩვენ ყველას გვექონდა ხმის უფლება. ჩვენთვის კი ცნობილია, რომ მაზრაში რამდენიმე თავადაზნაურის გარდა, ამ კრების მოწვევის შესახებ არავინ არაფერი იცოდა.

ჩვენამდე მოღწეული კერძო ცნობებით ჩვენ შევიტყუეთ, რომ 8 მაისის ოქმით ამორჩეული კომიტეტი გადაყენებულია თავადაზნაურობის კომისიის მიერ, ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ ამის გამო, რადგან კომიტეტის არჩევა მოხდა გუბერნიის თავადაზნაურობის საერთო კრებებზე და თავადაზნაურობის საერთო კრების გარდა სხვას არავის შეეძლო მისი გადაყენება. რაც შეეხება ჩვენს აზრს კომისიის პროექტზე, ჩვენ იგი მიგვაჩნია უვარჯისად რადგან 1) მოკლევადიანი სესხი, ისიც ექვსი თვით, უსათუოდ გააჩანაგებს თავადაზნაურობას. 2) პროექტით შემოღებული პროცედურა თავიდან ჩამოაცილებს ყველა წვრილ მიწათმფლობელს ან უკეთ რომ ეთქვათ თავადაზნაურობის უმრავლესობას, რადგან მათ უფრო მეტი დაუჭლებათ პროცედურა, ვიდრე სარგებლობას მიიღებენ ამხანაგობისაგან. 3) თუ თავადაზნაურობისათვის გლენობის გათავისუფლების გამო მოცემული ჯილდოდან დაკავებული პროცენტები დაბრუნებული იქნება, თანხა 160 ათ. მანეთის რაოდენობით საკმარისი არ იქნება მსესხებელთა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. 4) ამხანაგობაში შესულ თავადაზნაურობის 1/6 ნაწილს შესაძლებლობა ექნება არ დაუშვან სხვები ამხანაგობაში, მაშინ, როდესაც 160 ათასი მანეთი ეწყალობა მთელ თავადაზნაურობას. 5) თითოეულ მაზრაში ასეთ საფუძველზე მოწყობილი ამხანაგობა და მისი ოპერაციების განკარგულების გადაცემა უცოდინარი ადამიანების ხელში, მაზრებში ამ საქმის მცოდნე პირების უყოლობის

გამო, საფრთხეში ჩაადგებდა მას, რასაც უთუოდ მოჰყვებოდა ამხანაგობის გაკოტრება. 6) თითოეულ მაზრაში ცალკე დაწესებულების არსებობა საზარალოა.

ა) თითოეული ცალკე დაწესებულების მართვა დაგვიჯდება იმდენივე, რამდენიც საკურო იქნებოდა საერთო საგუბერნიო დაწესებულებისათვის.

ბ) პატარა სახსრების დროს გასამრჯელოც პატარა უნდა იყოს, პატარა გასამრჯელოთი კი წესიერები არ იმსახურებენ ამხანაგობაში.

გ) თუ თბილისის მთელ თავადაზნაურობას ერთი დაწესებულება ექნება, შევძლებთ მმართველობისათვის გავილოთ უფრო მეტი სახსრები, დავაჭიროთ კეთილსინდისიერი, მკოდნე პირები, მაშასადამე უფრო ღირსეულად და სასარგებლოდ წაიყვანოთ საქმე.

7) პროექტი ვერ პასუხობს თავადაზნაურობის მთავარ მიზანს, ბანკის მოგების ხარჯზე გასწიოს საზოგადოებრივი საქმე — როგორც არის ახალგაზრდობის აღზრდა და ასე შემდეგ. პროექტი გულისხმუპს. მთელი მოგების დატოვებას ამხანაგობის წევრებისათვის და სხვა.

დროის უქონლობის გამო ჩვენ მხოლოდ საერთოდ განვიხილეთ პროექტის მთავარი მხარეები. პროექტის დაწერილებითი მეცნიერული ანალიზი დაეუთმოთ კომიტეტს, რომელიც შეიქმნა 8 მაისის ოქმით, და რომელსაც უნდა გადაეცეს განსახილველად ყველა პროექტი, რომელიც კი სათავადაზნაურო ბანკს ეხება.

ჩვენი მხრით კი ვაცხადებთ, რომ კომისიის პროექტი თავადაზნაურობისათვის უვარგისად მიგვაჩნია.²³

კომისიის პროექტის განხილვაში არა მარტო თავადაზნაურობა ლებულობდა მონაწილეობას, არამედ ამ საქმით დაინტერესებული სხვა პირებიც. საკითხის განხილვას ფართოდ ეხმაურებოდა როგორც ქართული, ისე რუსული პრესა.

1872 წლის ივლისში გაზეთი „დროება“ წერდა, რომ თბილისის მაზრის აზნაურობა მიწვეული იყო სააზნაურო ბანკის თაობაზე მოსალაპარაკებლად. გაზეთი იტყობინებოდა, რომ მოკლე ხანში სხვა მაზრებშიც იქნებოდა მოწვეული კრებები ამ საქმის თაობაზე და მერე ოქტომბერში ან ნოემბერში დაინიშნებოდა თავადაზნაურობის საგუბერნიო კრება, რომელიც გადაწყვეტდა ბანკის საქმეს, გაზეთი ურჩევდა თავადაზნაურობას, კარგად დაუფიქრდეს ამ საშ-

²³ საქ. სსრ ცსია, ფონ. 214, აღწ. 1, საქ. 3373, ფურ. 127—129.

ვილიშვილო საქმეს, ბრმად ნუ დაეთანხმება იმ წინადადებას, რამელ-
!აც კომისია წარმოუდგენს და გულ-დამჭერად ასწონოს ის მტკიცებე-
ბი, რომლებიც მ. გ. მ-ის მოჰყავს ამ კომისიის წინააღმდეგ თავის ამ
მოკლე ხანში გამოცემულ ბროშურაში.

იგივე გაზ. „დროება“ ცოტა უფრო მოგვიანებით იუწყებოდა,
რომ თბილისის მაზრის თავად-აზნაურობას ბანკის თაობაზე ისე-
თივე გადაწყვეტილება დაუდვია, როგორც თელავის და სიღნა-
ლის მაზრებში. ამ მაზრების თავადაზნაურობას შეუდგენია ოქმები.
რომლებშიც გამოცხადებულია, რომ ჩვენ როგორც ადგილ-მამუ-
ლის პატრონებს ისეთი ბანკი გვესაჭიროება, რომელიც სესხს ხანგ-
რელივი დროით მოგვცემსო.

„მაშ ეხლა სრული იმედი უნდა გექონდეს და შეგვიძლია ვინუგე-
შოთ ჩვენი თავი, რომ თბილისის გუბერნიის საზოგადო კრება უარ-
ყოფს უკანასკნელი კომისიის ბანკის პროექტს“²⁴.

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე

თბილისის ქართული საადგილმამულო ბანკის დაარსება

70-იანი წლების დასაწყისიდან ქართველი სამოციანელები
აქტიურად მონაწილეობენ თბილისის საადგილმამულო ბანკის და-
არსებაში, რათა საკრედიტო დაწესებულება გამოეყენებინათ
ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესებისათვის,
ამაზე ნათლად მეტყველებს ნ. ნიკოლაძის შემდეგი სტრიქონები:
„ძველი მოღვაწეების ნაშრომის შესწავლამ ნება მომცა მკვდრეთით
აღმედგინა ბობოლებსაგან დამარცხებული და დამარხული საქ-
მეები და მომქმედი პირები, მაგალითად ყველგან ერთიანად და-
ვიწყებული საადგილმამულო ბანკები. ბ. გიორგი ყაზბეგს ჰკითხეთ
(დამფუძნებლებთან ახლა მეტი აღარავინ მეგულება ცოცხლებში),
რამდენჯერ დაგვირდა ღუშეთს ასვლა 1871 — 1873 წწ. რამდენ
ყმაწვილს, რამდენი მეცადინეობა დაგვირდა, რომ ილია ჭავჭავა-
ძისათვის სახელმწიფო სამსახურზე ხელი აგვედებინებინა, ბან-
კის დაარსება იერიშით აგველო, ბანკი განახლების ბანკად გვექცია
და შიგ კავკავაძე ძალდატანებით ქართული საქმის მოთავედ ჩაგ-
ვეყენებინა“.¹

²⁴ გაზ. „დროება“, 1872, № 45.

¹ ჟურ. „კლდე“, 1913, № 20, გვ. 9.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, პროგრესული ახალგაზრდობა, ჯერ კიდევ მაზრების საგანგებო კრებების მოწვევამდე, აქტიურ პროპაგანდას ეწეოდა თავადაზნაურებს შორის კომისიის „ზაპისკის“ და სასესიო ამხანაგობის წესდების პროექტის წინააღმდეგ, რომლითაც ფეოდალურ არისტოკრატიას სურდა დაესამარებინა საადგილმამულო ბანკის დაარსების იდეა.

კომისიის მიერ შედგენილი სასესიო ამხანაგობის წესდების პროექტი საბოლოოდ უნდა განხილულიყო თავადაზნაურთა საგუბერნიო საგანგებო კრებაზე, მას უნდა გამოეთანა გადაწყვეტილება მისი მოწოდების თუ უარყოფის თაობაზე.

თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრება გაიხსნა 1872 წლის 25 ნოემბერს,² მას ესწრებოდა ყველა ოთხივე მაზრის თავადაზნაურთა საგანგებო კრებაზე არჩეული 93 რწმუნებული.

საგუბერნიო კრებაზე ცხარე კამათი გაიმართა პროექტის შემდგენელი კომისიის წევრებსა და მათ მოწინააღმდეგეებს შორის. კრებაზე ბრწყინვალე სიტყვით გამოვიდა ილია ჭავჭავაძე, რომელმაც დაიცვა საადგილმამულო ბანკის დაარსების იდეა. როგორც ანტ. ფურცელაძე იგონებს:

«Речь была громадная, злая, ядовитая, проникнутая острыми сарказмами, доходящая до издевательства над незнанием дела, непониманием заданной комиссии задачей... Говорил он с необычайным воодушевлением, вдохновенно, страстно, с непоколебимой логикой, подкрепленную неопровержимыми данными. Он доказывал, что комиссия отступила от данных ей дворянством полномочий... Что она не поняла задачи начатого дела, что не банк нужен, а нужна школа на прибыли банка, чего предложенный комиссией банк не даст; что проект их губит единственное общественное начинание, которое стремится к обеспеченной будущности; что они никакого представления не имеют о банках, и т. д. и т. п.

Из членов комиссии не было в собрании кн. Георгия Константиновича Багратион-Мухранского, остальные члены во время речи кн. Чавчавадзе один за другим бежали из собрания».³

„გაზეთი „დროება“, რომელმაც დაბეჭდა ილია ჭავჭავაძის სიტყვა, აღნიშნავდა, რომ იგი გონიერად, გულმხურვალედ შეეხება ბანკის საქმესო.

² საქ. სსრ ცსია, ფონ. 214, საქ. 3373, ფურ. 141.

³ Газ. «Закавказская речь», 1912, №138.

„1867 წელსა, — ამბობს ილია, — თავად-აზნაურობამ გამოთქვა სურვილი ბანკის დაწესებისა იმ აზრით, რომ დაიხსნას ჩვენი ქვეყანა სიღარიბისაგან და უმეცრებისაგან. იგი აზრი სავსეა მშვენიერებითა, პატიოსნებითა, დიდ-სულოვნებითა და ნაყოფიერებითა. ამ ძვირფასის აზრის გონიერებითსა შესრულებაზედ დამოკიდებულია ჩვენის ეკონომიურის მოღვაწეობის იგი განცხოველობა და გაძლიერება, რომელიც მიგვიყვანს ჩვენ ნიეთიერ კეთილდღეობამდე და სიმდიდრემდე და ამის გამო ზნეობის სიკეთემდეცა. აი, ამის გამო ღირსია გულითადის ჩვენის მადლობისა ღვაწლი ამა ჩვენგანისა, რომელმაცა პირველად ჩაგვიწერა ეგ ნაყოფის მომცემი აზრი. არა-ნაკლებ მისი ღირსნი არიან გულითადის ჩვენის მადლობისა იგი ჩვენგანნი, რომელთაცა პირველსავე მოწოდებაზედ მსწრაფლვე უდრტვინველად დაემორჩილნენ თავად-აზნაურობის გადაწყვეტილობასა და მსწრაფლვე შემოიტანეს მათგან მოთხოვნილი ნაწილი ყმების განთავისუფლებისათვის მიღებულის ფულისა, და ამით შემოგვწირეს მსხვერპლი, რათა დაიხსნან ჩვენი მშვენიერი ქვეყანა სიღარიბისაგან და უმეცრებისაგან. არ შემოძლიან, ბატონებო, არ მოგაგონოთ ის, რომ ამ დიდსულოვანთა და პატიოსანთა შემომწირველთა შორის უფრო მრავალი ღარიბია და მათ შორის, რომელთაც არ ისურვეს იმა მსხვერპლის მოტანა, უფრო ბევრნი — შედარებით, მდიდარი არიან.

ღიად, მოწყალეო ხელმწიფენო, ყოველთაგან დევნილმა სიღარიბემ აქაც გვაჩვენა ჩვენ, რომ იგი უფრო სულ-გრძელია ძლევამოსილს სიმდიდრეზედა.

მე მინდა ჩემს თავს ნება მივცე და ჩემი სიტყვა მოვახსენო მათ, რომელთაც სხვადასხვა მიზეზთა გამო, მაგა მსხვერპლის თავიდან აცდენა მოინდომეს, ვიქმნეთ ერთგულ და ერთგულ ამა ყოველთვის ძვირფასის და სანატრელის აზრის ასრულებაშია. მაგრამ მე იმისათვის კი არ გემუდარებით ერთგულებას და ერთსულობას, რომ ერთგულის გულმოდგინებით მიეარდეთ და გავინაწილოთ ის თქვესმეტი ათასი თუმანი, რომელიცა უმაღლესის მოწყალეობით გვებოძა. აქ ყოველს ჩვენგანს ჩვენდა უთხოვნელთაც გულმოდგინეთ ხელი გამოწვდილი აქვს, რათა ჩაიგდოს ხელში უდიდესი ლუქმა. არა, ბატონებო! ჩვენ გთხოვთ შევერთდეთ ერთის მშვენიერის და ჩვენდა ღირსეულის სიყვარულითა, რათა ერთმანეთს შევეწიოთ ერთმანეთის მსხვერპლის მოტანითა ჩვენის საყოველთაო კეთილდღეობისათვის. რომელიც აყვავდება მაგ ერთგულებითა და ერთსულოვნებითა ჩვენის მიწად-მომქმედთათვის, რომელთაცა კეთილ-

დღეობაზედ დამყარებულია ყოველთა ქვეყანათა კეთილ-მდგომარეობა საზოგადოთ და ჩვენის ქვეყნისა საკუთრად, ჩვენი შთამომავლობისათვის მაინცა, რომელიცა ლოცვითა და კურთხევით მოგვიხსენიებს ჩვენ.

ეს ჩემი სიტყვა მიმართული თქვენდა გრძნობისადმი, ეს ჩემი სიტყვა მიქცეული ადამიანის ღვთიურის ნიჭისადმი, რომელიც მიიღებს ხოლმე აღბეჭდილობას მაღალ-ზნეობითის აზრისასა, იქნება ზოგიერთმა მიიღოს უბრალო ყბედობად, ანუ ჩემდა პირად აღტაცებად. მაგრამ ამათ მე არ შეეკრთები, რადგანაც ვიცი, რომ მაგას იქმოდნენ მარტო იმისთანა კაცნი, რომელნიცა ისე ზნეობითად გაქსუებულან თავისის სიკეთისა და პირადის ბედნიერების უკან დევნაში, რომ ყოველს ზრუნვას საყოველთაო კეთილისათვის უსაქმო კაცის ოცნებადა ჰსთვლიან. იმისთანა კაცნი, ვამბობ მე. რომელნიცა მუდამ ტრიალებენ ვიწრო — თავმოყვარობის ვიწრო სფეროშია, არასოდეს არ აღწეულან თავისის პირადის სარგებლობის უმაღლეს და არ გამთბარან საზოგადოების სიკეთის სიყვარულითა, იმისთანა კაცნი, ვამბობ მე, რომელნიცა საკუთარის ინტერესის დათმობაში საყოველთაო სიკეთისათვის ხედავენ მარტო ცდომილებასა და გატაცებულებას გამოუცდელის ყმაწვილ-კაცობისას და არა ძლევა-მოსილებას კაცის ზნეობითის ბუნებისასა.

მოგახსენეთ რა მე ესე ყოველი, მე მქონდა მარტო ერთი. იქნება თამამი, მაგრამ გულწრფელი სურვილი, რათა განვაძლიერო გულმოდგინება ჩვენი ამ საქმეში ამა მოვალეობისა და მოყვასთა სიყვარულის უწმინდესისა იდეიებითა, რომელნიც ადამიანის შვილს არამც თუ გაახსენებენ ხოლმე თავის ქისას საზოგადო საქიროებისათვის, არამედ აქმნევიანებენ დიდსა და სახელოვანსა საქმეთაცა.

თუ მაგოდენა შევიძელი მე, ამა კრებისა საქმეთა სიძნელე გადავილდება, იმიტომ რომ მარტო ზნეობითის აზრით სავსეს გულმოდგინებასა შეუძლიან შესწყვიტოს უწმინდური წყარო ყოვლისა ჩვენის სიბნელისა, უთანხმობისა და შეცილებისა.⁴

ილიას სიტყვას აზნაურთა საგუბერნიო კრებაზე უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მოწინავე ინტელიგენციის მიერ აღებული კურსის გამარჯვებისათვის.

ილიას მიერ წარმოთქმული სიტყვის თაობაზე. ბაბაღე თუმანიშვილი კერძო წერილში უფროს ძმას გიორგის ატყობინებდა: «На всех предыдущих заседаниях спорили о том, какой банк

⁴ გაზ. „დროება“, 1872, № 47.

должны принять, краткосрочный или долгосрочный и, наконец, в один вечер, выступил Илья Чавчавадзе... Сначала, говорят, раскритиковал старую комиссию и устав, вышедший в мае месяце, потом доказывал, что все мы должны думать об общем благе и потому нужно учредить такой банк, который бы приносил пользу всем. Как поэт, так и убедил всех. Выбрали новую комиссию и его главным. И таким образом покончили все споры»⁵.

საგუბერნიო კრებაზე, ხანგრძლივი კამათის შემდეგ იმის თაობაზე თუ როგორი ბანკი უნდა იქნეს დაარსებული — საადგილმამულო გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხით თუ მოკლევადიანი სასესხო ამხანაგობა, თავად-აზნაურთა კრებამ 27 ნოემბერს ორი მესამედის ხმის უმეტესობით გადაწყვიტა დაეარსებინა თბილისის გუბერნიის საადგილმამულო ბანკი, როგორც გათვალისწინებული იყო 1867 წელს თავადაზნაურთა კრების 6 მაისის დადგენილებით.⁶

გუბერნიის აზნაურთა საგანგებო კრების 29 ნოემბრის სხდომაზე აირჩიეს ახალი სარედაქციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: კომიტეტის საპატიო პრეზიდენტი გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანი, კომიტეტის თავმჯდომარე გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი რევაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილი, კომიტეტის წევრები: გიორგი რომანის ძე ერისთავი, კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილი, იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანი, გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგი, ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე, დავით ქაიხოსროს ძე ყიფიანი, რევაზ შალვას ძე ერისთავი, იოსებ ივანეს ძე ციციშვილი, იოსებ ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილი, ივანე ევსტაფის ძე ერისთავი, მიხეილ ქაიხოსროს ძე ამირაჯიბი, იასე ნოშრევანის ძე ჭავჭავაძე, ირაკლი კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი, ვახტანგ დიმიტრის ძე თულაშვილი, ვაბრიელ იესეს ძე სულხანიშვილი, კონსტანტინე ბებუთოვი, ლუარსაბ მაღალაშვილი, ზაქრო ევსევის ძე ანდრონიკაშვილი, მიხეილ გიორგის ძე ვაჩნაძე, გიორგი ზურაბის ძე ანდრონიკაშვილი, ალექსანდრე დიმიტრის ძე აბხაზი, რევაზ ვაჩნაძე და აგრეთვე მაზრების თავადაზნაურობის წინამძღოლები.⁷

ახალი წესდების პროექტის შემუშავებაში წამყვან როლს ასრულებდა ილია ჭავჭავაძე, ბროკჰაუზ-ეფრონის რუსული ენციკლოპე-

⁵ ე. ა. ბ. რ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი, საარქივო მასალები, „მეცნიერება“, თბ., 1965. გვ. 97.

⁶ საქ. სსრ ცსიპ, ფონ. 214, აღწ. 1, საქ. 3373, ფურ. 190.

⁷ ი. ქ. ვ. ე. ფურ. 199.

დიური ლექსიკონისათვის შედგენილ ავტობიოგრაფიაში იგი წერს: „ბევრი ყოყმანისა და მერყეობის შემდეგ, თუ რაკვარი საკრედიტო დაწესებულება დაეაარსოთ, თავად-აზნაურობამ გადასწყვიტა, ჩემის რჩევისამებრ, დაარსება საადგილმამულო ბანკისა და აირჩია კომისია, რომლის ერთ-ერთ წევრად მეც დამნიშნა წესდების შემდგენად.“⁸

ილიას წამყვანი როლი წესდების პროექტის შედგენაში თავდაზნაურთა საკრებულოს საქმეებში არსებული საბუთებიდანაც ნათლად ჩანს.

თავდაზნაურობის წინამძღოლი რევაზ ანდრონიკაშვილი ორჯერ მიმართავს თხოვნით თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეს გაუგრძელოს შევებულება ილია ჭავჭავაძეს იმასთან დაკავშირებით, რომ აზნაურთა საგუბერნიო საგანგებო კრება ბანკის ახალი წესდების განსახილველად ჯერ კიდევ გრძელდება.⁹ სასამართლოს თავმჯდომარე ორჯერვე აკმაყოფილებს წინამძღოლის თხოვნას.¹⁰

იგივე ბაბაღე თუმანიშვილი პროექტის დამტკიცების თაობაზე თავის ძმას გიორგის სწერდა: „А говорят, эти заседания были очень интересны. Мы попали только на самое последнее, когда все уже было решено: читали новый устав, потом открыли болотировку, но уже заранее можно было сказать, что большинство примет хорошо потому что там были все, большей частью приверженцы Ильи Чавчавадзе, который и написал новый устав“¹¹.

1872 წ. 5 დეკემბერს აზნაურთა საგანგებო კრებამ მოისმინა კომიტეტის მიერ შემუშავებული ბანკის წესდების ახალი პროექტი და ერთხმად მოიწონა იგი. იმავე წლის 7 დეკემბერს კრებამ აირჩია ზედამხედველი კომიტეტი, რომელსაც დაევალა ბანკის საქმეების ხელმძღვანელობა.¹² გუბერნიის აზნაურობის წინამძღოლი რ. ანდრონიკაშვილი, რომელიც ბანკის ზედამხედველი კომიტეტის თავმჯდომარედ იქნა არჩეული წესდების პროექტს, კრების

⁸ ილია ჭავჭავაძე, თბ., ტ. IX, თბ., 1957, გვ. 310.

⁹ საქ. სსრ ცსია, ფონ. 214, აღწ. 1, საქ. 3373, ფურ. 187.

¹⁰ იქვე, ფურ. 196.

¹¹ ე. აბრამიშვილი, საარქივო მასალები „მეცნიერება“, თბ., 1965, გვ. 97.

¹² საქ. სსრ ცსია, ფონ. 214, აღწ. 1, საქ. 3373, ფურ. 37.

ოქმებთან ერთად უგზავნის სამოქალაქო გუბერნატორს და თხოვს, წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად ფინანსთა მინისტრს.¹³

ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით შემუშავებული ბანკის წესდების პროექტი შემდეგ მთავარ საფუძვლებს ემყარებოდა: ბანკი მოქმედებს თბილისის გუბერნიის ფარგლებში და სასესხო ოპერაციებს აწარმოებს როგორც ნაღდი ფულით, ისე საკრედიტო ნიშნებით, ე. ი. გირაუნობის ფურცლებით. სესხი გაიცემა როგორც გრძელვადიანი, ისე მოკლევადიანი. გრძელვადიანი 43 წლით და 6 თვით სოფლის მამულისათვის და 18 წლით და 7 თვით ქალაქის უძრავი ქონებისათვის. მოკლევადიანი სესხი გაიცემა ერთი წლიდან სამ წლამდე. უსათუოდ ნაღდი ფულით და უძრავი ქონების გირაუნობით. ბანკის ძირითადი კაპიტალი განისაზღვრება 500 ათასი მანეთით და შედგება ოთხმოცი ათასი მანეთისაგან, რომელიც შეტანილია თავადაზნაურობისაგან, და ას სამოცი ათასი მანეთისაგან, რომელიც იმპერატორის ნაბოძებია თბილისის თავადაზნაურობის საადგილმამულო ბანკის დასაარსებლად. და იმ ფულისაგან, რომლის შეტანაც დაევალა თავადაზნაურობას გუბერნიის თავადაზნაურობის 1872 წლის 27 ნოემბრის საგანგებო კრების დადგენილებით.¹⁴

წლიური მოგებისაგან, რომელიც ყველა ხარჯისა და ზარალის შემდეგ დარჩება, 45 პროცენტი უნდა გადაიდვას იმ თავნის შესადგენად, რომლითაც უნდა დაკმაყოფილდეს ზოგადსასარგებლო საქმირობები თბილისის გუბერნიის მიწის მეპატრონე და მიწის დამმუშავებელი მოსახლეობისა. მაგ. სტიპენდიების დანიშვნა, გზების გაკეთება, სარწყავი რუების გაყვანა და სხვ.

ბანკის საქმეებს განაგებს თავადაზნაურთა საგუბერნიო კრება, ზედამხედველი კომიტეტი და ბანკის გამგეობა, რომელიც შედგება სამი წევრისაგან: თავმჯდომარისა და ორი დირექტორისაგან, რომელთაც საზოგადო კრება ირჩევს.

ბანკის წესდების შემმუშავებელ სარედაქციო კომიტეტს, რომელიც არჩეულ იქნა თავადაზნაურთა საგუბერნიო საგანგებო კრების მიერ 1872 წლის 29 ნოემბერს, კრების მიერ წესდების დამტკიცების შემდეგ დაეკისრა ზედამხედველი კომიტეტის ფუნქციები, რომელსაც უნდა ეზრუნა ბანკის ორგანიზაციის დასაბოლოებლად.

¹³ იქვე, ფურ. 239.

¹⁴ იქვე, ფურ. 194.

ზემოთ აღნიშნულმა ზედამხედველმა კომიტეტმა თავის შემადგენლობიდან ბანკის მმართველად აირჩია ილია ჭავჭავაძე, დირექტორებად დიმიტრი ყაზბეგი და დავით ყიფიანი.

1873 წ. გაზ. „დროების“ პირველი ნომერი აცხობინებს საზოგადოებას, რომ ბანკის ზედამხედველმა კომიტეტმა ბანკის მმართველად ი. ჭავჭავაძე აირჩია, რომელიც ამის გამო სამსახურს ტოვებდა.

„ჩვენ, სრულს თანაგრძნობას განაცხადებთ ამ ამორჩევაზე. პირუთვნელად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ილია ჭავჭავაძისოდენი თითქმის არავის არ უზრომია ამ უკანასკნელ დროს თბილისის სააზნაურო ბანკისათვის და იმდენი მონაწილეობა ამ ბანკის წესდებულებებს შედგენისათვის არავის არ მიუღია“.¹⁵

ილია ჭავჭავაძემ დიდი შრომა გასწია არამართო წესდების შემუშავებაზე, რომელიც კიდევაც მალეღიხნა თავადაზნაურთა სავანეებო კრებას, მას კიდევ უფრო მეტი შრომის დახარჯვა დასჭირდა პროექტის საბოლოო დამტკიცებისათვის. რაც თითქმის წელიწადნახევარს გაგრძელდა (1872 წ. 5 დეკემბერი — 1874 წ. 28 მაისი).

დადგენილის წესის მიხედვით, სანამ წესდების პროექტი ფინანსთა სამინისტროში გაიგზავნებოდა, იგი უნდა განეხილა მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოსთან სპეციალურად ამ მიზნით შექმნილ საბანკო კომისიას და მხოლოდ მისი მოწონების შემთხვევაში გაიგზავნებოდა დასამტკიცებლად ზემდგომ ორგანოებში. მაგრამ ეს პროცედურა ძლიერ გაჭიანურდა, წესდების პროექტი მხოლოდ 1873 წლის 14 მარტს გაიგზავნა ფინანსთა სამინისტროში. ამასთან დაკავშირებით ილია დუშეთიდან (იგი მაშინ მომრიგებელი მოსამართლის ფოვალეობას ასრულებდა) სწერს მეუღლეს: „ჩვენი ბანკის საქმისა ვერა შევიტყე რა გარდა იმისა, რომ გლავნი უპრაველნიეს ჩვენი პროექტი დაუბრუნებიაო. რალაცას ცუდლუტობენ დიდნი და პატარანი და მე ვერ გამიგია, როდის უნდა დაბოლოდეს ჩვენი საქმე“.¹⁶ ცოტა მოგვიანებით ილია მეუღლეს სწერს: „მიხარებია შენთვის: ჩვენი ბანკის პროექტი აქ მიიღეს და 14 მარტს პეტერბურგში გაგზავნეს დასამტკიცებლად. ეხლა კი, მგონია, იმედია, რომ ბანკის საქმეს ბოლო რიგიანი მოუხდეს. დღეს მე „ატსტავკას“ ვაძლევ და იმედი მაქვს, რომ აპრილში განახოთ“.¹⁷

ილიას „ატსტავკის“ საქმე კიანურდებოდა. იგი იძულებული იყო დუშეთში დარჩენილიყო და მომრიგებელი მოსამართლის მოვა-

¹⁵ გაზ. „დროება“, 1873, № 1.

¹⁶ ილია ჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებული, ტ. X, თბ., 1957, გვ. 275.

¹⁷ იქვე, გვ. 276.

ლებოდა შეესრულებინა. „რა წამსაც „ატსტავკა“ მამივა, — სწერდა ილია მეულეს, — 1873 წ. 17 მაისს — და საქმეს ჩავაბარებ, მაშინვე წამოვალ... ჩვენი ბანკის საქმისა აი რა შევიტყვე: ჩვენი პროექტი „გოსუდარსტვენნი სოვეტში“ გადაუციათ ფინანსების სამინისტროსა. ეგ ცუდი ნიშანია. დამტკიცდება თუ არა, ღმერთმან იცის. დიმიტრი ყაზბეგი ზის ქალაქში, მე შელის და სიცხით იწვეება ჩემს მოლოდინში. მე და ეგ ერთად მივედივართ ბაქოზედ და მაინდამ ერთად წავალთ რუსეთს. რუსეთში ორი-სამი თვე დავრჩებით, მეტი არა“.¹⁸ ილია ღუშეთში მუშაობდა 1864 — 1873 წლებში, ჯერ მომრიგებელ მუშამავლად და შემდეგ მომრიგებელ მოსამართლედ. მან თავისი პოლვაწივობით დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა ადგილობრივ მოსახლეობაში. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს 24 მაისს ილიას პატივისაცემად გამართულ გამოსათხოვარ სადილზე პ. იოსელიანის მიერ წარმოთქმული სიტყვა, რომელიც ქვემოთ მცირედი შემოკლებით მოგვყავს¹⁹.

¹⁸ იქვე, გვ. 286.

¹⁹ საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ილიას პირადი არქივი, № 458.

В конце служебных дней Ваших, здесь, между нами и с нами, я от себя и от имени общества собравшихся, знакомых с Вами и сослуживцев Ваших, позволю сказать Вам несколько слов. На попрание служебном в продолжении 9-ти лет, по званию мирового посредника и мирового судьи, Вы разыграли две роли: роль служебную, по требованию условий и обязанностей служебных или, другими словами, долга служебного и роль частного человека, члена общества. Роль служебная, думаю, легка, удобна, исполнима. Она вставлена в рамы форм, законами предписываемых. Сцена ее есть бюрократическая, открытая для ума и взоров. Эту роль, разыграли Вы с честью и достоинством. Но роль другая, частного человека, труднее. Она требует ума тонкого, приспособления к идеям времени и народа его окружающего, с его нравами, обычаями, предрассудками и многообразно проявляющимся страстями. Вы мудро, премудро, разыграли и ту роль.

В качестве частного человека вы были со всеми общительным. Общительность эту, как особенное дарование небес, как плод лучшего воспитания, как наследие родов высоких, вы подняли до высоты поэтической. Ликовавшая с нами — ваша душа, проникла в умы и сердца окружающих Вас лиц. — Тронутые Вашими звуками, как струнами арфы, умы и сердца, создали и образовали ту симпатию к Вам, которая по натуре своей именуется не искусственным, но, — позвольте мне выражение, — естественным инстинктом понимания сердечных ощущений.

Мы долго наслаждались этой симпатией. Под сению ее неземного,

ილიას ვარაუდი, რომ ბანკის საქმე მალე დაბოლოვდებოდა, უსაფუძვლო გამოდგა, წესდების საბოლოოდ დამტკიცებას კიდევ ერთ წელზე მეტი დრო დასჭირდა. ილია ქვეყნადაც წესდების პროექტის დამტკიცების დასაჩქარებლად და საბანკო საქმის შესწავლის მიზნით რუსეთში მიემგზავრება.

но как бессмертно ставимого шатра, изникали для нас эти удовольствия во времени. Вы навевали на нас эти вдохновительные удовольствия. Вам обязаны они своим началом.

Ничто в мире конечном, не бесконечно. Муза замолкает, когда нет музыки. — Будет ли длиться такое положение наше и после Вас? Ответит на этот вопрос время. События бывают всегда и постоянно в связи с временем. Бог времен, предоставил себе знание будущего. Так и по словам Спасителя, сказавшего ученикам своим, героям ума небес на земле: не вам знать времена и годы, которых отец небесный оставил во власти своей.

Есть период времени в жизни человеческой, когда или удовольствия не отвечают летам, или лета не сочувствуют удовольствиям. В этом периоде я. Я не пророк, но пророчествую во мне ум. Он предвидит или предрекает; и потому произношу смело роковое: «Нет, не будет того, что было при Вас».

Думаю, что отныне и слово мое будет бесполезно. Оно не найдёт той почвы, которая осваивает семена подающих на нее мыслей. Даже выражения и звуки этого слова, будут или могут быть лишними, несвоевременными...

Сочувствие к Вам было пламенное. Вас любили все, потому что вы возбудили в них любовь к себе. Любовь не возникает из сердец, не потрясаемых извне, внешнею силою, как нет звука без удара в металл, дающий эхо, отголосок от потрясения воздуха.

Вы уходите от нас. Муза Ваша, как гений Сократа, не оставляет вас. Или отыщется другая муза, вдохновительница удовольствия, чтоб не горевать нам о музе Вашей. Не будет ли она той музой, которую певец любви Тибулл, с горестною, уныло, печально, удалял от себя, как бесплодную для влюбленных. «Дальше, музы, от меня, если влюбленному ничем не поможете».

Прошаясь с Вами, с Вашею музой, мы желаем (да желание это будет и желанием вашего сердца), чтоб след Ваш, след Музы Вашей, остающиеся на горизонте и почве душевской, были указателями будущему поколению, светлыми, плодовитыми в деле общения, — дыхания отрады в жизни. Желаем также, чтоб они были образцовыми и для преемников Ваших.

ილია პეტერბურგში ჩასვლისთანავე დაუღალავად ზრუნავს ბანკის საქმეების მოსაგვარებლად. იგი საადგილმამულო ბანკს საქართველოს ეკონომიკური აღორძინებისა და პოლიტიკური თვითმყოფადობის საქმეს უკავშირებდა. ამიტომ ზრუნავდა მისი მოქმედების დასაჩქარებლად. „ოღონდ ის საზოგადო საქმე, — სწერს ილია მეუღლეს. — რომელშიაც მე ბედმა გამრია, კეთილად წარმართოს და ჩვენი პირადი მწუხარება იმის ჭირის სანაცვლოდ იყოს. რამოდენადაც კაცს ვრცელის გრძნობის დატევა შეუძლიან გულში, იმოდენად იგი დიდია. მე რომ მართო ყვარელი მიყვარდეს და შენ მთელი კახეთი, შენ ჩემზე დიდი იქნები და თუ იმისთანაც იქნება, რომ მთელი საქართველო უყვარდეს. ის ორივეზედ უდიდესი იქნება.

„აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართველის ბედმა

და დაე გეძრახონ — ჩვენ მის ძებნით დავლიოთ დღენი“.²⁰

ოჯახსა და სამშობლოს მოშორებული ილია დადის მეფის მთავრობის ერთი ბიუროკრატიული დაწესებულებიდან მეორეში, ყოველ ღონეს ხმარობს მინდობილი საქმის დასაჩქარებლად. ილია არა მარტო ბანკის წესდების დამტკიცებისათვის ზრუნავდა, იგი მოწადინებული იყო პრაქტიკულად შეესწავლა ბანკის საქმე, თუმცა მას აქაც დიდი წინააღმდეგობების გადალახვა მოუხდა. „მე,—სწერს ილია მეუღლეს, — ოცდაექვს, პეტერბურგიდამ მოვედი. ყოველ ცისმარე დღე ჩვენს ბანკის საქმეზედ დავრბივარ და ვერა გავხდით რა. არც ერთ ბანკში არ გვიშვებენ, რომ შევისწავლოთ რამე. მე ამისთანა გულშეუტკივარი ხალხი არ მინახავს. ამის გამო ბევრი დრო გვეკარგება და იქნება დიდი ხნით დავბრკოლდე აქა. თუ არ შევისწავლეთ რა და ისე ხელცარიელები მოვედით ქალაქს, ხომ იცი რამდენს ცილს დაგვწამებენ. აი ბატონოო, იტყვიან, ჩაიჯიბეს ოთხმოცი თუმანი, გაისეირნესო და ხელცარიელები მოვიდნენო. მე არ მინდა, რომ ჩემზედ ესენი ჰსთქვან: რაც უნდა მოხდეს, თუნდა ერთი წელიწადი დარჩომა მომინდეს, დავრჩები აქა, რომ შევისწავლო რამე და როგორმე ბანკების კარი გავაღო“.²¹ „ძლივს გავირიგე ბანკში შესვლა. ორშაბათიდან დავიწყებ ბანკში სიარულსა, იქით კვირას მოგწერ, რამდენი ხანი მომინდება ბანკის წესის შესწავლისათვის... მე ეხლა ძლივს შევდგი ფეხი ბანკში და რაც საჭიროა ვსწავლობ, დილიდამ ათ საათიდან ოთხ საათამდე ბანკში ვარ ხოლმე,

²⁰ ი. ჯ ა ე ჯ ა ვ ა ძ ე, თხზ., ტ. X, თბ., 1957, გვ. 290.

²¹ ი ქ ე ე, გვ. 293—294.

ორი ნაწილის საქმეს დაწყოთა შევისწავლე. ორი კიდევ დამოჩა. იმ კვირას სულ ღვთით გავთავებე“.²²

ილიას დიდი დაბრკოლებების გადალახვა უხდება წესდების დამტკიცებისათვის. „ეს მამაძაღლები აბრკოლებენ საქმეს სხვადასხვა გარეშე მიზეზით გამო. თვითონ მინისტრი უარზედ არ არის, იმისი დირექტორია. რაც არის, ისა აბრკოლებს ჩვენს საქმესა. ქრთამი უნდა. მაგრამ ვინ რას მისცემს, ისეც კეტრები ვართ. ესეა ჩვენი საქმე, ყოველდღე თითქმის დავდივარ სამინისტროში და არ ვასვენებ, ახლაც იქ მივდივარ, იქნება ამ დღეებში თვითონ მინისტრის ნახვაც მომიხდეს. ზოგი მირჩევს ნახეო და უთხარიო, რომ დირექტორი საქმეს აგვიანებსო, ზოგი არ მირჩევს, მეუბნებიან, დირექტორი უფრო საქმეს წაახდენსო. არ ვიცი რომელს დაუჯერო. ორივე თითქმის ერთნაირად მართალნი არიან. მაინც და მაინც დღეს საქმეს და მის მდგომარეობას შევიტყობ, ავწონ დავწონი და მერე ისე მოვიქცევი“.²³

ილიამ. რომელაც ბანკის საქმეების გამო იმყოფებოდა რუსეთში. 1873 წლის გაზაფხულიდან 1874 წლის გაზაფხულამდე წამოიწყო მეტად მნიშვნელოვანი სალიტერატურო საქმე, საფუძველი ჩაუყარა შექსპირის ქართულად თარგმნას. „ილიამ აქ იპოვა თავისუფალი დრო შექსპირზე სამუშაოდ. ილია პეტერბურგში გაეცნო ახალგაზრდა სტუდენტს ივანე მაჩაბელს. რომელიც ამ დროს პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა და ინგლისური ბრწყინვალედ იცოდა. ილია შეუდგა შექსპირის „მეფე ლირის“ თარგმნას ივანე მაჩაბლის დახმარებითა და თანამშრომლობით. ილია ამავე დროს შესდგომია ინგლისური ენის შესწავლას შექსპირის დედანში გასაცნობად. ილია სწერს თავის მეუღლეს ოლას პეტერბურგიდან 1873 წელს 21 ნოემბრის თარიღით „...ჩემო კარგო!.. აქაური ამბავი რა მოგწერო: მე ინგლისური ენის სწავლას შევუდექი და შექსპირის ტრაგედიას კოროლ ლირს ვსთარგმნი სხვასთან ერთად. აქედან რომ მოვალ, ინგლისური მეცოდინება იმდენად, რომ სუბუქის თხზულებების წაკითხვა შემეძლოს. სხვა არაფერი გასართობი არა მაქვს რა“.. ლირის თარგმანი 1873 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში ჯკვე ძირითადად დამთავრებული ყოფილა. ილია კმაყოფილი იყო გაწეული მუშაობით, წერილში 1873 წლის 19 დეკემბრის თარიღით ილია შემდეგსა სწერს თავის მეუღლეს ოლას: „ვერ წარმოიდგენ ჩემს

²² ი ქ ვ ე, გვ. 300.

²³ ი ქ ვ ე, გვ. 322.

უბედურს და უგემურს გარემოებას. ვგდივარ დილიდან საღამომდე შინ და თუ გავალ, ისიც სასიერნოდ, იმ დღეს გიორგი შერვაშიძესთან ვიყავი, აი მთავრის შვილი რომ არის. ამას წინათ თითონ მოვიდა და მთხოვა, — შექსპირის ტრაგედია, კოროლი ლირი, რომელიც ქართულად ინგლისურიდამ ვთარგმნეთ, წაგვიკითხეთ. წავედი წასაკითხავად, კარგა ბლომა ხალხი იყო და ძალიან მოიწონეს... ვერ წარმოიდგენ, რა რიგად კარგად გადმოვიდა ქართულს ენაზედ. არც ერთი რუსული თარგმანი ქართულს არ შეედრება... შენ ხომ იცი, ჩემი ნაჭაბუნის ქება მე თითონ არ მიყვარს, მაგრამ ასეთი თარგმანია, რომ არ ვაქო, ცოდვა იქნება. აქაური ყმაწვილ კაცობა მაგ თარგმნისათვის გაგიყებულება და ალტაცებაში მოსული“.

ილია, რომელიც საერთოდ დიდად თავდაპირილი იყო თავისი ლიტერატურული საქმიანობის შეფასებაში, ასეთი ალტაცებით ლაპარაკობს ლირის თარგმანზე, ლაპარაკობს ისე, როგორც მას არასოდეს არ ულაპარაკნია არც ერთი თავისი ნაწარმოების შესახებ. აქედან ჩანს თუ როგორის განსაკუთრებულის გატაცებით უმუშავებდა ილიას შექსპირის თარგმანზე, ილიას ამისათვის გაუმეტნია თავისი დიდის ტალანტის ძალა.

„მეფე ლირის“ თარგმანი ილიას და ივანე მაჩაბელს დაუმთავრებიათ 1874 წლის 1 იანვარს. წერილში თავის მეუღლე ოლღასადმი ილია წერს:

„აქამდინ ჩვენს თარგმანს ლირის (პირველ ნაწილს) წაიკითხავდი. მომწერე, როგორ მოგეწონა... სწორედ ახალი წლის პირველ დღეს სრულიად გავათავეთ თარგმანი“.

ასეთია ისტორია „მეფე ლირის“ თარგმანისა, რომლითაც ილიამ, ივანე მაჩაბელთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა შექსპირის გადმოქართულებას, და რაც შემდეგ ასე ბრწყინვალედ განაგრძო ივანე მაჩაბელმა“. ²⁴

ბანკის წესდების დამტკიცება ძლიერ დიდხანს გაჭიანურდა, რის გამოც ილია ძლიერ წუხს, რადგან მისი დამტკიცების გარეშე მას საქართველოში წამოსვლა არ შეუძლია.

„ჩვენი ბანკის საქმე ხათაბალა გახდა. ის უფალი, რომლის ხელშიაც არის ეგ საქმე, საძაგელი, უგულო და უადამიანო კაცია. თუმცა არ შეუძლიან იმდენი, რომ საქმე საბოლოოდ გაათუქოს, მაგრამ აგვიანებს კი და პირდაპირ ყველაფრით ვვაჩვენებს, რომ მაგისთანა საქმე უქრთამოდ ვერ გარიგდებაო. აბა ქრთამის მიცემა

²⁴ პ ა ვ ლ ე ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა , ილია ქავჭავაძე, თბ., 1967, გვ. 169 — 170.

როგორ შეუძლიან ჩვენს კუტრს ბანკსა, ორშაბათს ვაპირობ იმას-
თან წასვლას და ჩხუბსა. აქამდის ვეფერებოდი, ვებხეწებოდი,
ხელში ვუკვდებოდი მეგონა, რომ ამით იქნება დავიყოლიო მეთქი.
მაგრამ ამან ყოველმა ვერ გასჭრა. ახლა ვაპირობ ჩხუბსა და დიდს
ჩხუბსაცა. ვნახოთ რა გამოვა. ამას წინათ ვიფიქრე, მოდი წავიდე
შინ მეთქი, რისთვის ვიტანჯები და ვწვალობ მეთქი? მაგრამ შენმა
წიგნებმა კიდევ ჯული მომცეს და ვსთქვი: ეს ხომ ჩემგან სილაჩრე
იქნება, რომ გაუთავებლად საქმე დაგრჩეს; ეგ ბრძოლის ველიდამ
გაქცევა იქნება და სირცხვილი მეთქი. ვინ რას მეტყვის? ხომ მიწას-
თან გამასწორებენ მეთქი“.²⁵

1874 წ. 18 თებერვალს ილია ატყობინებს მეუღლეს, რომ „ბან-
კის საქმე გაჩაღდა და გაჩარხდა“, და დიდად იმედოვნებს რომ წეს-
დებას დაამტკიცებენო. „თვითონ მინისტრი ვნახე და დალაგებით
მოველაპარაკე, ძალიან კარგათ მიმილო და დიდის ნუგეშით და იმე-
დით გამომისტუმრა. ამ კვირით უსათუოდ გადავა ჩვენი უსტავი
„გოსუდარსტვენი სოვეტში მინისტრის თხოვნით რომ დაამ-
ტკიცონ“.²⁶ „ჩვენი უსტავის საქმე სწორედ რკინის გზით დადის,
ძალიან აჩქარდა. წარსულს ოთხშაბათს „დოკლადი“ იყო მინისტ-
თან. მინისტრმა კარგი აზრი დასდვა, ხოლო ზოგიერთი სტატი-
ები შესცვალა, მაგრამ ერთის ცვლილების მეტი სხვა ცვლილებანი
მაგოდენი არაფერია. ვენახების თაობაზედ დიდი ბაასი გვქონდა
სამინისტროში, არ უნდოდათ, რომ ვენახები დიდი ხნით გირაოდ მი-
ეღოთ, რადგანაცო ვენახი შეიძლება მალე წახდესო, ამით ფასი
მოაკლდებაო და ბანკი დიდს ზარალში შევაო, და უნდოდათ სამი
წლის ვადა დაენიშნათ ვენახებისათვის, მე ვცდილობდი, რომ თვრა-
მეტი წელიწადი და შვიდი თვე დაედვათ ვენახების დასაგირავებ-
ლად. ბოლოს იქამდე მივედით, რომ რვა წელიწადი მიიღო მი-
ნისტრმა.“²⁷

„ჩვენი ბანკის საქმე, — სწერს ილია მეუღლეს, — ძალიან კარ-
გად მიდის, ეჭვი არ არის რომ დაამტკიცებენ. მაისამდე გათავდე-
ბა ეს საქმე სრულიად და ღვთით გამარჯვებითაც, მაგრამ მე მის
გათავებას აღარ მოვუცდი, რადგანაც მე ეხლა საჭირო აღარა ვარ,
უჩემოდაც გარიგდება. მე წამოვალ პეტერბურგიდამ ან დიდ შაბათს,
ან არა და ორს აპრილს უსათუოდ გადაწყვეტილად“.²⁸

²⁵ ი. ქ ა ე კ ა ვ ა ძ ე, თხზ., ტ. X, თბ., 1957, გვ. 312.

²⁶ ი ქ ე ე, გვ. 343.

²⁷ ი ქ ე ე, გვ. 346.

²⁸ ი ქ ე ე, გვ. 350.

როგორც იქნა დამთავრდა ილიას რუდუნება ბანკის წესდების საქმეებზე. დამთავრდა ილიას ხანგრძლივი მივლინება და იგი გამარჯვებული მოემგზავრება სამშობლოში.

ილიას შრომას, რომელმაც თითქმის ერთი წელი მოანდომა ბანკის წესდების პროექტის დამტკიცების საქმეს, უქმად არ ჩაუვლია. მისი რუსეთიდან გამომგზავრების ცოტა ხნის შემდეგ, ისე როგორც იგი ვარაუდობდა. 1874 წლის 28 მაისს მთავრობამ დაამტკიცა თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის წესდება. ხოლო ივნისის თვეში ამის შესახებ გამოქვეყნდა მთავრობის უწყებაში «Собрание узаконений и распоряжений правительства», რის შემდეგაც წესდება ძალაში შევიდა.

ფინანსთა მინისტრი, რეიტერნი, ატყობინებს რა ზემოთ აღნიშნულის შესახებ მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსს, თხოვს მას. რომ წესდების საფუძველზე თავადაზნაურთა საერთო კრებამ აირჩიოს ბანკის მმართველობა, რომელსაც გადაეცემა მთავრობის მიერ ნაბოძები 160 ათასი მანეთი თბილისის ბანკის დასაარსებლად.²⁹

1874 წლის 20 ივნისს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი მაზრების წინამძღოლებს ატყობინებდა, რომ უახლოეს დროში, განზრახულია თბილისში მოწვეულ იქნეს გუბერნიის თავადაზნაურთა საერთო კრება. რომელშიც მონაწილეობის უფლება ექნებათ იმ თავადაზნაურებს, რომლებმაც შემოიტანეს ან შემოიტანენ კრების გახსნამდე, მათ ხვედრ ფულს ბანკის ძირითადი კაპიტალის შესადგენად.³⁰

1 სექტემბერს გაიხსნა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საერთო კრება. გუბერნიის წინამძღოლმა კრებას მიულოცა ბანკის წესდების დამტკიცება და გააცნო ამის თაობაზე ფინანსთა მინისტრის მოწერილობა. წინად არჩეული ზედამხედველი კომიტეტის საქმეთა მწარმოებელმა გ. ყაზბეგმა კრებას გააცნო კომიტეტის მიერ ჩატარებული მუშაობა და განაცხადა, რომ ზედამხედველი კომიტეტის რწმუნება დამთავრებულია.

კრებამ აირჩია ზედამხედველი კომიტეტის ახალი შემადგენლობა: კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილი, იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანი, დიმიტრი დავითის ძე ჭორჭაძე, იესე ადამის ძე ავთანდილაშვილი, იესე ნოშრევანის ძე ჰავჭავაძე, ივანე

²⁹ საქ. სსრ ცსია, ფონ. 214, აღწ. 1, საქ. 3373, ფურ. 295.

³⁰ იქვე, ფურ. 441.

ევსტაფის ძე ერისთავი, გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგი, დავით სუმბათაშვილი, ზაქრო გიორგის ძე ერისთავი, ნაპოლეონ ივანეს ძე ამატუნი.³¹ შემდეგ ზედამხედველი კომიტეტის წევრმა გ. ყაზბეგმა კრებას გააცნო ბანკის მმართველობის შტატის სია, რა თანამდებობები უნდა იქნეს ბანკში, რომელი თანამდებობისათვის რა ვასამრჩელო უნდა დაინიშნოს და სხვა. კომიტეტის წინადადებით ბანკის მმართველობის ყოველწლიური ხარჯი განისაზღვრა 18 ათასი მანეთით.

„ილია ჭავჭავაძემ გამოაცხადა, რომ 18 ათასი მანეთი 15 ათასზედ უნდა დაეყვანოთო, რადგანაც პირველ წლებში ბანკისათვის გასაპირი იქნებაო. ჭავჭავაძე სთხოვდა ამ ფულის გამოკლებას ბანკის გამგებელის და სხვა ბანკში მოხელე პირების ჭამაგირისაგან. მაგალითებრ: ეხლა ბანკის გამგებელს აქვს დანიშნული, — ამბობდა ი. ჭავჭავაძე, — სამასი თუმანი და დირექტორებს ორასი. მაშინ როდესაც შესაძლებელია, რომ ბანკის გამგებელი დავაჯეროთ ორას ორმოც თუმანზედ. სრულიად საკმარისია, რომ მას ორმოცით მეტი დაუნიშნოთ დირექტორზედ, რადგანაც მისი შრომა ბევრით არ განსხვავდება დირექტორების შრომისაგანო. კრებამ კმაყოფილებით მიიღო ი. ჭავჭავაძის წინადადება და ბანკის გასაავალი, თვრამეტი ათასი მანეთისაგან ჩამოიყვანეს თხუთმეტზედ“.³²

ამავე კრებაზე მოხდა ბანკის მმართველის და დირექტორების არჩევა. გუბერნიის მარშალმა რ. ანდრონიკაშვილმა შემდეგი სიტყვებით მიმართა კრებას: „თქვენ უნდა აირჩიოთ ბანკის გამგებელი, ეს კენჭის ყრა ფრიად სამნიშნელოა და საყურებო არის თქვენთვის, რადგანაც არჩეული პირის ღირსებაზედ, მის ნიჭზედ და პატიოსნებაზედ იქნება დამოკიდებული ჩვენი ბანკის მომავალი“. კრებამ დაასახელა ი. ჭავჭავაძე, რომელიც კენჭის ყრის შედეგად 138 ხმით 12 წინააღმდეგ აირჩიეს ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ. დირექტორებად ალექსანდრე ჩოლოყაშვილი და ალექსანდრე ერისთავი. კანდიდატებად: დავით ავალიშვილი და ლუარსაბ მაღალაშვილი.³³

თბილისის საადგილმამულო ბანკის მოქმედების დაწყებამდე ი. ჭავჭავაძეს, როგორც ამ ბანკის მმართველს. 1874 წლის დამლევს კიდევ მოუხდა რუსეთში გამგზავრება. ახლა უკვე იმისათვის, რომ დაეჩქარებინა ბანკის გირაოს ფურცლების დამზადება და მოლაპარაკებოდა ბანკირებს ამ ფურცლების გასაღების თაობაზე.

³¹ საქ. სსრ ცსია, ფონ. 214, აღწ. 1, საქ. 3373, ფურ. 447.

³² გაზ. „ღრობა“, 1874, № 439.

³³ სსრ ცსია, ფონ. 214, აღწ. 1, საქ. 3373, ფურ. 449.

22 დეკემბერს ილია დეპეშას უგზავნის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლს: «Соглашение состоялось, в понедельник оформят, затем выеду. Можно созвать собрание 28 января».³⁴

ცოტა უფრო მოგვიანებით ივანე „დროება“ იუწყებოდა: „ჩვენ შევიტყუეთ, რომ თბილისის აზნაურობის საადგილმამულო ბანკის გამგებელს, რომელიც ამჟამად ქალაქშია, ჩვენი ბანკის გირაოს ფურცლების გასაღებაზე ერთს პეტერბურლის საიმედო ბანკთან პირობა შეუკრავს: ამ ბანკს სახელად ჰქვია „რუსეთის ბანკი გარეშე ქვეყნებთან ვაჭრობისათვის“.³⁵

1875 წლის 28 იანვარს შედგა თბილისის გუბერნიის საადგილმამულო ბანკის დამფუძნებელთა კრება.³⁶ როგორც ივანე „დროების“ კორესპონდენტი აუწყებდა საზოგადოებას, თავდაზნაურობის წინამძღოლის რევზ ანდრონიკაშვილის წინადადებით მთელმა კრებამ ერთხმად განუცხადა მადლობა დიმიტრი ყიფიანს, რომელმაც ამდენი იღვაწა ბანკისათვის.³⁷

კრებაზე სხვა საკითხებიც განიხილეს, მაგრამ კრების მთავარი მიზანი, რისთვისაც იგი იქნა მოწვეული, ეს იყო ბანკის შემფასებელი კომისიის წევრების არჩევა, რომელთა გარეშე ბანკის ფუნქციონირება შეუძლებელი იქნებოდა.

კრების 3 თებერვლის სხდომაზე ილია გამოვიდა საპროგრამო სიტყვით, რომელშიც ჩამოაყალიბა ის პრინციპები, რომლებითაც უნდა ეხელმძღვანელა ბანკს და რომლებსაც ის მტკიცედ იცავდა მთელი სიცოცხლის მანძილზე. ილიას სიტყვა, საგაზეთო ანგარიშის სახით, გამოქვეყნებული იყო გაზეთ „დროებაში“, რაც მთლიანად მოგვყავს.³⁸

„წინა დღეების გაცხარებულმა ბაასმა ცხადად გვაჩვენა ჩვენ, ბატონებო, რომ მრავალს ჩვენგანს ბანკის დაწესების უმთავრესი საგანი ან არ უცვნია, ან უცვნია და შესაბამი ყურადღება არ მიუქცევია, ან კიდევ ჟამთა ვითარებისა გამო სრულიად დავიწყებისათვის მიუტოვა.

³⁴ საქ. სსრ ცსია, ფონ. 394, აღწ. 1, საქ. 11772, ფურ. 14.

³⁵ ივანე „დროება“, 1875, № 7.

³⁶ საქ. სსრ ცსია, ფონ. 214, აღწ. 1, საქ. 3373, ფურ. 457.

³⁷ ივანე „დროება“, 1875, № 7.

³⁸ ივანე „დროება“, 1875, № 16.

ბევრს ჩვენგანს ჰგონია, რომ ბანკი ნიკოლოზისა და პეტრეს, ესე იგი, თვითეულთა პირთა სასარგებლოდ დააწესა თავად-აზნა-ურობამ. ამიტომაც ყოველს წესსა, რომელიც აქ წარმოგვიდგინეს დასამტკიცებლად, თავს ვესხმოდით იმ ანგარიშით, რომ ეგ წესი მე და ჩემს ბიძაშვილს თვედორესაო არასფერს არ გვარგუნებს ბან-კიღამაო. ამ თვითეულთა პირთა სარგებლობაზედ აშენებულია ის ტყუილი იმედი, რომ ვინც მშვიდნი ვართ, ბანკმა უნდა გაგვადლოსო, ვინც მწყურვალნი ვართ, ბანკმა უნდა გვასვასო და ვისაც მამულებზე კანონიერი საბუთები არა გვაქვსო, ბანკმა ისეც უნდა დაგვიჭეროსო, რომ მამულები გვაქვსო. არა, ბატონებო, ჩვენი ბანკი მშვიდს ვერ გააძღობს, მწყურვალს თულუხჩად ვერ გაუხდობა, თუ არ მტკი-ცე საბუთით, ვერავის ვერ დაუჭერებს, რომ მამულის პატრონია. ჩვენს ბანკს რომ ეგენი ეკისრნა, პირველი რომ ქვეყანას სიცილად არ ვეყოფოდით, მეორე რომ მაგ კისრულს თვითონ ბანკი თან გა-დაპყვებოდა.

ეს წუთის სოფელი ისეთია, რომ ვინც თვითონ არ იბრძვის დღი-ურის ლუკმისათვის, იმისი ბედი გადაწყვეტილია. იმას შეიძლება ერთს დღეს ან რამოდენიმე ხანს კაცმა კაცთ-მოყვარეობით უშეე-ლოს, მაგრამ მას მერმედ მაინც ისევე მშვიდია, ისევე გასაძღობია. — და ერთი გკითხავთ: როდემდის უნდა ვაძლოთ ჩვენ? მე დარწმუნე-ბული ვარ, რომ რაც დღეს ბანკში ფულია, სულ რომ დღესვე და-ვურიგოთ მცონარე მშვიდრებს, ხვალ უფრო ბევრი მშვიდრი მოგვად-ეება, ხვალ რითლა გავცეთ პასუხი?

ვინც თვითონ არ ქირნახულობს, ვინც თვითონ თავის მარჯვე-ნით არ ცდილობს თავის სტომაქის ავისებას, ის, ბატონებო, ცხრი-ლია, რომელიც მაინც არ აივსება, თუნდა მთელი მტკვარი გაუწყ-ვეტილვ ზედ მიუშვათ, რა თანხა იაუძლებს მშვიდს მცონარეობას? მარტო იმისთანა თანხა, რომელმაც იმოდენა უნდა იმატოს, რამო-დენსაც დააკლებთ. თუ ჩვენგანი ვინმე ამისთანა ფრანდელს თანხას შეადგენს, ჩვენ იმისათვის დიდის სიხარულით ვზა დაგვიცლია. ვი-მეორებ: ერთხელ და ორჯელ რომ გააძლოთ მცონარე მშვიდრი, ეგ კაცთმოყვარეობაა, მაგრამ მაინცა და მაინც ამით საბუღამოდ წყლულს ვერ გაიმთელებს, იმიტომ რომ თავის წყლული თვითონ მცონარე მშვიდრი არის. ან რად გვინდა, რომ ამ გვარ კაცთათვის ეგ-რე ვწუხვართ და ჩვენი მწუხარება იქამდინ მიგვყავს, რომ გვინდა ბანკი მაგ მწუხარებას ვანაცვალოთ. მცონარეობას რომ საზრდო მივსცეთ, ეგ მცონარეობის წაქეზებაა და გამრავლებას მოასწავებს. წაქეზება, ხელის გამართვა გაქირებულს ბეჯითობას უნდა, იმი-

ტომ რომ მარტო ბეჯითობაა ჩვენი მხსნელი და ქვეყნისათვის ნაყოფიერი. და არა მშვირი მცონარეობა, რომელიც იმოდენად დიდს პირს ადებს, რამოდენადაც დიდს ლუკმას აწვდით და რომელიც რამოდენად ძლიერია, იმოდენად აღარბეებს ქვეყანასა. ჩვენის ქვეყნის იარა მცონარეობაა. რაც აღრე მოვიშორებთ მაგ იარას, მით უფრო მალე მოვიპოვებთ ჯანმრთელობას, დღევრძელობას და კეთილდღეობასა.

ვინც მაინც და მაინც ბანკს შეჭხარის მარტო თავისი პირადის სარგებლობისათვის, ის ბანკისაგან უნდა მოელოდეს მხოლოდ იმას, რომ ბანკი ფულს ასესხებს. იმასაც დიდის სიფრთხილით, რომ ბანკს ფული არ დაეკარგოს, ამის მეტს თვითეული ჩვენგანი ცალკე და საკუთარად ვერასფერს ვერ გამორჩება ჩვენს ბანკსა. ვწუხვარ, რომ ეს ასეა და უფრო ვწუხვარ, რომ შეუძლებელია ეს ასე არ იყოს.

ღაიხ, ბატონებო! შეუძლებელია, რომ ბანკმა თვითეულს ჩვენგანს ცალკე, სესხის მეტი სხვა რამ შემწეობა მოუტანოს, მე ვამბობ, თ ვ ი თ ვ ე უ ლ ს ც ა ლ კ ე, მაგრამ უწინაც მითქვამს და ეხლაც მოგახსენებთ, რომ ბანკი ამ მხრით, ესე იგი, იმით რომ ფულს ასესხებს, კაცის ამშენებელაც არის და დამღუპავიცა. ვინც ბეჯითია და მხნე. ვისაც გონება აქვს. გულმოდგინე შრომის სურვილი და მხოლოდ ფული აკლია, რომ თავისი საქმე წარიმართოს, ღეთის წყალობა თქვენა გაქვთ, რომ იმისათვის ბანკი ყოვლად მხსნელი სახსარი იყოს. მაგისტანა კაცს არა სასტიკი კანონი, ბანკის სიმკვიდრის ქვაკუთხედად დადებული, ვერ დააბრკოლებს, ვერ დააფრთხობს, გულს წინადვე ვერ გაუხეტქს, იმიტომ, რომ მხნე და ბეჯითია. ბეჯითობა კიდევ თითქმის. ყოვლად შემძლებელია, ანგარიშიანია, იცის, რომ ფულს წინდაუხედავთ არავინ არ გაასესხებს, თუ ფულის დაღუპვა არ უნდა. ამისთანა კაცს იმ ბეჯითობასთან, იმ მხნეობასთან, იმ შეუწყვეტელ შრომის სურვილთან ოღონდ ფულის შოვნის გზაც მიეცით და რაც უნდა ძნელი გზა იყოს, იგი იმ გზას უსათუოდ გადალახავს. მარტო ამისთანა კაცი უნდა შეჭხაროდეს ჩვენს ბანკსა და ჩვენს. მოწყალენო ხელმწიფენო, მარტო მაგისტანა კაცს უნდა წავხაროდეთ. კაცი ბეჯითი, მხნე, შრომის მთყვარე რამოდენსაც თავის თავს შეჰმატებს ჩვენის ბანკის შემწეობით, იმოდენას შეჰმატებს ჩვენს ქვეყანასაც: თავის შემოსავალს ოცი კოდიც რომ მოუმატოს, ჩვენი ქვეყანა უწინდელზედ ოცის კოდიც უფრო მდიდარი შეიქმნება იმის მეოხებით და ჩვენის ბანკის შემწეობით. თუ შევსწუხდებით ვისთვისმე, სწორედ ამისთანა კაცისათვის უნდა ვიწუხხოთ. თუ ეს ასეა, მაშ ჩვენგან რამდენჯერმე წარმოთქმული მწუხარება მას-

ზედ, რომ ბანკის კანონები სასტიკიან, ნოტარიუსთან მეზარება მისვლად და სხვა ამგვარი, — მეტია და სათაკილო ამისთანა კაცისთვისა. მეტყვიან, რომ თუ მართლა მართო მაგისტანა კაცებს უნდა უხაროდესთ ბანკი, მაგისტანა კაცები ჩვენში ცოტანი არიანო, მაშ ბანკი რალად გვინდოდლო? მეც სრულის ჩემის გულის ტკივილით დაგეთანხმებით, რომ მაგისტანა კაცები ჩვენში ბევრი არ არიან, მაგრამ ჩვენი უგულითადესი სურვილია, რომ მართო მაგისტანანი გამრავლდნენ, სხვანი კი, ესე იგი, ისინი, ვისაც ბანკი უხარიან მართო იმისთვის რომ ფულებს მალე ვისესხებოდ და იმ ფულებით ქეიფს გავსწევოდ, იმათთვის, არამც თუ ჩვენი ბანკი, ყოველ გვარი ბანკი წინაღვე გათხრილო სიძარუა, ჩვენი ბანკი, მართალია, ამისთანა კაცსაც ფულს ასესხებს, რადგანაც ჩვენი ბანკი კაცს კი არ ანდობს ფულს, არამედ მის უძრავს ქონებას, მაგრამ ეს სესხი მოულებს კიდევ ბოლოს ამ გვარს კაცსა, სესხს მოშორება უნდა და ეგ მოშორება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა კაცი ნასესხს ფულს ხეირიანად მოიხმარებს. თუ არა და გაეყიდება მამული და ამით უკანასკნელი ლუკმა გამოეცლება პირიდანა. ამ გვარს კაცს არა ეშველება რა. ნურავის ნუ გაქვს იმედი, რომ ამ გვარს კაცს ბანკმა უშველოს რამე. ვინც თვისის ხელით წყლულს ხელახლად იწყლულებს, იმას ვერა მოარჩენს რა სიკვდილის მეტი.

კიდევ განვიმეორებ, რომ ვინც მოვა და გვეითხავს, — საკუთრად მე, ცალკე, რას მარგებს ბანკიო, იმას დაუმალავად ვეტყვიო: საკუთრად შენ, ცალკე, ბანკი მართო იმას გარგებს, რომ ფულს გასესხებს, ისიც დიდის სიფრთხილით, დიდის შორ მხედველობით და დიდის ანგარიშით, რომ ბანკს ფული არ დაეკარგოს. ვიცი შეგაწუხებთ მაგისტანა პასუხი და კიდევ გაჭავრებული მეტყვიო: მაშ რალად გვინდოდლო ბანკიო? ეგ სხვა კითხვაა და მაგის პასუხად აი რას მოგახსენებთ:

ბანკი თავად-აზნაურობამ დააწესა იმ განზრახვით, რომ მისგან შეწირული ფული სესხად მოეფინოს ჩვენს ქვეყანასა, მაგრამ ისე მოეფინოს რომ მაგ ფულს ერთი გროშიც არ დაეკარგოს, სესხმა ფული ასარგებლოს, ფულმა ფული მოიგოს და მხოლოდ ამ მოგებიდან უფრო ბევრი წილი ჩვენის ქვეყნის საერთო საჭიროებას მოხმარდეს და ზოგი კიდევ ღარიბთაც გაუნაწილდეს, იმ ღარიბთა, რომელნიც რომელიმე უბედურების გამო სიღარიბეში ჩაცვივებულან და არა იმათ, ვინც გულადმა წვანან. გულზედ ფაფუკი ხელები დაუკრეფნიათ, პირი დაუღიათ და ჰყვირიან მასვით და მაქამეთო. ერთის სიტყვით — ჩვენმა თავადაზნაურობამ, რომელმაც ისეთი სამაგალითო სხვერპლი მოიტანა საერთო სიკეთისათვის, რომ-

მელმაც ეგრე კეთილშობილურად შესწირა თავისის ქვეყნის სიკეთეს ის რაც შეეძლო და რომელიც, ჩვენდა სასიქადულოდ, ამაღლდა იმ ღვთიურს და ბრწყინვალე აზრამდე, რომ თვითეული ყველასათვის უნდა იყოსო და ყველა თვითეულისათვის. — ამ თავადაზნაურობამ დააწესა ბანკი იმ უმთავრესის განზრახვით, რომ ბანკმა ჩვენს ფულს ფული მოაგებინოსო. ეს მოგება გაუწყვეტლივ იყოსო და ამ მოგებით შეუწყვეტელი, მუდამი წყარო გაუჩინოსო ჩვენს ქვეყანას საერთო გაჭირების სახსნელად, — და თუ ჩვენგანი ვინმე მოვალე და გეტყვითო, წალები გამიცდა და შემიკერეთო, ის ხარაზთან გაგზავნეთო.

ეს არის, ბატონებო, უმთავრესი აზრი, რომელიც თავად-აზნაურობამ ქვაკუთხედად დაუდვა ბანკსა და რომელმაც თავისის მშვენიერობით, დიდებულებით, თავისის მაღალ-ზნობით მიიზიდა ყოველივე ჩვენი თანაგრძნობა. ამ აზრზედ არის დამყარებული ჩვენის გაჭირებისაგან, სიღარიბისაგან ხსნის იმედი. ნუთუ ჩვენგანი ვინმე რაიმე პირადის ანარიშისა გამო მოინდომებს, რომ ამ აზრს უღალატოს?! ნუ თუ ეხლაც ცხადი არ არის რისთვის ცდილა ბანკის ზედამხედველი კომიტეტი, რომ ბანკის საქმე მკვიდრად, ფრთხილად და წინასწარ-მხედველობით წარმართულიყოს?! ჩვენ გვაშინებს ჩვენის ბანკის კანონების სისატიკე!.. რად? ნუ თუ მათ, რომ მართო ეგ სისასტიკეა ჩვენი თავლები რომ ბანკი არ დაგველუპება, მართო ეგ სისასტიკეა თავლები, რომ ის ბრწყინვალე აზრი თავადაზნაურობისა ყოველად მხსნელ საქმედ გარდიქცევა ყველასათვის ერთად და მაშასადამე თვითეულისათვისაც ცალკედ?!

ღიახ. ბატონებო, ზედამხედველ კომიტეტმა ჩემზედ უკეთ გამოიკვლია ის დიდებული აზრი თავად-აზნაურობისა და ამისთვისაც მთელი თვისი ყურადღება მიაქცია, რომ ეგ აზრი შესრულდეს. მაშასადამე. ყველაზედ უწინარეს რაზედ უნდა ეფიქრნა კომიტეტსა? მასზედ. რომ ბანკი არ დაგველუპოს, მასზედ რომ ბანკმა მოიგოს რამე, რადგანაც მართო შემდეგ მოგებისა იწყობა ის მოვალეობა ბანკისა, რომლის მეოხებითაც ჩვენს საერთო ჰირს უნდა ეშველოს. რა არის ამისთვის საჭირო? მკვიდრად, სასტიკად, შეუცდომელად, დიდის შორმხედველობით ბანკის საქმეთა სათავიდამვე დაწყობა და წარმოება. ყოველი თქვენგანი, რომელმაც ყურადღებით მოისმინა კომიტეტისაგან შედგენილი დაფასების წესდება, ის დამეთანხმება, რომ კომიტეტს ჩვენგან მინდობილი საქმე, ბანკის მკვიდრად დადგენის შესახებ, ღირსეულად და კაცთა შესაძლო წინასწარ-მხედველობით შეუსრულებია. ვჩივით, სასტიკიაო ეგ დაფასების წესდება.

სწორედ მაგეთი უნდა იყოს, რომ ჩვენი იმედი არ გაცუდდეს, რომ საერთო საქმე ორიოდვე მცონარე კაცის გამო არ დაგველუპოს.

დაფასება ბატონებო, ბანკისათვის ის არის, რაც ჰაერია ადამიანისათვის. მარტო პირუთვნელს, მართალს და რიგიანს დაფასებას შეუძლიან ჩვენის ბანკის ფეხზედ დაყენება. ეგ არის ფესვი, რომელმაც უნდა გამოზარდოს ნაყოფი ჩვენის ბანკისა, ეგ არის ქვითკირი, რომელზედაც უნდა დამყარდეს ჩვენის ბანკის დღეგრძელობა და კეთილ-დღეობა, ეგ არის აღმადგინებელი ჩვენის შამულების დაცემულის ფასისა. ეგ არის მოციქული ჩვენისა და და ბირჟის შუა, ეგ არის ბირჟის თავდები, რომ იმის ნდობას ჩვენგან არ ელაღატება, რომ მისგან მონდობილი ფული ჩვენზედ არ დაიკარგება: ეგ არის ამწევი და დამწევი ჩვენის ბანკის ბილეთის (ზაკლადნოი ლისტების) ფასისა.

მარტო წესიერად და სასტიკად მოწყობილს დაფასებას შეუძლიან მოახდინოს, რომ ყველა უშიშრად მოედოს ჩვენის ბანკის ბილეთებს, რომ ყველამ სასარგებლოდ დაინახოს მაგ ბილეთების ყიდვა: ერთის სიტყვით, დაფასებაზედ არის დამყარებული ყოველივე ჩვენი იმედი, ყოველივე ჩვენი სასოება.

დაფასებამ რომ ამისთანა მრავალგვარი და აუცილებელი სამსახური გაგვიწიოს, ორი რამ არის საჭირო: ერთი დაფასების სასტიკი და რიგიანი წესდება და მეორე, რიგიანი კაცების ამორჩევა დამფასებლად. პირველი ღირსეულად შეგვისრულა ჩვენ ზედამხედველ კომიტეტმა, მეორე კი თქვენზედ არის დამოკიდებული, დღეს ამისთვის ვართ აქ მოწვეულნი, ვახსენოთ ღმერთი და ვინც მართალი და ღირსი გვეგონოს ჩვენის ნდობის, იმედისა, მარტო ისინი ამოვირჩიოთ; ნუ ავყვებით ნურც მშობას, ნურც ნათესაობას, ნურც მეგობრობას, ნურც მტრობას და ნურც ვისიმე თხოვნასა. შეუდგეთ ამორჩევას ისე, როგორც ჩვენმა სინდისმა გვაგონოს თვითუღს ჩვენგანს საყოველთაო სიკეთისათვის, მერწმუნეთ, სინდისი ამ შემთხვევაში უფრო ნაკლებ შეგვაცდენს, ვიდრე სხვა რამე. ბატონებო, გულში ჩავენერგოთ, რომ დღეს ყოველს კენქს, ალაღბედზედ ჩაგდებულს. ჩვენი ღალატიც შეუძლიან და ერთგულობაცა, ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენ დამფასებლებად გვინდა კაცნი სიმართლის მოყვარენი, პირუთვნელნი, კეთილ-სინდისიანნი, მცოდნენი, კჳუაგონება გახსნილნი, ესე იგი, იმისთანანი, რომელთაც ქალაქში თუ სოფლებში ნდობა აქვსთ და რიგიანობის სახელი და არა იმისთანანი, რომელთ ამორჩევაზედაც ხვალ აქავე ბაზარში სიცილს დაიწყებენ. ვსთქვათ, ბანკისათვის არ ვიზრუნოთ, თქვენთვის საკუთრად მაინც

რა სახეირო იქმნება ამოვარჩიოთ იმისთანა კაცნი, რომელთაც დაფასების მოვალეობის აღსრულება არ შეუძლიანთ. სულ იმასა ვჩივიოთ, საქმე ისე უნდა მოგვიწყობოთ, რომ ფული მალე მივიღოთო. ეგ სიჩქარე არასტერზედ არ არის დამოკიდებული ისე როგორც რიგიანს დაფასებაზედ. თუ დღეს იმისთანა კაცებს ამოვირჩევთ, რომელნიც რიგიანად ვერ შეასრულებენ თავის თანამდებობას, თქვენ დაგიპროკოლებათ საქმე: ამ გვარ კაცთაგან მიკონკილ-მოკონკილის სიონის ძალით თქვენ ბანკი ფულს არ მოგცემთ. მაგ სიას ხელახლად მოუნდება შედგენა. ხელახლად მოუნდება გასინჯვა, და იცით ჟგ ხელახლობა რამოდენა დროს დალუპავს. ერთის სიტყვით, დღეს რომ აქ სინდისის ელალატოს, ელალატება ჩვენს ბანკს, ელალატება თავად-აზნაურობას, ელალატება ჩვენს საკუთარ თავს, ჩვენს საკუთარ ოჯახს, ჩვენს საკუთარს ცოლ-შვილს, ჩვენს მომავალს, ჩვენს იმედს, ჩვენს სასოებას და ამ მშვენიერ ქვეყანას, რომლის შეილობაც და ერთგულება ყველა ჩვენგანისათვის სასიქადულო უნდა იყოს. ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენ შთამომავალნი ვართ იმისთანა მამა-პაპებისა, რომელთაც თავი შეუწირავთ ამ ქვეყნისათვისა. ნუ თუ ჩვენ იმათი შთამომავალნი, იმათი სისხლ-ხორციანი მართლა ისე გავსწორდით მიწასთან, რომ სიმართლით კაცის ამორჩევაც აღარ შეგვიძლიან ქვეყნის საკეთილოდ?! ჩვენს მტერს ნუ დავანახებთ მაგისთანა მაგალითს და ჩვენს მოყვარეს ნუ წარვუკვეთთ ჩვენდამი სასოებას!...“.

ასე დასრულდა თითქმის 10 წლის მანძილზე წარმოებული ბრძოლა საადგილმამულო ბანკისათვის, რომლის „ნიშანდობლივი და საყურადღებო თვისება, რომელიც სხვა საადგილმამულო ბანკების წესდებისაგან განარჩევს, ის არის, რომ ბანკის მოგება, იმის გარდა, ჩაც სხვადასხვა თანხას უნდა მიემატოს, ჰხმარდება ამერეთის არა მარტო მიწათმფლობელთა, ესე იგი თავად-აზნაურთა, არამედ მიწათმოქმედთა საერთო საჭიროებას. ამ სახით, ტფილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი თითქმის ისეთი ერთადერთი დაწესებულებაა საადგილმამულო კრედიტისა რუსეთში, რომლის წესდებითაც სრულიად უარყოფილია კერძო ინტერესი მოგებით სარგებლობისა საზოგადო სიკეთისა და საჭიროებისათვის“³⁹.

ასე ჩაეყარა საფუძველი ბანკის მოქმედებას 1875 წლის 15 თებერვალს, რომელსაც ილიამ, დაწყებული 1872 წლიდან, დიდი ენერგია შეაღია.

³⁹ ი. ჰავკავაძე, თხზ., ტ. IX, თბ., 1957, გვ. 310.

ნ. ნიკოლაძე, რომელიც იმ დროს საფრანგეთში იმყოფებოდა, გულნატკენია იმის გამო, რომ ქართულ პრესაში არაფერი ითქვა იმ ადამიანების შესახებ, რომლებმაც თავის მხრებზე გადაიტანეს ბანკის დაარსების ეს მძიმე საქმე. ნ. ნიკოლაძე წერილებში პარიზიდან „წერილები იმ ქვეყნიდან“ შემდეგს წერს: „რატომ არცერთ ადგილობრივ გაზეთში არ ითქვა არცერთი სიტყვა მოწონებისა და მადლიერებისა იმ კაცისადმი, რომლის სახელი ცნობილი იყო ჩვენი ქვეყნის თითოეული შეგნებული შვილისათვის და რომელმაც შოთმინებით და გონიერი შრომით შესძლო ახალი საფუძველი ჩაეყარა ერთ-ერთი ისეთ დიდად სასარგებლო და აუცილებელი დაწესებულებისათვის, როგორც კი ოდესმე დაარსებულა ჩვენს ქვეყანაში? რატომაა რომ ი. ჭავჭავაძე ახლაც ისევე მართა, ისევე დაუფასებელია, ისევე მოკლებულია მხარდაჭერას, როგორც იმ სამწუხარო ჟამს, როცა მან დააარსა და მხოლოდ საკუთარი მხრებით ატარებდა უდროოდ დაღუპულ, მაგრამ დაუვიწყარ „საქართველოს მოამბეს“?... ზემოდნათქვამის საფუძველზე მე სულ მგონია, რომ ბანკის საქმე ისევე როგორც ადრე „საქართველოს მოამბის“ საქმე, მთელი თავისი სიმძიმით ილია ჭავჭავაძის მხრებს დააწება“⁴⁰.

სავესებით მართალი იყო ნ. ნიკოლაძე. მთელი 30 წლის მანძილზე ილია ჭავჭავაძე საკუთარი მხრებით ეზიდებოდა ამ დიდ საქმეს, რასაც იგი მთლიანად იყენებდა სამშობლოს კეთილდღეობისათვის.

⁴⁰ ნიკო ნიკოლაძე, თბ., ტ. 4, თბ., 1964, გვ. 68—69.

დ ა მ ა ტ ე ბ ა I

ფინანსთა მინისტრის განკარგულება ბანკის წესდების დამტკიცების შესახებ

„ძალითა უმაღლესის ბრძანებისა 7 მაისიდან 1872 წ., რათა აღსრულებულ იქმნეს სახელმწიფო რჩევის სახელმწიფო ეკონომიის დეპარტამენტში გარდაწყვეტილი აზრი, თბილისის აზნაურობის საადგილმამულო ბანკის დაწესებაზედ ფინანსთა მინისტრმა დაამტკიცა ამ წლის 28 მაისს ხსენებულის ბანკის წესდება“.

ნამდვილზედ დაწერილია: „ვამტკიცებ“.

ხელმოწერილია: ფინანსთა მინისტრი რეიტერნი

28 მაისს 1874 წელსა.

წესდება

თფილისის აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკისა*

თავი I

ბანკის წყობილება და თავნი

§ 1. თფილისის აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკი ფუძნდება სესხის გასაცემად თფილისის გუბერნიაში მდებარე უძრავი საკუთრების გირაოში.

შენიშვნა 1-ლი. ამ ბანკს აფუძნებენ თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურები: 1) ვისაც შეტანილი აქვს ბანკის დასაფუძნებელის თავნის შესადგენად განსაზღვრული წილი გლეხთა პირადი თავისუფლებისათვის უმაღლესად ნაბოძევის სასყიდლისაგან, 2) ვისაც შეუტანია ან უნდა შეიტანოს ბანკის დასაფუძნებელის თავნის შესადგენი ხვედრი ფული, იმ პროტოკოლის თანახმად, რომელიც გუბერნიის თავად-აზნაურების საგანგებო კრებამ შეადგინა 29 ნოემბერს — 1872 წელსა, და 3) ის თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურები, ვისაც გლეხთა პირადის თავისუფლებისათვის სასყიდელი არ მიუღია, მაგრამ ბანკის დასაფუძნებელის თავნის შესადგენათ შეიტანს ფულს იმ ზომით, რომელიც განსაზღვრული იქნება 82 მუხლის 12 კდის თანახმად.

შენიშვნა მე-2. ბანკს არავითარი განსაკუთრებითი უფლება და უპირატესობა არ აქვს მიცემული.

§ 2. ბანკის დასაფუძნებელი (საუნჯე) თავნი შესდგება: ა) ოთხმოცი ათასი მანეთისაგან, რომელიც შეტანილია თავად-აზნაურებისა-

* გაზ. „დროება“. 1874, № 432, 433, 434.

ვან და შენახულია ადგილობრივს ხაზინაში, ბ) ას სამოცი ათასი მანეთისაგან, რომელიც უმაღლესად ნაბოძევია თფილისის აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკის დასაწესებლად და გ) იმ ფულისაგან რაც შეტანილია, ან შესატანი, თფილისის აზნაურობის მხრით, იმ პროტოკოლის ძალით, რომელიც გუბერნიის აზნაურობის საგანგებო კრებამ შეადგინა 29 ნოემბერს 1872 წელსა.

§ 3. ბანკი იწყებს თავის მოქმედებას იმას შემდეგ, როდესაც 64 მუხლის თანახმად არჩეულის გამგეობის განკარგულებაში გარდაიცემა 2 მუხლის ა და ბ ქდებში მოხსენებული ფული.

§ 4. იმ ფულის ჩაბარებაში, რომელიც შეტანილია ბანკის დასაფუძნებლისა და შემონახულის თავნის შესადგენად, ბანკის გამგეობამ უნდა მისცეს თავად აზნაურებს ცალ-ცალკე სახელობრივი კვიტანციები.

შენიშვნა. როდესაც ამ მუხლში მოხსენებული კვიტანციები ურთის მეპატრონისაგან მეორის ხელში გადადის, ბანკის გამგეობას დროზედ უნდა შეატყობინონ, რომ მან თავის დავთრებში ჯერისამებრ ჩასწეროს.

თ ა ვ ი II

ბ ა ნ კ ი ს მ ო ქ მ ე დ ე ბ ა

§ 5. ბანკს შეუძლიან სესხის ფაცემა მხოლოდ სახნავ-სათესის, სათიბისა და საბალახო მიწების, ვენახისა და ხილნარი ბაღების და ჭალაქში მდებარე უძრავი ქონების გირაოში, თუ ეს ქონებანი სესხის ამღების სრულს საკუთრებას შეადგენენ.

შენიშვნა. გირაოდ მისაღები ქალაქის შენობანი, როგორც ზისა, აგრეთვე ქვით-კირის, ცეცხლისაგან უზრუნველყოფილი უნდა იქმნენ, იმ კანონების თანახმად, რომელნიც ამ წესდების III თავში შეტანილი არიან.

§ 6. სესხი მხოლოდ იმისთანა ქონების გირაოში მიეცემა, რომელიც თავისუფალია ყოველ-გვარის ვალისაგან, ან და იმ პირობით, რომ მისაცემად დანიშნულის სესხისაგან ეს ვალები გარდახდომი იქმნენ, ასე რომ შემდეგ ყოველთვის უპირატესობითი უფლება ჰქონდეს ბანკს, რომ მისგან გირაოთ მიღებულს ქონებას სესხი აზღვევინოს.

შე ნ ი შ ვ ნ ა. თუ რა წესით უნდა გარდახდელი იქმნეს, ან ბანკში გადმოტანილ სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებათაგან აღებული ვალები, ეს ბანკის ზედამხედველობის კომიტეტისა და ფინანსთ სამინისტროს შეთანხმებით განისაზღვრება.

§ 7. სესხი გაიცემა: ა) გრძელ ვადიანი და ბ) მოკლე ვადიანი. ეს ორ გვარი სესხი ერთად არ ირიცხებოდეს ერთსა იმავე ქონებაზედ.

§ 8. სესხი შეიძლება გაიცეს იმ ზომით, რომ სახანაე-სათესს, სათიბს და საბალახო მიწებში გაცემული დანაფასის ორმოც-და-ათ ნასალზედ მეტი არ იყოს, ვენახის და ხილნარს ბაღებში გაცემულმა დანაფასის ორმოც ნასალს არ უნდა გადაამეტოს, და ქალაქში მდებარე უძრავს ქონებაში გაცემულმა — დანაფასის სამოც ნასალს.

§ 9. სესხი გაიცემა ას-ასობით, მხოლოდ იმ ქონების გირაოში, რომლისგანაც მუდამი შემოსავალია და რომლისაც დანაფასი ორას მანეთზედ ნაკლები არ არის.

§ 10. საერთო მფლობელობაში მყოფი ადგილ-მამული, თუ მთელად და ყველა მეპატრონეების თანხმობით არა, ისე არ მიიღება გირაოთ.

§ 11. ვისაც მიწის გირაოთი სესხის აღება სურს, იმან უნდა წარადგინოს ბანკში: 1) ჭეროვანი მოწმობა, რომ მამული სესხის ამღებს ეკუთვნის და არის თუ არა ამ მამულზედ რაიმე აღკრძალულება, საზღვევარი, ცილება, ძიება და სხვ.; 2) პლანი, თუ კი აქვს მეპატრონეს, და 3) დაწვრილებით შედგენილი დაფასებითი აღწერილობა მამულისა. ვისაც ქალაქში მყოფი შენობის გირაოთი სესხის აღება სურს, იმან ხსენებულ საბუთებს გარდა უნდა წარმოადგინოს უზრუნველ-ყოფის პოლისი ანუ ფურცელი, რომელიც ბანკში უნდა იყოს შენახული.

§ 12. ქონებაში სესხის მიცემის დროს ბანკის გამგეობა მოახდენს განკარგულებას, რომ დაგირავებულს მამულს აღკრძალვა დაედვას, იმ რიგით, რომელიც ნაჩვენებია კანონთ კრების X ტომში, II ნაწ., 3. წიგ. 1 განყოფილებაში.

§ 13. თუ ადგილ-მამულში რაიმე შენობა არის, რომლის გამოც ადგილ-მამულის გირაოთ მიღების დროს მიწას ფასი მოემატა, ეს შენობები ვალის სრულიად გარდახდამდის ყოველწლივ ცეცხლისაგან: უზრუნველ-ყოფილი უნდა იქმნენ სესხის ამღების ხარჯით და თუ ვინიციობაა ცეცხლი გაუჩნდა და დაიწვა, რომ მაშინ უზრუნველ-ყოფელი საზოგადოებისაგან მისაღები სასყიდელი პირდაპირ ბანკს გარდაეცეს, პოლისი ბანკის სახელზედ უნდა იყოს აღებული და იმის გამგეობაში უნდა ინახებოდეს. მიღებულის უზრუნველ-ყოფის სას-

ყიღლისაგან ზანკი დაიქვრს ზედრს სესხის ნაწილს. მაგრამ თუ სესხის ამლები წარმოადგენს გარანტიას, რომ უზრუნველ-მყოფელი სასყიდელი მოიხმარება დამწვარი შენობების გასახლებლად და, თუ ზანკის გამგეობისაგან წარდგინებით, ზედამხედველი კომიტეტი ამ გარანტიას საკმაოდ ჰპოებს, გამგეობას შეუძლიან ეს სასყიდელი უკლებლად შენობის პატრონს ჩააბაროს.

§ 14. თუ სესხის ამლებმა თავის უაღაზე არ გარდაიხადა შესატანად დაწესებული სესხის ნაწილი (§§ 29, 30, 36), ზანკის გამგეობა აღროვებს მას ორ თვეს იმ პირობით, რომ თითველს ვადაზედ შეუტანელს ფულში თვეობით თითო ნასალი სარგებელი აძლიოს და ამ შემთხვევაში ყოველივე თვის ნაწილი სრულ თვედ უნდა ჩათვალოს.

§ 15. თუ ნადროების ორის თვის განმავლობაში გარდუხდელი ვალის ნაწილი არ შეიტანება, მაშინ ზანკის გამგეობა გარდახდის დამგვიანებელის ხარჯით აცხადებს „სამმართველო მოამბეში“ და გაზეთს „კავკაზში“ და ერთს დროგამოშვებითს ქართულს გამოცემათაგანში, დაგირავებულის ქონების გასასყიდად დანიშვნას, მაგრამ სავაჭრო დღის განუსაზღვრელად, და ამასთანავე მოახდენს განკარგულებას, რომ ქონების დაფასებითი აღწერილობა შეამოწმონ შეპატრონის ან იმის ვეჟილის თან დასწრებით, ან თუ ისინი არ არიან, მსაჯულთ-ბოქაულის და ან პოლიციის მოხელის თანდასწრებით.

§ 16. ექვს კვირას იქით ნადროების ორის თვის შემდეგ და სავაჭრო დღემდის ერთის თვის წინათ, და არა ამაზედ გვიან, სამჯერ უნდა დაიბეჭდოს იმავე გაზეთებში განცხადება სავაჭრო დღის და იმ ცნობების მაჩვენებელი, რომელთაც კანონთკრების (1857 წ. გამოც.), X ტომის 11 ნაწილის 2089 მუხლი მოითხოვს.

§ 17. სესხის ამლებს ნება აქვს შეიტანოს სავაჭრო დღემდის დროზედ გარდაუხდელი ვალი, ვადაზე გარდაცილებისათვის ზედრი სარგებლით და ქონების გასასყიდლად დანიშვნაზედ დანახარჯითურთ და ამითი გადაარჩინოს თავისი ქონება გაყიდვას.

§ 18. ზანკში დაგირავებულის ქონების გასასყიდი ვაჭრობა მოხდება, საცა გამგეობა ამჯობინებს, ან თვითონ ზანკის გამგეობაში, ან იმ სახაზინო დაწესებულებაში, საცა ეს კანონისაგან ნებადართულია. ამ უკანასკნელს შემთხვევაში ვაჭრობა უნდა მოხდეს ზანკის ვეჟილის მონაწილეობით.

§ 19. ვაჭრობა დაიწყება იმ ფულითგან, რაც დაგირავებულს ქონებას ზანკის სესხისაგან ვალად ადევს, დაგვიანებული სახაზინო საერო და საქალაქო გარდასახადითურთ და ამას გარდა იმ ფუ-

ლითურთ, რომელიც ბანკს ქონების გასასყიდად დანიშნისათვის დაუხარჯავს.

§ 20. ვაჭრობა იცნობება შესრულებულად, თუ რომ მოვაჭრეთაგან შემოდებული ფასი წინა მუხლში მოხსენებულს ვალსა და ხარჯს ისტუმრებს, რაც ამაზედ მეტი აიღება, ბანკის გამგეობა გააგზავნოს ჭეროვანს სახაზინო დაწესებულებაში კუთვნილისამებრ გარდასაცემად.

§ 21. გასყიდვის შესრულების შემდეგ ბანკის გამგეობა აცნობებს ჭეროვანს დაწესებულებას, რომ იმან მსყიდველს შეძენილს ქონებაზედ ნასყიდობის წერილი მისცეს.

§ 22. თუ რომ პირველი ვაჭრობა არ მოხერხდა, დაინიშნება ხელმეორეთ უკანასკნელი ვაჭრობა ორ კვირას იქით.

თუ რომ ამ მეორეს უკანასკნელს ვაჭრობაზედ არავინ არ შეაძლევს იმდენს ფასს, რომ ვალს გარდა რაც ბანკს ერგება იმასა და სახაზინო, საერო და საქალაქო დაგვიანებულს გარდასახადს უდრიდეს, მაშინ გირაო ქონება ბანკის სრულ კუთვნილებაში გადადის, რომელიც ვალდებულია, რომ ნახევარის წლის განმავლობაში გაპყიდოს ეს ქონება თავის ვალის საზღვევრად ან ვაჭრობის დანიშნით, ან სხვებრ გასაღებით.

ბანკის საკუთრებად გამხდარს ქონებას მართავს და ჰყიდის გამგეობა, იმ სახელმძღვანელო წესის თანახმად, რომელიც საზოგადო კრებისაგან დამტკიცებულია.

§ 23. სესხის ნაწილი, რომელსაც გირაოს გაყიდვით აღებული ფული ვერ აუვა უნდა შეივსოს ჭერ შემონახულს თავნისაგან და თუ ეს არ იკმარებს — ბანკის დასაფუძნებელის თავნისაგან.

§ 24. როდესაც ბანკი სესხის ამღებს დროზედ შეუტანელს ვალს აზღვევინებს, სახაზინო დაწესებულებანი და მოხელე პირნი ვალდებული არიან, დააკმაყოფილონ დაუყოვნებლივ დაწესებულის რიგით, ბანკის გამგეობის ყოველივე კანონიერი მოთხოვნილება.

§ 25. როცა ბანკში დაგირავებული ქონება სახალხოდ ისყიდება ხაზინის ან კერძო პირთა საზღვევრად, ბანკის ვალი საკონკურსო ქონების ნაწილში არ შედის და დაკმაყოფილდება, ხვედრის საზღაურით, სახაზინო და კერძობითის ვალების უმალ, სახელმწიფო-საკრედიტო დაწესებულებათა ვალს გარდა, სახაზინო, საერო და საქალაქო გარდასახადს გარდა და ქონების ვაჭრობაზედ დანახარჯს ფულს გარდა.

ამ გვარ ქონების გასყიდვაზედ ბანკის ვეჭილი დაესწრება.

§ 20. ვინც ბანკიდგან ქონების გირაოთი ფულს აიღებს, ამ წესდების ყველა კანონებს ემორჩილება.

შენიშვნა: დადგინებანი, რომელნიც გამოხატული არიან § 5-დგან § 26-მდის უკანასკნელითურთ, თანასწორად შეეხებიან, როგორც გრძელ-ვადიანს, ისე მოკლე-ვადიანს სესხს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თუ, ვინცობაა, მოკლე-ვადიანის სესხის ამღებმა დროზედ ვალი არ გარდაიხადა, ბანკს უფლება აქვს, რომ სესხის ამოღების თანხმობით ვაჭრობა დანიშნოს თავდაპირველ იმ ნაჭირნახულების გასასყიდად, რომელიც მას ხელად აქვს; და თუ ამის გაყიდვით აღებული ფული საკმაო არ იქნება მრთელი ვალის გასასტუმრებლად, მაშინ ბანკი დაგირავებულს უძრავს ქონებას აზღვევინებს.

ა. გრძელ-ვადიანი სესხი

§ 27. გრძელ-ვადიანი სესხი მიიღება: 1) სახნავ-სათესის, სათიბისა და საბალახო მიწების გირაოში ორმოცდა თოთხმეტ ნახევარის წლის ვადით და 2) ქალაქში მღებარე უძრავის ქონების გირაოში თვრამეტის წლისა და შვიდის თვის ვადით.

§ 28. გრძელ-ვადიან სესხად ბანკი აძლევს იგირაოს ფურცლებს, იგირაოს -- ფურცლების დასახელებულ ფასად. მაგრამ იმას შეუძლიან რომ სესხის ამღებთან შეპირებით, მიინდოს თვითონ მიცემულის ფურცლების გასაღება და აიღოს გასამრჯელო გამგეობისაგან დაწესებულის ზომით, მაგრამ მეოთხედ ნაასალზედ არა უმეტესი. ამ გასამრჯელოს ზომის შეცვლა ყოველთვის დროზედ უნდა გამოცხადდეს.

§ 29. გრძელ-ვადიანის სესხის ამღები ვალდებულია იხდიდეს ყოველს ექვს თვეში ვალის სამ ნაასალ ნამთავნს და ამას გარდა სხვა ფულსაც. საზოგადო კრებისაგან დაწესებულის ზომით, მაგრამ სამ მეოთხედ ნაასალზედ არა უმეტეს: ა) ბანკის შემონახულის თავნის შესადგენად; ბ) სამზრუნველო (ექსტრაორდინალური) თავნის შესადგენად, რომლიდგანაც, თუ ზედამხედველი კომიტეტი საჭიროდ დაინახავს, ერთ-ჟამიერი შესაწევარი უნდა მიეცეს იმ თავად-აზნაურებს; რომელთაც ბანკის დასაფუძნებელისა და შემონახულის თავნის შესადგენად ფული შეუტანიათ და რომელთაც რაიმე უბედურება შემთხვევით, მაგალითად: ცეცხლი, უმოსავლობა, მიწის-ძვრა და სხ. ამგ. და რომლიდგანაც აგრეთვე უნდა დაკმაყოფილდეს, ზედამხედველის კომიტეტის წარდგინებისამებრ, დამტყიცე-

ბულისა საზოგადო კრებისაგან (§ 82) საზოგადოებრივი საჭიროებანი მიწის მეპატრონე წოდებისა თფილისის გუბერნიაში.

§ 30. სესხის გადასახდელად ამლები ვალდებულია შეიტანოს ყოველს ექვს თვეში: 54 1/2 წლის ვადით მიცემულს სესხზედ ვალის ერთი მერვედი ნაასალი და 18 წლის და 7 თვის ვადით მიცემულზედ — ერთ ნახევარი ნაასალი.

რაც დაფასების წარმოებაზედ და გირაოს ფურცლების მომზადებაზედ დახარჯულა, იმის შესავსებლად ბანკი იღებს ერთჟამიერ ფასს, საზოგადო კრებისაგან დაწესებულის ზომით, მაგრამ ვალის ერთ ნაასალზედ არა უმეტესს.

§ 31. ამ წესდების § 29 და 30-ში დაწესებული მისაცემი ფულები უნდა შეიტანონ ყოველივე ნახევარის წლისათვის წინდა-წინ, 30 ივნისსა და 31 დეკემბერზედ არა გვიან. ეს შესატანი ფულები შეიძლება გარდაიხადონ ნალდ ფულს გარდა ბანკის გირაოს ფურცლებითაც, რომელთაც გაუქმების წილი ხვედრიათ, ან ამ ფურცლებისაგან ნაკვეთის კუპონებით, რომელთა გარდასახადის დრო შესრულებიათ.

§ 32. სესხის ამლებლებს ყოველთვის შეუძლიანთ დაწესებულის რიგით და ზომით მისაცემს ფულს გარდა, გრძელ-ვადიანის სესხისაგან დანარჩენი ვალიც დაუბრუნონ ბანკს ვადამდის, ნაწილ-ნაწილად, ას მანეთზედ არ ნაკლებ და სრულ ას-ასობით, ან მართლად, გირაოს ფურცლების დასახელებულ ფასად შეტანითა.

მაგრამ თუ ამ გვარის ვალის ვადამდის გარდასახდელად სესხის ამლები ნალდს ფულს წარადგენს, მაშინ ის ვალდებულია თავნის გარდა მისი სარგებელიც შეიტანოს. რამდენიც ამ თავნით შესაფარდებელის გირაოს ფურცლების გაუქმებამდის შეხვდება.

§ 33. ქონების გადაგირავება და გრძელ-ვადიანის სესხის განახლება შეიძლება, როდესაც ამ ქონებაზედ მდებარე გრძელ-ვადიანის ვალის მეხუთედია გადახდილი, იმ პირობების თანახმად, რომელნიც სესხის ამლებმა პირველად სესხების დროს იყაბულა. გადაგირავების დროს ბანკის სასარგებლოდ აიღება ერთი ნაასალი იმ სესხზედ, რომელიც გირაოს ფურცლებით გადაგირავებულს ქონებაში სამატად მიეცემა.

ბ. მოკლე-ვადიანი სესხი

§ 34. მოკლე-ვადიანი სესხი შეიძლება გაიცეს ერთი წლის ვადიდან სამს წლამდის, სესხის ამლების სურვილისა და გამგეობის დახედვისამებრ.

სესხის გარდახდა, რომელიც ამ საფუძვლით ვენახისა და ხილნარი ბაღების გირაოშია გაცემული, შეიძლება განაწილებით ედროვოს, იმ ვალის გათავების შემდეგ, რომლითაც სესხია გაცემული, კიდევ ხუთ წელიწადს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გირაოს ხელახლად დაფასებით, იმისი ღირებულება საკმაო აღმოჩნდება ვალის საზღვევრად, § 8 მუხლში ნაჩვენების ზომით.

§ 35. მოკლე-ვადიანი სესხი გაიცემა ნაღდი, ფულით: ა) ყველა ფულისაგან, რაც კი თავად-აზნაურებს შეუტანიათ § 1 მუხლის, 1 შენიშვნის, 1 და 2 ქლის თანახმად; ბ) ბანკის სამუშაო (სერვია) თავნისაგან. რომელიც შესდგება ამ წესდების § 90 მუხლში ნაჩვენების რიგით; გ) შემოსავლისაგან, რომელიც ბანკმა მის საკუთრებად გამხდარის ქონებისაგან მიიღო; დ) სარგებლისაგან, რომელიც ბანკის შემონახულსა და დასაფუძნებელს თავნს ემატება და ე) ფულისაგან, რომელიც ვალს გარდა ბანკმა მიიღო. ვალის გადუხდელობისა გამო მის საკუთრებად გამხდარის ქონების გაყიდვით.

§ 36. მოკლე-ვადიანის სესხის სარგებლის ზომა და თავნის დაბრუნების პირობები უნდა დაწესდეს გამგეობის წარდგინებით, ზედამხედველის კომიტეტისაგან და დროზედ გამოცხადდეს § 15 მუხლში მოხსენებულს გაზეთებში.

შენიშვნა. ამ კანონისაგან გამორიცხვით ყოველს ექვს თვეში ორნახევარი ნაასალი ნამთაენი უნდა აილოს ბანკმა მოკლე ვადიანის სესხისაგან, რომელიც მისაცემია: ა) თავად-აზნაურებს, დასაფუძნებელის თავნის შესადგენად 80 000 მანეთის შემტანთ (§ 2 ჰ. ა.); ბ) თავად-აზნაურებს, რომელთაც 29 ნოემბრის 1872 წლის პროტოკოლის თანახმად ფული შეუტანიათ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იმათ ხსენებულის პროტოკოლისამებრ რაც უნდა გარდაეხადოთ, სრულად შეტანილი აქვთ, გ) თავად-აზნაურებს, რომელთაც გლეხებში სასყიდელი არ მიუღიათ და ფონდის გასაღიდეზღად სრულიად შეიტანეს ფული, რომლის ზომა დაწესებული იქნება § 82 მუხლის თანახმად.

§ 37. მოკლე-ვადიანის სესხისათვის დანიშნული ფული უნდა განაწილდეს თფილისის გუბერნიის უეზდებს შორის იმ გვარად, რომ თითოეულ უეზდში სესხად გაცემულმა ფულმა არ გადაამეტოს იმ უეზდის თავად-აზნაურებისაგან შეტანილს. თუ ვინიცობაა, რომელიმე უეზდში საჭირო სესხი ზემო ანგარიშისამებრ ხვედრს ფულზედ ნაკლები იქნა, მაშინ ბანკის გამგეობას უფლება აქვს, რომ ამ უეზდისათვის მეტი ფული მოკლე-ვადიანის სესხის გასაცემად მოიხმაროს თფილისის გუბერნიის სხვა უეზდებში.

§ 38. უპირატესობითი უფლება მოკლე-ვადიანის სესხის მიღებაზედ ეკუთვნის: 1-ად) თავად-აზნაურებს, რომელთაც დასაფუძნებელი თავნის შესადგენად 80. 000 მანეთი შეიტანეს (§ 2, ქ. ა.), 2-ედ) თავადაზნაურებს, რომელთაც იმავე თავნისათვის შეიტანეს 29 ნომბრის 1872 წლის პროტოკოლისაგანა დაწესებული ფული სრულიად, ორი თვის განმავლობაში ბანკის გახსნიდგან.

თ ა ვ ი III

დასაბირავებელის ქონების ცეცხლისაგან უზრუნველყოფა

§ 39. თითოეული ბანკში გირაოდ წარდგენილი შენობა ცეცხლისაგან უზრუნველყოფილი უნდა იქმნეს იმ ფასად, რომ დანიშნულს სესხსა და ორის წლის სარგებელზედ ნაკლები არ იყოს.

§ 40. თუ ცეცხლმა დაგირავებულს ქონებას ავნო, ბანკის გამგეობა წარადგენს პოლისის უზრუნველ-მყოფელს საზოგადოებაში, რომელმანაც ცეცხლისაგან მომხდარი ზარალი ბანკს უნდა უზღოს და არა მეპატრონეს. და ეს უკანასკნელი ბანკის გამგეობამ უნდა დაამყოფილოს აღრიცხვისამებრ.

§ 41. თუ დაგირავებული შენობა სრულიად დაიწვა, ან და ცეცხლს გადარჩენილი შენობის ნაწილი ბანკის ვალის გარდასახადათ საკმაო არ იქმნა, მაშინ ცეცხლისაგან ნაზარალევი ასაღები ფული ბანკის კასსაში უნდა გარდავიდეს, და ამას შემდეგ, სესხის მდგომარეობის დახედვით, დაგირავებული ქონება ან აკრძალულები-საგან განთავისუფლდება, ან და გირაოდ დარჩება მხოლოდ უზღვეველს სესხის ნაწილში, რომელიც დაწესებულის სარგებლით სესხის ვადის განმავლობაში უნდა გარდახდილ იქმნეს.

§ 42. უზრუნველ-მყოფელის საზოგადოებისაგან გარდანახადი ფული დაგირავებულის ქონების პატრონს უნდა მიეცეს, თუ შენობის დაუმწვარი ნაწილი ბანკის დანარჩენი ვალის გარდასახადად საკმაო და ამ ვალის ფასად დაუყოვნებლივ უზრუნველყოფილ იქმნება.

§ 43. იმ შემთხვევაში, როდესაც უზრუნველ-მყოფელ საზოგადოებათა, თავის წესდებათაებრ, ცეცხლის ნაზარალევის გარდახდა ეპატივებათ, ბანკი იგირაო ქონების დაუმწვარს ნაწილს გაჰყიდის და თუ ცეცხლი განგებ მეპატრონეს გაუჩენია, მაშინ გასასყიდად დაინიშნება: ვალისაგან თავისუფალი სხვა ქონებაც, რაც კი ვალის ამავალი დამნაშავეს გამოაჩნდება.

§ 44. ბანკში დაგირავებულის შენობების გადაკეთების ნება ისე არ მიიღება, თუ შენობის პატრონი არ წარადგენს ცეცხლისაგან უზრუნველ-მყოფელი საზოგადოების მოწმობას, რომ ეს საზოგადოება გადაკეთების დროს მომხდარს ცეცხლისაგან ნაზარალევს გარდინდის ბანკის ვალის შესაფერად, და ბანკს თავის მხრით უფლება არ აქვს, რომ გირაო ადგილ-მამულში შენობის აგება, გარდაკეთება და შეკეთება დაუშალოს, თუ რომ ამით გირაოს ფასი ან შემოსავალი არ დაიკლებს. მაგრამ ვალის ვადაზედ გადუხდებლობისათვის ბანკი ამ ადგილ-მამულს ახალის შენობებიანათ გაჰყიდის, თუმცა მას ამ შენობებისათვის დამატებითი სესხი არც კი მიეცეს.

თ ა ვ ი IV

დასაბირავებელის ქონების დაფასება

§ 45. ბანკში დასაგირავებელის ქონების დაფასება და გარდაფასება (§§ 47 და 48), მეპატრონისაგან წარმოდგენილის აღწერილობისა გამო, უნდა მოხდეს, განსხვავებულის სახელმძღვანო-წესის ძალით, რომელიც ზედამხედველის კომიტეტისაგან შედგენილი უნდა იყოს და საზოგადო კრებისაგან დამტკიცებული.

§ 46. დაფასების საფუძვლად უნდა მიღებულ იქმნეს ადგილ-მამულის შემოსავალი, რომელსაც განსაზღვრავენ საიჯარო პირობანი, მიწის წლოური ღალა, შემოსავლის საიჯარო ფასი და სხვა ცნობები.

§ 47. მეპატრონისაგან შედგენილი დაფასებითი აღწერილობა უნდა შეამოწმოს საზოგადო კრებისაგან დამტკიცებულის სახელმძღვანო წესის თანახმად დამფასებელმა კომისიამ და შემდეგ გარდასცეს დასამტკიცებლად გამგეობას, რომელსაც შეუძლიან, რომ დანაფასი შეამციროს, ან სესხის მიცემაზედ სრულიად უარი ჰთქვას, მაგრამ ის კი არ შეუძლიან, რომ დამფასებელის კომისიისაგან გარდაწყვეტილს ფასს მოუმართოს.

§ 48. ამ გვარის წესითვე უნდა მოხდეს ქონების გარდაგირავებაც.

§ 49. თუ ვადა-გარდაცილებულის ქონების გაყიდვით აღებული ფული ბანკის ვალს ვერ აუვიდა, მაშინ დანაკლისი ბანკმა უნდა იზარალოს და შეავსოს § 23-ში განსაზღვრულის წესით. ამას გარდა, ვინც თავდაპირველად დაფასება მოახდინა, ისინი დაფასების დროს განგების დაუდევრობისათვის პასუხს აგებენ როგორც პირად, ისე

თავის ქონებით. დამფასებელთ დანაშაულობის ხარისხი სამსაჯულო წესით უნდა განსაზღვრულ იქმნეს.

თ ა ვ ი V

გირაოს ფურცლები

§ 50. ყველა სამუშაოდ გამოცემული გირაოს ფურცლები იმაზედ მეტი არ უნდა იყოს, რაცუბანკს უძრავის საკუთრების გირაოში გრძელის ვადით გაუსესხებია და ათჯერს მეტად არ უნდა გადაჭარბოს იმ ფულს, რომელიც უმაღლესად ნაბოძებია თფილისის აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკის დასაწესებლად (§ 2, ქ. ბ.).

შენიშვნა: დასაფუძნებლის თავნის ნაწილი, მუშაობაში მყოფის გირაოს ფურცლების მეოცედის ოდენი, ადვილად დასახურდავებელ სახელმწიფო სარგებლიან ქალაღდებად უნდა ინახებოდეს.

§ 51. გირაოს ფურცლები გაიცემიან უსახელოდ, ასე რომ შეიძლება ისინი ერთი ერთმანეთს დაუთმონ უბრალო გადაცემ-გადმოცემით.

შენიშვნა: გირაოს ფურცლების პატრონს ნება აქვს შეიტანოს ისინი ბანკში შესანახად. ამ შემთხვევაში გირაოს ფურცლების მაგიერ პატრონს მის სახელზედ კვიტანცია მიეცემა გამგეობისაგან დაწესებულის ფორმით.

§ 52. გირაოს ფურცლები უნდა იქმნენ ას, ასორმოცდაათ, ხუთას და ათას მანეთიანი.

§ 53. გირაოს ფურცლები გამოიცემიან სერიებით 2-ის იანვრიდგან და 1-ის იელისიდგან, სესხთა პირობების თანახმად.

§ 54. გირაოს ფურცლებში ეძლევა ექვსი ნაასალი სარგებელი, რომელიც პატრონს შეუძლიან მიიღოს ნახევარ წლობით 2-ს იანვარსა და 1-ს იელისს.

§ 55. გირაოს ფურცლების სარგებელი და იმ ფურცლების დასახელებული ფასი, რომელთაც გაუქმების წილი ხვდომიათ, უნდა იზღოს არა თუ ყოველ წლობით ბანკში შეტანილის ფულისა (§§ 29 და 30) და გირაოდ მიღებულის ადგილ-მამულისაგან, არამედ ბანკის დასაფუძნებელისა და შემონახულის თავნისაგან და მრთელის მისის სამკვიდრებელისაგანაც.

§ 56. გირაოს ფურცლების სარგებელი კუპონების წარმდგენელს მიეცემა.

6 57. გირაოს ფურცლები, რომელთაც გაუქმების წილი ხვდომიათ, და კუპონები, რომელნიც ათის წლის განმავლობაში საზღვევრად არ წარდგენილა, კარგვენ თავის ღირსებას და მათი ხვედრი ფული ბანკის სასარგებლოდ შეიჩიციხება.

6 58. გირაოს ფურცლები ფინანსთ მინისტრისაგან დამტკიცებულის ფორმით იბეჭდებიან; ამ ფურცლებზედ დანიშნულია სარგებლის ზომა, დასახელებული თავნი და გარდახდის ვადა და ამას გარდა მათ ახლავს კუპონების ფურცელი. გირაოს ფურცლები ამოიჭრებიან ტალონებიანი წიგნისაგან და გამოიცემიან გამგეობის თავმჯდომარისა და სხვა ორ წევრთაგან ხელ-მოწერილი. თითოეულს გირაოს ფურცელზედ იმ კაცის ხელიც უნდა ეწეროს (გრიფფი), რომელსაც ეს საქმე ფინანსთ სამინისტროსაგან მიწოდებული აქვს.

შენიშვნა. გირაოს ფურცლების ბლანკები შეიძლება დაიბეჭდოს სახელმწიფო ქალაქების დასამზადებელს ექსპედიციაში.

6 59. გირაოს ფურცლები გაუქმდებიან: 1) ბანკის კასიიდგან დასახელებული ფასის გარდახდით იმ ფურცლებში, რომელთაც გაუქმების წილის ყრა უნდა მოხდეს ყოველ წლივ ორჯერ და იმდენის ფურცლების გასაუქმებლად, რამდენსაც აუვა ვალების გასასტუმრებლად წლობით გარდასახადი და აგრეთვე ყველა ის ნაღდი ფული, რაც წლის განმავლობაში სესხის გადახდის ვალის გასასტუმრებლად შეტანილი იქნება და 2) იმ გირაოს ფურცლების დაწვით, რომელნიც, წესდების § 13, 32, 40 და 43 თანახმად, ბანკის კასიაში შეტანილი იქნებიან.

6 60. გირაოს ფურცლების წილის ყრა და დაწვა უნდა მოხდეს ბანკის გამგეობაში სახალხოდ ზედამხედველის კომიტეტისაგან დანიშნულის სამის დეპუტატისა და ფინანსთ სამინისტროსაგან დანიშნულის ვაცის თანდასწრებით.

შენიშვნა: წილის-ყრა მოხდება ყოველთვის ორის თვით წინ გირაოს ფურცლების გასაუქმებლად დანიშნულს ვადამდის.

6 61. ერთი თვის განმავლობაში იმ დღიდან დაწყებული, როცა წილის-ყრა მოხდა, წილ-ხვდომილის გირაოს ფურცლების ნუმრები უნდა გამოჰკიდონ ბანკის გამგეობაში და გამოაცხადონ § 15-ში დასახელებულს გაზეთებში.

6 62. გირაოს ფურცლები მიიღებიან ყოველგვარ სახაზინო იჯარის გირაოთ ფინანსთა მინისტრისაგან გარდაქრილ ფასათ; ისინი გირაოთ მიიღებიან აგრეთვე სახელმწიფო ბანკში, იმის კანტორებსა და განყოფილებებში, სახელმწიფო ბანკის წესდების თანახმად.

§ 63. ყალბი გირაოს ფურცლების გაკეთებისათვის დამნაშავენი მსაჯულებას მიეცემიან და დაისჯებიან, როგორც ყალბი სახელმწიფო ქაღალდების გაკეთებისათვის.

თ ა ვ ი VI

ბ ა ნ კ ი ს ბ ა მ გ ე ო ბ ა

§ 64. ბანკის საქმეებს მართავს გამგეობა, რომელიც იმყოფება ქ. თფილისის და შესდგება სამის წევრისაგან, სახელდობრ: თავმჯდომარისა და ორის დირექტორისაგან, რომელთაც საზოგადო კრება ირჩევს.

ბანკის გამგეობას მიჩენილი ჰყავს დამფასებელი კომისია ხუთის წევრისაგან, რომელთაც აგრეთვე საზოგადო კრება ირჩევს სამის წლის ვადით. გამგეობისა და დამფასებელი კომისიის წევრნი აღირჩევიან თავდაპირველად გუბერნიის აზნაურობის პირველს საჯარო კრებამდის და შემდეგ სამის წლის ვადით.

შენიშვნა. გამგეობისა და დამფასებელი კომისიის წევრთ რიცხვს შეიძლება, საზოგადო კრების გარდაწყვეტილებისამებრ, მოემატოს, რამდენიც საჭირო იქნება.

§ 65. თავს-მჯდომარის დაუსწრებლობისა და ავადმყოფობის დროს იმის ადგილს აღრჩევით უფროსი გამგეობის წევრი იქერს.

§ 66. დამფასებელის კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნება აღრჩევითი ხმების რიცხვით უფროსი წევრი.

§ 67. ერთი წელიწადი რომ გაივლის იმას შემდეგ, რაც გუბერნიის აზნაურობის პირველს საჯარო კრებაში გამგეობის წევრებს აირჩევენ, ერთი გამგეობის დირექტორთაგანი წილის ყრით უნდა გამოვიდეს, მეორე წლის შემდეგ გამოვა მეორე დირექტორი და მესამე წელიწადი რომ შესრულდება, გამგეობის თავმჯდომარე გამოვა. ამას იქით ყოველწლივ გამოდიან ის დირექტორები, რომელნიც თავის ვალდებულებას სამს წელს ასრულებდნენ; აგრეთვე გამგეობის თავმჯდომარეც გამოვა სამის წლის იქით ამ თანამდებობაზედ არჩევიდგან. გამოსული თავსმჯდომარე და დირექტორები შეიძლება ხელახლად არჩეულ იქმნენ.

§ 68. გამგეობისაგან გამოსულის წევრის მაგიერ ახლის წევრის არჩევის დროს საზოგადო კრება, კანდიდატებს გარდა (§ 69), გამოარჩევს თვისშორის ორს კაცს, რომ იმათ გამგეობისაგან გამოსასუ-

ლელის ორის წევრის თანამდებობა დაიპირონ მომავალს, სამის წლის იქით მოსაწვევს, საზოგადო კრებადის.

§ 69. გამგეობისა და დამფასებელი კომისიის წევრთა აღმორჩევის დროს, აღმორჩევიან იმავე რიგით თითოეულს თანამდებობაზედ კანდიდატი, რომელთაც უნდა დაიპირონ ეს ალაგები, თუ ვინიცობაა წევრნი დიდის ხნით სხვაგან არიან, ან ავადმყოფობენ, ან და ვადამდის გამოვიდნენ.

კანდიდატებს მიიწვევს გამგეობის თავსმჯდომარე აღრჩევითი ხმების უმრავლესობისამებრ. ეს კანდიდატები უნდა დარჩნენ თანამდებობაზედ იმ ვადადის, რამდენითაც გამგეობისა და დამფასებელი კომისიის უმყოფელი წევრნი არჩეული იყვნენ. როცა კანდიდატი გამგეობისა და დამფასებელი კომისიის წევრის თანამდებობაზედ სდგას, ყველა უფლებით სარგებლობს და ყველა ვალდებულებას ასრულებს, როგორც გამგეობისა და დამფასებელი კომისიის წევრი.

§ 70. გამგეობისა და დამფასებელი კომისიის თავსმჯდომარეთა და წევრთ, და სხვა გამგეობაში მოსამსახურე პირთა, ნაღდი შემოქაველის ნაწილს გარდა, რომელიც ამ წესდების § 90-ით განსაზღვრულია, ეძლევათ ჯამაგირი ზედამხედველი კომიტეტისაგან გარდაჭრილის და საზოგადო კრებისაგან დამტკიცებულის ზომით.

§ 71. გამგეობის განკარგულებაშია ბანკის საქმეები და თავნები, ამ წესდების საფუძვლით. გამგეობა ამტკიცებს დასაგირავებულის ადგილმამულის დანაფასს; სწყვეტს სესხის მიცემას; სდებს აღკრძალულებას იმ ადგილ-მამულზედ, რომელთ გირაოში სესხი გაუცია; ამზადებინებს, სამუშაოდ სცემს, აუქმებს და სწვაავს გირაოს ფურცლებს; თვალ-ყური უქირავს, რომ სესხის ამღებთაგან გარდასახადი დროზედ შემოსდიოდეს, რომ სარგებელი და თავნი გირაოს ფურცლებში დროზედ მიეცემოდეს; ნიშნავს მოკლევადიანის სესხის გაცემას; სცდილობს, რომ ვალის დამგვიანებელს დროზედ შემოუტანელი ფული გარდაახდევინოს და ვადაზედ გარდაცილებული გირაოები გაპყიდოს; ნიშნავს ბანკის საკუთრებად გამხდარის ადგილმამულების მმართველებს; თვალ-ყური უქირავს ბანკის წიგნებისა და ანგარიშების კანონიერად წყყვანაზედ; ნიშნავს და სცვლის ბუღალტერებს, კასირებს და სხვა მოსამსახურე პირთა; ასრულებაში მოპყავს ზედამხედველის კომიტეტის და საზოგადო კრების გარდაწყვეტილებანი; ნიშნავს უეზდებში თავის აგენტებს და ვექილებს ბანკის ინტერესის დასაცველად და დასაფარავად და საზოგადოთის ცდილობს ბანკის სარგებლობაზედ, და ყოველის მისის ვალდე-

ბულების ნამდვილად ასრულებას წესდების თანახმად; და იმ კითხვებზედ, რომელნიც ბანკის წესდებაში არ შეტანილა, გამგეობა თავის მოსაზრებას ზედამხედველს კომიტეტს წარუდგენს.

§ 72. რომ გამგეობისა და დამფასებელი კომისიის გარდაწყვეტილებას ძალა ჰქონდეს, საჭიროა რომ სხდომაზედ სამი წევრი მაინც იყოს და ამათ რიცხვში თავსჯდომარეც.

§ 73. დამფასებელის კომისიის ვალდებულება არის, რომ ბანკში დასაგირავებელის ადგილ-მამულის დანაფასი შეამოწმოს საზოგადო კრებისაგან დამტკიცებულის სახელმძღვანო წესის თანახმად. თავის მოქმედებათ ანგარიშს დამფასებელი კომისია წარადგენს ყოველს ნახევარ წლობით ზედამხედველს კომიტეტში, ბანკის გამგეობის საშუალებით.

§ 74. ბანკის გამგეობის და დამფასებელი კომისიის გარდაწყვეტილებანი დაიდებიან ხმის უმრავლესობით. თუ ხმები თანასწორად გაიყო, თავსჯდომარის აზრი გადასძლევეს.

ბანკის გამგეობისა და დამფასებელი კომისიის გარდაწყვეტილებანი ჩაიწერებიან ეურნალებში და ზედ სხდომაზედ დამსწრე წევრები ხელს მოაწერენ.

სამმართველოებსა და სამსაჯულოებში წარსადგენი ეურნალისაგან გამონაწერები და აღსრულებითი ქალაღები, ხელ-მოწერილი უნდა იქმნენ თავსჯდომარისა და ერთის გამგეობის წევრისაგან.

§ 75. შინაგანი საქმეთ-წარმოების რიგი და სამსახურში სხვა და სხვა პირთ განწესება, მათი დათხოვნა, აგრეთვე უფლებანი და ვალდებულებანი ბანკის მომსახურეთა აგენტთა და ვეჟილთა დაიდგინებიან გამგეობისაგან შედგენილის სახელმძღვანელო წესით.

§ 76. გამგეობის თავსჯდომარე და წევრნი პასუხისმგებელნი არიან მაშინ, თუ იმათ დაარღვიეს წესდება და ზედამხედველის კომიტეტის კანონიერი გარდაწყვეტილებანი; მაგრამ ისინი პასუხს არ აგებენ მესამე პირთ წინაშე, იმ ვალდებულებათათვის, რომელთაც ისინი ბანკის სახელით მიიღებენ.

ზედამხედველი კომიტეტი

§ 77. ზედამხედველი კომიტეტი, რომელიც ნიადაგ თფილისში იმყოფება, შესდგება გუბერნიის აზნაურობის წინამძღოლის თავსჯდომარეობით, თფილისის გუბერნიის აზნაურობის ათის წევრისაგან, რომელთაც საზოგადო კრება აღმოირჩიევს სამის წლის ვადით და ორ-ორს თითოეულის უეზდიდგან.

თავდაპირველად ზედამხედველის კომიტეტის წევრნი აღირჩევიან პირველს საჯარო კრებამდის.

§ 78. ზედამხედველის კომიტეტის წევრნი აღირჩევენ თვის შორის თავს-მჯდომარის მოადგილეს, იმ შემთხვევისათვის, როდესაც, ვუბერნიის აზნაურობის წინამძღოლი სხდომაზედ არ დაესწრება.

§ 79. რომ ზედამხედველის კომიტეტის გარდაწყვეტილებას ძალაჰქონდეს, საჭიროა სხდომაზედ ხუთი წევრი მაინც დაესწროს და ამთარიცხვში თავსმჯდომარეც.

§ 80. ზედამხედველი კომიტეტი ყოველსავე საქმეს ხმის უმრავლესობით სწყვეტს და თუ ხმები თანასწორად გაიყო, თავსმჯდომარის ხმა გადასძლევს.

§ 81. ზედამხედველის კომიტეტის გარდაწყვეტილებანი ჟურნალში უნდა ჩასწერონ და ზედ ყველა დამსწრე წევრნი ხელს მოაწერენ.

ჟურნალებისაგან გამონაწერი და ყველა აღსრულებითი ქაღალდები ხელ-მოწერილი უნდა იქმნენ თავს-მჯდომარისაგან და კომიტეტის ერთის წევრისაგან.

§ 82. ზედამხედველის კომიტეტის ხელში არის შემდეგი საქმეები: 1) საზოგადო ზედამხედველობა ბანკის მოქმედებათა წესიერებაზედ და იმის უკანონობაზედ საჩივრების განხილვა და გარდაწყვეტა; 2) ბანკის გამგეობისა და დამფასებელის კომისიის ანგარიშების განხილვა და დამტკიცება; 3) იმ კითხვების განსჯა, რომელთაც ბანკის გამგეობა ზედამხედველს კომიტეტში შეიტანს; 4) დეპუტატების დანიშვნა, რომელნიც გირაოს ფურცლების წილისყრისა და დაწვისდროს უნდა დაესწრნენ (§60); 5) მოკლევადიანს სესხზედ სარგებლის ზომის და თავნის გარდახდის პირობათა შეცვლა (§36), აგრეთვე იმის განსაზღვრა, თუ რამდენზედ უდიდესი და უმცირესი არ უნდა იყოს ერთ ხელში მისაცემი მოკლე-ვადიანი სესხი; 6) იმის განსაზღვრა, თუ რამდენი საგზაო და დღიური ხარჯი უნდა მიეცეს დამფასებლის კომისიის წევრებს; 7) იმის განსაზღვრა, თუ რამდენი უნდა იყოს შესაწევარი, თავად-აზნაურებისათვის მისაცემად დანიშნული, § 29 მუხლის თანახმად; 8) გარდაწყვეტა იმისა, საჭიროა თუ არა საგანგებო საზოგადო კრების მოწვევა, 9) განხილვა და გარდაწყვეტა გამგეობის წინადადებათა, ფინანსთა მინისტერთან შეთანხმებაზედ, სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებათაგან გაცემულის ვალების გაუქმებისა და იმათი ბანკში გადმოტანის შესახებ (§ 6); 10) ბანკის სამმართველოდ საჭიროა ხარჯთა სიის შედგენა; 11) დამზადება სახელმძღვანო-წესებისა, რომელნიც ნაჩვენები არიან §5 22, 46 და 47

მუხლებში. 12) განსაზღვრა იმისი, თუ რამდენი უნდა შეიტანონ სესხის ამალეებლებმა § 29 მუხლში ნაჩვენების საგნებისათვის, ან რამდენი უნდა გარდაიხადონ § 30 მუხლის ძალით, აგრეთვე რამდენი უნდა შეიტანონ ბანკის შემონახულის თავისი შესადგენად თავად-აზნაურებმა, რომელთაც გლეხებში სასყიდელი არ მიუღიათ და რომელნიც ბანკის თავნების გადიდებაში მონაწილეობის ნიღბას ისურვებენ (§ 1; 13) განხილვა კითხვებისა, წარდგენილთა გამგეობისაგან § 83 მუხლის ძალით; 4) განსაზღვრა ზოგად-სასარგებლო მოთხოვნილებათა, რომელთაც შეიძლება მოხმარდეს ნაღდი მოგება, § 90 მუხლის თანახმად, და 15) დადგინება გარდაწყვეტილებათა ამ წესდების შეცვლასა და დამატებაზედ აღძრულის კითხვების შესახებ.

ამ მუხლის 9 — 15 კდებებში ნაჩვენები ზედამხედველის კომიტეტის გარდაწყვეტილებანი წარდგენილი უნდა იქმნენ ბანკის საქმეთათვის დანიშნულს საზოგადო კრებაში განსახველად.

ს ა ზ ო გ ა დ ო კ რ ე ბ ა ნ ი

§ 83. საზოგადო კრებანი, ბანკის საქმეთათვის დანიშნულნი, შესდგებიან ზედამხედველის კომიტეტის თავს-მჯდომარის თავს-მჯდომარეობით იმ პირთაგან, რომელნიც მოხსენებულნი არიან § 1 მუხლის შენიშვნაში.

საზოგადო კრებანი მიიწოდებიან თფილისს ქალაქს და იქმნებიან ჩვეულებრივი და საგანგებო; ჩვეულებრივი კრება მოხდება ყოველს სამს წელს შემდეგ, გუბერნიის თავად-აზნაურობის კრების დროს და საგანგებო კრება უნდა მოხდეს პირველად ამ წესდების სახალხოდ გამოცხადების შემდეგ და მერმე ზედამხედველის კომიტეტის დახედვისამებრ, იმის თავსმჯდომარის შემწევობით საგანგებო კრება შეიძლება მიიწვიონ აგრეთვე მაშინ. თუ რომ ზედამხედველს კომიტეტს განუტყხადებს ამის სურვილს ორმოცდა ათ თავად-აზნაურზედ არა ნაკლები, რომელთაც საზოგადო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ.

საზოგადო კრება ითვლება შემდგარად მხოლოდ მაშინ, თუ რომ კრებაზედ დაესწრო 50 კაცზედ არა ნაკლები. და თუ შესაკრებად დანიშნულს დღეს თავმოყრილ დამფუძნებელთა რიცხვი (§ 1) ამაზედ ნაკლები იქნება. მაშინ უნდა დაინიშნოს ხელმეორეთ ახალი კრება, ორ კვირაზედ არა უადრეს. ეს მეორე კრება ჩაითვლება კანონიერად, რამდენი დამფუძნებელიც უნდა შეიყაროს, მაგრამ ამ გვარის კრების

გარდაწყვეტილებას მხოლოდ ის საქმეები ექვემდებარებიან. რომელნიც დანიშნული იყვნენ პირველის კრების განსასჯელად.

საზოგადო კრების გარდაწყვეტილებანი დაიდგინებიან ორი მესამედის უმრავლესობით ყველა ხმების რიცხვიდან.

ამ საფუძვლით შედგენილნი საზოგადო კრების გარდაწყვეტილებანი ვალდებულ-ყოფი არიან გამგეობისა, ზედამხედველის კომიტეტისა და ყველა ბანკის დამფუძნებლისა, რომელნიც ან კრებაზედ არ ყოფილან, ან გარდაწყვეტილებაზედ არ დათანხმებულან.

საქმეები, წინაპირველად ზედამხედველის კომიტეტის განხილვის შემდეგ, შეიტანებიან საზოგადო კრებაში ბანკის გამგეობის შემწეობით და არა სხვებრ. ამისგამო, თუ ვინმე დამფუძნებელთაგანს სურს რომ ბანკის სასარგებლო რაიმე წინადადება, ან და მმართველობაზედ ან თვით გამგეობაზედ საჩივარი შეიტანოს, უნდა მიმართოს გამგეობაში, რომელიც წარადგენს წინადადებას ანუ საჩივარს. თავის აზრის ან განმარტების ზედ დართვით, ზედამხედველის კომიტეტის განსახილველად.

ზედამხედველის კომიტეტზედ ჰკიდია, მისცეს ამ საქმეს შემდეგი მსვლელობა, თუ არა; მაგრამ ესეც არის, რომ თუ წინადადება ან საჩივარი ხელ მოწერილია ბანკის ორმოცდა ათ დამფუძნებელთაგან, ის უთუოდ უნდა წარდგენილ იქმნეს საზოგადო კრებაში განსარჩევად, გამგეობისა და ზედამხედველის კომიტეტის აზრის ზედ დართვით, თუ რომ ეს წინადადება კრებამდის ერთი კვირით წინ მიიწე შეტანილა.

გამოცხადება, საზოგადო შესაკრებად დღის დამნიშვნელი, უნდა დაიბეჭდოს, § 15 მუხლში დასახელებულს ვაზეთებში, კრებამდის ორის კვირით წინ მიიწე და ამასთანავე ნაჩვენები უნდა იყოს განსასჯელად წინადადებული საგნები.

§ 84. საზოგადო კრების უსაცილო განკარგულებაში არის: ა) გამგეობისა და დამფასებლის კომისიის წევრთა და იმათ კანდიდატთა და ზედამხედველის კომიტეტის წევრთ აღრჩევა; ბ) განარჩევა და დამტკიცება ყველა გარდაწყვეტილებისა და დასკვნებისა, რომელნიც ზედამხედველს კომიტეტს მოუხდენია § 82 მუხლის 9 — 15 კლდეებში დასახელებულს საგნებზედ; გ) ნების-დართვა, რომ ოფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ან იმათ მეშვედრეთა, დაუბრუნდეს ის ფული, რომელიც თითოეულს თავად-აზნაურს თავდაპირველად ბანკის დასაფუძნებლის თავნის შესადგენათ შეუტანია, მაგრამ მხოლოდ იმას შემდეგ, თუ ეს თავნი ოთხჯერ გამრავლდება, და დ) გარდაწყვეტილება ბანკის ანგარიშების გაწმენდაზედ (§ 94).

შენიშვნა. ფულები დაუბრუნდება ამა მუხლის გ კდის ძალით მხოლოდ იმათ, ვინც ბანკის გამგეობისაგან ამ წესდების § 4 მუხლის ძალით მიცემულს კვიტანციებს წარადგენს, ან და ხაზინის კვიტანციებს იმ ფულის მიღებაში, რომელიც თავად-აზნაურებმა გლახებში ნაბოძების სასყიდლისაგან შეიტანეს (§ 2). ამ კვიტანციებით ფულის მიღების უფლება შეიძლება ერთი ერთმანეთს დაუთმონ.

თ ა ვ ი VII

ა ნ ბ ა რ ი შ ი

§ 85. ბანკის მოქმედებათა წელიწადი ითვლება 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდის.

შენიშვნა. თუ რომ ბანკის გახსნა 1 ივლისს შემდეგ მოხდა მაშინ იმ წლის დანარჩენი, როცა ბანკი გაიხსნა, შემდეგს წელს მიემატება.

§ 86. წლის ანგარიშში უთუოდ უნდა იყოს შემდეგი ცნობები:

1) სესხთა რიცხვი და იმ თავნთა რაოდენობა, რომელნიც ვალად დარჩენილან სესხის ამღებლებზედ წასრულის საანგარიშო წლიდან:

2) ახალ სესხთა რიცხვი და ფულის რაოდენობა, რომელიც ამ სესხებათ გაცემულა;

3) რამდენი ფული დაუბრუნებიათ სესხის ამღებლებს ბანკის კასისათვის საანგარიშო წლის განმავლობაში: ა) ყოველ-წლობით სესხის გასაუქმებლად შესატანის ფულის გარდახდით; ბ) გასაუქმებლად შესატანს გარდა თავნის ნაწილების გარდახდით; გ) ვალის ზღვევინებით გირაო ადგილ-მამულის გაყიდვისაგან, როცა სესხის ამღებმა გარდასახვა დაავიანა, და დ) უზრუნველ-მყოფელ საზოგადოებათაგან სასყიდლის მიღებით გირაო ქონების დამწვარს ნაწილებში:

4) სესხის ამღებთ რიცხვი და იმ ვალების რაოდენობა, რომელიც გადაუხდელი რჩებიან შემდეგის საანგარიშო წლისათვის:

5) სარგებლის რაოდენობა, რომელიც საანგარიშო წლის განმავლობაში სესხის ამღებთ-ვან ბანკს შემოსვლია;

6) საზღაური და დაგვიანებული ვალები სარგებლად და სესხის გასაუქმებლად გარდასახადის ფულისაგან (თითოეული სტატია ცალკ-

ცალკე). დარჩენილი წარსულის წლისაგან, გაწმენდილი, ხელ-ახლად შეგროვილი და შემდეგი წლისათვის დარჩენილი;

7) დასაფუძნებლისა და შემონახულის თავნის რაოდენობა და იმათი მოხმარება;

8) რიცხვი და თავნი გირაოს ფურცლებისა, რაც საანგარიშო წლის დასაწყისისათვის მუშაობაში დარჩენილა.

9) რიცხვი და თავნი გირაოს ფურცლებისა, რაც ხელ-ახლა სამუშაოდ გამოცემულა;

10) რიცხვი და თავნი გირაოს ფურცლებისა, რაც საანგარიშო წლის განმავლობაში დაუწვავთ : ა) წილის-ყრით გაუქმებისა გამო; ბ) ვალში სესხის ამღებთაგან შეტანის გამო; გ) ვადა-გადაცილებულს და ვაპრობით გაყიდულს ქონებაში გირაოს ფურცლებით ფასის აღების გამო;

11) რიცხვი და თავნი გირაოს ფურცლებისა, რაც შემდეგის წლისათვის მუშაობაში რჩება;

12) დასაცვლელად წარდგენილი სარგებელთ-კუბონები და იმათში მიცემული ფულის რიცხვი, როგორც საანგარიშო წლის, ისე წინა წლების განმავლობაში, რიცხვი კუბონთა. რომელთაც დაცვლის ვადა შესრულებიათ. მაგრამ ჯერ კიდევ არ წარუდგენიათ;

13) მმართველობის ხარჯი და ყველა სხვა გასავალი ბანკისა;

14) ნაღდი ფულის რაოდენობა, რაც ბანკის კასსაში შენახულია;

15) რიცხვი და რაოდენობა ფულთა, რაც მოკლე-ვადიანის სესხის გარდასახდელათ ჯერ არ შემოტანილა, რაც ახლად გასესხებულა გირაოს დასახელებით, და არც გარდახდილა. ან წინა წლიდგან გარდაუხდელი დარჩენილა.

შენიშვნა 1-ლი, თითოეული აქ მოხსენებული სტატია ცალკე-ცალკე უნდა იყოს ნაჩვენები და შეერთებული არ უნდა იყოს მერესთან.

შენიშვნა 2-რე. ციფრების შეცდომით ჩვენებისათვის ანგარიშში და ბალანსში პასუხის მგებელი არიან გამგეობის წევრნი, რომელთაც ამ ანგარიშშიდ და ბალანსზე ხელი მოუწერიათ.

§ 87. ბანკის გამგეობა წარუდგენს წლის ანგარიშსს განსახილველად და დასამტკიცებლად ზედამხედველს კომიტეტს, რომელიც ამ ანგარიშის სამს ეკუთმპლიარს საკუთრის მოსახრებიოთურთ წარუდგენს საცნობლად ფინანსთა მინისტერს.

§ 88. წლის ანგარიში და ზედამხედველის კომიტეტის გადაწყვეტილებანი უნდა გამოცხადდენ § 15 მუხლში დასახელებულს ვაზეთებში.

§ 89. ყოველ წლობით ანგარიშს გარდა, გამგეობა აცხადებს ბანკის საფინანსო ბალანსს ექვს თვეში ერთხელ და ექვსი კვირით წინ ნახევარის წლის გათავებამდის.

თ ა ვ ი VIII

მ ო გ ე ბ ი ს ბ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა

§ 90. ნაღდის წლიურის მოგებისაგან, რომელიც ყველა ხარჯისა და ზარალის შემდეგ დარჩენილა, უნდა გადაიდვას: ორმოცდა ხუთი ნაასალი იმ თავნის შესადგენათ, რომლითაც უნდა დაკმაყოფილდეს ზოგად-სასარგებლო საჭიროებანი მიწის მეპატრონე და მიწის შემუშავებელ მცხოვრებთა თფილისის გუბერნიაში. მაგ. სტიპენდიების დანიშვნა, გზების გაკეთება, სარწყავი რუების გაყვანა და სხვ. მაგ., ათი ნაასალი დასაფუძნებელის თავნის გასადიდებლად, ათი ნაასალი შემონახულის თავნის სამატად (§ 91), ათი ნაასალი სამუშაო (სერმია) თავნისათვის, რომელიც დანიშნულია საკუთრად მოკლევადიანის სესხის გასაცემად, ხუთი ნაასალი იმ თავნის შესადგენად. რომელიც დანიშნული უნდა იყოს თავად-აზნაურთა შესაწევნად, ვისაც შემთხვევით რამე ზარალი მისცემია, მაგ. ცეცხლისაგან, მიწის-ძვრისაგან და სხვ. მაგ., ათი ნაასალი ბანკში მოსამსახურეთა და დამფასებელის კომისიის წევრთა სასარგებლოდ და ათი ნაასალი გამგეობის თავს-მჯდომარისა და დირექტორებისათვის.

თ ა ვ ი IX

შ ე მ ო ნ ა ხ უ ლ ი თ ა ვ ნ ი

§ 91. შემონახული თავნი შესდგება იმ ფულისაგან, რომელიც ამისათვის თავად-აზნაურებს შეუტანია § 82. 12 კ. თანახმად და ნაღდი მოგების ნაწილისაგან. რომელიც ყოველ წლიე § 90 თანახმად გადიღება.

ეს თავნი დანიშნულია: 1) გირაოს ფურცლებში და კუპონებში ვადაზედ გარდასახადის, დასაკმაყოფილებლად ავანსივით, თუ ვინიცობაა სესხის ამღებლებმა ვადაზედ შესატანი ფული დაავიანეს. და 2) ბანკის ნაზარალევის შესავსებლად (§ 23).

§ 92. შემონახული თავნი უნდა ინახებოდეს სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში თფილისს, ანუ სახელმწიფო სარგებლიან ქალაქებში.

§ 93. შემონახულის თავნისათვის ნაღდი მოგების ნაწილის გარდადება უნდა მოისპოს, როდესაც ეს თავნი მრთელის დასაფუძნებელის თავნის შესამედი გახდება. თუ შემონახულის თავნისაგან იმდენი დაიხარჯა, რომ ეს თავნი დასაფუძნებელის თავნის მესამედზედ ნაკლები შეიქმნა. მაშინ ნაღდის მოგებისაგან ხელ-ახლაც უნდა გადაოდვას დაწესებული ნაწილი, სანამდის ამით შემონახულს თავნს აღნიშნული ზომა არ მიეცემა.

თუ რომელისამე წლის განმავლობაში ბანკის ზარალის დასაკმაყოფილებლად მთელი შემონახული თავნი და ამას გარდა დასაფუძნებელის თავნის ნაწილი დაიხარჯა, მაშინ შემდეგ წლებში, სანამდის დაფუძნებული თავნი წინანდელს ზომაზედ თავს არ მოიყრის რაც ფული, § 290 მუხლის საფუძვლით, შემონახულს თავნს უნდა მიმატებოდეს. დასაფუძნებელს თავნს უნდა შეუერთდეს.

თ ა ვ ი X

ბ ა ნ კ ი ს მ ო ჯ მ ე დ ე ბ ა თ ა მ ო ს კ ო ბ ა

§ 94. თუ ზარალის გამო ბანკის დასაფუძნებელი თავნი იმდენად შემცირდა, რომ მუშაობაში მყოფის გირაოს ფურცლების მეათზედ ნაკლები შეიქმნა, მაშინ ბანკი ვალდებულია მოსპოს თავის მოქმედება და ანგარიშები გასწმინდოს. ამას გარდა ბანკის მოქმედება შეიძლება ყოველთვის მოსპობილ იქმნეს საზოგადო კრების გარდაწყვეტილებით, თუ რომ ამ კრებაზედ ყველა დამფუძნებელ თავად-აზნაურთ ნახევარი დაესწრო (§ 1) და გარდაწყვეტილება § 83 მუხლის თანახმად ორმა მესაღმა უმრავლესობამ მიიღო.

§ 95. იმ შემთხვევაში, როდესაც ბანკის საქმეები წინა მუხლის ძალით უნდა მოისპოს, საზოგადო კრება, ზედამხედველის კომიტეტის წარდგინებით, დანიშნავს ერთს ან რამდენსამე მმართველს და განსაზღვრავს, თუ რა რიგით უნდა მოხდეს ბანკის ანგარიშგების გაწმენდა. კანონთკრების X ტომის 1 ნაწ. 1288 მუხლის თანახმად. ამასთანავე დაცული უნდა იყოს ის კანონი, რომ ბანკის დახურვით არავითარ შემთხვევაში არ დარღვეულ იქმნენ ვალდებულებანი, რომელნიც ბანკს მესამე პირთ წინაშე უქისრია, მაგ. გირაოს ფურცლების

გამოსყიდვა და იმათი სარგებლის გარდახდა წესდებაში განსაზღვრული რიგით.

მმართველების დანიშვნისთანავე მოისპობა ყოველივე უფლება და ვალდებულება ბანკის გამგეობისა, და ზედამხედველის კომიტეტის და საზოგადო კრების უფლებას კი ძალა ექნებათ ანგარიშების გაწმენდის დროსაც. საზოგადო კრება ამტკიცებს ვალების გასაწმენდს ანგარიშებს, და ანგარიშის კვიტანციების დარიგებას ზედამხედველს კომიტეტს მიანდობს.

ენიშნა. იმ ფულების დარიგების დროს, რომელიც შეიძლება ანგარიშის გაწმენდის შემდეგ დარჩეს და რომელიც უნდა განაწილდეს ბანკის დასაარსებლად შეტანილის ფულების შეფარდებით. უმაღლესად ნაბოძების თაენის (160 000 მან.) სახვედრი კუთვნილებისამებრ ხაზინას უნდა დაუბრუნდეს.

თ ა ვ ი X I

ს ა ზ ო გ ა დ ო დ ა წ ე ს ე ბ ა ნ ი

§ 95. თუ ვინიცობაა, ამ წესდების ასრულების დროს რაიმე განუმარტებულობა აღმოჩნდა, ზედამხედველის კომიტეტის წარდგინებით ფინანსთ მინისტერმა უნდა გარდაწყვიტოს.

§ 97. ყოველს იმ შემთხვევაში, რომლისაც გარდაწყვეტა წესდების ძალით არ მოხერხდება. ბანკი ვალდებულია დაემორჩილოს საზოგადო კანონებს, რომელიც ეხლა მოქმედებაში არიან, ან რომელნიც შემდეგ დაწესდებიან.

ОСНОВАНИЕ ТБИЛИССКОГО ГРУЗИНСКОГО ПОЗЕМЕЛЬНОГО БАНКА (1864—1875 гг.)

Резюме

Исполнилось 100 лет со дня основания Тбилисского грузинского поземельного банка, сыгравшего значительную роль в деле экономического и культурного развития дореволюционной Грузии. Идея его основания возникла в период крестьянской реформы. Как пишет Ф. Энгельс, «существеннейшим следствием этой «реформы» были новые податные тяготы для крестьян. Государство целиком сохранило свои доходы, но значительную часть расходов оно свалило на губернии и уезды, которые ввели для их покрытия новые налоги, а в России является правилом, что высшие сословия почти свободны от налогов, а крестьянин платит почти все».

Несмотря на то, что крестьянская реформа как в России, так и в Грузии была проведена с соблюдением помещичьих интересов, она все же имела большое значение для экономического прогресса страны, поскольку способствовала быстрому распаду отживших свой век хозяйственных форм и ускоренному развитию капиталистических отношений.

В период проведения крестьянской реформы в Грузии предводителем дворянства Тбилисской губернии был выдающийся грузинский общественный деятель, ярый защитник интересов дворянства Димитрий Кипиани. Он заботился о сохранении привилегированного положения дворянства, «пострадавшего» в результате упразднения крепостничества. Он твердо верил, что в создавшихся условиях просвещение представляло для дворянства настоятельную необходимость.

По началу Д. Кипиани пытался собрать средства для обучения дворянской молодежи и призывал дворянство жертвовать во имя этого благого дела пятую часть получаемых им в виде помощи от государства денег за освобождение крестьян. Впоследствии сбор средств на нужды просвещения он связал с идеей основания дворянского поземельного бан-

ка, который представлялся Д. Кипиани таким кредитным учреждением, откуда дворянство могло брать ссуды с небольшими процентами под заклад имущества; в случае неуплаты долга, имущество не должно было продаваться с торга, а временно переходило в распоряжение банка и после покрытия долга возвращалось владельцу. Прибыли банка должны были послужить основным фондом для обучения дворянской молодежи. По-видимому, Д. Кипиани не понимал или же не хотел понимать, что осуществление этой задачи было не под силу банку.

Дворянство с самого же начала предполагало основать банк сословного характера, а Д. Кипиани при составлении проекта устава старался придать банку общественный характер с тем, чтобы кредитами могло пользоваться и крестьянство. Банк, разумеется, принадлежал бы дворянству, поскольку он основывался на средства дворянства, должен был управляться им и дворянству же предоставлялось право распоряжаться его доходами.

На составление Устава и его утверждение в правительственных инстанциях ушло 7 лет. Как в процессе составления Устава, так и в дальнейшем, вопросы кредита банка, в частности, вопрос о том, каким именно должен был быть банк, стали предметом полемики между приверженцами различных направлений, что не могло не повлиять на развитие экономической мысли пореформенного периода.

Член первого редакционного комитета А. Зубалашвили в письменной форме высказал свое мнение относительно разработанного Дмитрием Кипиани первого проекта Устава. Он вполне справедливо замечал, что законы обогащения, т. е. законы коммерческие, одинаковы для всех банков. Разница между коммерческим банком и банком общественным состоит лишь в характере использования прибыли банка. В своих утверждениях А. Зубалашвили, без сомнения, стоял на более реальной основе, чем автор проекта. Идея неприкосновенности заложенного в банке имущества представлялась ему проявлением гуманизма, однако он считал, что ее осуществление на практике было невозможно. Банк, соблюдающий при проведении своих операций принцип неприкосновенности залога, неизбежно потерпел бы крах.

В деле основания банка особую активность проявлял Михаил Мамацашвили, перу которого принадлежат докладные записки в адрес редакционного комитета, многочисленные газетные статьи и брошюры. При рассмотрении проекта Устава он поддерживал идею основания общественного банка.

Первый вариант проекта Устава, пересланный в специальную Комиссию по банковским делам при Главном управлении наместника, согласно постановлению редакционного комитета, Д. Кипиани затребовал обратно для внесения поправок. Второй проект Устава, составленный с участием приглашенного из Петербурга специалиста по банковским делам Водова, был совершенно переделан. В сущности он представлял собой Устав акционерного банка. Хотя раньше, на собрании губернского дворянства, Д. Кипиани не советовал дворянству основывать банк подобного характера, но позднее, по-видимому, под влиянием Водова, он изменил первоначально избранному пути. Банковская комиссия наместничества не утвердила проекта Устава акционерного банка, возвратив его для переработки редакционному комитету.

Новый проект Устава составленный при участии Водова, не был одобрен не только правительственными органами, но и М. Мамацшвили. В критических статьях, направленных против указанного проекта, он высказывал мнение большей части заинтересованного общества.

В бытность Д. Кипиани предводителем дворянства были разработаны пять вариантов проекта банковского устава, и лишь пятый, последний проект, после внесения в него соответствующих поправок, был переслан для утверждения Министерству финансов, однако правительство не утвердило его под тем предлогом, что сочло несовместимым объединение в одном кредитном учреждении долгосрочных и краткосрочных ссуд.

В 1871 году чрезвычайное собрание дворянства Тбилисской губернии вновь избрало для составления нового проекта банковского Устава комиссию пяти под председательством нового предводителя дворянства Реваза Андрикошвили. Большинство членов комиссии — представители крупной феодальной аристократии — с самого же начала были против основания поземельного банка, поэтому Комиссия отвергла идею основания губернского поземельного банка и выработала проект устава уездных поземельных ссудных товариществ.

Основание в уездах кредитных товариществ по краткосрочным ссудам, предусмотренное проектом комиссии, полностью исключало их использование для общественных нужд. Проект Устава вызвал справедливое недовольство большей части общества. Против него высказывались как устно, так и в опубликованных на страницах грузинской и русской прессы.

С начала 70-ых годов грузинские шестидесятники под руководством Ильи Чавчавадзе активно поддерживали

идею основания поземельного банка. Они надеялись использовать его в интересах национально-освободительного движения.

25 ноября 1872 года, на собрании Тбилисского дворянства, где рассматривали составленный комиссией проект устава ссудных товариществ, Илья Чавчавадзе выступил с блестящей речью в защиту основания поземельного банка, которая имела решающее значение в деле окончательного решения вопроса в пользу поземельного банка. Собрание отвергло проект устава ссудных товариществ и избрало новый редакционный комитет для окончательной выработки устава поземельного банка. И. Чавчавадзе был избран одним из членов редакционного комитета и подготовка проекта устава была поручена ему. 5-го декабря 1872 года на заседании того же собрания Илья Чавчавадзе представил новый проект Устава банка, который был одобрен единогласно.

Илья Чавчавадзе потратил много сил не только на создание проекта Устава, ему пришлось немало потрудиться также и для его утверждения правительством: именно с этой целью отправился он в Петербург и пробыл там с весны 1873 года до весны 1874-го.

1 сентября 1874 года чрезвычайное собрание дворянства Тбилисской губернии избрало Илью Чавчавадзе управляющим банка. До начала его функционирования, в канун 1874 года, Илье Чавчавадзе вновь пришлось отправиться в Россию с тем, чтобы ускорить подготовку закладных листов и заключить договоры с банкирами относительно их сбыта.

В январе-феврале 1875 года состоялось собрание дворян — учредителей банка, на котором были избраны члены оценочной комиссии. На заседании 3 февраля управляющий банком Илья Чавчавадзе произнес свою программную речь: он сформулировал руководящие принципы деятельности банка, которые твердо соблюдались им в течение всего периода его работы в банке.

На основании изучения первоисточников — имеющегося архивного материала и критического анализа существующей по вопросу литературы автор попытался осветить одно из важнейших явлений в истории Грузии второй половины XIX века — основание Тбилисского грузинского поземельного банка и роль вождя грузинских шестидесятников Илья Чавчавадзе в этом деле.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი	3
თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი. დიმიტრი ყიფიანი და საგლეხო რეფორმა	10
თ ა ვ ი მ ე ო რ ე. დიმიტრი ყიფიანი — საადგილმამულო ბანკის დაარსების ინიციატორი	31
თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე. თბილისის საადგილმამულო ბანკის წესდების პროექტის შემუშავება	59
თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე. თბილისის საადგილმამულო ბანკის დაარსების მომხრენი და მოწინააღმდეგენი	94
თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე. თბილისის ქართული საადგილმამულო ბანკის დაარსება .	108
დ ა მ ა ტ ე ბ ა I. ფინანსთა მინისტრის განკარგულება ბანკის წესდების დამ- ტყიცების შესახებ	132
დ ა მ ა ტ ე ბ ა II. წესდება თბილისის აზნაურობის საადგილმამულო ბან- კისა	133
Резюме	156

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი ა. ს ტ ე ფ ა ნ ი შ ე ი ლ ი
გამომცემლობის რედაქტორი ს. ხ ა ნ ჭ ა ლ ა ძ ე
მხატვარი გ. ნ ა დ ი რ ა ძ ე
ტექნიკური რედაქტორი ო. ჯ ა მ შ უ ა ძ ე
კორექტორი ო. გ ი გ ი ნ ე ი შ ე ი ლ ი

გადაეცა წარმოებას 26.5.78., ხელმოწერილია დასაბუქდად 27.3.79,
ქალაქის ზომა 60×90¹/₁₆: ქალაქი № 1: ნაბეჭდი თაბახი 10.13:
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8.5

უე 01075; ტირაჟი 1000: შუკ. 1629

ფასი 05 კაბ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, თბილისი, 380028, ი. კავკავაძის პროსპექტი, 1,
Тип. Тбилисского университета, Тбилиси, 380028. пр. И. Чавчавадзе. 1.

Асатиани Иовел Эрастович

**ОСНОВАНИЕ ТБИЛИССКОГО ГРУЗИНСКОГО ПОЗЕМЕЛЬНОГО
БАНКА**

(на грузинском языке)

1979